



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ფ
1977

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

1-1977



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და სამართლის
სერია

СЕРИЯ

ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,
ЭКОНОМИКИ И ПРАВА

61951
15619



თბილისი
ТБИЛИСИ

1-1977

ქ. შარქის სბ. ს. კ. მარ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ქურხალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სა რედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прагишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდადა 23.03.77; შუკვ. № 2771; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 70×106¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16.80; საალრიცხო-საგამომცემლო
თაბახი 14.63; უე 06548; ტირაჟი 900
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს აშხანაგ ლ. ი. ბრევენეს	5
საზოგადოებრივი საკითხების განყოფილება	
ა. ციხინაძე, მორალის როლი და ადგილი კომუნისტურ კულტურაში	7
ბ. ხარბაძე, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის შექმნის საკითხისათვის	29

ფილოსოფია

ბ. შუშანაშვილი, მეცნიერებათა კლასიფიკაცია და მისი საფუძვლები	37
ბ. კოპიაშვილი, ი. კანტისა და ი. ფიხტეს ფილოსოფიის ურთიერთმიმართება	50
ვ. შვანიძე, ფარდობითობის თეორიის ფილოსოფიური ინტერპრეტაციების კრიტიკისათვის	70
ბ. ზაბარაძე, შეხედულებანი დროის მიმართებისა და შეუქცევადობის შესახებ	82

ფსიქოლოგია

ო. დვინძე, მეტყველების ობიექტივაციის პრობლემისათვის	88
ა. შლიჩკოვა, უნებლიე მეხსიერებისა და სხვადასხვა სახის ნებისითი მეხსიერების თანაფარდობა შეცნობისა და აღდგენის მოცემულობათა მიხედვით	101
მ. ნუსუბიძე, მ. ზაბაძე, მ. ფურცხვანიძე, ყურისა და ხელის სისტემის აქტიუობის თავისებურება	110

ეკონომიკა

ბ. ზარნაძე, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის სახალხომეურნეობრივი ეფექტურობის კრიტერიუმის ეკონომიური არსი	115
ბ. ბაბუნაშვილი, ოლქის ტერიტორიულ-ეკონომიკური განვითარება სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის პირობებში	125

სამართალი

მ. შარბაძე, მიზეზობრივი კავშირის გაგებისათვის სისხლის სამართალში	133
--	-----

დისკუსია

ი. დოლიძე, ტერმინოლოგიური მსჯელობა	142
ბ. ნადარეიშვილი, დედის უფლება თუ დედის სამართალი?	143

საინჟინერო ფურცლები

მ. გრიგოლაშვილი, დ. უზნაძე (დაბადების 90 წლისთავის გამო)	145
--	-----

ს. წერეთლის დაბადების 70-ე წლისთავისათვის

ს. ავალიანი, აბსოლუტური და რელატიური სავლენ წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკურ კონცეფციაში	150
ბ. ლუბინძე, ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ს. წერეთლის ნაშრომებში	160
ბ. სანია, სავლენ წერეთელი როგორც დიალექტიკური ლოგიკის მკვლევარი	168
ბ. თიშნაძე, სავლენ წერეთელი და ფილოსოფიის ისტორიის დაფუძნების პრობლემები	180

СО Д Е Р Ж А Н И Е

Генеральному секретарю Центрального Комитета КПСС тов. Л. И. Брежневу Общественные науки Советской Грузии — 10-й пятилетке	5
А. Б. ЦИМИНТИЯ, Роль и место морали в коммунистической культуре	7
М. Р. ХАРБЕДИЯ, К вопросу создания политической экономии социализма	29

ФИЛОСОФИЯ

Г. И. ШУШАНАШВИЛИ, Философия истории Рикерта	37
А. Д. ГОПИАШВИЛИ, Взаимоотношения философий И. Канта и И. Фихте	50
В. В. ЖВАНИЯ, К критике философских интерпретаций теории относительности	70
А. Е. ГАБАРАЕВ, Относительно представлений о направлении времени и его необратимости	82

ПСИХОЛОГИЯ

О. Л. ДЕВИДЗЕ, К проблеме обьективации речи	88
А. Н. ШЛЫЧКОВА, Соотношение произвольной памяти и различных видов произвольного запоминания по данным узнавания и воспроизведения	101
М. А. НУЦУБИДЗЕ, М. Т. ГАГУА, М. Ш. ПУРЦХВАНИДЗЕ, Об одной особенности функционирования системы ухо-рука	110

ЭКОНОМИКА

Б. А. ЗАРНАДЗЕ, Об экономическом содержании критерия народнохозяйственной эффективности индустриализации строительства	115
Г. В. БАБУНАШВИЛИ, Территориально-экономическое развитие округа в условиях интенсификации народного хозяйства	125

ПРАВО

М. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ, К пониманию причинной связи в уголовном праве	133
--	-----

ДИСКУССИЯ

И. С. ДОЛИДЗЕ, Терминологические рассуждения	142
Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ, О термине — «Das Mutterrecht»	143

ЮБИЛЕЙНЫЕ ЛИСТКИ

В. В. ГРИГОЛАВА, Д. Узнадзе (К 90-летию со дня рождения)	145
--	-----

К 70-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ С. ЦЕРЕТЕЛИ

С. Ш. АВАЛИАНИ, Абсолютное и относительное в диалектико-логической концепции С. Б. Церетели	150
Б. И. ЛУТИДЗЕ, Вопросы исторического материализма в трудах С. Церетели	160
К. Д. САНАЯ, Савле Церетели как исследователь диалектической логики	168
Г. В. ТЕВЗАДЗЕ, Савле Церетели и проблемы обоснования истории философии	180



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პენერალურ ვლივანს
ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის**

დიდად პატივცემულო ლეონიდ ილიას ძვე!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით სულით და გულით გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვისურვებთ თქვენი სახელოვანი 70 წლისთავის დღეს.

თქვენი ცხოვრება მკაფიოდ ასახავს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, ხოლო თვით ამხანაგ ბრეჟნევის ცხოვრება ლენინური პარტიისადმი უანგარო სამსახურია. ისტორიაში არც ისე ბევრია ასეთი ბედნიერი შემთხვევები, როცა პოლიტიკური ხელმძღვანელის იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა ესოდენ ეხმიანებოდეს მთელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს.

დღეს განსაკუთრებული ძალით გვაგონდება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ პროლეტარიატს სჭირდება დაკვირვებული, გამოცდილი და მცოდნე პოლიტიკური ხელმძღვანელები, ყველაზე ავტორიტეტიანი, გაუღენიანი, ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე არჩეული პირნი, რომლებსაც ბელადებს უწოდებთ. მუშათა კლასის სწორედ ასეთი პოლიტიკური ლიდერი, ხალხის ხელმძღვანელი, პარტიული ბელადია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მთელი მსოფლიოს მწვინობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ლენინური ტიპის ბრძენი და შიორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძვე!

საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს თქვენს სახელთან: ისიც, რომ დიდა სამაჟულო ომის წლებში მკერდით იცავდით კავკასიას. ისიც, რომ მწვინობისა და შრომის წლებში საქართველოს დროშას მიაბნით ლენინის ორდენი, შემდეგ კი ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

მაგრამ უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი, რაც განსაზღვრავს საქართველოს პარტორგანიზაციის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრების შინაარსსა და რიტმს, არის პარტიის ისტორიული XXV ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამი ცნობილი დადგენილება, სამი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, რომლებიც მიღებულია თქვენი ინიციატივით, თქვენი რჩევით, თქვენი ბრძნული მითითებით: გადაწვეტილებანი თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ამ სამმა დადგენილებამ, თქვენმა დარიგებამ და რჩევამ, თქვენმა მუღმეიმმა ზრუნვამ და ყურადღებამ, რომელსაც იჩინთ სა-

ქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ნამდვილი შემოქმედებისა და აღმშენებლობის ატმოსფერო შექმნა. მნიშვნელოვანწილად დაძლეულია რესპუბლიკის ნამორჩენა. მეათე ზუთწლედის პირველ წელს ბევრად დაჩქარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დაგეგმილი ტემპები. ასობით საწარმო მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალებანი, შემხვედრი ვებები, სოციალისტური ვალდებულებანი. გამოშვებულია ათეული მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სამშობლომ დამატებით მიიღო ათეულათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მარცვლეული, ციტრუსები, ხილი, ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი, ხორცი, რძე. მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები, კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, ასეულათასობით კვადრატული მეტრი ბინები.

ამრიგად, ლენინის ანდერძის ერთგული საქართველოს მშრომელები თქვენს იუბილეს აღნიშნავენ ახალი შრომითი წარმატებებით, სახელობათი შრომითი საჩუქრებით და ამით გამოხატავენ თავიანთ უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, დიდ სიმპათიასა და გულითად მაღლიერებას.

ჩვენში ყველგან საზეიმო ვითარებაში აღინიშნება თქვენი დაბადების დღე და დღეს რესპუბლიკაში არ არის ქალაქი თუ სოფელი, სახლი თუ ოჯახი, სადაც აღამიანები თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეგ, არ გისურვებდნენ ყოველივე იმას, რასაც უსურვებ უახლოეს და უძვირფასეს ადამიანს: ჯანმრთელობას, დღევანდობას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას, ახალ ძაღლონესა და ახალ ენერჯიას — ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვლიმანო

ა. შუპარდნაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ა. ბილაშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ზ. კატარიაძე



საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებანი მე-10 ხუთწლედს

ბაკაი ციფინბი

მორალის როლი და ადგილი კომუნისტურ კულტურაში

კულტურის სამყაროს შექმნით ადამიანი ახორციელებს თავის არსებას, ქმნის ახალ, საკუთარ სამყაროს. კულტურის სამყაროს ერთ-ერთი კონსტიტუირი მომენტია წნეობა. წინამდებარე სტატიის ამოცანაა კულტურის ფენომენში წნეობრიობის აუცილებლობის და მისი დიდიწინაწილიანი როლის დადგენა. ამისთვის საჭიროა წინასწარ გავარკვიოთ, თუ რა ფაქტის შესახებ არის ლაპარაკი და რა ემპირიული წინამძღვრებია საჭირო მისი არსებობისათვის. წნეობრიობის როგორც ფაქტის, კონსტატაცია და მისი არსებობის ემპირიულ პირობებზე მითითება არ ნიშნავს მორალური სამყაროს აუცილებლობის ჩვენებას, რამდენადაც მისი არსებობის ემპირიული წინამძღვრები თვით მოითხოვენ თავიანთი არსებობის გამართლებას; ამ უკანასკნელ საკითხზე საეციალურად უნდა შევჩერდეთ. წნეობრიობის ფაქტის აუცილებლობის ჩვენება ნიშნავს მისი პირველსაწყისის დაქმნას, — ადამიანურ ყოფიერებასთან წნეობრივი სამყაროს აუცილებელი კავშირითიერთობის დადგენას. ამ საკითხის გარკვევით გაიხსნება გზა იმის ნათელსაყოფად, თუ რა როლს ასრულებს წნეობრივი სამყარო ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საერთოდ, და კერძოდ, — კომუნისტური საზოგადოების კულტურაში.

I

1. ადამიანი თავის ყოფიერებას ახორციელებს სხვა ადამიანთან ურთიერთობაში; სოციალურობა არის ადამიანური ყოფიერების აუცილებელი ფორმა. თავიანთი ყოფიერების ერთობლივად განხორციელებისას, ადამიანები უთუთოდ ემორჩილებიან გარკვეულ წესს, გარკვეულ კანონზომიერებას. წესრიგი, კანონზომიერება სრულებითაც არ არის საერთოდ არსებულთა მიმართ რაღაც გარეგანი და შემთხვევითი; წესრიგი და ლოგოსი (ამ სიტყვის ჰერაკლიტესული გაგებით) არსებულთა ყოფნის აუცილებელი საწინდარია, — ყოფნის ამ საყოველთაო წესს ექვემდებარება ადამიანური ყოფიერებაც. წესრიგი, კანონზომიერება, რომელსაც ადამიანები ემორჩილებიან, მრავალნაირია: კანონზომიერებათა ერთი რიგი ადამიანთა ნებისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს, აპირობებს ადამიანთა მოქმედებას დამოუკიდებლად იმისა — აქვთ თუ არა ეს მათ შეგნებული. წესრიგისა და ლოგოსის ეს სახე არის ობიექტური კანონზომიერება, მისი დარღვევა არ შეიძლება. ადამიანები აცნობიერებენ რა მათი ცხოვრების განმსაზღვრელი ობიექტური კანონების მოქმედებას, — იქნებიან ისინი ბუნების კანონები, თუ ისტორიის კანონები, — შესაბამისად შეგნებულად აყალიბებენ გარკვეულ წესებსა და ნორმებს, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან მთელი თავიანთი საზოგადოებრივი მოქმედებისა და ცხოვრების განმავლობაში. თავის მხრივ, წესრიგის ეს სახე მრავალგვარია: საზოგადოებრივი ცხოვრების არსებული ფორმის შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის ორგანიზაციები, სახელმწიფოსა და მის შიგნით

1 კულტურაში, კულტურის ფენომენში, ფართო გაგებით, ჩვენ ვგულისხმობთ ბუნებრივისაგან განსხვავებულ, ადამიანის აქტიური მოქმედებით შექმნილ ხელოვნურ სამყაროს, რომელიც ეფემტურად ემსახურება ადამიანის არსების განხორციელებას.

არსებული სხვა სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით — გამოსცემენ ე. წ. სანქციონებულ წესებსა და კანონებს, რომელთა დაცვა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მოქმედ ეტაპზე სავალდებულოა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომისათვის. ამ წესებისა და ნორმების დარღვევა ხდება ხოლმე, თუმცა ყოველ ასეთ დარღვევას თან სდევს ისეთი შედეგები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ მსვლელობაზე. ამიტომ სახელმწიფოებრივი წესებისა და ნორმების დარღვევა მკაცრად ისჯება ხელისუფლების მიერ.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ზემოაღნიშნული ობიექტური კანონებისა და მათ მოთხოვნათა საფუძველზე სახელმწიფოსაგან დაწესებული მრავალი სხვადასხვა წესისა და კანონის გარდა, ადამიანთა ურთიერთობაში მოქმედებენ, აგრეთვე, მორალური ნორმები და პრინციპები, ქცევის ნიმუშები და იდეალები, რომელთა ერთობლიობა ქმნის ადამიანის ზნეობრივ სამყაროს, აქ ჩვენი ამოცანა არ არის ზნეობრივი სამყაროს რთული მექანიზმის განხილვა, — მას სპეციალური მეცნიერება — ეთიკა იკვლევს. ჩვენ გვაინტერესებს პრობლემის ფილოსოფიური მხარე, — ადამიანური ყოფიერებისათვის მორალური სამყაროს აუცილებლობის ჩვენება. ამ პრობლემის გარკვევას კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა უძღვოდეს ზნეობრიობის არსებობის რეალური პირობების გარკვევა: რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ მორალურმა სამყარომ იარსებოს?

2. ადამიანური გონებისათვის ცნობილ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს აქვს მორალური სამყარო. ადამიანის მორალურ არსებად ყოფნას თავისი ემპირიული პირობები აქვს. ასეთი პირობა, ჩვენი აზრით, სულ სამი შეიძლება იყოს: 1) „მე-ს“ ურთიერთობა „შენ-თან“, — ადამიანის სოციალურობა; 2) ადამიანი როგორც ცნობიერი არსება და 3) ადამიანის თავისუფალი ნება. თუ სამივე პირობა ერთდროულად არის სახეზე, იქმნება მორალური სიტუაცია, რომელშიც იბადება მორალური ქცევა, ადამიანის მორალური სამყარო. ნათელყოთ, თუ რამდენად აუცილებელია თითოეული მათგანი ზნეობრივი სამყაროს არსებობისათვის; ამისათვის, მეთოდური მოსაზრებით, მოვახდინოთ მათი ხელოვნური გამოცალკეება: 1) დავუშვათ ორი უკანასკნელის არსებობა პირველის გარეშე — ადამიანებს აქვთ ცნობიერება და თავისუფალი ნება, მაგრამ გამოვრიცხოთ ცხოვრების სოციალური ფორმა: როგორ შეუძლებოდა, ამ შემთხვევაში, ყოველი მათგანის ქცევა? გვექნებოდა თუ არა საფუძველი, რომ მათს ქცევაზე გველაპარაკა ზნეობრიობის თვალსაზრისით? — უნდა ითქვას გადაჭრით, რომ, ასეთ შემთხვევაში, საერთოდ მორალურ ქცევაზე ლაპარაკი საფუძველს მოკლებული იქნებოდა. ადამიანის ქცევა მორალურობას იძენს მეორე ადამიანთან მიმართებაში. „მე-სა“ და „შენ-ის“ ურთიერთობის გარეშე მორალი არ არსებობს. „მე-ს“ ქცევა ყოველგვარ მორალურ ღირებულებას მოკლებულია, არა მხოლოდ იმის გამო, რომ „მე-ს“ ქცევას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სხვისათვის და არც არავინ აფასებს მას როგორც მორალურად ღირებულს, არამედ, რაც მთავარია, თვითონ „მე-სათვის“ ქცევის მორალურობა აზრს კარგავს. საზოგადოებისაგან აბსოლუტურად იზოლირებული ინდივიდის ქცევა, მორალურ ქცევად არ ჩაითვლება. „ქცევაში“ იმთავითვე ნაგულისხმევია სოციალური შინაარსი, პირველი უკანასკნელის გარეშე ყოველგვარ ღირებულებას (მით უმეტეს — მორალურს) კარგავს. ერთი სიტყვით, ზნეობრიობა, მორალური ცნობიერება იბა-

დება მხოლოდ იქ, სადაც ინდივიდი „თავისი“ და „სხვისი“ ინტერესების თანაფარდობას ამყარებს და შეგნებულად იქცევა გარკვეული ნორმის მიხედვით, — ნორმისა, რომელიც ამ თანაფარდობას გამოთქვამს.

2) იქნებოდა თუ არა საკმარისი მორალური სამყაროს არსებობისათვის მხოლოდ „მე-სა და „შენ-ის მიმართება? — არა. დავუშვათ, რომ არსებობს თავისუფალი ნების მქონე ადამიანთა თანაცხოვრების ფაქტი. თუ ამ მომენტებს არ ახლავს მესამე მომენტი — ცნობიერების უნარი, — შეუძლებელია საქმე გვექონდეს ზნეობრიობასთან. ზნეობრივი, უწინარეს ყოვლისა, არსებობს მორალური ცნობიერების ფორმაში და მის არსებობას აპირობებს ცნობიერქმნის უნარი; როგორც წესი, ყოველი ადამიანური მოქმედება გაცნობიერებულია. მართალია, ყველა გაცნობიერებულ ქცევასა და მოქმედებას ზნეობრიობის პრედიკატი არ მიეწერება, მაგრამ ყველა ზნეობრივი ქცევა უთუოდ გაცნობიერებული უნდა იყოს. ცხოველი მოქმედებს სხვა ცხოველთა შორის, მაგრამ მისი მოქმედება თავიდან ბოლომდე ინსტინქტურია: ცხოველისათვის ურთიერთობა როგორც ურთიერთობა, მით უმეტეს — მორალური, არ არსებობს; მას არა აქვს ობიექტივაციაქმნილი ინტერესები, მისწრაფებები, მიზნები და, რამდენადაც მისი მოქმედება ინსტინქტითაა განსაზღვრული, ცხოველი არაფერთან არაა ურთიერთობაში. ობიექტივაციაქმნილი ინტერესების, მიზნებისა და მისწრაფებების გარეშე ადამიანი წარმოუდგენელია. მიზნების, მისწრაფებების, ინტერესების არსებობის პირობა კი ადამიანის ცნობიერქმნის უნარია. მაგრამ მხოლოდ ეს არაა, ამ შემთხვევაში, მთავარი. როგორც ზემოთ ითქვა, ზნეობრივის, მორალურის აზრი მხოლოდ „მე-სა“ და „შენ-ს“ შორის ურთიერთობაში აქვს, — ეს ურთიერთობა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა ინტერესების, მისწრაფებების, მიზნების ურთიერთობაა. როგორი უნდა იყოს „მე-ს“ მიზანი და ინტერესი, როცა „შენ-ის“ მიზანი და ინტერესი ასეთია? და, პირიქით, როგორი უნდა იყოს ყველას ინტერესი და მიზანი, როდესაც ადამიანთა ყოფნის აუცილებელ ფორმად ადამიანთა თანაცხოვრება გვევლინება? ადამიანებმა თავიანთი ქცევა და მოქმედება, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, თავიანთი ინტერესებისა და მიზნების, გარკვეული მოტივების მიხედვით უნდა წარმართონ. მორალი და მორალურიც ამ სიტუაციაში იბადება. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ზნეობრივი წინასწარ უსათუოდ გულისხმობს აზროვნებას, ცნობიერქმნისუნარიან არსებას.

3) დაბოლოს, პირველ ორთან ერთად, ზნეობრიობის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანისათვის დამახასიათებელი თავისუფალი ნება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი ადამიანური მოქმედების საფუძველში ადამიანის ნების თავისუფლება დევს. ჩვენს მიზანს ამჯერად არ შეადგენს გარკვევა იმისა, თუ რას ნიშნავს ნება, ნებელობის თავისუფლება (ამ საკითხის შესახებ უამრავი ერთიმეორეს გამომრიცხავი თვალსაზრისი გამოითქვა აზროვნების ისტორიაში), გვაინტერესებს მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ადამიანის თავისუფალი ნების გარეშე შეუძლებელია ზნეობრიობის არსებობა. აქ საკმარისია აღვნიშნოთ შემდეგი ვითარება: დავუშვათ, რომ ადამიანი არსებობს, როგორც სოციალური არსება; ამასთან, მას, ცნობიერების აქტიური მოქმედების ბაზაზე, ყოველმხრივ გაცნობიერებული აქვს ზნეობრივი და სოციალური კანონზომიერება; მან იცის

ყოველგვარი დეტალი იმ სიტუაციის შესახებ, რომელშიც იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

არის თუ არა საკმარისი ეს პირობები იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ადამიანზე როგორც მორალურ არსებაზე? სიტუაციის ცოდნა, „ჩემი“ და „სხვისი“ მიზნებისა და მისწრაფებების, დეტალური გაცნობიერება, მართალია, აუცილებელი პირობაა, მაგრამ სრულიად არ კმარა ზნეობრიობის შესაძლებლობისათვის. მართლაც, თუ ყველაფრის დეტალურად გაცნობიერების შედეგად დადგენილი აუცილებლობით ჩემი მოქმედება მკაცრად განსაზღვრული იქნებოდა, ჩემი ქცევის მორალურობაზე ლაპარაკი ზედმეტი გახდებოდა. მკაცრი აუცილებლობა ადამიანს აიძულებს იმოქმედოს ისე, როგორც მას ამის აუცილებლობა ადარსობს; მკაცრი აუცილებლობით პირობადებული ჩემი საქციელისათვის მე არა ვარ პასუხისმგებელი, ხოლო იქ, სადაც საქციელისათვის პასუხისმგებლობა იხსნება, ქცევის მორალური თვალსაზრისით შეფასება ზედმეტი ხდება. როდის და რა შემთხვევაში განსჯიან „ჩემს“ ქცევას ზნეობრივად? — მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებდი, რომ მოცემულ სიტუაციაში სხვანაირად შემოქმედა, — ეს უქანასკნელი კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი რაღაცნაირად ამოერთებოდა მკაცრი აუცილებლობიდან, ე. ი. მისი ნება იქნებოდა თავისუფალი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორალურს ქცევის დაბადებისათვის საჭიროა ისეთი სიტუაცია როცა „მე-სა“ და „შენ-ის“ ინტერესები, მისწრაფებები და იდეები გაცნობიერებული და შეთანადებულია ერთიმეორესთან; შეთანადების აქტს კი აზრი მხოლოდ ნების თავისუფლებით აქვს. ერთი სიტყვით, ქცევის მორალურობის საფუძველში დევს ნების თავისუფლება როგორც ემპირიული წინამძღვარი. მორალურ ნორმათა „უნდაობითი“ ბუნება ნების თავისუფლებას ეფუძნება: იქ სადაც ეს უქანასკნელი არ არსებობს და ყველაფერი მკაცრი აუცილებლობით განსაზღვრება, ზნეობრივი სამყაროსათვის ადგილი აღარ რჩება. ამრიგად, ზნეობრიობის არსებობისათვის აუცილებელია სამი პირობა: ადამიანის თანაცხოვრების ფაქტი, ცნობიერქმენის უნარი და ნების თავისუფლება.

მორალურ სამყაროს სპეციფიკურობა ახასიათებს: მას „უნდაობითი“, „ჭერარსული“ ხასიათი აქვს და ამით განსხვავდება იგი ფაქტიური ვითარებისაგან. მორალური სამყაროს „უნდაობითი“ ბუნება თავისებურ აუცილებლობას გამოთქვამს და ეთიკურის რაობის კარდინალური პრობლემაც სწორედ აქ იწყება. თუ ფაქტიური ვითარება და მორალურობა განსხვავებული სფეროებია, როგორ დავაკავშიროთ პირველი მეორესთან? რა „ჭერარს“, რა „უნდა“? ხომ არა გვაქვს საქმე ადამიანის შემთხვევაში, თავის ჭერარსული სამყაროთი, ისეთ არსებასთან, რომელიც სრულიად განცალკევებულად დგას ყოფიერებაში? როგორ გავიაზროთ მორალური სამყაროს კავშირი ფაქტიურ ვითარებასთან? როგორ დაფუძნდეს ფაქტიურისაგან განსხვავებული „უნდას“ აუცილებლობა? — ეს კითხვები ზნეობრიობის უქანასკნელი ძირების დადგენის მოთხოვნაა. ჩვენი უახლოესი მიზანია ამ მოთხოვნის თეორიული დაფუძნება.

3. მორალურის საწყისის მრავალი თეორია შეიქმნა ეთიკური აზროვნების ისტორიაში. აზრის ერთი ნაკადი ზნეობრიობის საფუძველს უკავშირებს ადამიანის გარეთ და მისგან დამოუკიდებლად მოქმედ ტრანსცენდენტურ ძალას—ღვთაებას და აცხადებს, რომ ზნეობრიობის საწყისი ღმერთია, ხოლო ადამიანი თავისი არსებით ეგოისტურ მიზნებს მისდევს; არსება, რომელსაც ეგოისტური ინტერესები ამოძრავებს, არ შეიძლება მაღალი მორალური პრინციპების შემოქმედელი იყოს; ღმერთისა და იმპერეციული არსებობისადმი რწმენის გარეშე ადამიანები არ შეასრულებენ მორალის მოთხოვნებს; იმპერეციული ცხოვრებაში ადამიანი ბოროტებისათვის არ ისჯება, უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში, ბოროტება ზემოქმედებს. მხოლოდ იქ, იმპერეციულ მიუხედავს უზენაესი მსაჯული ყველას თავ-თავის წილს; ბოროტს — ბოროტებას, კეთილს — სიკეთისას. მხოლოდ უზენაესის წინაშე შიში აიძულებს ადამიანს მაღალი მორალური პრინციპების შესრულებას და ა. შ. თვით კანტიც, რომელსაც ზნეობრიობის სრული ავტონომიურობის დაფუძნება სურდა, ღმერთის არსებობისადმი რწმენა მიაჩნდა მორალურის დაფუძნების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად.

მას შემდეგ, რაც ძველი ღირებულებების სრული გადაფასება ნიციუმე ქვეყნიერებას „ღმერთის სიკვდილით“ ამცნო, მორალურის დაფუძნების ამ კონცეფციას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, აღარაინიშნებენ. მაგრამ ზნეობრიობის დაფუძნების იდეალისტური გზა გაბატონებულია თანამედროვე ბურჟუაზიულ ეთიკაში. იდეალისტური ეთიკა, ადამიანის ნებელობაში ხედავს ზნეობრიობის საწყისს, მაგრამ ეს ნებელობა მას ესმის როგორც იმ აბსოლუტური სულის ნების გამოვლენა, რომელსაც ემპირიულ სინამდვილესთან არაფერი აკავშირებს. სოკრატე-პლატონისაგან მომდინარე ამ ნაკადმა უმაღლესი განსახიერება პეტრეს ფილოსოფიურ-ეთიკურ კონცეფციაში ჰპოვა. შეცვლილი სახით იმეორებენ ამ თვალსაზრისს მ. შელერისა და ნ. ჰარტმანის ეთიკური კონცეფციები. ამ თვალსაზრისისაგან განცალკევებით დგას კანტის იდეალისტური ეთიკა, რომელსაც ხშირად მოვალეობის იდეალისტურ ეთიკას უწოდებენ. ონტოლოგიურ-ობიექტივისტურ თვალსაზრისთან კანტის ეთიკას აერთიანებს ის ნიშანი, რომ ზნეობრიობის საწყისს ხედავს არა ემპირიულში, არამედ წმინდა მორალურ ცნობიერებაში, რომელსაც იგი, სხვაგვარად, „პრაქტიკულ გონებას“ უწოდებს. მორალური, კანტის აზრით, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ემპირიულ-ბუნებრივისაგან. ქცევა მორალური შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სრულდება წმინდა ჯერარსული კანონის საფუძველზე.

შეძლო თუ არა კანტმა თავისი განზრახვის განხორციელება რომ დაეფუძნებინა ზნეობრიობის აუცილებლობა წმინდა ჯერარსულ ნიებაზე? — ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ახლა კი მოკლედ დავახსიათოთ მეორე ძირითადი ნაკადი ეთიკურ აზროვნებაში, რომელიც, ზნეობრიობის აუცილებლობის დაფუძნებისას, გამოდის ბუნებრივ-ემპირიულიდან ადამიანში. ეთიკურ აზროვნებაში ამ ნაკადს ხშირად ნატურალიზმს უწოდებენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მატერიალისტური ეთიკური სისტემები ნატურალიზმის სახესხვაობად მიიჩნევა უმრავლეს შემთხვევაში. გამოწვევისა მარქსისტული მატერიალისტური ეთიკა, რომელიც ზნეობრივი სამყაროს აუცილებლობის დამფუძნებელი საწყისისა და მისი შესაბამისი მორალური იდეალის პრობლე-

მას თავისებურად წყვეტს და, რომლის გამოც, მისი მონათვლა ნატურალიზმის სახელწოდებით სრულიად უკანონო იქნებოდა.

რას იმდგომარეობს აზრის მეორე ძირითადი ნაკადის არსება? როგორც ითქვა, ეს მიმართულება ეთიკაში ზნეობრიობის საწყისს ეძებს ადამიანში, რომელიც კონკრეტულ პირობებში არსებობს და აქვს განსაზღვრული ემპირიული მოთხოვნილებები, ინტერესები. ზნეობრიობას ადამიანის ბიოფსიქოლოგიური და სოციალური მომენტები და გარემოებანი აპირობებენ. ასეთია, სულ მოკლედ, ეთიკური აზროვნების ამ ნაკადის ძირითადი არსი.

ზნეობრიობის საწყისის საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტაზეა, საბოლოოდ, დამოკიდებული ის, თუ რას მიიჩნევს ესა თუ ის ეთიკური სისტემა ადამიანის ზნეობრივი სწრაფვის იდეალად და როგორ გაიაზრებს უკანასკნელის ურთიერთობას სინამდვილესთან: თუ, მაგალითად, ზნეობრიობის საწყისი ღვთაებაა, მაშინ ადამიანის ზნეობრივი სწრაფვის იდეალი იქნება ღვთაების მიერ დაწესებული ნორმებისა და პრინციპების აღსრულება; თუ ზნეობრიობის საწყისი, როგორც ამას კანტი იტყვის, სწმინდა პრაქტიკული ცნობიერებაა, მაშინ ადამიანის ზნეობრივი სწრაფვის იდეალი იქნება საკუთრივ მორალური კანონისადმი პატივისცემა და მისი აღსრულება. ნატურალისტურ ეთიკაში ზნეობრიობის საწყისად ადამიანის ესა თუ ის ემპირიულ-ბუნებრივი მიდრეკილება არის მიჩნეული. ამის მიხედვით, ადამიანის ზნეობრივი სწრაფვის იდეალი სხვადასხვა იქნება: თუ ზნეობრიობის ასეთი საწყისი ადამიანში არის ბედნიერება, ზნეობრიობის იდეალიც ბედნიერება იქნება; თუ ზნეობრიობის საწყისად მივიჩნევთ ადამიანთა თანაცხოვრების სოციალურ გრძნობას, მაშინ ადამიანის ზნეობრივი სწრაფვის იდეალად ადამიანთა შორის სიმპატია და სოლიდარობა მოგვევლინება და ა. შ.

ჩვენი მიზანი, ამჯერად, სრულებითაც არ არის სხვადასხვა ეთიკურ სისტემათა აკვარგიანობის გარჩევა და შეფასება. ჩვენს მთავარ მიზანთან დაკავშირებით ამ თეორიებში გვინტერესებს ორი საკითხი: ა) არის თუ არა შესაძლებელი ზნეობრიობის თავის თავადობა ანუ არსებობს თუ არა უპირობო ზნეობრივი (კანტი); ბ) რამდენად არის შესაძლებელი ზნეობრივი სამყაროს აუცილებლობის დაფუძნება ადამიანის ემპირიულ მიდრეკილებებზე დაყრდნობით (ნატურალისტური ეთიკა). ორივე საკითხის გარკვევას მივყავართ ჩვენს პრობლემასთან. დაიწყოთ პირველი საკითხის გარკვევით.

ი. კანტი, ყოველგვარი ნატურალისტური ეთიკის საპირისპიროდ, შეეცადა ისეთი ეთიკის შექმნას, რომელიც ზნეობრივი იდეალის სრულ ავტონომიურობაზე იქნებოდა დაფუძნებული. ნატურალისტური ეთიკის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად კანტი თვლის ზნეობრივ იდეალად პიროვნების ამა თუ იმ მიდრეკილების მიჩნევას, გამომდინარე ადამიანის ემპირიული მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან. შესაძლებელია თუ არა, ასეთ შემთხვევაში, დაფუძნება ისეთი ზნეობრივისა, რომელიც იქნება აუცილებელი და საყოველთაო? — კანტს ეს შესაძლებლობა გამორიცხულად მიაჩნია: ადამიანთა მისწრაფებები და მიზნები, მათი მიდრეკილებები იცვლებიან; სხვადასხვა ადამიანებს ისინი სხვადასხვანაირი

აქვთ. რომელი ქცევა იქნება მორალური — ამის დადგენის საშუალებას არ იძლევა ადამიანის ემპირიულ მიდრეკილებებზე დაყრდნობა. ამასთან, კანტი მიუთითებს მეორე მნიშვნელოვან მომენტზე, რომელსაც ვადაძევეტი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტი მორალური პრინციპის დასადგენად, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქცევის მორალური ღირებულება ვერავითარი გზით ვერ დადგინდება ადამიანის ემპირიული მიდრეკილებების ბაზაზე. თუ მე რაიმე ბუნებრივი მიდრეკილება მაქვს და ვმოქმედებ ამის შესაბამისად, აქედან სრულებით არ გამომდინარეობს ჩემი ქცევის მორალური ღირებულება. მაშინ, საიდან უნდა გამოვიდეთ ჭეშმარიტი ზნეობრიობის დასადგენებლად? — ასეთი რამ, კანტის აზრით, უნდა იყოს თავისთავადი, ყოველგვარი მიზნებისა და მისწრაფებებისაგან თავისუფალი ნება — „კეთილი ნება“. კეთილი ნებით განსაზღვრული ზნეობრივი იდეალი უნდა იყოს უპირობო და თავისთავადი, წმინდა მოვალეობის გამოთქმელი. შეუძლებელია, კანტის აზრით, კატეგორიული იმპერატივის გარეგანით, სხვა რამეთი განსაზღვრა. ყოველი გარეგანი განსაზღვრულობა კატეგორიულ იმპერატივს ჰიპოთეზურად გადააქცევდა. მე უნდა მოვიქცე ასე იმიტომ, რომ მე რაღაც სხვა მიზანი მამოძრავებს, — ასეთი იმპერატივით ჩადენილი მორალური ქცევა ყოველგვარ მორალურ ღირებულებას მოკლებულია: თუ მე არ ვცრუობ იმისათვის, რომ ჩემმა მოქმედებამ ჩემს სახელს ჩრდილი არ მიაყენოს, — ასეთი ქცევა არ იქნება მორალური. მაგრამ, თუ მე არ ვიცრუებ არა იმიტომ, რომ იგი რაიმე სარგებლობას ან ზიანს მომიტანს, არამედ — მხოლოდ იმისათვის, რომ მოვალე ვარ არ ვიცრუო, ამ შემთხვევაში, ჩემი ქცევა სხვა არაფრით იქნება განსაზღვრული გარდა კეთილი ნების „უნდათი“; მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება ჩემი ქცევა წმინდა ზნეობრივი იდეალის კარნახით იყოს განსაზღვრული და იგი უსათუოდ მორალურად ჩაითვლება. ერთი სიტყვით ქცევა მორალური იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ჩადენილია იმ კანონის მიხედვით, რომელსაც კეთილი ნება თავის თავს უკარნახებს საკუთარი მოვალეობის გამო. ნორმა-ნორმისათვის, მოვალეობა-მოვალეობისათვის, სიკეთე-სიკეთისათვის — აი, საბოლოოდ, რას ნიშნავს ზნეობრიობის ავტონომიურობა კანტთან და როგორ ფუძნდება მასთან ზნეობრივი სამყაროს ობიექტურ-აუცილებელი ხასიათი.

კანტი ეძებს ფორმულას, რომელშიც გამოთქმული იქნება „წმინდა ნების“ ფორმალური პრინციპი, — ამით კი შეფასდება ყოველგვარი საქციელის მორალური ღირებულება. იგი იძლევა ამ კანონის რამოდენიმე ფორმულირებას, მაგალითად: „მოიქეცი ისე, რომ შესაძლებელი იყოს შენი ქცევის ნორმა საყოველთაო კანონად გადაიქცეს“. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარი ის არ არის, თუ რამდენად შესძლო კანტმა მორალური ქცევის პრინციპის უნაკლო ფორმულის შექმნა, არამედ, მთავარია, დაამტკიცა თუ არა მან ზნეობრივის თავისთავადობა და აუცილებლობა. ჩვენთვის ეს უკანასკნელი საკითხია ვადაძევეტი. უნდა ითქვას, გადაჭრით რომ კანტს თავისი ძირითადი ამოცანა — ზნეობის თავისთავადობისა და აუცილებელი ხასიათის დაფუძნება — განუხორციელებელი დარჩა.

კანტი, გარკვეულ ფარგლებში, სამართლიანად აკრიტიკებს ნატურალიზმს ზნეობრიობის დაფუძნებაში. ყოველი მორალური ნორმა უსათუოდ გამოთქვამს ჭეარასს, რომლის ობიექტური ღირებულების პირდაპირი დედუქცია ფაქტიური ვითარებიდან შეუძლებელია. მაგრამ „უნდასა“ და ფაქტის, ჭერ

არსისა და არსის სფეროთა განსხვავებისას კანტმა ვერ დაიცვა ზომიერება. მან არსი და ჭერარსი აბსოლუტურად მოწყვიტა ერთიმეორეს და მათ შუა გავალი უფსკრული შექმნა. „უნდას“ კანტმა სრული დამოკიდებულება მიაწერა, ხოლო ეს ვითარება თვით „უნდას“ ზედმეტად ხდის. თუ ის მართლა „უნდა“ არის, იგი რალაცნაირად უნდა განხორციელდეს, ე. ი. ჭერარსიდან უნდა იქცეს არსად, — უამისოდ იგი კარგავს თავის საზრისს. რატომ და რისთვის ჭერარსს? იმას, რაც „უნდა იყოს“ უსათუოდ რალაც შინაგანი კავშირი აქვს იმასთან, რაც არის; მორალური სინამდვილე ვერ იარსებებდა ამ კავშირის გარეშე. კანტი ცდილობს დააფუძნოს ზნეობის აბსოლუტური ავტონომიურობა და აუცილებლობა, თუმცა მიინც გრძნობს ამ უკანასკნელის შინაგან კავშირს ემპირიულ სინამდვილესთან. არსთან. იგი საქმის ლოგიკამ ზნეობრივი იდეალის შინაარსობრივი ბუნების აღიარებამდე მიიყვანა. ბოლოსდაბოლოს, ადამიანი, პიროვნება აღმოჩნდა ის უკანასკნელი ინსტანცია, რომლის მიწართაც ზნეობრივი იდეალი თავის ღირებულებას იძენს და კანტმა კატეგორიული იმპერატივის ფორმულას შემდეგი სახე მისცა „მოიტყეცი ისე, რომ შენთვის კაცობრიობა — როგორც საკუთარი თავი, ასევე სხვა — იყოს არა მხოლოდ საშუალება, არამედ მიზანიც“. ზნეობრივი იდეალის ამ ფორმულირებით კანტმა გააუქმა კატეგორიული იმპერატივის წმინდა ფორმალური ხასიათი და, მაშასადამე, მორალის თავისთავადობის კანტისეულ მოძღვრებაში შინაარსობრივი ეთიკის საკმაოდ მძლავრი ნაკადი შეიპარა. ზნეობრივი სამყაროს ავტონომიურობის გაუქმებასთან ერთად, თანახმად კანტის გამოსავალი პოსტულატისა, უქმდება ზნეობრივი ობიექტურ-აუცილებელი ხასიათიც.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა გავარკვიოთ, ისაა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებების ბაზაზე ჭეშმარიტი ზნეობრიობის დაფუძნება, მორალური სამყაროს არსებობის გამართლება. თუ ადამიანის მორალურ ქცევას გავამართლებთ ბუნებრივი მიდრეკილებებით, ძნელი ასარჩევია საიმედო კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლებელი იქნება, მორალური თვალსაზრისით, ერთი ქცევის მეორეზე მაღლა დაყენება. ადამიანებს მრავალი მიდრეკილება და, შესაბამისად, სხვადასხვა მიზნები და მისწრაფებები აქვთ. რომელია ამ ქცევათაგან მორალურად ღირებულები? ხომ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ქცევა, რომელიც ადამიანის ძლიერ და ხანგრძლივ ბუნებრივ მიდრეკილებებს შეესაბამება, მორალურად უფრო ღირებულები იქნება ვიდრე ის, რომელიც ასეთი არ არის? — საკითხის ასეთი დაყენებით, ოდნავადაც ვერ ვუახლოვდებით პრობლემის გადაწყვეტას. მორალური პრაქტიკა ძალიან ხშირად სრულადაა საწინააღმდეგოს ვეიჩვენებს: ადამიანები ბევრ შემთხვევაში უარს ამბობენ ძლიერი მიდრეკილებების სასარგებლოდ არა მხოლოდ სუსტ მიდრეკილებებზე, არამედ, საერთოდ, ყოველგვარ ბუნებრივ მიდრეკილებაზე. თავი რომ გავანებოთ ადამიანთა ბუნებრივ მიდრეკილებებს, რომლებიც ადამიანებს ბევრ შემთხვევაში იგივეობრივი აქვთ, სხვადასხვა დროს ადამიანები მორალური ქცევის სხვადასხვა ნორმებსა და წესებს ემორჩილებიან. განსხვავებულია მორალური სენტენდენციები კლასებად გათიშულ საზოგადოებაში სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებისათვის. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა ბუნებრივი მიდრეკილებები არ შეიძლება იყოს ქცევის მორალური ღირებულების საიმე-

დო კრიტიკიუმი. ეს გარემოება გვაიძულებს, რომ ვეძიოთ ზნეობრივი სამყაროს არსებობის უფრო ღრმა ძირი, რომელმაც მორალური სამყაროს აუცილებლობასთან და მისასაღამე, ობიექტურობასთან ერთად, ისიც უნდა ავიხსნას, თუ რას ემსახურებიან ადამიანთა ყოველგვარი მიდრეკილებანი, რატომ განსხვავდებიან ისინი ეპოქის მიხედვით, რატომ აქვთ ქვეყის განსხვავებული მორალური ნორმები ერთი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და კლასებს და ა. შ. ამასთან, ზნეობრივი სამყაროს ობიექტურობისა და აუცილებლობის დამდგენი ძირის ძიებისას, უთუოდ გასათვალისწინებელია მორალურის სპეციფიკა. ყოველი ზნეობრივი ნორმა მოითხოვს არა იმას, რაც არის, არამედ — იმას, რაც ჯერ არს, რაც უნდა იყოს, ხოლო რაიმეს ბუნებრივი აუცილებლობიდან მის მორალურობაზე დასკვნა გონიერულ საფუძველს მოკლებულია.

ამრიგად, ზემოთ დასმული ორივე საკითხის გარკვევამ ნეგატიურ შედეგამდე მიგვიყვანა: უპირობო მორალური, რომელმაც თითქოს უზრუნველყო მორალურის აუცილებელი და ობიექტური ხასიათი, შეუძლებელი აღმოჩნდა (კანტის მაგალითი), მეორე მხრივ, პირობითი, ფაქტით განსაზღვრული ზნეობრივის აუცილებელი და ობიექტური ბუნების ჩვენება, საიმედო კრიტიკიუზის არარსებობის გამო, შეუძლებელია გახდა (ნატურალისტური ეთიკის მაგალითი); პირველი ჯერარსულის მომენტს აზვიადებს ზნეობრივში, ჯერარსს აბსოლუტურად წყვეტს არსს და მორალურ სამყაროს, საერთოდ, შეუძლებლად ზღის. მეორე აბსოლუტურ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტიურ ვითარებას, უგულებელყოფს ზნეობრივში ჯერარსის მომენტს და ამით აუქმებს ზნეობრივის სფეროს.

სადა არის გამოსავალი? ზნეობრიობის დაფუძნების კეშმარტივმა თეორიამ უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ეს ნეგატიური შედეგი. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ზნეობრივი სამყაროს სპეციფიკა, მისი ჯერარსული ბუნება; მეორე, ზნეობრივის ჯერარსულობა არ უნდა დაუპირისპირდეს ფაქტიურობას ანუ ჯერარსული უნდა იყოს პირობითი ჯერარსული, არსიდან გამომდინარე ჯერარსული; საბოლოოდ კი ჯერარსულის პირობადებულობამ არსობრივით ჯერარსულის სამყარო წმინდა სუბიექტურ სამყაროდ არ უნდა გადააქციოს და, ყველა ამ პირობათა დაცვით, ადამიანური ყოფნისათვის ზნეობრივი სამყაროს აუცილებლობა უნდა დააფუძნოს. რამდენადაც მორალური სამყარო ადამიანური სამყაროა, ზემოაღნიშნული მომენტების ძირითევი ადამიანშია მოსაძებნი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანური ყოფიერება ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს ჯერარსული და ფაქტიური (არსობრივი), — მათი ერთიანობა ადამიანის ყოფიერების ობიექტურ კანონზომიერებას უნდა წარმოადგენდეს; ყოველივე ამან თავისი დსაბაში თვით უნივერსუმში უნდა ჰპოვოს.

როგორაა ყველაფერი ეს შესაძლებელი? ზნეობრივი სამყაროს აუცილებლობის დაფუძნება არსებითად ადამიანური ყოფნისათვის ჯერარსული აუცილებლობის დაფუძნებაა. ამიტომ, პირველ რიგში ჯერარსული აუცილებლობის საწყისი უნდა დაფუძნდეს.

4. ზნეობრივის „უნდაობითი“ ხასიათი, ცხადია, არ გამოხატავს იმას, რაც „არის“, მორალური ნორმის „უნდაში“ სინამდვილე უშუალოდ არ აისახება. „უნდასა“ და „არის“ შორის არსებითი განსხვავებაა. მაგრამ ეს განსხვავება თავის საფუძველში იგავეობრივს გულისხმობს: „არის“ და „უნდა“

ერთიანდებიან უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციებში. „უნდა“ რომელიც არასდროს ხორციელდება, არ გადადის ფაქტიურში, ყოფნაში, — კარგავს თავის საზრისს; „უნდა“ არასდროს არაა წმინდა „უნდა“; იგი ყოველთვის დამძიმებულია იმით, რაც „უნდა იყოს“, ე. ი. — არსით, ყოფნის მოთხოვნით. „უნდას“ სწორედ ყოფნის ამ მოთხოვნით აქვს ძალა და მნიშვნელობა. ყოფნის მოთხოვნით „უნდა“ გამოხატავს არა მხოლოდ იმას, რაც „უნდა იყოს“, არამედ — იმასაც, რაც „არის“ — ანუ „უნდა“ წარმოადგენს არსებულის ფუნდამენტური ტენდენციის ერთ-ერთ აუცილებელ მომენტს: უნივერსუმი თავის ფუნდამენტში ერთიანობაა ორი მომენტისა: იმისი, რაც „არის“ და იმისი, რაც უნდა იყოს“. უნივერსუმი მარადიული ქმნადობაა, სწრაფვაა. მორალური „უნდას“ დასაბამი უნდა ვეძებოთ უნივერსუმსა და მის ფუნდამენტურ ტენდენციაში.

საითკენ ქმნადობს უნივერსუმი? უნივერსუმი ქმნადობს სრულქმნილი ყოფნისაკენ. იგი მით უფრო სრულქმნილია, არსებულთა რაც უფრო მეტ სიმრავლეს შეიცავს, რაც უფრო მრავალსახიანია არსებულთა ფორმები. არსებულთა სუბსტრატის — ერთის დაშლა მრავალსახიანობად უნივერსუმის სრულქმნილი ყოფნისაკენ ფუნდამენტური ტენდენციის გამოხატულებაა. ყოფნის სტიქია შლის ერთს მრავლად, მრავალსახიანობად. ერთი, — უნივერსუმი დაშლილი მრავალსახიანობად არ არის ატომარული მრავალსახიანობა. როგორც შეუძლებელია აბსოლუტური ერთის არსებობა, თუ არ არის სხვა, რომელთან მიმართებაში ერთი თავის გარკვეულობას და, მაშასადამე, არსებობას იძენს, ასევე შეუძლებელია ატომარული სიმრავლე — ერთიმეორისაგან აბსოლუტურად გათიშული და იზოლირებული სასრულო არსებობანი. მრავალთა არსებობის პირობა არის კავშირი მათ შორის ანუ უნივერსუმი სასრულო არსებულთა — მრავალთაერთიანობაა. არსებულთა კავშირი მათი ურთიერთკავშირია, ყოველი სასრულო არსებული „ადაპტირებულია“, მორგებულია სხვა სასრულო არსებულთან ანუ უნივერსუმი არის კოსმოსი, წესრიგი, ერთიანობა. სხვანაირად, რომ ვთქვათ, სასრულთა არსებობა უნივერსუმში უზრუნველყოფილია უნივერსუმის წესრიგით, კანონზომიერებით. წესრიგი და კანონზომიერება, ამ შემთხვევაში, გვევლინება როგორც ერთში მრავლის არსებობის პირობა. ყოველი საგანი, მოვლენა, პროცესი, როგორც არსებული, „უნდა“ ჩაერთოს კავშირში სხვასთან, მოვიდეს ერთიანობაში დაწარჩენ არსებულებთან; ამ საერთო კოსმიურ წესრიგში ჩართვის გარეშე მათ არ შეუძლიათ არსებობა ანუ საშუალო, უნივერსუმი თავის საფუძველში — ყოფნის სტიქიაში — არის ჯერარსული ბუნებისა.

დგას თუ არა ადამიანი განცალკევებით უნივერსუმის ყოფნის ამ წესისაგან? — ცხადია, არა. ადამიანი უნივერსუმის ნაწილია. ადამიანი წარმოადგენს უნივერსუმში მოქმედი ყოფნის ამ წესის კონკრეტულ რეალიზაციას და, მაშასადამე, მასში იგივე კანონზომიერება, ყოფნის იგივე წესი მოქმედებს. ადამიანის გვარი იშლება მრავლად — ინდივიდუუმებად. თვითული მათგანის არსებობის პირობას წარმოადგენს მოწესრიგებული ურთიერთკავშირი — წესრიგი და ლოგოსი. უკანასკნელი მათი ყოფნის პირობაა. წესრიგი და კანონზომიერებანი, რომელსაც ადამიანები ემორჩილებიან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მრავალგვარია. ზოგი მათგანი სრულებითაც არაა დამოკიდებული ადამიანთა ნებაზე, ისინი მოქმედებენ ადამიანის ცნობიერების გავლის გარეშე და ობიექტურ ხასიათს ატარებ-

ბენ. მეორენი ადამიანის ცნობიერებას ვაივლიან, მაგრამ მათ ობიექტური ღირებულება აქვთ; მათი დანიშნულება და ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არეგულირებენ ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ინდივიდუულობა ურთიერთკავშირს და ა. შ. ამ წესებსა და ნორმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ზნეობრივ ნორმებსა და წესებს უჭირავთ. რატომაა საჭირო საზოგადოებრივი ცხოვრების, ინდივიდუულობა კავშირურთიერთობის რეგულირება, წესრიგი ადამიანთა ცხოვრებაში? — იმიტომ, რომ ადამიანებს თუ არა სოციალურ ფორმაში სხვანაირად არ შეუძლიათ თავიანთი ყოფიერების განხორციელება. მორალური ნორმები გამოთქვამენ ადამიანური ყოფიერებისათვის წესრიგის აუცილებლობას; მორალური სამყარო, თავისი წესებითა და ნორმებით, ადამიანური ყოფიერების სადარაჯოზე დგას.

რა დასკვნები გამოიმდინარეობენ ზემო ნათქვამიდან?

ა. ადამიანი, როგორც უნივერსუმის ნაწილი, არის ერთიანობა არსისა და ჭერარსისა. ადამიანი, შლის რა თავის გვარს ინდივიდუულობა მრავალსახეობად, ესწრაფვის თავისი არსების განხორციელებას, თავისი ყოფნის დაფუძნებას; ყოფნისათვის კი წესრიგია აუცილებელი. სწორედ ამ უკანასკნელის გამოვლენაა მორალური სამყარო.

ბ. ზნეობრიობა ადამიანური ყოფნისათვის საჭირო აუცილებლობას გამოთქვამს, იმიტომ მას აქვს დაქვემდებარებული, პირობითი ღირებულება. მორალური სამყარო ადამიანის არსების განხორციელებას ემსახურება; თავისთავს დაფუძნებული ყოფიერების მქონე ადამიანი უმადლესი იდეალია. ქცევა, რომელიც ამ იდეალის განხორციელებას ემსახურება, უთუოდ ქეშმარიტი ზნეობრივი ქცევა იქნება. ხანდისხან მორალურს ადამიანურის მნიშვნელობით ხმარობენ და ამაში ღრმა აზრი იმალება: ქეშმარიტი ზნეობრივი, მართლაც, იგივეობრივია ადამიანურისა, რამდენადაც იგი ადამიანის თვითყოფიერების დაფუძნებას ემსახურება. ზნეობრივად გამართულ ქცევაში ერთიმეორისაგან არ ვაითიშება მიზანი და საშუალება. ადამიანის მიზანი, უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის შესაბამისად, ადამიანის თვითყოფიერების განხორციელებაა; ქცევა, რომელიც ამ მიზანს ემსახურება და, მაშასადამე, მიზნის მიღწევის თავისებურ საშუალებად გვევლინება, თვითონ ხდება მიზნად, რამდენადაც მხოლოდ მისი მეშვეობითაა შესაძლებელი ადამიანის არსების განხორციელება.

გ. მორალურის პირობითობა, მისი დაქვემდებარებული მნიშვნელობა არ ნიშნავს მისი ობიექტურ-აუცილებელი ხასიათის გაუქმებას. ადამიანს აქვს მრავალნაირი მიღრეკილება, რომელთა მიხედვით ჩადენილი ყველა ქცევა, ცხადია, არ იქნება მორალური. რომელი მიღრეკილები მისხედვით ჩადენილი ქცევა მივიჩნათ მორალურად სასურველ და ქეშმარიტ ქცევად? — კითხვის ასე დასმას, ბოლოსდაბოლოს, მაინც ჭერარსულის სფეროდან გასვლის აუცილებლობამდე, საერთოდ ღირებულებათა; კერძოდ მორალურ ღირებულებათა ღირებულების დადგენის უკანასკნელი ინსტანციის დადგენის მოთხოვნამდე მივყვართ. ეს უკანასკნელი ინსტანცია კი თვით ყოფნა, ყოფნის ფუნდამენტური კანონზომიერებაა, რომელიც ადამიანთა შორის მათი საკუთარი არსების განხორციელების სახით მოქმედებს. ადამიანის მრავალგვარ (მრავალრიცხოვანი სოციალურ...)

2. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1977, № 1

კ. მარქის ს.ბ. ს.ე. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

61991

მიღრეკილებათა შორის შეგვეცნობითმა ძიებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რაც ადამიანის ყველა მიღრეკილების ძირში დევს და, საბოლოო ჯამში, ემსახურება სუბსტანციონალურისა და არსებობის — ადამიანის არსების განხორციელებას. ეს სუბსტანციონალური, ადამიანის არსების სახით იქნება ის საბოლოო ინსტანცია, რომელშიაც მორალურმა სამყარომ თავისი უცილობელი და ობიექტური დასაბამი უნდა ჰპოვოს. თუ გამოვალთ ეთიკურის დაფუძნების ამ კონცეფციიდან, ჰეგელიანი მორალურის კრიტიკიუმის დადგენის სიძნელე იხსნება: რომელი ქცევა იქნება, ამ მოსაზრების მიხედვით, მორალური? — მორალური იქნება ის ქცევა, რომელიც ერთში (სოციალურ მთელში) მრავლის (ინდივიდუუმთა) ჰარმონიულ არსებობას უზრუნველყოფს.

ამრიგად, მოკლედ რომ ვთქვათ, უნივერსუმი არის არსისა და ჯერარსის ერთიანობა. ასეთსავე ერთიანობას წარმოადგენს თვით ადამიანი როგორც უნივერსუმის ნაწილაკი; ადამიანი ინაწილებს არსის, ყოფნის ფუნდამენტურ ტენდენციას. ამ ტენდენციით უნივერსუმი არის წესრიგი და კანონზომიერება. ადამიანური ყოფნისათვის წესრიგის აუცილებლობის კონკრეტულ ადამიანურ ფორმას წარმოადგენს მორალური სამყარო. ზნეობრივი ემსახურება ადამიანის არსების განხორციელებას, ამიტომ მას პირობითი ბუნება აქვს. რამდენადაც მორალურის პირობითობა განსაზღვრულია თვით უნივერსუმში და, მაშასადამე, — ადამიანში მოქმედი ობიექტური აუცილებლობით, მორალური იძენს ობიექტურ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

II

5. განსაკუთრებულია ზნეობრიობა კომუნისტურ კულტურაში, სადაც ისახება ადამიანის არსების დაფუძნების უსაზღვრო შესაძლებლობანი. ზნეობრიობის განსაკუთრებული როლი ადამიანთა კომუნისტურ ასოციაციაში პირობადებულია ორი უმთავრესი ნიშანთვისებით, რაც ახასიათებს უნივერსუმს და რის კონკრეტულ გამოვლენას ადამიანთა მომავალი — მათი კომუნისტური ასოციაცია — წარმოადგენს. უნივერსუმის ერთ-ერთი ნიშანია მისი ფუნდამენტური ტენდენცია უსაზღვრო მრავალგვარობისაკენ. ამ ტენდენციის მეშვეობით აფუძნებს უნივერსუმი თავის სრულქმნილ ყოფიერებას. აბსოლუტური ერთის არსებობა, თუ მას აღარაფერი უპირისპირდება, შეუძლებელია. უნივერსუმს, როგორც ერთს, თავის გარეთ განსაზღვრელი აღარაფერი აქვს და, მაშასადამე, მას სხვანაირად არ შეუძლია დააფუძნოს თავისი არსებობა, თუ რა საკუთარი თავის მრავალსახეობად დაშლის გზით; მისი არსებობა მით უფრო სრულქმნილია, რაც მეტ მრავალგანსაზღვრულობად დაიხასხრება იგი. ამ პროცესს მეორე მხარეც აქვს: უნივერსუმი არის არა მხოლოდ მრავალსახეობათა სიმრავლე, არამედ, მასთან ერთად, მრავალგანსაზღვრულობათა ერთიანობა და, მაშასადამე, წესრიგი; უნივერსუმის მრავალსახეობა ერთიანობაში აფუძნებს თავის თავს და პირობით, ერთიანობა მრავალსახეობით მყარდება. ორივე მომენტი, საბოლოოდ, უნივერსუმი თავის სრულქმნილ არსებობას აფუძნებს.

არსებობის ეს უნივერსალური წესი თავის კონკრეტულ რეალიზაციას პოულობს ადამიანურ ყოფიერებაში. ადამიანი თავის ყოფიერებას აფუძნებს თავისი გვარის მრავალსახეობად — ინდივიდუუმებად დაშლის გზით, ხოლო მათი ერთიანობა ქმნის საზოგადოებას. ადამიანი და ადამიანთა ცხოვრების სა-

198

ზოგადობრივი წესი მით უფრო სრულქმნილია, რაც უფრო მეტ მრავალგვარობას შეიცავს იგი ინდივიდუულობა სახით. სხვანაირად, რომ ვთქვათ, რაც მეტი მრავალგვარობა ახასიათებს საზოგადოებას განსხვავებულ ინდივიდუულობა სიმრავლით, მით უფრო ძლიერია ადამიანის გვარი, ადამიანთა საზოგადოება. ინდივიდთა სტანდარტიზაცია, მათი ნიველირება რასაც ცხოვრების ბურჟუაზიული წესის პირობებში აქვს ადგილი და, რაც ჩვენს დროში ბურჟუაზიული კულტურის კრიზისის სახით ვლინდება, ასუსტებს ადამიანის გვარს; კაპიტალისტურ სამყაროში იკარგება ადამიანის სიძლიერე; საზოგადოება ნიველირებულ ინდივიდთა უსახო მასად იქცევა; საბოლოოდ ირღვევა არსებობის საყოველთაო-უნივერსალური წესი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ინდივიდუულობის ქეშმარიტი ინდივიდუულობისა და მეობის აუცილებელი პირობა არის სხვა ინდივიდი, განუმეორებელ ინდივიდუულობა სიმრავლე და მრავალსახეობა. ამ უკანასკნელ ვითარებას მეორე აუცილებელი მხარე აქვს: ადამიანთა გვარში ინდივიდთა სიმრავლეს, საზოგადოებაში ინდივიდუულობა მრავალსახეობას თავისი საზრისი მათს ერთიანობაში, კოლექტიურობასა და წესრიგში აქვს. კომუნში არის ადამიანთა ისეთი ასოციაცია, სადაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილია ინდივიდის განვითარება, მისი სასიცოცხლო ძალების სრული გავლა. კომუნში ნიშნავს პიროვნების აღზევებას, საკუთარი მეობის მქონე ადამიანთა ერთიანობას. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება საზოგადოება ჯანსაღი, ადამიანის არსების შესაბამისი, რადგან მხოლოდ განსხვავებულთა სიმრავლე ნიშნავს ნამდვილი ადამიანური ყოფიერების დაფუძნებას. განსხვავებულთა სიმრავლე, როგორც ითქვა, მათი ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი. განსხვავებულ ინდივიდთა ეს ერთიანობა უდევს ონტოლოგიურ საფუძველად ზნეობრიობის განსაკუთრებულ მარგუალირებელ ფუნქციასა და როლს ადამიანთა კომუნისტურ ასოციაციაში. თვალსაზრისი, რომელსაც პიროვნების ინდივიდუულობის გაჭრობად მიაჩნია მისი სხვა ინდივიდებთან ერთიანობაში ყოფნა, უგულბებლყოფს არსებობის უნივერსალურ საყოველთაო წესს, ნამდვილი ინდივიდუულობას აცლის თავისი არსებობის საფუძველს და, საბოლოოდ, მორალური სიტუაციის გაუქმების სრულიად გაუმართლებელი გზით მიდის.

ზნეობრიობის განსაკუთრებულ როლს ადამიანთა კომუნისტურ ასოციაციაში თავისი ონტოლოგიური საფუძველი აქვს, აგრეთვე, უნივერსუმის მეორე ფუნდამენტალური ნიშან-თვისებაში: უნივერსუმი — *causa sui* თავის ყოფიერებას თვითონვე განსაზღვრავს და ყოფნის ფუნდამენტური წესით — უსასრულო მრავალსახეობად დაშლის გზით — თვითონვე აფუძნებს თავის სრულქმნილ ყოფიერებას. პიროვნება როგორც უნივერსუმის ნაწილაკი ცდილობს, რომ თავისი არსებობა დაამსგავსოს უნივერსუმისეულ, თვითსაფუძველის მქონე არსებობას. პიროვნების ეს სწრაფვა, როცა მისი ყოფიერების დაფუძნების ერთადერთ ფორმას სოციალურობა წარმოადგენს, თავის კონკრეტულ რეალიზაციას პოულობს თვითმართვაში. კომუნისტურ საზოგადოებაში, — რომელიც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ადამიანის ბუნების შესაფერის ასოციაციას, — თვითმართვა უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი. ყოველმხრივ განვითარებული თავისუფალი ინდივიდების მართვა კომუნისტურ კულტურაში უნდა ეფუძნებოდეს არა გარედან მომდინარე იძულებას, არამედ ინდივიდთა შინაგან მოთხოვნილებას. ადამიანის არსების განხორციელების ყველა პირობა და საშუალება უნდა გადაიქცეს ინდივიდთა შინაგან მოთხოვნად და შეგნებულობის უმაღლეს დონეს უნდა ემ-

ყარებოდეს. ეს არსებითი გარემოება ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ახალ პროგრამაში: „კომუნისტურ გეგმასთან სრულყოფილი უფრო იზრდება ზნეობრივი საწყისების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფართოდება მორალური ფაქტორის მოქმედების სფერო და შესაბამისად მცირდება ადამიანთა ურთიერთობის ადმინისტრაციული რეგულირების მნიშვნელობა. პარტია წახალისებს მოქალაქეთა შეგნებული თვითდისციპლინის ყველა ფორმას, რომლებიც განამტკიცებენ და ავითარებენ კომუნისტური საერთო ცხოვრების ძირითად წესებს“².

კომუნისტურ კულტურაში ზნეობრივი ფაქტორის როლის შემდგომი ზრდის ზემოაღნიშნულ ონტოლოგიურ საფუძვლებთან დაკავშირებით, ორი ძირითადი პრინციპი გვინტერესებს: პირველია კოლექტივიზმი, რომელსაც განვიხილავთ როგორც კომუნისტური მორალის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რადგან იგი კომუნისტურ კულტურაში ყოველმხრივად განვითარებულ, განსხვავებულ ინდივიდთა სიმბიოზურ ერთიანობას უზრუნველყოფს ადამიანთა თავისუფალ ასოციაციაში; მეორეა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება როგორც ადამიანის ზნეობრივი სიმწიფის სწორუბოვარი მაჩვენებელი, რადგან იგი ყველაზე რელიეფურად ავლენს ადამიანურ თვითყოფიერებას, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების თვითმართვას.

6. ადამიანი სოციალური არსებაა; როგორც მარქსი მიუთითებს ცნობილ თეზისებში ფოიერბახის შესახებ, იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა. როგორც არ უნდა იყოს ადამიანთა ყოფიერების ისტორიული ფორმა, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში, ის ადამიანის ადამიანთან ურთიერთობაში მიმდინარეობს. მაგრამ, ამ ფაქტის აღნიშვნით, ჩვენ ჯერ სრულებითაც არა ვართ ზნეობრივის სფეროში. როგორც ცნობილია, ცხოველსაც თავისი არსებობისათვის უთუოდ სჭირდება თავისივე მსგავსი—მეორე ცხოველი და ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, თავიანთი ჯოჯოხური ცხოვრებით სიმბიოზურ ურთიერთობაში იმყოფებიან. მაგრამ უხეში შეცდომა იქნება იმისი თქმა, თითქოს ცხოველებს აქვთ მორალი. ე. ი. ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების აუცილებლობის ფაქტიდან სრულებითაც არ გამოდინარეობს დასკვნა მათი ურთიერთობის მორალურობის შესახებ, თუმცა ზნეობრიობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სოციალურობა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ადამიანის სოციალურობა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, განსაზღვრული სოციალური ერთეულის შიგნით ადამიანთა ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის მოთხოვნა, რომელიც კოლექტივიზმის მორალური პრინციპის სახით მოქმედებს, — ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული ვითარებაა: პირველი არსის სფეროა, მეორე — ჯერარსისა, სად და როდის იწყება სადემარკაციო ხაზი მათ შორის? ამ მხრივ საინტერესოა ადამიანთა ისტორიის გარიჟრაჟი.

როგორც ცნობილია, თემურ-გვაროვნული წყობილების დროს ადამიანები კოლექტიურად ებრძოდნენ ბუნების სტიქიურ ძალებს, მათ საერთო მიზანი და მისწრაფება ამოძრავებდა და ეს პირობადებული იყო ბუნებასთან მათი ბრძოლის უშუალო აუცილებლობით; ე. ი. თემის წევრთა სტიქიურ ერ-

² სკკპ პროგრამა, თბილისი, 1961, გვ. 159. კომუნისტური საერთო ცხოვრების ზოგადი პრინციპები პარტიის ახალ პროგრამაში ჩამოყალიბებულია კომუნისტური მშენებლის მორალური კოდექსის სახით.

თიანობას მკაცრი ბუნებრივი აუცილებლობა ედო საფუძვლად. თემი იყო და-
უნაწევრებელი ერთეული, სადაც არა ჩანდა პიროვნება, ინდივიდი, არამედ
ყოველი წევრი თემის ორგანულ ნაწილად თვლიდა თავს და წარმოუდგენელი
იყო საკუთარი ინტერესების დაპირისპირება კოლექტივის ინტერესებისადმი;
კოლექტივის შიგნით თვითეული წევრის მოქმედებას ტრადიცია განამტკი-
ცებდა, ინდივიდის ნებასა და თემის ნებას შორის არავითარი განსხვავება არ
არსებობდა. ამ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა ვთქვათ,
რომ კოლექტივიზმის ზნეობრივ პრინციპებთან
გვაქვს საქმე? — პრაქტიკულად თემის ცხოვრება კოლექტივიზმის პრინ-
ციპს ემყარებოდა, მაგრამ არსებითად კოლექტივიზმის მორალურ პრინციპ-
რიკერტმა სინამდვილე დაიყვანა მინიმუმამდე, რომელიც არ ხასიათდება ზოგადი კანონზომიერებით. სინამდვილე დაიყვანა მინიმუმამდე სწორედ იმისათვის, რომ ფართო გზა გაეხსნა გონებისათვის: რაკი მეცნიერების საგანი არ ყოფილა სინამდვილე, ამიტომ მეცნიერებათა კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მათ თვალსაზრისთა სხვადასხვაობას. რიკერტი გამოდის მეცნიერების არსებობის ფაქტიდან და აღმოაჩენს, რომ არის ისეთი რიგის მეცნიერება, რომელიც სინამდვილეს მის ინდივიდუალურ ფორმაში შეისწავლის. რადგან სინამდვილე არის ერთადერთი ინდივიდუალური, შინაგანი კანონზომიერების არმქონე, ამიტომ მეცნიერებათა განსხვავება უნდა იყოს დაფუძნებული ფორმალურ-მეთოდოლოგიურ პრინციპებზე. სინამდვილე რიკერტისათვის ინდიფერენტულია ფორმის მიმართ. მას როგორც ფორმაშიც ჩამოვყალიბებთ, ისეთ სახეს მიიღებს. განსაზღვრავს თუ არა მეცნიერებათა განსხვავებას მეთოდოლოგიური სხვადასხვაობა? რა არის მეთოდი? მეთოდი ჩვენთვის არის სინამდვილის შემეცნება მის ზოგად ფორმაში, ხოლო სინამდვილე კი არის ობიექტურად არსებული შინაგანი კანონზომიერების მქონე. ყოველი მეცნიერების საგანს სწორედ ეს სინამდვილე წარმოადგენს. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ყოველი შემეცნების მეთოდი სინამდვილის შინაგანი ნაირსახეობიდან წარმოიშობა.

წინააღმდეგ რიკერტისა უნდა ითქვას, რომ სინამდვილე როგორც ერთეულობის, ისე ზოგადობის მქონეა და ამიტომ შესასწავლია როგორც ერთეული მათს განუმეორებლობაში, ისე — ზოგადი, რაც ერთეულთა ზოგად მხა-

რეს აპირობებს. რიკერტი როდესაც დაადგენს მეცნიერებათა მეთოდოლოგიურ განსხვავებას, ბუნებისმეტყველების ცნებაში გააერთიანებს მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ფსიქოლოგიას, პოლიტიკურ ეკონომიას, — რადგანაც ყველა მათ საქმე აქვთ კანონის შემუშავებასთან.

რიკერტის პრინციპის მიხედვით, გვაქვს, ერთი მხრივ, ბუნებისმეტყველება, ხოლო მეორე მხრივ, გვაქვს ინდივიდუალურ მოვლენათა შემსწავლელი მეცნიერება, ეს სინამდვილე თავის ბუნებით, ცვალებადია, იგი არის ისტორიული და ამიტომ ამ მეცნიერებას შეიძლება ეწოდოს ისტორია.

ბუნებისმეტყველება არ არის სინამდვილის მეცნიერება, რადგანაც მისი იდეალი სინამდვილიდან მოშორებულია. არის თუ არა ისტორია სინამდვილის ისტორია? ყოველი მეცნიერება თავის მიზანს აღწევს ცნების შემუშავებით. ხოლო ცნება კი არის სინამდვილიდან დაშორება, ამიტომ ის ისტორიული სინამდვილე, რომელიც ისტორიის საგანია არ ასახება ისტორიაში, და ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ არც ისტორია არის სინამდვილის მეცნიერება. ისე როგორც გაიგივებულია ბუნება ბუნებისმეტყველებასთან, ასე უნდა გაიგივდეს ისტორიული სინამდვილე ისტორიულ მეცნიერებასთან, არა სინამდვილეა ასახული მეცნიერებაში, არამედ იგი ადამიანის აზროვნების წმინდა ნაყოფია: „ზოგადი ცნება და, აგრეთვე, ცნება ინდივიდუალურის შინაარსით — მეცნიერების შექმნილია“.

რიკერტის გაგებით, ბუნება არის სინამდვილე განხილული მის ზოგად ფორმაში. ხოლო ისტორია სინამდვილე მის ინდივიდუალურ ფორმაში. როგორც აქედან ვხედავთ, რიკერტმა მოახდინა ბუნებისა და ისტორიის დაპირისპირება: ბუნება როგორც მარადიული კანონების სისტემა, ხოლო ისტორია როგორც ინდივიდუალურ მოვლენათა სვლა. რიკერტისათვის ბუნება არის მეთოდოლოგიური ცნება. წინააღმდეგ რიკერტისა უნდა ითქვას: ბუნებისმეტყველებას რომ ქონდეს ობიექტური ხასიათი, იგი უნდა გამოდიოდეს ობიექტური სინამდვილის აღიარებიდან, ხოლო თვითონ კი იყოს ასახვა; ისე, რომ ბუნება — კი არ არის მეთოდოლოგიური ფორმების შედეგი, არამედ იგი არსებულია, რომლის ცნებებში გამოხატვა ბუნებისმეტყველებაა.

უფრო გაგებული რომ იყოს რიკერტის აზრი ისტორიისა და ბუნებისმეტყველების შესახებ, უნდა გაირკვეს, ბუნებისმეტყველების მიზანი და მისი საზღვრები. ემპირიული სინამდვილე — გაშლილ დროში და სივრცეში — დაუსრულებელია როგორც ექსტენსიურად, ისე ინტენსიურად; ამდენად, მეცნიერებამ რომ მოისურვოს, მისი ასახვა შეუძლებელიც არის. ამიტომ მეცნიერებამ უნდა შეიმუშაოს ისეთი ცნება, რომელიც დაძლევეს სინამდვილის მრავალსაზიანობას როგორც ექსტენსიურის, ისე ინტენსიურის მიმართულებით. მაშასადამე: ბუნებისმეტყველების ამოცანას წარმოადგენს ორივე მხრივ სინამდვილის გამარტივება ისე, რომ იგი აზროვნებისათვის იყოს გასაგები. ცნება ამარტივებს სინამდვილეს და აძლევს მას იმგვარ სახეს, რომ „მის მოცულობაში დაძლეულია ექსტენსიური მრავალსაზიანობა, მის შინაარსში კი — ინტენსიური“.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების უმაღლესი ნაყოფიერება მოითხოვს, რომ იგი იყოს თავისუფალი დროულ-ვრცეული პირობებისაგან, რათა იყოს გამოყენებული ყოველი პროცესისათვის.

ცნებასთან შედარებით უფრო ზოგადი, რომელშიც სინამდვილე არის გამარტივებული — მსჯელობაა, მსჯელობაში კი გამოითქმება კანონი. „ასეთ

აუცილებელ მსჯელობას, რომელშიც რაიმე გამოითქმება სინამდვილეზე, ჩვენ ვუწოდებთ ბუნების კანონებს⁴. რაც უფრო ვამარტივებთ სინამდვილეს, მით უფრო მიედევართ იმ მიმართულებით, რომ „უქალღოდებით ერთს უკანასკნელ ცნებას კანონისას“. რიკერტი ფიქრობს: „შემეცნებამ სინამდვილე ისე უნდა გაამარტივოს, რომ აღმოაჩინოს უკანასკნელი მიმართება. რიკერტს სურს ყველაფერი მიმართებაზე დაიყვანოს, მაგრამ საგანს ვერ იცილებს. ის ამას ვერც შესძლებს, რადგან მათი ცალ-ცალკე არსებულად მოაზრებაც კი შეუძლებელია. ამიტომ, მისი აზრით, მარტივ მიმართებასთან ერთად, მარტივი საგანი შემეცნების მიზანია. ის გონებს, რომ ამით მისი თეორია არ ირღვევა, რადგან როგორც მიმართება, ისე საგანი შემეცნების მიერაა შექმნილი როგორც მარტივი და იდეალური. ეს უკანასკნელი საგანი არ იქნება დროული და ერთეული, იმიტომ, რომ მას უნდა ჰქონდეს უფლება გამოყენებისა სინამდვილის ყოველი პროცესის მიმართ. იმისათვის, რომ მას ძალა ჰქონდეს სინამდვილის ყოველი პროცესისათვის, იგი უნდა იყოს რიცხვობრივად და თვისებრივად ერთნაირი: ეს უკანასკნელი საგანი არ იქნება წარმოშობილი, რადგან წარმოშობა გულისხმობს ცვალებადობას, — იგი კი უნდა იყოს უცვლელი. რიკერტის უკანასკნელი საგანი არ არის რეალური: იგი არის გონების შედეგი, რომელსაც ძალა აქვს სინამდვილის მიმართ, ეს სინამდვილე ისე არის გამარტივებული, რომ მისი თვითეული ნაწილი მეორის სწორია, ანუ ეს უკანასკნელი საგანი არის აბსოლუტურად მარტივი. ამით რიკერტმა ის საქმე გააკეთა, რომ ემპირიულ სინამდვილეს გამოუნახა ლოგიკური საფუძველი და შეიცნო აბსოლუტური ჰეგემონიტება. რაკი ბუნებისმეტყველების კანონი არ არის გამოხატულება სინამდვილისა, რადგანაც კანონში მოცემული არის ზოგადი, ხოლო ზოგადი კი არ არსებობს, ამიტომ რიკერტი ასკვნის: „ეს საერთო არ არსებობს, მას ძალა აქვს“⁴.

ცნების განვითარების და, საერთოდ, შემეცნების პროცესი რიკერტს წარმოადგენილი აქვს იმგვარად, რომ სინამდვილის ასახვა შეუძლებელია, რადგან სინამდვილე არის დაუბოლოვებელი. ცხადია, რომ ეს დებულება არის მნიშვნელობის მქონე. ჯანსაღი დიალექტიკური აზროვნებისათვის სინამდვილის დაუბოლოვებლობა გულისხმობს შემეცნების პროცესის დაუბოლოვებლობას, სინამდვილის ასახვის დაუბოლოვებელ პროცესს.

შემეცნების საგანიც და მიზანიც არის სინამდვილე და კანონი, რომელსაც იმუშავენს ბუნებისმეტყველება, იმიტომ არის ობიექტური მნიშვნელობის მქონე, რომ იგი არის იმ მოვლენების კანონი, რომელთაც საქმე აქვს მეცნიერებს. თუ იგი სინამდვილის კანონი არის, იგი უნდა იყოს ნამდვილი. მეცნიერება ემპირიულად გრძნობად ფორმაში მიცემული კონკრეტულიდან სვლის დროს ამ კონკრეტულს კი არ იშორებს, როგორც ამას რიკერტი ამბობს, არამედ უბრუნდება ისევ იმას, მაგრამ ეხლა იგი აზროვნებისათვის გარკვეული კანონზომიერების მქონეა. რაკი კანონი არის მოვლენების კანონი, ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ იგი უფრო კონკრეტულია, ვიდრე თვითეული ცალკეული „კონკრეტული“, რადგანაც რიკერტისათვის შემეცნება არა ასახვა, არამედ — მისი გამარტივება: ამიტომ, ცხადია, რომ მისთვის ცნება, აკნონი და ყველა კატეგორია არის მხოლოდ საშუალება გამარტივებისა და არა „კანონზომიერების გამოხატულება ბუნებისა და ადამიანისა“⁴.

4 Г. Рикерт. Границы естественно научного образования понятия, 61, 75.

რიკერტმა ბუნებისმეტყველების ცნებათა შემუშავების ამ პრინციპით მოსწყვიტა შემეცნება სინამდვილეს. მან ვერ დაასაბუთა ორი რიგის კატეგორიების არსებობა, რითაც ის კანტის ფილოსოფიასთან დაპირისპირებაში აღმოჩნდებოდა. კანტისათვის კატეგორიები მოუწესრიგებელი აღქმებისა და წარმოდგენების მომწესრიგებელია, მათთვის თავისთავადობის და აუცილებლობის მიმნიჭებელია; რაც ამ ნიშნის მქონეა, ის სინამდვილეა, რომელსაც ის ბუნების სახელით აღნიშნავს ისე, რომ კანტისათვის კატეგორიები მოცემული სინამდვილის ამგებია. რიკერტს უნდოდა, რომ ამ კატეგორიებში განსხვავება შეეტანა, ერთი იქნებოდა ის კატეგორიები, რომლებითაც სინამდვილე აიგება; მეორე კი ის, რომელიც ამავე სინამდვილეს სხვადასხვანაირად განიხილავს. რიკერტი ამბობს, რომ წარმოდგენები აუცილებლობას არ შეიცავენ, ისინი მხოლოდ მსჯელობაშია, რომელიც ვალდებულებას ემყარება. გამოდის, რომ მისი მოცემული ისეთივე მოუწესრიგებელია, როგორც კანტისა და აუცილებლობას მსჯელობაში ვნახულობთ. ამ მოცემულს როგორც მოუწესრიგებელს და აუცილებლობის არ მქონეს შემეცნება განიხილავს ორი გზით: ინდივიდუალური და ზოგადი კუთხით. ამის კვალობაზე მივიღებთ ორნაირ მეცნიერებას, ორნაირ სინამდვილეს: ერთი იქნება ისტორიული სინამდვილე, ისტორიული მეცნიერება, მეორე ბუნებისმეტყველება და ბუნების სინამდვილე; ისე, რომ გვაქვს სინამდვილის ორი სახე — ბუნება და ისტორია. ეგრეთწოდებული ამგები კატეგორიები იქნება ორივე და ამით ამგები და შემეცნებელი კატეგორიები ერთმანეთს დაემთხვევა. რაც შეეხება ვალდებულების კატეგორიას იგი სრულიად ზედმეტია, რადგან მას თეორიაში სიძნელის მქონე არაფერი შეაქვს, რადგან ერთი კუთხით მოცემულის განხილვა განსაზღვრულია ერთეულის კატეგორიით, მეორე შემთხვევაში კი ზოგადობის კატეგორიით.

რიკერტს ვალდებულება როგორც შემეცნების ლოგიკური საფუძველი დასაბუთებული არა აქვს. დასაბუთება, რასაც ის იძლევა, დასაბუთების მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. მისი საბუთი ასეთია: თუ რამეს უარყოფა ლოგიკურ წინააღმდეგობაში გვაქცევს, მაშინ მისი უარყოფა უსაფუძველო ყოფილა. ეს აზრი ზოგადად სწორია, მაგრამ ვალდებულების მიმართ ის ძალაში არ არის. რიკერტი გონებს, რომ საყოველთაო მსჯელობის აღიარება ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ თუ უარყოფა საყოველთაო მსჯელობა, რაც ნებაზეა დამოკიდებული, ეს უარყოფა თვითონ საყოველთაო და უპირო იქნება; ისე, რომ ის თავის თავს აღქმებს, იმას უარყოფს რასაც ემყარება. რიკერტმა გააიგივა საყოველთაო მსჯელობა და ნება, რის უფლება მას ლოგიკურად არა აქვს და ამის მერე ადვილია ლოგიკური წინააღმდეგობით მისი დასაბუთება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათი გაიგივებაა მცდარი, ამიტომ მას ჯერ უნდა დაესაბუთებინა ნება — როგორც ლოგიკურის არსება, როგორც მასთან იგივეობრივი და მერე ეჩვენებინა რომ მისი უარყოფა ლოგიკურ წინააღმდეგობას ქმნის, რაც შეუძლებელია, რადგან ნების და ლოგიკურის ცნებები განსხვავებულია.

რიკერტის მსჯელობათა განხილვიდან უფრო ის გამოდის, რომ კანონი და ღირებულება როგორც სინამდვილესთან მიმართების გამოხატულება ისე არსებობს და ამიტომაც ნება მათი აღიარება. ნება არის განსაზღვრული მათი

არსებობით და არა მათი არსებობაა ნებით განსაზღვრული, — ამას უნდა ნიშნავდეს ნების მიერ მათი აღიარება. თუ სინამდვილე ზოგადობის მქონე არ არის და მოცემული სინამდვილე ერთადერთია, ის დროულ-ვრცეული ქვეყანაა, რომლის საფუძველი გნოსეოლოგიური სუბიექტია. რატომ უნდა იმავ სუბიექტს ამ სინამდვილის როგორც ზოგადობის მქონეს განხილვა? თუ ამას აკეთებს ცალკეული სუბიექტი, როგორ არის შესაძლებელი რომ ის აღემატოს გნოსეოლოგიურ სუბიექტს და ისეთი რამ შეიცნოს მასში, რისი საფუძველიც არ არის? — ეს კითხვები რიკერტის თეორიაში სრულიად გაურკვეველია, ამ სიძნელეებიდან გამოსავალი ამაშია, რომ მოცემული გავიგოთ როგორც ზოგადის და ერთეულის ერთიანობა; გნოსეოლოგიური სუბიექტი გავიგოთ, როგორც ცდისეული სუბიექტი, რომელიც თავისში ზოგადის მქონეა და ის სინამდვილეს ორნარი მიმართებით შემეცნების შემძლეა.

ისტორია როგორც აღწერითი მეცნიერება. რიკერტისათვის ერთადერთ სინამდვილეს წარმოადგენს ინდივიდუალური სინამდვილე. გნოსეოლოგიური საფუძველი ასეთი აღიარებისა იქ არის, სადაც რიკერტისათვის მოცემულობის გარეშე არ არსებობს სინამდვილე, ხოლო მოცემული კი არის ერთეული. აზროვნებას რომ განჭვრეტისა და წარმოდგენის ფორმაში ეძლევა ემპირიული კონკრეტულობა, — ეს სწორია. აზროვნებას საყოველთაო კანონი, შინაგანი არსება უშუალოდ რომ ეძლეოდეს, მაშინ შემეცნება საჭირო აღარ იქნებოდა როგორც გარკვეული სფერო აზროვნებისა, რადგანაც მაშინ ყოველი აღამიანი მეცნიერი იქნებოდა; ე. ი. შემეცნება დასული იქნებოდა ასეთ შემთხვევაში აღქმამდე. საქმე სწორედ იმაში არის, რომ კანონი არ გვეძლევა უშუალოდ, იგი მოვლენებში არის დაფარული და შემეცნების ძირითადი ამოცანაა, რომ განსჭვრეტის ფორმაში მოცემულ სინამდვილეში კანონი აღმოაჩინოს.

მარქსი ამბობს: „შემეცნების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხილულ მოვლენათა ზედაპირზე გამოჩენილი მოძრაობა შინაგან ნამდვილ მოძრაობაზე დაიყვანოს“⁶. რიკერტის გაგებით, ინდივიდი თავის თავში დახშულია, თავის თავში მთლიანია ისე, რომ იგი მეორე ინდივიდისაგან განსხვავებულია. საქმე ის არის, რომ ინდივიდი შინაარსით მრავალსახიან წარმოადგენს და ამიტომ მეცნიერებამ რომ კიდევ მოისურვოს, მისი სისრულით შემეცნება შეუძლებელია, მიუწვდომელია; ამიტომ უნდა შეიქმნას ცნება, რომელიც ინდივიდუუმის გადამუშავების შედეგია.

ცნების შემუშავება ერთგვარი აბსტრაქცია არის, ამიტომ ჩვენ ცნების შემუშავებით ინდივიდს ასე თუ ისე ვშორდებით და ექმნით ინდივიდუუმის ცნებას. ეს ცნება იმიტომ არის, რომ მის საშუალებით ინდივიდი გამოისახოს, ამიტომ ცნების შინაარსი იქნება არა ზოგადი, რომელიც ყველა ინდივიდებს მოიცავს, არამედ ინდივიდუალური. მამასადამე, ცნებაში უნდა იყოს გაერთიანებული მისი საკუთრივი ნიშნები, რომლებითაც იგი მეორისაგან უნდა იყოს განსხვავებული, ამავე დროს ეს ნიშნები ცნებაში უნდა ქმნიდნენ მთლიანობას და ინდივიდის ცნება უნდა გამოხატავდეს ინდივიდის განუყოფლობას... ცხადია, საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გამოჩნებული იქნეს ის საფუძველი, რომელსაც ემყარება ინდივიდის მთლიანობა, მისი განუყოფლობა. რიკერტი უბასუხებს, რომ ინდივიდის მთლიანობა განსაზღვრულია მისი ღირებულებით, ღირებულება კი არის ინდივიდთან აღამიანის დამოკიდე-

⁶ კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, გვ. 271.

ბულების ფორმა და სწორედ ინდივიდის ცნების შემუშავების დროს არსებითი ნიშნების გამოყოფა, არაარსებითი ნიშნების უკუგდება ხდება ღირებულების პრინციპის მიხედვით, — ჩვენი ნების მიხედვით ვასხვავებთ არსებითს არაარსებითსაგან. არსებითს ვთვლით ნამდვილად, არაარსებითს — არანამდვილად.

ისტორიულ მეცნიერებას ყოველი არსებული ინდივიდი არ აინტერესებს, არამედ მას აინტერესებს მხოლოდ ის ინდივიდი, რომელიც ღირებულების მიხედვით უნდა იყოს აღიარებული საყოველთაოდ; ე. ი. ასეთი ინდივიდუმი იქნება ისტორიული ინდივიდუმი, ამიტომ ისტორიული შემეცნების საგანია შეიცნოს საყოველთაო ღირებულების მქონე ინდივიდები. ამ სინამდვილიდან ისტორიულმა შემეცნებამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომელიც ღირებულების მქონეა.

ისტორიული ინდივიდუმი, რიკერტის აზრით, არ არის იზოლირებული, არამედ ყოველი ინდივიდი დაკავშირებულია მეორესთან: „რომელიმე ისტორიული ობიექტის როგორც წევრის შესვლა რაიმე საერთო ისტორიულ კავშირში არის მხოლოდ შესვლა რომელიმე ინდივიდუმიდან სხვა უფრო მეტად ფართო ინდივიდუმიში“⁷. ამიტომ რიკერტი იტყვის, რომ ისტორიული ზოგადი დაპირისპირებით საბუნებისმეტყველო ზოგადთან არის უფრო შინაარსიანი და ამიტომ ისტორიულ მეცნიერების საშუალებით ახლოს ვართ სინამდვილესთან. მთელის და ნაწილის დამოკიდებულება შედარებითია: ის, რაც ეხლა მთელია, მასზე მეტის აღმოჩენით იგი ნაწილი გახდება და ასე მიყოლებით შეიძლება მივიდეთ იქამდე, რომ აღმოვაჩინოთ „უკანასკნელი მთელი“. რომელიც არაფრის ნაწილი არ იქნება და იქნება იზოლირებული. ამით რიკერტი ისტორიულ სინამდვილეს, ისე როგორც ბუნებისმეტყველებას, დაუმორჩილებს ლოგიკურ საფუძველს ბუნებისმეტყველება ემორჩილება ზოგადს, ისტორია კი — მთელს. მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით რიკერტის აზრთა წყობიდან გამომდინარეობს, რომ ინდივიდს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი თავისებურია, რომელიც სხვა ინდივიდთან დაპირისპირებაში იძენს გარკვეულობას და ამიტომ რიკერტისათვის ლოგიკურად წინააღმდეგობის გამომხატველია „უკანასკნელი მთელის“ აღიარება როგორც მთელი ისტორიის სინამდვილის შემცველისა. ეს შესაძლებელი მაშინ იქნებოდა, რომ ისტორიას საზღვარი ჰქონდეს, რისი საბუთიც არ არსებობს.

ისტორიული შემეცნების მოთხოვნა არის განვიხილოთ სინამდვილე მისი წარმოშობის და მოსაზრების თვალსაზრისით. „ისტორიული კავშირი ნიშნავს რომელიმე ინდივიდუალური ობიექტის შესვლას უფრო ფართე ინდივიდუალურ ობიექტში“⁸. ისტორიული სინამდვილე არის მიზეზშედეგობრივი. რიკერტი ფიქრობს, რომ მიზეზი მაშინ იქნება კანონი, როდესაც იგი ყოველი ინდივიდისათვის იქნებოდა ერთი და იგივე; ამიტომაც ასკვნის რიკერტი: „მიზეზობრიობა არსებობს არა როგორც კანონი, არამედ — როგორც მიზეზობრიობის პრინციპი“. რომ განვასხვაოთ ის ბუნების კანონისაგან, რომელიც ფორმულირებულია ემპირიულ მეცნიერებაში ეუწოდებთ არა მიზეზობრიობის კანონს, არამედ კაუზალურ პრინციპს“⁹.

7 Г. Рикерт. Границы естественно научного образования понятия, 337.

8 იგივე. გვ. 335.

9 იგივე. გვ. 352.

რიკერტი თითოეულ ისტორიულ ინდივიდს აღმოუჩენს ინდივიდუალურ მიზეზს, რომელიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი, „ისე, რომ ყოველგვარი მიზეზი და ყოველგვარი მოქმედება განსხვავებულია ყველა სახის მიზეზებისაგან და ყველა სხვა მოქმედებისაგან“. მიზეზი არა მარტო იმიტომ არის ინდივიდუალური, რომ იგი მხოლოდ ამ შედეგს ახლავს თან და იგი არ შეიძლება იყოს სხვა მოქმედების მიზეზი, არამედ — იმიტომ, რომ იგი სხვა მიზეზისაგან განსხვავებულია როგორც ინდივიდუალობა. მიზეზი წარმოშობს შედეგს ისე, რომ იგი თავის თავშივე რჩება როგორც ინდივიდუალობა „მიზეზი განსხვავდება შედეგისაგან, ე. ი. იწყებს არა თვით თავის თავს, არამედ ყოველთვის ახალს“.

შედეგი რომ უდრიდეს მიზეზს, იგი აღარ იქნებოდა ისტორიული ინდივიდუმი და არ იქნებოდა არც განვითარება, რიკერტს შედეგი ესმის, როგორც აბსოლუტურად სხვა, მაგრამ იმით, რომ იგი მიზეზთან აბსოლუტურად განსხვავებულია. ამითივე, წინააღმდეგ რიკერტისა, მტკიცდება, რომ მათ შორის არც არსებობს მიზეზობრივი დამოკიდებულება. რიკერტი ინდივიდუალობის ნიადაგზე დგომით მიზეზს და შედეგს შორის აღმოაჩენს არა შინაგან კავშირს, არამედ მათს გარეგან დამოკიდებულებას. რიკერტისათვის ინდივიდუალობა თავის თავის მიხედვით აბსოლუტური იგივეობაა. რიკერტის წინააღმდეგ უნდა ითქვას: მიზეზობრიობა სწორედ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ სინამდვილეში ყოველგვარი მოვლენა წინა მოვლენასთან რაღაც ერთიანობის შქონეა და მისგან განსხვავებულიცაა.

ნამდვილი დიალექტიკური გაგება მიზეზისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი განიხილება როგორც რეალურ შესაძლებლობათა დამტვეი და შედეგი არის სწორედ რეალური შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევა. რიკერტი ფიქრობს, რომ შედეგი შეიძლება იმიტომ არ იყოს განხორციელება მიზეზისა, რომ მაშინ ჩვენ გვექნებოდა საქმე განმეორებასთან. საქმე ის არის, რომ გამეორება არ ნიშნავს ისევ მიზეზის ფარგლებში ტრიალს.

ჰეგელი განვითარებას იმაში ხედავს, რომ იგი უკან არაფერს ტოვებს და არც კარგავს: ყველაფერი მას თან მიაქვს და ამით ამღიდრებს იგი თავის თავს. შედეგი და მიზეზი რომ იყოს ერთმანეთთან დაპირისპირებული როგორც სხვადასხვა ინდივიდუალობა, მაშინ საქმე არ გვექნებოდა განვითარებასთან. განვითარება დროულ-ისტორიულია, სადაც ერთი საფეხურიდან მეორე წარმოიშობა, მაგრამ ისე, რომ შემდგომს წინარეში აქვს საფუძველი, იგი მასში ვითარდება როგორც ახალი მთელი; ხოლო ძველი მისი განვითარების ხარჯზე ისპობა, რაც ძველში იყო როგორც ახალის განვითარების საფუძველი, ის ახალში შემოდის; მაგრამ ძველს მასში გაბატონებული ადგილი არ უკავია, — ის ახალის მიერაა დამორჩილებული. ეს განვითარება არის ობიექტიური კანონებით განსაზღვრული, რომელსაც საკუთრივი კანონებიც განსაზღვრავს და ამით ძველიდან ახალ მთელში გადასვლა ხდება ისე, რომ ერთი ინდივიდუალობა მეორეში იბადება. რიკერტის აზრით, განვითარებისაგან განუყოფელია ტელეოლოგიზმი, განვითარება მიზანს გულისხმობს და მიზნითაა განსაზღვრული. „ერთი საფეხური რომ მეორისაგან წარმოიშობა, როგორც მასზე უკეთესი, ეს ვასაგებია მხოლოდ მიზნის საშუალებითა: ამის გარეშე შეუძლებელია გავარჩიოთ, რომელია უკეთესი და რომელი არა“, ისტორიული მთელის მიზნით წარმოიშობა მის შეფასებას მოიხსნავს ხოლო ამისათვის ის ღირებულებაზე უნდა იქნეს დაფუძნებული. ისტორიული მთელი უნდა

შეფასდეს არა კანონებით, არამედ — ღირებულებით: რაც მიზნის მიხედვით განსაზღვრულ ღირებულებას არ შეიცავს, ის ისტორიული განხილვის გარეშე რჩება. ისტორიულ მთელს ღირებულებასთან აქვს ორნაირი დამოკიდებულება: პირდაპირი და არაპირდაპირი, მაგალითად, ფრიდრიხ-ვილჰელმ I ფილოსოფიის ისტორიისათვის მეროზხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მან გავლენა მოახდინა ქ. ვოლფის ცხოვრებაზე, ხოლო როგორც პრუსიის მეფეს — პირდაპირი მნიშვნელობა აქვს პრუსიის ისტორიისათვის. ისტორიული მთელის ცნებისათვის ყოველთვის მიზანი და ღირებულება ივულისხმება. მთელის ცნებაში ის შევა, რაც მიზანს ეთანხმება, რაც ამის გამო ღირებულია; ხოლო დანარჩენი არარსებითი ხდება და ცნებაში არ შედის, ისტორიულია მთელი სწორედ მისი ღირებულების მიხედვით, ის რაც ღირებული არ არის არც ისტორიულია. ისტორიულია, რაც თავისში ნაწილების შემცველია, თვითონ შეიძლება ისტორიული მთელის ნაწილი გახდეს. კაცობრიობა როგორც მთელი შედის ცოცხალ ბუნებაში როგორც მისი ნაწილი, ხოლო მასზე დიდი მთელი შეიძლება იყოს მთელი სამყარო... და ასე მიყოლებით.

რიკერტი დგას ინდივიდუალური მიზეზობრიობის პრინციპზე, მას მიაჩნია, რომ დიდი ისტორიული მოვლენები აიხსნება პატარა მიზეზებით: „ისტორიკოსს არ უნდა ეშინოდეს დაუშვას ისტორიულ არსებითი შედეგის წარმოშობა ისტორიულად არარსებითი მიზეზისაგან“¹⁰. რიკერტი ამ პრინციპით ისტორიულ მოძრაობას გაიგებს როგორც შემთხვევების რიგს. რიკერტის მეთოდს რომ ვაკყვეთ, I მსოფლიო იმპერიალისტური ომი უნდა ვაკვივით არა როგორც მსოფლიოს შინაგანი წინააღმდეგობის გამოხატულება, არამედ ავსტრიის ტახტის მემკვიდრის — ფრანც ფერდინანდის მოკვლის შედეგი. ამით რიკერტი შინაგანი მიზეზების დაყვანას მოახდენს გარეგან პირობებზე. მიზეზი თავის გაშლისათვის პირობებს საჭიროებს, მაგრამ ამათთან ისინი იგივეობრივნი არ არიან, — არსებითია სწორედ შინაგანი მიზეზი. რიკერტი ცდილობს, ისტორია გაიგოს როგორც განვითარება, მაგრამ მასში განვითარების მხოლოდ სიტყვა რჩება, რადგან მისთვის სავალდებულოა, რომ თითოეული საფეხური ცალკე ინდივიდუალობას წარმოადგენდეს და წინასაგან სრულიად განსხვავდებოდეს. რაკი ეს საფეხურები ერთმანეთისაგან მხოლოდ განსხვავებულია, მათ შორის საერთო ხაზი ქრება და აღარც განვითარებაა. ისტორია როგორც განვითარება იქ არის, სადაც საფეხურთა შორის რაღაც საერთოცაა, ამის გარეშე განვითარების ახსნა შეუძლებელია.

ღირებულება არის ადამიანის დამოკიდებულება საგანთან. ისტორიული ობიექტი ის ობიექტია, რომელსაც აქვს საერთო ღირებულება. ღირებულება ადამიანთან არის დაკავშირებული, იგი ადამიანური ბუნებისაა. იგი მის გარეშე არ არსებობს, ამიტომ კვლევა-ძიების ობიექტი უნდა იყოს ადამიანი. ღირებულება რომ იყოს ყველასათვის აღიარებული, თვით ადამიანთა შორის უნდა იყოს ერთიანობა, ადამიანები უნდა ქმნიდნენ გარკვეულ სოციალურ კავშირს.

მაგრამ საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ რის საფუძველზე იქმნება სოციალური კავშირი. რაკი ყველაფრის საზომი ადამიანია, მისი არის ღირებულებაც, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი ინდივიდისათვის სა-

ზოგადობრივ კავშირს უნდა ჰქონდეს ღირებულება, მისი წევრად ყოფნა ადამიანისათვის უნდა იყოს სავალდებულო; ამიტომ საზოგადოება უნდა იყოს დაფუძნებული ვალდებულებაზე, საზოგადოება უნდა იყოს თითოეული-სათვის ღირებულების მქონე. ინდივიდი საზოგადოებისაგან კი არ განიცდის იძულებას, არამედ იგი მოქმედობს იმიტომ, რომ სურს ასე მოქმედება; იმიტომ სურს, რომ ვალდებულია. სუბიექტის სურვილები გადაანაკრულია საზოგადოებრივთან ვალდებულების ნიადაგზე; ისე, რომ ყოველი ერთეული წევრი ისტორიულად არსებითაა ნებისყოფის აქტისა და მოქმედების საშუალებით¹¹. თვითეული ინდივიდი მოქმედობს, ქმნის იმას, რაც სურს და სურს იმიტომ, რომ ვალდებულია; იგი ქმნის ღირებულებას, რომელიც საერთო მნიშვნელობის მქონეა ყველაათვის. რა არის ის, რითაც თვითეული ინდივიდის მოღვაწეობა იზომება? — ეს არის კულტურა. კულტურა არის ის, რომელთან მიმართებაში ყოველი ადამიანი იმყოფება, კულტურა არის ის, რომლის ანგარიშის გაწევით უნდა მოქმედებდეს ადამიანი: „კულტურული ღირებულება არის ნორმატიული საერთო სოციალური ღირებულება“. კულტურა საერთო საქმეა ხალხთა ცხოვრებაში, რომლის მიმართაც — როგორც საზომისა — საგნები ღებულობენ ინდივიდუალურ მნიშვნელობას. ადამიანთა მოქმედება საერთო საქმეს ემსახურება, — ეს საერთო საქმე არის კულტურა. ინდივიდი იმიტომ უნდა იყოს ისტორიული, რომ იგი მიმართებაშია კულტურულ ღირებულებასთან, საზოგადოებრივი ცხოვრების არსება რიკერტმა კულტურაში მოათავსა: „ხალხის სული ჩვენთვის არის ხალხის კულტურა“, — ამით უკვე გამოიანახულია საყოველთაო ნორმა კულტურული ღირებულების ცნებისა, რომელსაც ყოველი ინდივიდი ემორჩილება და რომელიც უნდა იყოს ისტორიული მეცნიერების ობიექტურობის საფუძველი. საზოგადოებრივი ცხოვრების ცნება რიკერტის ფილოსოფიაში კარგავს თავის ობიექტურ ბუნებრივ-ისტორიული პროცესის სახეს და იგი დაჰყავს მხოლოდ სუბიექტების მოქმედებად.

ისტორიას ამოძრავებენ პიროვნებანი, რომლებიც ქმნიან კაცობრიობის კულტურას და ამიტომ ისტორიულ მეცნიერების ამოცანა უნდა იყოს შესწავლა პიროვნებებისა — მათ ინდივიდუალობაში. კულტურა, როგორც რიკერტი ამბობს, არის ადამიანის მოქმედების ნაყოფი. რიკერტმა აღმოაჩინა კულტურული ღირებულების ცნება, რომლითაც უნდა გაიზომოს მნიშვნელობა რომელიმე ისტორიულ ინდივიდისა და ერისა. ის ადამიანი და ერია ისტორიული, რომელიც ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას კულტურასთან. კულტურასთან ჩვენ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი ისტორიულ პროცესშია და თვითეული საფეხური განსხვავდება მეორე საფეხურისაგან: ამიტომ კულტურა გულისხმობს ისტორიას და ისტორიული ერი კულტურული ერია.

რიკერტი მსოფლიო ისტორიას შემოსაზღვრავს მცირე კულტურული ერებით. კაცობრიობის მთელი კულტურა, რომელიც დაგროვილია რომელიმე ერში, არის რეზულტატი მთლიანი განვითარებისა და მის კულტურაზე ჰემმარტ წარმოდგენისათვის აუცილებელია ისტორიული ერების აღწერა. კულტურული ღირებულების ცნება, რიკერტის გაგებით, არ არს ემპირიული კატეგორია, რადგანაც მით უნდა გაიზომოს ყოველი ემპირიული, იგი უნდა იყოს კრიტერიუმი ისტორიული მეცნიერების ობიექტურობისა. ცხოვრებაში ყოველი

ადამიანი ხელმძღვანელობს პრაქტიკული მოტივებით, მისი ინტერესი მიმართულია რაიმესაკენ, მას რაღაცა აინტერესებს და იძლევა შეფასებას. როდესაც ადამიანი შეუდგება ისტორიული სინამდვილის შესწავლას, იგი ყოველთვის პრაქტიკული მოტივებიდან თავისუფალია და შემეცნებელი სუბიექტი ხდება; მან უნდა შეიცნოს ის, რაც არა მარტო მისთვის არის ღირებულო, არამედ — მთელი კაცობრიობისათვის. რიკერტი ხელმძღვანელობს იმ აზრით, რომ ადამიანი შემფასებელია, იგი მოვლენებს შეაფასებს, შიგ თავის აზრს შეიტანს. მეცნიერების ამოცანაა იყოს ობიექტური, ამიტომ ისტორიკოსმა კი არ უნდა შეაფასოს, არამედ ისინი უნდა დააღაგოს ერთიმეორის მიყოლებით, დააღაგოს ის მოვლენები, რომლებიც საყოველთაო ღირებულების მქონეა. საქმე ის არის, რომ შემეცნებელმა სუბიექტმა უნდა შეიცნოს ის, რაც არის და ისე, როგორც არის. არის ღირებულება და ამ შემთხვევაში კულტურული ღირებულება, რომელიც განიზომება სუბიექტით და იგი სუბიექტის გარეშე არ არსებობს. მაშასადამე ისტორიული მეცნიერების საგანი არის არა სინამდვილე, არამედ — ღირებულება. რიკერტის აზრი იმაზე, რომ ისტორია ღირებულებათა შექმნაა, მისი თეორიის სალი აზრია. შემეცნება პრაქტიკულადამიანურია. შემეცნება ადამიანისათვის საშუალებაა არა მხოლოდ სინამდვილის ბასიური კვრეტისათვის, არამედ იგი იარაღია სინამდვილის გარდასაქმნელად, ღირებულებათა შესაქმნელად; ისე, რომ შემეცნებას, ამ გაგებით, ღირებულებათა შექმნის ამოცანა ამოძრავებს. მაშ რააში უნდა იყოს ობიექტურობა შემეცნებისა? — ისტორიულ მოვლენების შესწავლაში მათ კავშირში და ურთიერთში გადასვლაში, — ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ გვეცოდინება, მოვლენა მისი განვითარების ხაზზე რა როლს ასრულებს: განვითარებას უწყობს ხელს, თუ მისი დაბრკობებაა. კაცობრიობის მიზნის განხორციელება მოვლენების მიზეზობრივი კავშირით მიმდინარეობს. ისტორიული მეცნიერების სისწორე მდგომარეობს იმ მოვლენების შესწავლაში, რომლებიც მას ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან.

რიკერტი შეეცადა, დაესაბუთებინა, რომ კულტურული ღირებულების ცნება არის ტრანსცენდენტური და არა ემპირიული, რომ იგი განაგებს შემეცნებულ სუბიექტს და ამით არის შესაძლებელი ისტორიული მეცნიერების ობიექტურობა. შემეცნების, როგორც ღირებულების შემეცნების პროცესი ემყარება ავტონომიურ უფლებას.

უკანასკნელი ამპრიორული საფუძველი მეცნიერებისა ნებისყოფაშია, ავტონომიურ უფლებაშია. ადამიანის შემეცნების და მისი ყოველგვარი შემოქმედების საფუძველი მოქმედების პროცესი უნდა იყოს და ემყარებოდეს მოვალეობის შემეცნებას. „მეტად ფართო და მეტად ზოგადი ცნება კულტურისა გულისხმობს მოვალეობის შემეცნებას, რადგანაც ჩვენ ვიცით, კულტურა არსებობს მხოლოდ ისეთი საზოგადოების ჯგუფში, რომლის წევრები გარკვეულ ღირებულებას განიხილავენ როგორც საერთო საქმეს, როგორც ნორმატულად საერთო ღირებულებას და ამიტომ თავის მოვალეობის შემეცნებით ავლენენ მისდამი დამოკიდებულებას“¹². რაკი კულტურა არის არსებობა საზოგადოებისა, რომლის მიმართ ყოველი წევრი ვალდებულია გრძნობს და ემორჩილება იმიტომ, რომ უნდა დაემორჩილოს, ამით უკვე გარკვეულია, რომ კულტურული ღირებულება ყოფილა ნორმა, რომელსაც ადამიანი უთანხ-

მდება, ის ყოფილა ზეინდივიდუალური. რიკერტმა რომ გასაგები გახადოს კულტურული ღირებულება როგორც ზეინდივიდუალური და ვალდებულების აღიარების ფორმა, განიხილავს ბუნებისმეტყველების ისტორიას. ბუნებისმეტყველების მიზანია საყოველთაო ცნების გამომუშავება, უმაღლესი კანონის აღმოჩენა, რომელიც უცხად კი არ მიიღწევა, არამედ მოითხოვს დროს, განვითარების საფეხურებს, თვითეული საფეხური ბუნებისმეტყველების კანონის გამომუშავებისათვის ღირებულია, მაგრამ იგი როგორც ინდივიდუალობა საბუნებისმეტყველო მეთოდით ვერ შეფასდება, — მისი ღირებულების საყოველთაოდ ცნობისათვის საჭიროა იგი შეფასდეს კულტურული ღირებულების მეთოდებით. ბუნებისმეტყველება როგორც კულტურული მინაღწევა დაკავშირებულია დანარჩენ კულტურის სფეროსთან და ამიტომ კულტურული ღირებულების წესი უნდა გავრცელდეს დანარჩენ სფეროზეც, მაშასადამე, კულტურული ღირებულების მეთოდი — ისტორიული მეცნიერების მეთოდი, იგი კონკრეტული ფორმისა ვალდებულების შემეცნებისა.

3. რიკერტის ფილოსოფიური თეორიის ნაკლი მის იმ დებულებაშია, რომლის მიხედვით, სინამდვილე მხოლოდ ინდივიდუალურია და ინდივიდუალური მიზეზითაა განსაზღვრული. მისი გაგებით, სინამდვილეს ზოგადი კანონები არ აქვს, — ეს კანტის აზრის გამეორებაა; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, თუ კანტისათვის მოცემული მოუწესრიგებელია და მას აღამიანის კატეგორიები აწესრიგებენ, მისთვის მოცემული გაფორმებულია, მისთვის სინამდვილე ინდივიდუალურ-ცდისეულია, რომელიც სუბიექტისაგან დამოუკიდებელია. რაკი სინამდვილე ინდივიდუალურია, ამიტომ მასში არ არის ზოგადი; ისე, რომ რიკერტი ნომინალისტურ თვალსაზრისზე დგას, ის თუმცა ცდილობს ნომინალიზმი თავიდან აიცილოს, მაგრამ ეს ამოცანა, რადგან ის კანონს გაიგებს როგორც უპირობო, ზოგად მსჯელობას, რომელიც ნორმას ემყარება. რიკერტმა ზოგადი კანონი სინამდვილეში უარყო და ის გონებაში გადაიტანა, — ეს არსებითად ზოგადის უარყოფაა, რადგან არსებობა გონებისაგან დამოუკიდებელის აზრითაა გაგებული. რაკი ზოგადი გონებაში მაინც აღიარა, რიკერტი ცდილობს მას გამართლება გამოუნახოს: ის ამბობს, რომ კანონები სინამდვილეს არ ასახავენ, არამედ მათ სინამდვილის მიმართ ძალა აქვთ; მაგრამ გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება კანონებს ძალა ჰქონდეთ, თუ ისინი ამ სინამდვილესთან რაღაც კავშირში არ არიან.

რიკერტის და კანტის მოცემულს შორის ის განსხვავება აღმოჩნდა, რომ კანტისათვის მოცემული მოუწესრიგებელია, ხოლო რიკერტისათვის მოწესრიგებული; მხოლოდ ის ემოჩილება არა ზოგად კანონებს, არამედ ინდივიდუალურ მიზეზებს, ამის შემდეგ კვლავ იქმნება რიკერტსა და კანტს შორის თანხმობა, როცა საკითხი ეხება ამ მოცემულის შემეცნებას, — ის შეიძლება ორი გზით შევიცნოთ: როგორც ინდივიდუალურ მიზეზს დამორჩილებული და როგორც ზოგად კანონს დაქვემდებარებული. თუ ამ მოცემულს განვიხილავთ როგორც ინდივიდუალურ მიზეზებს დამორჩილებულს, ისტორიას მივყავართ; თუ ამას როგორც ზოგად კანონებს დაქვემდებარებულს — ბუნებისმეტყველებას.

არც ისტორია და არც ბუნებისმეტყველება სინამდვილეს არ ასახავენ. როგორც რიკერტი ამბობს ჭერარსებობა და მისი აღიარება არის სინამდვილის ლოგიკური პირობა. რიკერტის თვალსაზრისით წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ სინამდვილე თავისთავად კანონების მქონეა და ბუნებისმეტყველება მათ

თი აღიარებაა. რიკერტის თეორიაში დადებითად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან მაინც ერთმანეთისაგან განასხვავა ისტორია და ბუნებისმეტყველება. სინამდვილეს აქვს ორი მხარე, ერთი მხრივ, ის ინდივიდუალურ მოვლენების დროსა და სივრცეში ღივდება. მეორე მხრივ, ამას ზოგადი კანონები აქვს და ამიტომ როგორც ისტორია, ისე ბუნებისმეტყველება სინამდვილის გამოსახვად სხვადასხვანაირ ცნებაში. ინდივიდუალური მოვლენები, რომლებიც ისტორიის საგანია, ამავე დროს ზოგად კანონებს ექვემდებარებიან, მაგრამ ისინი ისტორიული მეცნიერების საგანი არ არის, ეს კანონები კანონთა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს. ზოგადის შემსწავლელი მეცნიერებისათვის ინდივიდუალური არის ზოგადის შესწავლის საშუალება, რადგან ზოგადი მასში უნდა აღმოვაჩინოთ; ამიტომ მისთვის სულერთია, რომელი ინდივიდუალური იქნება. ისტორიისათვის კი ინდივიდუალურის შესწავლა მიზანია, რომელიც ზოგად ცნებას გამოიყენებს. მიუხედავად რიკერტის მიუღებელი იდეალიზმისა მის მიერ მოხდენილი განსხვავება ისტორიის და ბუნებისმეტყველების სრულიად მისაღებია. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიკერტის თვალსაზრისი ისტორიისადმი ღირებულებითი მიდგომა და მისი ამ საფუძველზე აგება დადებითია, მართლაც ისტორიაში მრავალი მოვლენა ხდება, მაგრამ მხოლოდ ის არის ისტორიული, რომელსაც ერისა და კაცობრიობის ისტორიაში ცვლილებები მოუხდენია. რაიმე მოვლენას ისტორიულად ხდის მისი ადგილი, რაც მას უკავია ისტორიულ ცვლილებაში; რაც შეეხება ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს აქ ღირებულება წარმოშობის მიხედვით შეისწავლება, უნდა აღმოჩენილი იქნეს ის მიზეზები, რომლებიც მას არსებულად ხდიან. ეს არის ღირებულებისადმი არა ღირებულებითი მიდგომა.

მამასადაამე, რიკერტის გაგებით, შემეცნების საგანი არ არის ობიექტური სინამდვილე. შემეცნების დაწყებამდე სინამდვილის შესახებ არაფერი არ ვიცით. შემეცნება მტკიცება და უარყოფაა, რომელიც დაფუძნებულია გნოსეოლოგიურით სუბიექტის სურვილზე, რომ რაც მისთვის მისაღებია იგი ამტკიცებს როგორც ღირებული, იგი ღირებულებას შეიცნობს, ამით სინამდვილის სფერო გარდაქმნილია ღირებულებათა სფეროდ. მსჯელობის დროს ჩვენ გვაქვს უშუალო აუცილებლობის გრძნობა, რომელსაც ჩვენ ვემორჩილებით. იგი არის მოვალეობა. შემეცნება მას უთანხმდება და ამიტომ შემეცნების საგანი არა სინამდვილეა, არამედ ვალდებულება: როგორც ბუნებისმეტყველება, ისე ისტორია ვალდებულების შემეცნებაა და აგრეთვე იგია კრიტიკიული შემეცნებისა. ისტორიულ შემეცნებაში ვალდებულების კონკრეტული ფორმა კულტურული ღირებულებაა. ეს არის რიკერტის ფილოსოფიის არსება.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა.



აქთანდოლ კოპიაშვილი

ი. კანტისა და ი. გ. ფიხტეს ფილოსოფიის ურთიერთმიმართება

(ი. გ. ფიხტეს მოღვაწეობის პირველი პერიოდის მიხედვით)

„ჩემი გონება წყვეტს გონებად ყოფნას, თუ დაეუშვებთ, რომ რაღაც სხვა უბრძანებს მას საკუთარი თავის გარდა.“¹

საკითხის დასმბ. ი. კანტისა და ი. გ. ფიხტეს ფილოსოფიური სისტემების ურთიერთმიმართების გასარკვევად აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ კანტის ფილოსოფიის განხილვა, იმის გარკვევა, თუ კანტის ფილოსოფიაში წამოჭრილ რომელ პრობლემებზე რეფლექსიით შეიქმნა ფიხტეს ფილოსოფია, რომელმაც შემდეგ, თავის მხრივ, შელინგისა და პეტელების ფილოსოფიური სისტემების ჩამოყალიბება განაპირობა; ეს უკანასკნელი კი, ერთი მხრივ, მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობის ერთ-ერთი თერაპიული წყაროა და, მეორე მხრივ, მან თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის თითქმის ყველა ძირითად მიმართულებაზე დიდი გავლენა იქონია ნეგატიური თუ პოზიტიური აზრით.

ი. გ. ფიხტეს ფილოსოფიურ განვითარებას სამართლიანად უსოფენ სამ პერიოდად: 1) კანტიანური პერიოდი — 1790-1794 წლები, როცა ფიხტემ დაიწყო კანტის ფილოსოფიის შესწავლა და კანტის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების საფუძველზე დაწერა შრომები რელიგიის ფილოსოფიისა და სამართლის ფილოსოფიის სფეროში, 2) „მეცნიერებათმოდგრების“ შექმნისა და მისი განვითარების პერიოდი — 1794-1799 წლები და 3) უკანასკნელი პერიოდი — 1799-1814 წლები, როდესაც „მეცნიერებათმოდგრებამ“ არსებითი ცვლილებები განიცადა. კანტისა და ფიხტეს ფილოსოფიის ურთიერთმიმართების პირველი პერიოდის გასარკვევად საჭიროა კერძოდ, კანტის ფილოსოფიაში არსებული და ფიხტეს კანტიანური პერიოდის ნააზრევში არსებული იმ სიძნელეების გამოკვლევა, რომლებმაც შემდეგ ფიხტე „მეცნიერებათმოდგრების“ შექმნამდე მიიყვანეს და რომელიც თვით ფიხტეს მიაჩნდა კანტის ფილოსოფიის მხოლოდ და მხოლოდ სისტემატური ფორმით გადმოსაცემად.

1. კანტის ფილოსოფიის ძირითადი სიძნელეების შესახებ. ახალ ფილოსოფიაში რ. დეკარტისა და ფ. ბეკონის მიერ დასმული ამოცანა, თუ როგორია შესაძლებელი ფილოსოფიის მეცნიერულ სისტემად ქცევა — ანუ როგორია შესაძლებელი სამყაროს მრავალფეროვანი საგნებისა და მოვლენების ონტოლოგიური ერთიანობა და მისი შემეცნება — კრიტიკული პერიოდის კანტის ფილოსოფიაში ლაიბნიცის, ჰუმბისა და რუსოს მსოფლმხედველობათა გავლენით იქცა კითხვად: რა ინტერესები წარმართავენ ადამიანის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას და როგორია ამ მიზნების განხორციელების შესაძლებლობა? „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე ნაწილში, — მეთოდის შესახებ ტრანსცენდენტალურ მოძღვრებაში, კანტი ასე აყალიბებს ადამიანური გონების ინტერესებს ანუ კრიტიკული ფილოსოფიის (თავისი ფილოსოფიის) ამოცანებს:

¹ I. G. Fichte, Werke, B. 1. Leipzig, 1911, 23. 21.

² К. Ф и ш е р. История новой философии, т. 6, Фихте, Спб., 1909. 220—221.

ჩემი გონების ყველა ინტერესები (როგორც სპეკულატორული, ასევე პრაქტიკული) ერთიანდება შემდეგ სამ კითხვად: 1) რა შემიძლია მე ვიცოდე? 2) რა უნდა გავაკეთო მე? 3) რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე? კანტი აღნიშნავს, რომ პირველი კითხვა წმინდა სპეკულატიურია (ანუ თეორიულია) და „წმინდა გონების კრიტიკამ“ უნდა უპასუხოს მასზე. მეორე კითხვა წმინდა პრაქტიკულია და II კრიტიკამ, — „პრაქტიკული გონების კრიტიკამ“ უნდა უპასუხოს მასზე, ხოლო მესამე, კანტის ამ პერიოდის თვალსაზრისით, ეკუთვნის როგორც თეორიულს, ასევე პრაქტიკულს სფეროს და მასზე ორივემ უნდა გასცეს პასუხი³. რაც შეეხება მასალას, რაზე დაყრდნობითაც იკვლევდა კანტი, იყო: 1) მათემატიკა, მათემატიკური ბუნებისმეტყველება და მეტაფიზიკა (ე. ი. ფილოსოფია, — მოძღვრება სამყაროზე, როგორც მთელზე). თითოეულს პრეტენზია აქვს მეცნიერებებად ყოფნაზე და საჭიროა მათი მეცნიერებებად არსებობის იურიდიული უფლებების გამოკვლევა, რათა ზუსტად დაეადგინო ჩემი ცოდნის საზღვრები კითხვის შესაბამისად, — რა შემიძლია ვიცოდე? 2) საზოგადოებაში ადამიანების მოქმედება რაღაც უმაღლესი პრაქტიკული კანონის საფუძველზე, ზნეობის არსებობის ფაქტი; საჭიროა ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობის სისტემატური გამოკვლევა, — ეთიკის სისტემის აგება კითხვის შესაბამისად, — რა უნდა გავაკეთო მე? (რა მოვალეობა მეკისრება მე?⁴); 3) ფაქტია აგრეთვე ადამიანებში რელიგიური შეხედულებების არსებობა, — სულის უკვდავების, ღმერთის, იმქვეყნიერი ნეტარებისა და სხვა საკითხებზე რეფლექსია.

საჭიროა ამ რელიგიური შეხედულებების დაწვრილებითი ანალიზი, რათა პასუხი გავცეს კითხვას: რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე? უკანასკნელ კითხვაზე პასუხი უნდა გაცემულიყო რელიგიის ფილოსოფიაში, მაგრამ, როგორც ვნახეთ, კანტი ჯერ კიდევ 1787 წლამდე (I კრიტიკის II გამოცემის თარიღი) მიიჩნევდა, რომ ამ კითხვაზე პასუხი შესაძლებელი იქნებოდა II კრიტიკაში. გარკვეული მიზეზების გამო, რომელთაც ქვემოთ მივუთითებთ, კანტთან ამ კითხვას ვერც „პრაქტიკული გონების კრიტიკაში“ (II კრიტიკაში — 1788 წელი) გაცა პასუხი და მასთან ერთად ამ ორი კრიტიკის ურთიერთმიმართების ანუ თეორიული და პრაქტიკული სფეროების ურთიერთდამოკიდებულების ახალი პრობლემა კანტმა ვერც შემდეგ გამოცემულ „მსჯელობის უნარის კრიტიკაში“ (III კრიტიკა — 1790 წელი) გადაჭრა, სამივე კრიტიკის გამოქვეყნების შემდეგ კანტი ვერ დაკმაყოფილდა კვლევის შედეგებით და მითითებულ მესამე კითხვაზე პასუხის გასაცემად სპეციალურად დაიწყო რელიგიის ფილოსოფიური საკითხების კვლევა და 1794 წელს გამოსცა წიგნი „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“. იმავე 1794 წლის 4 მაისის წერილში ქ. გოტინგენის თეოლოგიის პროფესორ კ. ფრ. შტუდლინის კანტი სწერდა: წმინდა ფილოსოფიის ყველა სფეროს ჩემი უკვე დიდი ხნის წინ შედგენილი გეგმა მიმართული იყო სამი ამოცანის გადასაჭრელად: 1) რა შემიძლია ვიცოდე მე? (მეტაფიზიკა), 2) რა უნდა გავაკეთო მე? (მორალი), 3) რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე? (რელიგია); ხოლო ყოველივე ეს

³ И. Кант. Сочинения в шести томах, т. 3., М., 1964, гл. 661—662.

⁴ ესაა „ვარსკვლავებით მოქმედილი ცის“ მხატვრული სახე კანტის II კრიტიკის დასკვნაში. იხ. И. Кант. Соч., т. 4 (1), გვ. 499.

⁵ ესაა „მორალური კანონი ჩემში“ — სახის ანალოგია იმავე დასკვნაში. იხ. იქვე, გვ. 499.

ბოლოსდაბოლოს აყენებს მეოთხე კითხვასაც: რა არის ადამიანი? (ანთროპოლოგია). შრომაში „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“ — მე შევეცადე დამემუშავებინა ჩემი გვეგმის მესამე განყოფილება. აქ ჩემი სახელმძღვანელო იყო კეთილსინდისიერება და ქრისტიანული რელიგიის ქვეყნარტი პატრივისცემპ. როგორც ვხედავთ, აქ უკვე კანტის თვალსაზრისი შეცვლილია: იგი მითითებულ მესამე კითხვის გარკვევას სპეციალურ წიგნს უძღვნის და აღარ კმაყოფილდება I და II კრიტიკაში მოცემული პასუხებით ამ კითხვაზე. ახლა უკვე კანტი რელიგიის ფილოსოფიის პრობლემებს თავისი ფილოსოფიისთვის დადებითი შედეგების მიღების მიზნით ამუშავებს, რადგან მას „წმინდა გონების კრიტიკაში“ უკვე საფუძვლიანად ჰქონდა გაკრიტიკებული და უარყოფილი რაციონალური თეოლოგია როგორც მეცნიერება და ამ წიგნში იგივე ამოცანის ხელახლა განხორციელება სრულიად ზედმეტი იქნებოდა.

კანტის ფილოსოფიაში არსებულ სიძნელებებსა და წინააღმდეგობებს შორის ძირითადი და ყველა სხვათა განმსაზღვრელია მის სამივე კრიტიკაში გატარებული ორი — პრინციპულად ერთმანეთის გამომრიცხავი — ძირითადი ტენდენცია და კანტის მცდელობა ამ საპირისპირო ტენდენციების მორიგებისა; ეს ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციებია: 1) ერთი მხრივ, მისწრაფება თეორიული და პრაქტიკული სფეროების შემეცნების სრული ავტონომიისა, განსაკუთრებით კი მორალის სრული ავტონომიისა; მისწრაფება შემეცნების საგნისა და ზნეობრივი ქცევის კანონის სუბიექტის საფუძველზე (აგრეთვე III კრიტიკაში გრძობადი ტუბობის საგნის სუბიექტური მიზანშეწონილების საფუძველზე) აგებისა; მისწრაფება იმისკენ, რომ ადამიანი თავისი საქმიანობის ყველა სფეროში თავის თავს ემყარებოდეს ანუ, რაც საბოლოოდ ნიშნავს, — მის მისწრაფება ვაბსოლუტებისაკენ და 2) მითითებულის სრულიად საწინააღმდეგო ტენდენცია: შემეცნების საგნის თავის თავიდან აგების სწორედ ამ სუბიექტის შეზღუდულობად, მის ნაკლოვანებად წარმოადგენა; ადამიანური შემეცნების ყველა სფეროში იმაზე მითითება, რომ ჩვენი ინტერესები ვერასოდეს ვერ კმაყოფილდება, რომ ჩვენი ძირითადი ინტერესი მიზარათლია ჩვენი გარეთ და რომ ჩვენ ჩვენი შეზღუდულობის გამო მას ვერასოდეს ვერ მივადრწევთ (ამქვეყნად), რომ ჩვენ მხოლოდ სუბიექტურ, პიპოთეტიკურ ჰეშმარიტებას ვაღწევთ და არასოდეს არ ვიცით ობიექტური ჰეშმარიტებანი და ა. შ. მოკლედ, ერთი მხრივ, ხაზი ესმება ადამიანის ღირსებებს, მეორე მხრივ კი ხაზი ესმება ნაკლოვანებებს და იმდენადაც კი, რომ ერთ შემთხვევაში ღირსებებად მითვლილი ნიშნები ახლა უკვე ნაკლოვანებებად ცხადდება. კანტის ფილოსოფიის ამ შინაგანი წინააღმდეგობის, ამ გაორების გამოხატულებაა ორი ურთიერთგამომრიცხავი პოლუსის არსებობა თეორიულ სფეროში თავისთავადი ნივთისა და ტრანსცენდენტალური აპერცეპციის სახით⁶, ხოლო პრაქტიკულ სფეროში დაპირისპირება წმინდა პრაქტიკული გონების პოსტულატებსა და სუბიექტის მიერ თავისთავის ავტონომიური მორალური კანონმდებლობის შესახებ კანტის მოძღვრებას შორის⁷.

⁶ И. Кант. Религия в пределах только разума. СПб., 1908. гв. XVIII.

⁷ Г. В. Тевзадзе. Структура трансцендентальной апперцепции. Вопросы философии. М., 1971, № 5. гв. 135.

8 გ. შუშანაშვილი, კანტის ფორმალიზმის კრიტიკა, საკანდ. დისერტაცია, თბ., 1970. გ. შუშანაშვილი აღნიშნავს, რომ პოსტულატების შემოტანით კანტი ფორმალიზმის პრინციპს (ანუ ავტონომიის პრინციპს) ღალატობს, გვ. 83. კანტის ფილოსოფიის სიძნელების შესახებ

ადამიანის ავტონომიას პრაქტიკულ სფეროში კანტი ზღუდავს ამ პრაქტიკული თვალსაზრისით შემეცნებადი თავისთავადი ნივთის სფეროში კვლავ შეუმეცნებად სფეროზე მითითებით პრაქტიკული გონების პოსტულატების სახით. ამ საქმეს კანტი იწყებს იმით, რომ თავდაპირველად მორალური კანონის საფუძვლად აღიარებულ თავისუფლებას შემდეგ, ღეკარტის მსგავსად, ჩვენთვის გადაუჭრელ პრობლემად აცხადებს. მან ადამიანური გონებისათვის გადაუჭრელ პრობლემად გამოაცხადა თვით ისიც, თუ მორალური კანონი როგორია ჩვენი ნების უშუალოდ განმსაზღვრელი საფუძველი. კანტი ადამიანის ავტონომიის პრაქტიკული თვალსაზრისითაც ამ შეზღუდვას გარკვეულ გამართლებას უძებნის, — კერძოდ, იგი წერს, რომ ღმერთს რომ სრულყოფილად ვიმეცნებდეთ და მის მცნებებს მივყვებოდეთ, მაშინ მხოლოდ თოჯინები (მარონეტები) ვიქნებოდით და ამიტომ ჯობს, ჩვენით ვიაროთ წინ და პოსტულატების მხოლოდ გეგმადგეს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიქნებოდით მორალური არსებანი¹⁰. მაგრამ ამით კანტი სინელებს მაინც ვერ იცილებს თავიდან. მართალია, პრაქტიკული გონების პოსტულატები ჩვენი დაშვებულაა, ჩვენი აქტივობის გამოვლინებაა, მაგრამ სწორედ იმიტომაც, რომ ისინი ჩვენი დაშვებულაა და არა ჩვენს მიერ დადგენილი: — საქიროა ამ დაშვების ობიექტური საფუძვლების გამოკვლევა, საქიროა სუბიექტუალის სფეროს რაღაც სახით გარღვევა, საქიროა ბრმა რწმენის სფეროს რაღაც სახით გარღვევა, რათა საბოლოოდ მხოლოდ სუბიექტურობის სფეროში არ დავრჩეთ, რათა მარადიული ზნეობრივი სრულყოფისაკენ მისწრაფების ჩვენი პრაქტიკული იდეალი პრობლემატურად და, ამის გამო საბოლოოდ განუხორციელებელ ოცნებად არ იქცეს.

როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ფილოსოფიაში კანტთან ადამიანის მისწრაფებას ავტონომიურობისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ (თვითდადგენისაკენ) წინ ეღობება რაღაც გარეგანი, შეუცნობადი თავისთავადი ნივთის სახით (თვით კანტი ყურადღებას ამახვილებს თვით სუბიექტის, — ადამიანის შინაგან შეზღუდულობაზე როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, მაგრამ ამ შეზღუდულობის ძირითადი მიზეზი კანტთან მაინც შეუცნობადი და გარეგანი თავისთავადი ნივთის დაშვებაა, რადგან ფიხტეს მიერ II პერიოდში თავისთავადი ნივთის მოხსნით მოიხსნა აგრეთვე სუბიექტის თითქმის ყოველგვარი შეზღუდულობა). როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ფილოსოფიაში კანტმა დამაკმაყოფილებლად ვერ გასცა პასუხი ადამიანური გონების მექანიზმების კითხვას, — რისი იმედი შეიძლება მქონდეს მეფეთხევაზე ვერ გაეცა პასუხი ვერც III კრიტიკაში, — „მსჯელობის უნარის კრიტიკაში“ სუბიექტური მიზანშეწონილობის ცნების შემოტანით: აქაც პრინციპულად გაურღვეველი აღმოჩნდა სუბიექტურობის სფერო და 1791 წლიდან კანტი საგანგებო მუშაობას იწყებს რელიგიის ფილოსოფიის, საქირობებზე დასმული პრობლემის გადასაწყვეტად.

დაწერილებით იხ. ა. პოპოვილი, ი. ვ. ფიხტეს ეთიკური იდეალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის, თბ., 1976, გვ. 8—30.

⁹ P. Декарт. Избранные произведения. М., 1959, стр. 443.

¹⁰ И. Кант. Соч., т. 4 (1), стр. 269, 396—397, 430, 483—484.

კანტმა რელიგიის ფილოსოფიის საკითხებზე მუშაობა დაამთავრა 1792 წელს და 1793 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით — „ფილოსოფიური მოძღვრება რელიგიაზე“, ხოლო მეორე გამოცემაში (1794), — როგორც კ. ფორლენდერი წერს, — შეცვალა სათაური და უწოდა „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“¹¹. მაგრამ, სანამ კანტი ამ შრომას დაასრულებდა, 1791 წლის აგვისტოში ი. გ. ფიხტემ პირადად კანტს გადასცა წასაკითხად თავისი შრომა რელიგიის ფილოსოფიის საკითხებზე სათაურით — „ყოველგვარი გამოცხადების კრიტიკის ცდა“, რომელიც მთლიანად კანტის თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების საფუძველზე იყო შექმნილი. კანტმა წაიკითხა ფიხტეს ეს შრომა, არავითარი შენიშვნა არ ჰქონდა მის მიმართ და დაეხმარა ავტორს მის გამოქვეყნებაში. ფიხტეს ეს შრომა გამოიცა 1792 წელს გაურკვეველი მიზეზების გამო ანონიმურად (ფიხტეს გვარის აღნიშვნის გარეშე), კ. იენის ფილოსოფიურ წრეებში ავტორად კანტი მიიჩნეეს და იენის ჟურნალმა „Allgemeiner Literaturzeitung“-მა ეს ამბავი კიდევაც აუწყა საზოგადოებრიობას. კანტმა იმავე ჟურნალში 1792 წლის 3 ივლისს გამოაქვეყნა წერილი, სადაც მან დაასახელა შრომის ნამდვილი ავტორი. მთელი ეს ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ ფიხტეს ეს შრომა სრულიად თავსდება კანტის ფილოსოფიის ფარგლებში და რომ ამ შრომიდან მომდინარე შედეგები საერთოდ კანტის ფილოსოფიიდან მომდინარე საერთო დასკვნებია. ამიტომაც შესაძლებელია კანტის ფილოსოფიაში წამოჭრილ აღნიშნულ მესამე კითხვას ფიხტეს ამ შრომის მიხედვით გავაცემინოთ პასუხი და შემდეგ შევადაროთ იგი იმავე კითხვაზე თვით კანტის მიერ გაცემულ პასუხთან წიგნში „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“.

2. **ყოველგვარი გამოცხადების კრიტიკის ცდა.** 1790 წელს ფიხტემ დაწერა შრომა — „აფორიზმები რელიგიისა და ღვიზმის შესახებ“, რომელშიც იგი იზიარებდა დეტერმინისტულ თვალსაზრისს და სპინოზიზმამდე მიდიოდა¹². ფიხტე უკვე ამ შრომაში წამოაყენებს ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების იწვევე პრობლემას და ამ პრობლემის გადაწყვეტას მიეძღვნება როგორც მის მიერ ერთი წლის შემდეგ დაწერილი „გამოცხადების კრიტიკა“, ასევე საერთოდ მთელი მისი ფილოსოფიური შემოქმედება II და III პერიოდშიც. „აფორიზმებში“ ფიხტე წერს: რელიგიური მოთხოვნებიანი დაუძლეველია; არის წუთები, როცა გული შურს იძიებს სპეკულაციაზე, როცა იგი გულქვა ღმერთს მიმართავს ალტყინებით. თითქოს იგი ამით შეცვლის თავის დიად განაწესს ინდივიდუუმების გულისათვის, როცა აშკარა დახმარების შეგრძნება, ლოცვების თითქმის სიტყვაშეუბრუნებელი შესრულება არყევს მთელ სისტემას და როცა ყველასათვის დამახასიათებელია ცნობიერება იმისი, რომ ღმერთისთვის არასასურველია იწვევდეს შერიგების მგზნებარე სურვილს. კ. ფიშერი მიიჩნევს, რომ ამ პერიოდში ფიხტე გზაჯვარედინზე იდგას: კანტმა ჭერ კიდევ ვერ დააჭრა იგი და დეისტურ სისტემას ჭერ კიდევ ტყვედა ყავს თავისი მოჩვენებითი თანმიმდევრობით, მაშინ როდესაც მისი საკუთარი რელიგიური მოთხოვნებიანი და თავისუფლების გრძობა ეწინააღმდეგება მას. როგორც კი ფიხტე შეამჩნევს, რომ კანტის მოძღვრე-

¹¹ И. Кант. Религия в пределах только разума, стр. XXV—XXVI.

¹² К. Фишер. Ист. ноз. филос., т. 6, стр. 233—235. ფიხტეს ეს შრომა ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მხოლოდ. იგი დაწერილია კანტის ფილოსოფიაში ჩაღრმავებამდე.

ბა თავისუფლებაზე გრძნობადობიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ გონებიდან და იგი კრიტიკული ფილოსოფიის უღრმეს საფუძველს შეადგენს, საქმე სრულიად იცვლება, — ახლა იგი სპეკულაციაში ხედავს თავისუფლების სისტემას, რომელსაც შეუძლია შეიჭრას რელიგიის უღრმეს არსებაში და გააშუქოს იგი და, ამიტომ, რელიგია არა მხოლოდ ნებას იძლევა, არამედ აგრეთვე მოითხოვს ფილოსოფიის მიყენებას მისდამი. ამ საკითხის გადასაწყვეტად ფიხტე წერს თავის „ყოველგვარი გამოცხადების კრიტიკის ცდას“. სხვა ადგილას კ. ფიშერი ასე აყალიბებს ფიხტეს „გამოცხადების კრიტიკის“ ამოცანას: რწმენის პრაქტიკულ გონებაზე დაფუძნებისას კანტს არ დაუფუძნებია რწმენა გონების რწმენის გამოცხადებაზე. ეს საკითხი რჩებოდა ღიად და ფიხტემ აიღო ეს თემა კვლევის საგნად. საკითხი ასე დგას: რა არის გამოცხადება და როგორ არის იგი შესაძლებელი? — თვით გამოცხადება, უპირველეს ყოვლისა, არის რწმენის ფაქტი. უკანასკნელი კი ეფუძნება პრაქტიკულ გონებას ანუ ნებას. თვით ფიხტე კი თავის შრომაში წერს: კრიტიკების გამოჩენის დროიდან (მხედველობაშია კანტის შრომები ა. პ., უკვე რამდენჯერმე დაისვა საკითხი: როგორაა შესაძლებელი გამოცხადების (geoffenbarte) რელიგიები? — ეს კითხვა არსებითად მხოლოდ ჩვენი ამ გამოკვლევით შექდება¹³.

უკვე აღნიშნული იყო, რომ ფიხტეს ეს შრომა მთლიანად კანტის თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის საფუძველზეა შექმნილი და, ამიტომ, მისთვის სახელმძღვანელოა კანტის ფილოსოფიის შემდეგი ძირითადი პრინციპები: 1) „წმინდა გონების კრიტიკის“ მიერ დადგენილი თეორიული შემეცნების საზღვრები არასოდეს არ შეიძლება იქნას გაფართოებული. 2) ყოველგვარი შემეცნება უნდა განხორციელდეს a priori პრინციპების საფუძველზე. სხვანაირად ეს შემდეგს ნიშნავს: ყველა სასრულო გონებრივი სუბიექტებისათვის (არსებებისათვის) მნიშვნელობის მქონედ აღიარებული უნდა იქნას მხოლოდ ის (ცოდნა, რწმენა, მცნებები და ა. შ.), რაც თვით ამ სუბიექტების გონების მკაცრ სამსჯავროს გაუძლებს. 3) ადამიანის პრაქტიკული არსება მხოლოდ და მხოლოდ მის მორალურობაში მდგომარეობს. სხვანაირად: ადამიანის ერთადერთი პრაქტიკული მიზანი უნდა იყოს მარადიული მორალური სრულყოფილებისაკენ სწრაფვა ანუ მორალური კანონით დადგენილი მოვალეობის შესრულება თვითონ ამ მოვალეობის გულისათვის, თვითონ მორალური კანონისადმი პატივისცემის გრძნობით და არა რაიმე სხვა მიზნით (მოტივით). როგორც ცნობილია, კანტმა თვითვე გადაუხვია თავის მიერ ჩამოყალიბებულ ამ რიგორისტული ეთიკის პრინციპებს უმადლესი სიკეთის ცნების შემოტანით და, ამიტომაც, ფიხტესაც „ნება ეძლევა“ გამოიყენოს ეს ცნება. კანტის ფილოსოფიის სამივე ეს პრინციპი შემდეგნაირად აქვს გამოთქმული ფიხტეს: „გონების კანონმდებლობის საშუალებით a priori გვაქვს მოცემული საბოლოო მიზნის, სახელდობრ, უმადლესი სიკეთის ცნება, რომელიც წარმოადგენს უმადლესი ზნეობრივი სრულყოფილების შეერთებას უმადლეს ნეტარებასთან (Glückseligkeit). ჩვენ აუცილებლობით ვისწრაფვით ამ საბოლოო მიზნისაკენ, მაგრამ თეორიული გონების კანონების მიხედვით, რომელზეც მთელი ჩვენი შემაჯნება

¹³ I. G. Fichte. Werke, B. 1, Leipzig, 1911, S. 37.

დგას, ჩვენ არც მისი განხორციელების შესაძლებლობის და არც — შეუძლებლობის შემეცნება არ ძალგვიძს.

თეორიული ფილოსოფიისათვის გადაუწყვეტ პრობლემებს კანტი რწმენის სფეროდ აცხადებდა და, ამიტომაც, ფიქტესთვის სახელმძღვანელო კანტის ფილოსოფიის ეს მეოთხე პრინციპიც, — მოძღვრება პრაქტიკული გონების პოსტულატებზე. კანტის მოძღვრებას პოსტულატებზე შეიძლება ვუწოდოთ კანტის თეოლოგია. მართალია, კანტმა უარყო რაციონალური თეოლოგია, მაგრამ „პრაქტიკული გონების კრიტიკაში“ იგი მაინც იძლევა მოძღვრებას ღმერთზე როგორც უმაღლეს მორალურ კანონმდებელზე და ამ თვალსაზრისს მიიჩნევს უმაღლესი არსების სუბიექტურ, ჰიპოთეტურ დახასიათებას, როგორც ჩვენს რწმენას. ფიქტე იზიარებს კანტის ამ თვალსაზრისს. იგი წერს, რომ მორალური კანონის მოთხოვნის შესასრულებლად, უმაღლესი სიკეთისაკენ ჩვენი მისწრაფებისათვის უნდა დაუშვათ (პრაქტიკული) გონების პოსტულატები, არა როგორც ობიექტურად სარწმუნო, არამედ როგორც სუბიექტური, ჩვენი, სახელდობრ, ადამიანური სახისათვის (Art) მნიშვნელოვანი (გმü-llig). პოსტულატებზე მოძღვრებას ფიქტე თეოლოგიას უწოდებს და აყენებს საკითხს რელიგიაზე გადასვლის შესახებ. იგი წერს: სანამ ჩვენ ამ ქეშ-მარიტებებზე ვრჩებით როგორც ასეთზე, ჩვენ მართალია გვაქვს თეოლოგია, რომელიც ჩვენ უნდა გვექონდეს კიდევ, რათა ჩვენი თეორიული მრწამსი (Überzeugung) და პრაქტიკული ნებელობითი განსაზღვრულობა წინააღმდეგობაში არ მოვაქციოთ. მაგრამ მაინც არა გვაქვს რელიგია, რომელსაც თვით კვლავ როგორც მიზნებს ნების ამ განსაზღვრულობაზე გავლენა ექნებოდა. როგორ წარმოიშობა ახლა თეოლოგიიდან რელიგია?¹⁴ კანტის ფილოსოფიიდან აღებული ამ სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბების შემდეგ ფიქტე გადადის თავის საკვლევ პრობლემებზე. კერძოდ, იგი იკვლევს თეოლოგიისა და რელიგიის მიმართებას, განსახვევებს რელიგიის სახეებს და სპეციალურად არჩევს გამოცხადების რელიგიას.

თეოლოგიისა და რელიგიის მიმართების შესახებ ფიქტე წერს: თეოლოგია (Theologie) მკვდარი ცოდნა პრაქტიკული გავლენის გარეშე; მაგრამ რელიგია (religio) სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით უნდა იყოს ისეთი რამ, რაც ჩვენ გვაკავშირებს (Verbindet) და, სახელდობრ, უფრო ძლიერად გვაკავშირებს, ვიდრე ჩვენ მის გარეშე ვართ. შემდეგ ფიქტე ანალიზებს რა თეოლოგიიდან რელიგიაზე გადასვლის საკითხს, აღნიშნავს, რომ რამდენადაც თეოლოგიას ეკისრება სწორედ პრაქტიკულ და ეთორიულ სფეროს შორის წინააღმდეგობის გაუქმება, ამდენად იგი არასოდეს არ განიხილება როგორც შიშველი მეცნიერება და რომ იგი (თეოლოგია, თავის წარმოშობიდანვე ხდება (wird) რელიგია¹⁵.

ამრიგად, ფიქტეს მიხედვით, თეოლოგიისა და რელიგიის ამოცანები ერთიდაიგივეა და თეოლოგია თავისი ამოცანების შესრულების პროცესში იქცევა რელიგიად. თეოლოგიისა და რელიგიის საერთო ამოცანა კერძოდ იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ მისწრაფებას და ადამიანებისათვის შესაძლებელი გახადოს უმაღლესი სიკეთის იდეალი. ამისათვის კი თეოლოგიასა და რელიგიას ევალება იმის ჩვე-

¹⁴ I. G. Fichte, S. 11—12.

¹⁵ I. G. Fichte, S. 11—12, 16—17.

ნება, რომ თეორიული გონების მიერ დადგენილი ბუნების კანონები არ არის მთელი სამყაროს კანონები, რომ აუცილებლობის გვერდით შესაძლებელია და არსებობს კიდევაც თავისუფლება და რომ უმაღლეს არსებაში (ღმერთში) ეს ორგვარი კაუზალობა (მიზეზობრაობა) გაერთიანებულია. უამისოდ, მხოლოდ აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნავს ფიხტე კანტის მსგავსად, ჩვენ ბუნების კანონებით განსაზღვრული მანქანები ვიქნებით და არა მორალური არსებები. მაგრამ თეოლოგია ამ ამოცანის შესრულების პროცესში, როგორც უკვე ითქვა, იქცევა, რელიგიად.

რა არის რელიგია? ფიხტე წერს: ღვთაების შესახებ იდეები, როგორც ჩვენში მორალური კანონის გზით კანონდებული ეფუძნება ჩვენეულის გამოვლენას (Entäußerung). სუბიექტურის გადატანას (Übertragung) ჩვენს გარეთელ არსებაში და ეს გასხვისება (Entäußerung) არის რელიგიის საკუთრივი პრინციპი, რამდენადაც იგი ნების განსაზღვრულობისათვის უნდა იყოს ხმარებული. მას (ღმერთს) არ შეუძლია ჩვენი ყურადღება მორალურ კანონზე გააძლიეროს, რადგან ყოველი ყურადღება ღმერთისადმი მხოლოდ ამ კანონთან თანხმობის აღიარება და საბოლოო ანგარიშით ეფუძნება ჩვენს ყურადღებას მორალური კანონისადმი. მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ჩვენ მიდრეკილებები ძლიერ განგვსაზღვრავენ, ღმერთს შეუძლია ჩვენში მორალური გრძობა გააძლიეროს; ამრიგად, თუმცა ჩვენ გონებამ პირველმა უნდა განგვსაზღვროს იმისათვის, რომ ღმერთის ნებას დავემორჩილოთ, მაგრამ მაინც ერთეულ შემთხვევებში ღმერთს შეუძლია ჩვენ განგვსაზღვროს იმისათვის, რომ ჩვენ ჩვენს გონებას დავემორჩილოთ¹⁶ (ე. ი. რომ გრძობად მიდრეკილებებს არ გაცვეთ).

მაშასადამე, ამ ადგილის მიხედვით, ფიხტესთან ღმერთი გაგებულია როგორც ჩვენეულის გარეთ გადატანა ჩვენს გარეთელ არსებაში, სახელდობრ, ჩვენ მიერ თავისუფლად დადგენილი ჩვენი ზნეობრივი ქცევების განსაზღვრელი მორალური კანონის¹⁷ მოთხოვნის გარეთ გატანა და მისი ღმერთის მცნებად, ღმერთის ბრძანებად წარმოდგენა, რათა იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ ძლიერ განგვსაზღვრავს გრძობადი მიდრეკილებები, ამ ავტორიტეტის ზემოქმედებით დაერთგუნოთ ეს მიდრეკილებები ანუ კვლავ ჩვენი გონების ხმას გაეყვეთ. ამ ადგილს კ. ფიხტერი ასე განმარტავს: რელიგია აუცილებელია ადამიანის ისეთი სულიერი წყობის დროს, როცა მისი სული თავისმოყვარეობისა და გრძობადი მიდრეკილებების ზეგავლენით საჭიროებს იმას, რომ ზნეობრივი კანონი ღვთაების მცნებად წარმოიდგინოს, რომელსაც ექნება უდაო ავტორიტეტი. ჩვენი საკუთარი გონითი ბუნება, ჩვენი საკუთარი გონების კანონი წარმოიდგინება როგორც ჩვენს გარეთ მყოფის ნება. ჩვენი კუთვნილია ამ გაუცხოებაში, სუბიექტურის ამ გადატანაში ჩვენს გარეთყოფ არსებაში, კანონმდებლობითი ავტორიტეტის ღმერთისადმი ამ გადატანაში მდგომარეობს

¹⁶ იქვე, გვ. 24.

¹⁷ ამ შრომაში ფიხტე იყენებს კანტის მიერ დადგენილი მორალური კანონის ცნებას, მაგრამ არსად არ განმარტავს მას. „ზნობის მეტაფიზიკის საფუძვლებში“ კანტი შემდეგი ორი სახით ჩამოაყალიბებს მორალურ კანონს ანუ კატეგორიულ იმპერატივს: 1, მოიქეცი მხოლოდ ისეთი მაქსიმის მიხედვით, რომ ისურვო იგი იქცეს საყოველთაო კანონად (იხ. II. Kant. *Соч.*, T. 4 (1), გვ. 260) და 2) მოიქეცი ისე, რომ შენს მოქმედებაში კაცობრიობა როგორც შენი, ასევე ყველა სხვა პიროვნებათა სახით ყოველთვის იყოს, აგრეთვე, მიზანი და არასოდეს— მხოლოდ საშუალება (იქვე, გვ. 270).

სწორედ რელიგიური წარმოდგენების ხასიათი. ოღონდაც, ეს გადატანა არ წარმოადგენს ცნობიერს და ხელოვნურს, როგორც ეს სამოქალაქო სამართლებრივ მიმართებებშია, ამ სახით იგი ნამდვილ მიზანს, — ზნეობრივი კანონის ვალდებულებების გაძლიერებას სრულიადაც ვერ მიადგევდა; მაშინ ხომ ადამიანი თავის თავს ეტყობა: რადგანაც ზნეობრივი მცნება ჩემთვის საკმარისად ძლიერი არ არის როცა მე მას ჩემს საკუთარ კანონად მივიჩნევ, ამდენად, მე იგი ვადამაქვს ღმერთში და წარმოვიდგენ მას როგორც ღვთაებრივს; მაგრამ, ამასთან, ადამიანი თუ ამ გადატანის წყაროდ თავის თავს შეიცივებდა, მაშინ მას ყოველთვის ექნებოდა შესაძლებლობა ღვთაებრივ ნებას თავის საკუთარივით მოქცეოდა და ყოველ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეურაცხყო იგი¹⁸.

როგორც ზემოთ ვნახეთ, პრაქტიკულ ფილოსოფიაში კანტიც ატარებდა მორალური თვალსაზრისით ადამიანის ავტონომიურობის პრინციპს, მასთანაც დაუსშევებელი იყო მორალური კანონის უშალოდ ღმერთის მცნებად წარმოდგენა და ადამიანთა მისდამი დაქვემდებარება იძულების გზით, მაგრამ ავტონომიურობის პრინციპს იგი ასე მკვეთრად არასოდეს წარმოადგენდა. ფიხტე კი შრომის სხვადასხვა ადგილას კიდევ უფრო ამძაფრებს კანტის მიერ წამოყენებულ ავტონომიურობის პრინციპს. იგი წერს: ჩვენი გონება გვაავალებს მხოლოდ მის კანონებს დავემორჩილოთ: ჩვენი გონება წყვეტს გონებად ყოფნას, თუ დაეშუშებთ, რომ რაღაც სხვა უბრძანებს მას საკუთარი თავის გარდა. გონება რამდენადაც ჩვენ მხოლოდ თავის პრაქტიკულ კანონებს გვამორჩილებს, არავითარ მორჩილებას არ გვაავალებს ღმერთის, როგორც ასეთის მიმართ. და, კიდევ: — ჩვენი განსაზღვრულობა ჩვენს გარეთ არსებული ზეგარბობადი მიზეზით, ხსნის მორალს¹⁹.

მოტანილი ადგილების მიხედვით გამოდის, რომ ფიხტე ყოველგვარ თეოლოგიას, ყოველგვარ რელიგიას ზედმეტად მიიჩნევს. გამოდის, რომ ფიხტე კანტის მიერ დასმულ კითხვას — რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე? — ასეთ პასუხს აძლევს: მე უნდა მქონდეს მხოლოდ ჩემი საკუთარი გონების იმედი. II პერიოდში ფიხტე კიდევაც მივიდა ამ თვალსაზრისამდე, მოხსნა ყოველგვარი ტრანსცენდენტური და მე გააბსოლუტა, მაგრამ ამ შრომით ფიხტე თუმცა ამქვდაგნებს მითითებულ ტენდენციას, მაგრამ რწმენის აუცილებლობას, რელიგიის საჭიროებას სრულიად არ უარყოფს. ამ პერიოდში ფიხტე ჯერ კიდევ იზიარებს კანტის თვალსაზრისის რწმენისა და ცოდნის გათიშვის შესახებ; თუმცა იგი ყოველთვის ცდილობს რელიგიის (რწმენის) პრობლემებს გონებით მოპვინოს შუქი, მაგრამ როგორც კი გონება რაიმე საკითხს შუქს მოჰფენს და რწმენის ცოდნად ქცევის „სამიშროება“ დგება, ფიხტე კანტის ეკალოდ მაშინვე დასძენს, რომ ეს არის სუბიექტური, ჰიპოთეტური შეხედულებანი (რწმენა) და არა ობიექტურად მნიშვნელოვანი ცოდნა. რადგან ამ პერიოდში ფიხტე არ ცნობდა მე-ს აბსოლუტურობას, იგი, როგორც იდეალისტი, აუცილებლობით უნდა უშვებდეს ღმერთს, როგორც ჩვენს შემოქმედს, როგორც ჩვენი ზნეობრივი მისწრაფების ხელის შემწყობს, როგორც ჩვენი უმაღლესი სიკეთის იდეალის განმარტოვებელ საშუალებას და ა. შ. ამიტომაც, ერთი მხრივ, რომ იგი არც პრაქტიკული გონების ავტონომიურობის პრინციპთან არ მოვიდეს აშკარა წინააღმდეგობაში და, მეორე

¹⁸ K. Фишер. Иср. нов. филос., т. 6, стр. 239—240.

¹⁹ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 21—22, 88.

მხრივ. არც ამ სასრულო სუბიექტისათვის საჭირო ღმერთის არსებობაზე დამყარებულ იმედებს უთხრას უარი, ფიხტე არსებით განსხვავებას აღდენს გამოცხადებისა და ბუნებრივ რელიგიებს შორის (შემდეგ ჩვენ ვნახეთ, რომ კანტი მათ შორის არსებით განსხვავებას არ დაინახავს).

ფიხტე აღნიშნავს, რომ ბუნებრივი რელიგია ეფუძნება ზებუნებრივის შემეცნებას ჩვენში, ხოლო გამოცხადების რელიგია — ზებუნებრივის შემეცნებას ჩვენს გარეთ. სხვა ადგილას ფიხტე წერს: წმინდა გონითი რელიგია და ბუნებრივი რელიგია ეფუძნება მორალურ გრძნობას... ამათგან განსხვავებით გამოცხადების რელიგია თვით უნდა აფუძნებდეს მორალურ გრძნობას; ღმერთმა ადამიანებს თავისი თავი უშუალოდ გრძნობადად უნდა აუწყოს და უშუალოდ გრძნობადად უნდა მოითხოვოს მათგან დამორჩილება. ფიხტე გონით და ბუნებრივ რელიგიებს შორის რაიმე არსებით განსხვავებას არ ხედავს. გონით რელიგიას იგი საერთოდ უმალღეს რელიგიად მიიჩნევს და ასეთად თვლის ქრისტიანულ რელიგიას²⁰. ამ შრომაში ფიხტე საგანგებოდ არ ეკვლევს ბუნებრივ და გონით რელიგიებს; ისევე, როგორც კანტი, მასაც ღმერთის არსებობა, სულის უკვდავება და თავისუფლება ესმის როგორც ჩვენი აუცილებელი დაშვებები მორალური კანონისა და უმალღესი სიკეთის განხორციელების საფუძვლად. რაც შეეხება გამოცხადების რელიგიას, იგი ფიხტეს საგანგებო კვლევის საგანია.

გამოცხადების ცნებას ფიხტე ასე განმარტავს: გამოცხადება არის ზებუნებრივი კაუზალობის გზით გრძნობად სამყაროში ღვთაების მიერ გამოწვეული მოქმედება, რომლის საშუალებითაც იგი თავის თავს გვატყობინებს როგორც მორალური კანონმდებელი²¹. ამრიგად, ღვთაებრივი გამოცხადების ერთადერთი მიზანი ისაა, რომ ჩვენში მორალური გრძნობა აამაღლოს ანდა, თუ არ არის, წარმოშვას იგი. ახლა დგება გამოცხადების შესაძლებლობის პრობლემა. ჯერ უნდა გაირკვეს გამოცხადების შესაძლებლობის სუბიექტური პირობები, უნდა გაირკვეს სჭირდება თუ არა ადამიანს მორალური გრძნობის ასამაღლებლად ამგვარი ღვთაებრივი გამოცხადება. ამის შემდეგ უნდა გაირკვეს გამოცხადების ობიექტური პირობები: თუ დადგინდა, რომ ადამიანს ესაჭიროება გამოცხადება, შემდეგ უნდა გაირკვეს შესაძლებელია თუ არა საერთოდ ზებუნებრივი შემოქმედება (მიზეზობრიობა) ბუნებრივზე, და, თუ ეს შესაძლებელია, უნდა გაირკვეს რა ფორმით და რა შინაარსით უნდა განხორციელდეს იგი.

ა) გამოცხადების შესაძლებლობის სუბიექტური პირობები. ამ საკითხში ფიხტე მერყეობას იჩენს. ერთი მხრივ იგი ფიქრობს, რომ საერთოდ ადამიანს ესაჭიროება ამგვარი გამოცხადება, მეორე მხრივ კი მას ზედმეტად მიიჩნევს. იგი წერს: თუ ზნეობრივი კანონის მოქმედება სრულიადაა დათრგუნული ჩვენში გრძნობადობის მიერ და მხოლოდ უკანასკნელი მბრძანებლობს, მაშინ, ამგვარი სულიერი წყობის დროს, მოვალეობის გრძნობა არამართო უნდა ვაეაძლიეროთ, არამედ მას დასაწყისიც უნდა მივცეთ: ეს შესაძლებელია ნიღწეულ იქნეს არა გონითი და ბუნებრივი რელიგიებით, არამედ მხოლოდ

²⁰ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 31—32, 54.

²¹ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 33.

იმის წყალობით, რომ ჩვენ ზნეობრივი კანონი მოგვევლინება გრძნობად სამყაროში და გვეუწყება ისეთი მოვლენით, როგორცაა ღვთაებრივი ავტორიტეტი, — არა ისეთი ავტორიტეტი, რომელსაც ღმერთის სახელით სხვები ამტკიცებენ, რადგან ეს შეიძლება მოგონილი ავტორიტეტი იყოს, არამედ ნაუწყები თვით ღმერთის მიერ. ის (ღმერთი — ა. პ.) უნდა გამოჩნდეს თავად, თავისი სრული სახით, როგორც მზრქანელი თავისი სიღიადით და სიძლიერით, რათა განცვიფრებითა და კრძალებით აღავსოს გრძნობადობით დათრგუნვილი ადამიანის სული და ამით პირველად მიაპყროს მისი უძრავლება ზეგრძნობადისაკენ. გონითი რელიგია და ბუნებრივი რელიგია შესაძლებელია მხოლოდ მორალური გრძნობის დროს, თვით ამ გრძნობის აღმოცენება კი შესაძლებელია მხოლოდ გამოცხადების წყალობით. სხვა ადგილზე ფიხტე აღნიშნავს, რომ მორალური თვალსაზრისით ნულოვან საფეხურზე კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს ღვთაებრივი გამოცხადება, იგი ჩვენ ძალით გავგდენიდა, ჩვენ მხოლოდ მონები ვიქნებოდით და ამის გამო არავითარი მორალური გრძნობის აღმოცენება-განვითარება არ იქნებოდა შესაძლებელი, ეს იქნებოდა ჰეტერონომია და არა ავტონომია²². ფიხტე იმასაც აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში მცხოვრებ ყოველ ადამიანს აქვს გარკვეული ზარისხის მორალური გრძნობა თუნდაც, ასე ვთქვათ, ნეგატიურ სახით. — სხვისი ქცევის შეფასების სახით. ფიხტეს აზრით ამ გრძნობის გამოვლინება დაზარალებული უკმაყოფილება რაიმე საზოგადოებრივი შეთანხმების დარღვევისას. ასეთ შემთხვევაში, — აღნიშნავს ფიხტე, — დაზარალებული მხარე მოაგონებს სხვებს, რომ არსებობს ვალდებულებანი²³. საბოლოოდ ფიხტე მაინც მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მორალური გრძნობის თვალსაზრისით ნულოვანი მდგომარეობის არსებობა და რომ გრძნობადი მიდრეკილებებით სრულიად დათრგუნვილ ასეთ ადამიანებში შესაძლოა სხვა არავითარი გზა არ მოიხატოს მორალური გრძნობის აღმოსაყენებლად, გარდა ღვთაებრივი გამოცხადებისა და რომ ასეთ ვითარებაში შესაძლებელი უნდა იყოს იმ სახის და იმ შინაარსის ღვთაებრივი გამოცხადება, რომ ადამიანები ამ გამოცხადებით სრული მონები არ შეიქმნენ და მათში მორალური გრძნობა აღმოცენდეს. მაგრამ ეს უკვე არის გამოცხადების ფორმისა და შინაარსის საკითხი. ჯერ ევარკეოთ გამოცხადების ობიექტური პარობების პირველი მხარე, — გამოცხადების ფიზიკური შესაძლებლობის პრობლემა.

b) გამოცხადების შესაძლებლობის ობიექტური პარობები. ფიხტე სვამს კითხვას: a priori გამოცხადების ცნება როგორც იგი დასაბუთებულია a posteriori ემპირიული გრძნობადობის მოთხოვნილების ჩვენებით, მოელის გრძნობად სამყაროში ზებუნებრივ ქმედებას; შესაძლებელია ეს საერთოდ? საერთოდ მოაზრებადია ის, რომ რაღაცას ბუნების გარეთ კაუზალობა გააჩნდეს ბუნებაში? — ამ საკითხსაც ფიხტე კანტიანურად წყვეტს. იგი წერს: არც გამოცხადების ცნების დოგმატურ დამცველს არ შეუძლია ბუნების კანონების მიხედვით გარკვეული მოვლენების ახსნის შეუძლებლობიდან ზებუნებრივ კაუზალობაზე და, მითუმეტეს, პირდაპირ ღმერთის კაუზალობაზე დაასკვნას და, ასევე, არც გამოცხადების ცნების დოგმატურ მოწინააღმდეგეს უფლებაა არა აქვს ამ მოვლენების ბუნებრივი კანონებით ახსნიდან გამომდინარე დაას-

²² I. G. Fichte, Werke, B. 1, S. 54, 57—58.

²³ I. G. Fichte, Werke, B. 1, S. 52—53. ფიხტეს შესაძლებლად მიიჩნია ამგვარი „ნეგატიური“ მოვლენების გრძნობიდან — „პოზიტიურზე“ გადასვლა.

კენას, რომ ისინი არ არიან შესაძლებელი არც ზებუნებრივი კაუზალობით და, კერძოდ, არც ღმერთის კაუზალობით. მთელი ეს საკითხი შეიძლება დაფუძნებული იქნას არა დოგმატურად ე. ი. თეორიული პრინციპებით, არამედ მორალურად, პრაქტიკული გონების პრინციპებით²⁴.

ამრიგად, ფიხტე უშეეხება გამოცხადების ფიზიკურ შესაძლებლობას, იგი უშეეხება რწმენას, რომ გამოცხადება (ე. ი. ზებუნებრივის შემოქმედება ზებუნებრივზე) შეიძლება განხორციელდეს. დაშეეხულია აგრეთვე გამოცხადების სუბიექტური პირობაც, — აღამიანს სჭირდება გამოცხადება თავისში მორალური გრძნობის წარმოსაშობად და გასაძლიერებლად. ახლა უნდა ვაირკვეს გამოცხადების ფორმისა და შინაარსის საკითხი.

ფორმალური პირობის შესახებ ფიხტე წერს: ყოველგვარი გამოცხადება რომელიც თავისთავს (ე. ი. ღმერთს როგორც მორალურ კანონმდებელს ა. პ.) არამორალური საშუალებებით ასაბუთებს და აუწყებს, ნამდვილად არ არის ღვთაებრივად მომდინარე. ქვემოთ ფიხტე აგრძელებს: ღმერთის მორალური ბრძანებების მიმართ მორჩილება შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ მისი სიწმინდის მიმართ სასოებასა და ყურადღებას, რადგან იგი მხოლოდ ამ შემთხვევაშია წმინდა მორალური. ამიტომაც, ყოველი გამოცხადება, რომელმაც ჩვენ სხვა მოტივების საშუალებით, — მაგალითად, დასჯის მუქარით ანდა დაჯილდოების შეპირებით — უნდა დაგვიმორჩილოს, ღმერთიდან არ შეიძლება მომდინარეობდეს, რადგან ამგვარი მოტივები წმინდა მორალურობას ეწინააღმდეგებიან²⁵. როგორც ცნობილია, ძველი აღთქმის მოსეს ხუთი წიგნის მიხედვით ებრაელთა ღმერთი იეღოვა ებრაელებს სწორედ დასჯის მუქარითა და დაჯილდოების შეპირებით წარმართავს. ამას ფიხტე არ მიიჩნევს გამოცხადებად. საერთოდ ფიხტე უარყოფითად ეკიდება იუდაიზმს²⁶.

ფიხტე უფრო მკაცრად სვამს გამოცხადების შესაძლებელი შინაარსის პრობლემას. იგი აღნიშნავს, რომ გამოცხადება არის ღმერთის როგორც მორალური კანონმდებლის უწყება გრძნობად სამყაროში ზებუნებრივი ქმედების გზით, მაგრამ გამოცხადება იქნება ზედმეტი, თუ ჩვენ იგი ახალს ვერაფერს გვაწვავს, ვიდრე ჩვენ უძისოდ ვალწევთ თეორიული და პრაქტიკული შემეცნების სფეროში. ფიხტე სვამს კითხვას: შეიძლება თუ არა თეორიული შემეცნების გაფართოება? ასეთი გაფართოება ეწინააღმდეგება თუ არა ჯერ საგანთა ბუნებას, შემდეგ წმინდა მორალურობას და, ბოლოს, თვით გამოცხადების ცნებას? ფიხტეს თვალსაზრისი აქაც წმინდა კანტიანურია: იგი წერს, რომ თავისუფლება, ღვთაება და სულის უკვდავება (პრაქტიკული გონების პოსტულატები ა. პ.) პრაქტიკული გონების საშუალებით რეალიზდება და უფრო მეტი რომ მოვიწოდოთ (ე. ი. რწმენის სფეროს გარღვევა რომ მოვიწოდოთ, — თეორიული შემეცნების საზღვრების გაფართოება რომ მოვიწოდოთ). ეს საგანთა ბუნებასაც ეწინააღმდეგება, წმინდა მორალურობასაც და, ამიტომ, თვით გამოცხადების ცნებასაც. ფიხტე კანტივით მიუთითებს, რომ კიდევაც რომ შევიძლოთ ამ გამოცხადების გზით ღმერთის ისე შემეცნება რო-

²⁴ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 66, 71.

²⁵ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 73, 75.

²⁶ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 92—93. ასევე უტილიტარულად ესმის ზოგიერთ ქართველ სახალხო მოქმელს ღმერთი: „ერთ რქან ლამაზსაც შეაწირენ, რომ გამეჭირდეს—მიშველსა...“ (იხ. ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 213).

გორც იგი არის ობიექტურად, მაშინ ჩვენ შეზღუდული ცოდნის მქონე (მორალური ა. პ.) არსებებიდან გადავიქცევოდით ფართო ცოდნის მქონე მანქანებად, რადგან ღმერთი ჩვენ იძულებით წაგვმართავდა²⁷.

ამრიგად, გამოცხადება პრაქტიკული და თეორიული ფილოსოფიით მოპოვებულ ცოდნაზე მეტს არაფერს შეიძლება გვეუბნებოდეს. ფიხტე წერს: მხოლოდ ის გამოცხადება შეიძლება იყოს ღმერთიდან მომდინარე, რომელიც მორალის პრინციპია, რომელიც პრაქტიკული გონების პრინციპებთან თანხმობაშია და შესაბამისად მხოლოდ იმგვარ მორალურ მაქსიმებს წამოაყენებს, რომლებიც პრაქტიკული გონებისაგან გამოიყვანება. თუ გამოცხადება ახალს არაფერს მეუბნება (და უკვე დასაბუთდა, რომ იგი არც შეიძლება მეუბნებოდეს რაიმე ახალს), მაშინ იგი სრულიად ზედმეტი ყოფილა. ფიხტე ამის თაობაზე კიდევ წერს, რომ მორალურობის საფეხურზე გამოცხადება თავის საჭიროებას კარგავენ, რადგან მისი სუბიექტური პირობა (ე. ი. გამოცხადების მოთხოვნილება ადამიანის მიერ ა. პ.) ისპობა²⁸ (ეს იქნება სწორედ, ფიხტეს მიხედვით, ბუნებრივი ანდა გონითი რელიგიის საფეხური). ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ ფიხტეს უკვე ამ შრომაში ტრანსცედენტური ღმერთის (და საერთოდ თავისთავადი ნივთის) არსებობა და მის მიერ ჩვენი შემეცნების შინაარსის განსაზღვრულობა ეკვის ქვეშა დაყენებული. როგორც ვნახეთ, კანტთან ტრანსცედენტური თავისთავადი ნივთის არსებობა თეორიულ სფეროში აუცილებელი იყო ჩვენი შემეცნებისათვის მასალის (შინაარსის) მომწოდებლის სახით, პრაქტიკულში კი პოსტულატების სახით. ფიხტეც უშვებს თავის ამ შრომაში პოსტულატებს, მაგრამ მასთან უფრო მკვეთრადაა წინ წამოწეული სუბიექტის ავტონომიურობა და მასთან პოსტულატების დაშვება ჩვენი პრაქტიკული გონების იმანენტურ აქტად ფამოდის კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ეს კანტთან იყო. მიუხედავად ამისა, ფიხტე ამ შრომაში არსად პირდაპირ არ ეხება თავისთავადი ნივთის არსებობა-არაარსებობის პრობლემას და ამიტომაც იყო, რომ მის მიმართ კანტს არავითარი შენიშვნა არ ქონია. თავისთავადი ნივთის პრობლემას ფიხტე უშუალოდ II პერიოდში არკვევს და აქედან იწყება სწორედ მისი გათიშვა კანტისაგან.

ბოლოს ფიხტე, კ. ფიშერის სიტყვით რომ ვთქვათ, როგორც ორთოდოქსალური კანტიანელი, გამოცხადების ცნებას კატეგორიების მიხედვით განიხილავს. ფიხტე კანტისაგან განსხვავებით იწყებს თვისობრიობის კატეგორიით (კანტი II კრიტიკაშიც თავისუფლების ცნების განხილვას რაოდენობრიობის კატეგორიით იწყებს²⁹: 1) თვისობრიობის მიხედვით, — წერს ფიხტე, — გამოცხადება უშუალოდ ღვთაებრივი ავტორიტეტით უნდა იყოს გამოწვეული, ღვთაების შესახებ კი ჩვენ მხოლოდ მორალური ცნება გვაქვს და გამოცხადებაც მორალური ხასიათის უნდა იყოს. 2) სუბიექტური კვანტიტეტის მიხედვით გამოცხადება ყველა იმ გრძობადი ადამიანისათვის უნდა იყოს ძალის მქონე, რომლებიც ამ გამოცხადებას მოითხოვენ. 3) მიმართების მიხედვით გამოცხადება რალაც მიზანზეა მიმართული, სახელდობრ ეს მიზანია წმინდა მორალურობისათვის ხელის შეწყობა, ეს მიზანი კი განხორციელდება ღმერთის როგორც მორალური კანონ-

²⁷ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 76—79.

²⁸ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 83, 61—62.

²⁹ И. Кант. Соч., т. 4 (1), стр. 390.

მდებლის უწყებით და ამ კანონმდებლობისადმი მორჩილება იმ შემთხვევაში იქნება მორალური, — წერს ფიხტე, — თუ ეს მორჩილება ღმერთის სიწმინდის წარმოდგენას ეფუძნება. 4) მო და ლობის თვალსაზრისით გამოცხადების ცნება შეიძლება იქნას დაშვებული (*angenommen*) როგორც შესაძლებელი, საიდანაც კონკრეტულად მოცემულ მოვლენაზე ამ ცნების გამოყენების არავითარი პირობა, ე. ი. გამოცხადების არავითარი კრიტერიუმი არ შეიძლება იქნას მოცემული. ბოლოს ფიხტე წერს: ყოველივე ეს არის გამოცხადების კრიტერიუმი მისი ფორმის მიხედვით და ეს საკმარისია, რადგან გამოცხადების არცაა უკვე აპრიორულად მოცემული მატერიის განსაკუთრებულ ფორმაში მდგომარეობს. გამოცხადების მატერია კი *a priori* მოცემულია წმინდა პრაქტიკული გონების გზით და ექვემდებარება იმ კრიტიკას, რასაც ექვემდებარება პრაქტიკული გონება³⁰.

მიუხედავად ამ კრიტერიუმების დადგენისა ფიხტე საბოლოოდ გადაუწყვეტლად ტოვებს საკითხს, რომ, მაგალითად, რომელიმე მოცემული მოვლენა ღვთაების გამოცხადებაა, თუ არა. ფიხტე მიიჩნევს, რომ მოცემული მოვლენის ღვთაებრივ გამოცხადებად მიჩნევის არც აპრიორული და არც აპოსტერიორული დასაბუთება არ შეიძლება. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ფიხტე ერთ-ერთ სქოლიოში შემდეგ კითხვას სვამს: გარკვეული მოცემულობის ახსნა ღვთაებრივი კაუზალობიდან საზიანო კი არა სასარგებლო შედეგებსაც კი შეიძლება იძლეოდეს მორალურობისათვის და ამ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება თუ არა შევასუსტოთ სხვაგვარი საჭირო სიმკაცრე ჩვენი პრეტენზიული გონების მიმართ და ამ სასიკეთო რწმენას თავშესაფარი მივცეთ ადამიანურ სულში, თუნდაც იგი დასაბუთებული იყოს როგორც არასწორი?³¹. მაშასადამე, ფიხტეს მიხედვით გამოდის, რომ ზელოვნურად უნდა შევიმუშაოთ გამოცხადების რწმენა, ეს კითხვა დამაფიქრებელია: არსებითად ფიხტეს მთელი შემდგომი ფილოსოფიური მოღვაწეობა როგორც II, ასევე III პერიოდშიც ამ კითხვაზე პასუხის ცდას წარმოადგენს. საქმე ის არის, როგორც უკვე ამ კითხვაშიც იგრძნობა, რომ შემდგომ ფიხტეს აღარ აკმაყოფილებდა ცოდნისა და რწმენის კანტიანური გათიშვა და შეეცადა მათი ერთიანობის გააზრებას. ჯერ კი ფიხტეს, ამ კითხვის მიუხედავად, მაინც სჭრა ცოდნისა და რწმენის კანტიანური გათიშვის შესაძლებლობა. იგი წერს: გამოცხადების ღვთაებრიობის ამლიაზრებელს და მის უარყოფელს ერთნაირი ძალით შეუძლიათ შეეკამათონ ერთმანეთს³². (ამ კამათის საფუძვლად ფიხტე სწორედ რწმენისა და ცოდნის გათიშვას გულისხმობს).

ფიხტე წერს: გამოცხადების სრული შესაძლებლობის შემცენება საერთოდ და, განსაკუთრებით, განსაზღვრული მოვლენით მოცემული გამოცხადების შემცენება ჩვენთვის (ყველა სასრულო არსებისათვის) სრულიად დაკეტილია (შეუძლებელია — *ist völlig geschlossen*). მაშინ მთელი ეს გამოკვლევა რაღას ემსახურებოდა თუ გამოცხადების შემცენება შეუძლებელია ჩვენთვის? — ეს გამოკვლევა სწორედ იმის ჩვენებას ემსახურებოდა, რომ გამოცხადების პრობლემა არაა თეორიული ფილოსოფიის პრობლემა და

³⁰ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 98—99.

³¹ I. G. Fichte Werke, B. I, S. 101—102, 105.

³² I. G. Fichte. Werke, B. I, S. 109, 118, 110, 116—117, 114.

რომ იგი რწმენის სფეროს ეკუთვნის. ფიხტე წერს: გამოცხადების ცნება, რამდენადაც იგი კანონიერად ეფუძნება სურვილის უნარის განსაზღვრულობას, არის რწმენა, რომელსაც ჩვენ განსხვავებით წმინდა გონების რწმენისაგან დმერთისა და სულის უკვდავების შესახებ, რომელიც რაღაც მატერიალურზე ა მიმართული, მას შეიძლება ფორმალური და ემპირიულად განსაზღვრული რწმენა ეწოდოს. „ემპირიულად განსაზღვრულის“ ქვეშ ფიხტე იმას გულისხმობს, რომ გამოცხადების ცნება აპრიორულად მოცემული კი არ არის, არამედ შექმნილია; გამოცხადება ემყარება კაცობრიობის ემპირიული განსაზღვრულობიდან გამოყვანილ მოთხოვნილებას. რადგან გამოცხადების ცნება ადამიანურ სულში არაა მოცემული აპრიორულად იმთავითვე, ამდენად მას არ აქვს არც სუბიექტური საყოველთაო და აუცილებლობა.

ფიხტე წერს: გამოცხადების რწმენა შესაძლებელია ორი (სუბიექტური ა. პ.) პირობით: 1) ნაწილობრივ გინდა რომ უფრო კარგი იყო. 2) ნაწილობრივ მომხდარი გამოცხადების, როგორც საშუალების წარმოდგენის მოთხოვნით, რათა შენში სიკეთე წარმოიშვას. ურწმუნობასაც ორგვარი მიზეზი შეიძლება გააჩნდეს: 1) ვინმეს ან სრულიადაც არ აქვს კეთილი ნება, 2) ანდა კეთილი ნების უქვევლი ფლობის გამო (ე. ი. მორალურობის მალალ საფეხურზე ა. პ.). არ საჭიროებს გამოცხადების მხარდაჭერას, რათა მორალურად იმოქმედოს. გამოცხადების რწმენის ამ არა ინტერსუბიექტურობის ჩვენებით ფიხტემ ფაქტიურად გააუქმა იგი. თვით ფიხტეს კი მიაჩნია, რომ ამ კრიტიკით (IV კრიტიკით) დიდი საქმე გააკეთა. იგი წერს: ამ კრიტიკის გზით გამოცხადების რწმენის შესაძლებლობა თავისთავად და (რომელიმე ა. პ.) მოცემული გამოცხადების რწმენის შესაძლებლობა კერძოდ, უქვევლი ხდება და სამარადისოდ მოიხსნება ყოველგვარი კამათი ამის შესახებ³³. აქვე სქოლიოში ფიხტე მიუთითებს, რომ ეს კამათი ისე შეიძლება გადაწყდეს, რომ ჩვენი კრიტიკის მიხედვით გამოცხადების შემცნება თეორიულ საფუძველზე შეუძლებლად ცხადდება, ხოლო გამოცხადების შემცნება სურვილის უნარის განსაზღვრულობისათვის ე. ი. გამოცხადების რწმენა, შესაძლებელია³⁴. მაგრამ რადგან ფიხტემ რწმენის სუბიექტური საყოველთაო და აუცილებლობა უარყო, ფაქტიურად კამათი კანტიანურ ორ სფეროზე მითითებით ვერ გადაწყდება. საქმე იმაშია, რომ რადგან მოკამათების ერთ ნაწილს ექნებათ გამოცხადების რწმენა, ხოლო მეორე ნაწილს არ ექნებათ იგი, ამიტომ კამათი პრინციპულად არასოდეს გადაიჭრება და მოკამათები ვერასოდეს ვერაფერს გააგებინებენ ერთმანეთს. ამიტომაც, თუკი საერთოდ ვიტყვი, რომ ფიხტემ თავისი ამ IV კრიტიკით კანტის ფილოსოფია განაეითარა და კიდევ ერთისფერო იქნა „ათვისებული“ კრიტიკულად, მაშინ, უნდა მივუთითოთ, რომ ფიხტემ კანტის კრიტიკული ფილოსოფია მითითებული პუნქტის მიხედვით სახელდობრ ისე განაეითარა, რომ საჭირო შეიქმნა ამ ფილოსოფიიდან გასვლა (რაც განახორციელა კიდევაც ფიხტემ შემდგომში), რადგან აღმოჩნდა, რომ ის ერთადერთი კი, რასაც კანტის ფილოსოფია შესაძლებლად მიიჩნევდა, კერძოდ სუბიექტური საყოველთაო და აუცილებლობა, რელიგიური რწმენის სფეროში არ გამართლდა, გა-

³³ I. G. Fichte. Werke. B. 1, 119. კანტის კრიტიკების ანალოგიით, ამ შრომის შეიძლება IV კრიტიკა ეწოდოს პირობითად.

³⁴ I. G. Fichte. Werke. B. 1, S. 119.

რანტირებული რწმენა ემპირიული სუბიექტებში არ დადასტურდა; თითოეულს აღმოაჩნდა ინდივიდუალური, საყოველთაობას მოკლებული გარკვეულობა. საკითხი მწვავედ დგას, რადგან რელიგიური რწმენის სფერო კანტის ფილოსოფიისათვის არააჩსებითი არ არის.

ფიხტე მითითებულ კამათს მხოლოდ იმით ხსნის, რომ გამოცხადების ღვთაებრიობის მორწმუნეს უდასტურებს მის რწმენას, უარს არ ეუბნება რწმენაზე (რწმენას არ ართმევს). ოღონდაც ღვთაების გამოცხადების პრიმიტიულ წარმოდგენებს უკრიტიკებს (თუკი ასეთი პრიმიტიული წარმოდგენები აქვს მორწმუნეს), ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი რწმენის არმქონესაც ფიხტე საესებით ამართლებს და არ მოუწოდებს რწმენისაკენ. თუ ფიხტეს მიერ უკვე მოხმარებულ მორალური განვითარების ცნებას გაეცხებებთ, მაშინ ეს ურწმუნო შეიძლება მაღლაც კი იდგეს მორწმუნეზე, რადგან, როგორც უკვე მივუთითეთ, ფიხტეს მიხედვით, გამოცხადების აუცილებლობა ბუნებრივი და გონითი რელიგიის საფეხურზე იხსნება.

კ. ფიშერი ასე ახასიათებს ფიხტეს მიერ ამ შრომაში განხორციელებულ კვლევის შედეგს: გამოცხადება განიხილება არა თავისთავად, არამედ ადამიანური ბუნების რელიგიური მოთხოვნილებიდან მიმართებით, რადგან აქ ადგილი აქვს შემდგომ დებულებას: ის რაც მორალური მიზეზებით ე. ი. პრაქტიკული გონების მოთხოვნილების ძალით წარმოადგენს ღვთაებრივ გამოცხადებას, იგი თეორიული გონების თვალსაზრისის მიხედვით ადვილად შეიძლება წარმოადგენდეს ბუნებრივ მოვლენას, ამასთან მხოლოდ ეს მოთხოვნილება და ეს გონითი ვაგება არ ემთხვევა ერთადიამავე პირში. გამოცხადების რწმენა აუცილებელია სულისათვის, რომელიც დამორჩილებულია გრძობადობის მიერ, ხოლო ამ შემთხვევაში ადამიანის ინტელიგენცია (ინტელექტი) არაა განვითარებული საყაროში მოქმედი კანონების შემეცნების დონემდე; ამიტომ გამოცხადებისადმი რწმენა ემთხვევა ჩვენი შემეცნებისა და წარმოდგენის იმ დონეს, რომელთათვისაც ბუნების მოვლენებს ჭერ კიდევ არ გააჩნიათ აუცილებლობა და კანონზომიერი ხასიათი. რაც ამ საფეხურზე ითვლება ზებუნებრივად, ის შეიძლება არც იყოს ზებუნებრივი და თუ რომელიმე მოვლენა აქ წარმოადგენს ზებუნებრივს, ეს განვითარების ამგვარ საფეხურზე გამიზნული კი არაა, არამედ ადამიანური ბუნებით განსაზღვრული „უნებური შეცდომაა“. ამიტომაც, ფიხტე ხსნის და ამართლებს არა იმდენად გამოცხადების ფაქტს თავისთავად, რამდენადაც გამოცხადების ადამიანური რწმენას; ის ხსნის მას ადამიანური ბუნების განვითარების განსაზღვრული საფეხურით, როცა გრძობადობა ბატონობს. მხოლოდ ამ მდგომარეობაში შეიძლება გამოცხადების რწმენამ ადამიანი იგათავისუფლოს გრძობადობისაგან და აღზარდოს იგი (ადამიანი ა. პ.) ბუნებრივი რელიგიის უმაღლესი საფეხურისათვის³⁵. შემდეგ კ. ფიშერი ფიხტეს ამ შრომას ფენომენოლოგიურს და პედაგოგიურს უწოდებს და ლესინგს, ჰეგელს და ფოიერბახს იხსენიებს. ის ფენომენოლოგიურია, — წერს ფიშერი, რადგან გამოცხადების რწმენის აუცილებლობას ახსნის ადამიანური ცნობიერების განსაზღვრული ფორმით; ხოლო პედაგოგიური, რადგან იგი მიუთითებს რელიგიურ განვითარებაზე და ადამიანური ბუნების გაკეთილშობილებაზე გამოცხადების რწმენის გზით. ეს გვაკონებს ადამიანური გვარის ლესინგისე-

³⁵ К. Фишер. Ист. нов. филос. т., 6, стр. 247—248.

ულ აღზრდას და გულისხმობს უკვე რელიგიაზე ჰეგელის მოძღვრების ფენომენოლოგიურ ხასიათს, ხოლო ზედავს რა რელიგიური წარმოდგენის პრინციპს ადამიანური არსების უნებურ განსზვინებაში, ის აგრეთვე ეხება (რელიგიის არსების) ფიქრებახსიეული ახსნის ანტროპოლოგიურ მეთოდს, რაც უკანასკნელმა (ლ. ფიქრებახმა) არ დატოვა ყურადღების გარეშე.

დასკვნითს შენიშვნაში ფიხტე თვითონვე განიხილავს კრიტიკულად თავის შრომას და სვამს კითხვას: რას წაევაგებთ ჩვენ ამ კვლევის შედეგების მიხედვით, რას მოვივებთ და რომელი გადასწონის რომელს? ფიხტე ჭერ წაგებებს ჩამოთვლის: 1) ჩვენ დაეკარგეთ ჩვენი იმედები გამოცხადების მოპოვებისა როგორც სუბიექტურად, ასევე ობიექტურად. ჩვენ აღარ შეიძლება გვექონდეს იმედები გამოცხადების საშუალებით ზეგარძნობადის სფეროში შეღწევისა. 2) ჩვენ მოპოვებული გვაქვს ის, რომ ვიცით, ის, რისი შემეცნება არ შეგვიძლია და არ ვუჭერებთ ქველმოქმედებს, რომლებიც თავს გვახვევენ ისეთ რწმენას, რომლის გამოყენებაც თვითონვე არ იციან. (აქ ივლულისხმება ის, რომ რწმენის თავსმომხვევა არ შეიძლება, — თითოეულ ინდივიდს „თავისით“ უნდა სწამდეს, — საერთოდ ფიხტე ილაშქრებს წინასწარმეტყველების, ღმერთის — შიკრიკების წინააღმდეგ). ახლა უნდა გაიკვას უფრო მეტი მოვივებთ თუ წაევაგებთ. შეწუხებული უნდა ვიყოთ თუ არა, რომ გამოცხადების გზით ზეგარძნობადი სამყაროს შემეცნების პერსპექტივები დავკარგეთ? — კითხულობს ფიხტე. ფიხტე წერს: ჩვენ ყველას ვთხოვთ თავიანთი სინდისის წინაშე უპასუხოთ კითხვას, რა მიზნით სურთ მათ რელიგია, იმისათვის რომ სხვებზე ამაღლდნენ, მათზე ძალაუფლება მოიპოვონ სინდისის (რელიგიის ა. პ.) გზით, რაც უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე სხეულზე ძალაუფლების მოყვარობა? ფიხტეს მიაჩნია, რომ უფრო მეტი მოგებულა და რომ მოპოვებული გადასწონის წაგებას. იგი წერს: ჩვენ მოვიპოვეთ ის, რომ შიში აღარ გვექნება იმის შესახებ, რომ ვინმე ჩვენს რწმენას სასაცილოდ აიღებს: შემდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ სინდისი (რწმენის ა. პ.) სრული თავისუფლება. არავის არ შეუძლია ჩვენ გვაიძულონ იმაში, რაც ჩვენ არ გვწავს. შეიძლება ჩვენ მათ გარეგნულად, სიტყვიერად დავეთანხმოთ, მაგრამ ვერ გვაიძულებენ ჩვენს გულში შევცვალოთ რაიმე მათი გავლენით³⁶.

ამრიგად, ფიხტეს „გამოცხადების კრიტიკის“ მიხედვით, ვერც რელიგიის სფეროში მოხდა კანტის ფილოსოფიის ძირითად სიძნელის დაძლევა. ადამიანი რწმენასთან მიმართებითაც ავტონომიურია (რწმენაც ჩემი დაშვებულია, ჩემი რწმენაა, ჩემს ნებელობითს გადაწყვეტილებას ეფუძნება; ცნობილია, რომ შემდგომში ასეთსავე თვალსაზრისს გააძარებს ს. კირკეგორი), და არც არის ავტონომიური, რადგან სუბიექტი კვლავ სასრულოდ რჩება და როგორც სასრულო, მოითხოვს გარედან განსაზღვრულობას. ტრანსცენდენტურ დაფუძნებას; მაგრამ იგი კვლავ სუბიექტურობის სფეროთია შემოსაზღვრული და, საბოლოოდ, ვერც თავის თავზე დგას და ვერც გარედან იღებს ქეშმარიტ გამართლებას. ახლა გავარკვიოთ როგორ წყვეტს იგივე პრობლემას თვით კანტი.

3. რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში. ამ შრომით, როგორც აღნიშნული იყო, კანტმა უშუალოდ უნდა უპასუხოს კითხვას: რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე? რელიგიის ფილოსოფიური პრობლემების დამუშავების

³⁶ I. G. Fichte. Werke, B. I, S. 122—124, 126—127.

აუცილებლობაზე კანტი შემდეგს მიუთითებს: წმინდა გონების მოძღვრებაზე დაფუძნებული ფილოსოფია მორალისაქენ თავისი მოძრაობის გზაზე ბოლოსდაბოლოს აწყდება საერთოდ რელიგიის იდეას და არ ძალუძს მას გვერდი აუაროს³⁷.

გავარკვიოთ კანტის თვალსაზრისი რელიგიის რაობის, მისი სახეობების და გამოცხადების ცნების შესახებ. კანტი აღნიშნავს, რომ რელიგია სუბიექტურად განხილული წარმოადგენს ყველა ჩვენი მოვალეობის როგორც ღვთაებრივი მცნებების შემეცნებას. ამრიგად, კანტის მიხედვითაც, რელიგიას შეიძლება გააჩნდეს მხოლოდმხოლოდ მორალური დანიშნულება, — რელიგია ჩვენი მორალური სრულყოფის მსახური უნდა იყოს. რაც შეეხება რელიგიის სახეობის საკითხს, კანტი რამდენაღმე სცილდება ფიხტეს თვალსაზრისს. ამ შრომის II გამოცემის (1794 წ.) შესავალში კანტი აღნიშნავს, რომ გამოცხადების (რელიგიის ა. პ.) ცნება უფრო ფართოა და თავისში შეიცავს გონით რელიგიას, გონითი რელიგიის ცნებაში კი არ შედის გამოცხადების ისტორიული შინაარსებიო. როგორც ყველა სხვა შრომაში, აქაც კანტი ტერმინოლოგიის ხმარებაში სიზუსტეს ვერ იჩენს. იგი არსებითად ერთნაირი მნიშვნელობით იყენებს ცნებებს: გონითი რელიგია, ბუნებრივი რელიგია, შინაგანი რელიგია, მეცნიერული რელიგია, მორალური რელიგია, წმინდა რელიგია. ყველა ამათგან კანტი გამოყოფს გამოცხადების რელიგიას, როგორც თავისი შინაარსით უფრო ფართოს, მაგრამ კანტი შემდეგ არათანმიმდევრობას იჩენს. იგი წერს: ნაწილობრივ გამოცხადების რელიგიაც კი თავისში უნდა შეიცავდეს ბუნებრივი რელიგიის ცნობილ პრინციპებს. როგორც ვნახეთ, ფიხტე უფრო მკაცრად თიშავდა გამოცხადების რელიგიას ბუნებრივი და გონითი რელიგიებისაგან. საერთოდ კანტი აღნიშნავს, რომ არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია და იუდაიზმი, მაჰმადიანობა, ქრისტიანობა, კათოლიციზმი, ლუთერიანობა მხოლოდ რწმენის სხვადასხვა სახეობებია და არა სხვადასხვა სახის რელიგიები. ამ რწმენის სახეებიდან (რელიგიებიდან) ისევე როგორც ფიხტე, კანტიც მკაცრად აკრიტიკებს იუდაიზმს და ქრისტიანულ რელიგიას მიიჩნევს როგორც მორალურ რელიგიას. კანტი ბუნებრივ და მეცნიერულ რელიგიებს შორის განსხვავებას იმაში ხედავს, რომ, მისი აზრით, ბუნებრივი რელიგიის ჭეშმარიტებებში თითოეულ ადამიანს შეუძლია დარწმუნდეს თავისი საკუთარი გონებით, მეცნიერული რელიგიის ჭეშმარიტებებში კი სხვების დარწმუნება შეიძლება მხოლოდ განსწავლის გზით³⁸. კანტი აღნიშნავს, რომ ქრისტიანული რელიგია, ერთი მხრივ, შეიძლება განვიხილოთ როგორც წმინდა გონების რწმენა (fides Statutaria).

როგორც ესმის კანტს გამოცხადების ცნება? კანტს შემოაქვს გონითი გამოცხადების ცნება. იგი წერს: ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია თავისში არ შეიცავს არაფერს კანონების, ე. ი. უპირობოდ აუცილებელი პრაქტიკული პრინციპების გარდა, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ როგორც გამოცხადება წმინდა გონების გზით (არაემპირიულად). გამოცხადების ცნება-

³⁷ И. Кант. Религия в пределах только разума, стр. LXII. ეს ადგილი მოფიქრანთ კანტის მიერ ამ შრომისათვის დაწერილი წინასიტყვაობის მეორე მონახაზიდან, რომელიც, კ. ფორლენდერის ცნობით, ე. დილთაის აღმოუჩენია კანტის გამოუქვეყნებულ ხელნაწერებში იხ. იქვე, 83. LIJ.

³⁸ И. Кант. Религия... стр. 112, 131, 175—176, 165, 171, 163—164, 12, 161.

ში ფიხტეს ესმოდა ღმერთის როგორც მორალური კანონმდებლის უწყებაზებუნებრივი ზემოქმედების გზით გრძნობად სამყაროში და მის შესაძლებლობას პრობლემატურად მიიჩნევდა. კანტმაც ზებუნებრივის ზემოქმედების შესაძლებლობა ბუნებრივზე პრობლემატურად მიიჩნია, იგი წერს: რელიგიური საიდუმლო (ლაპარაკია სწორედ ზებუნებრივ ქმედებაზე — ა. პ.) მართლაც არსებობს თუ არა ამას a priori ვერ გადაწყვეტთ. ყოველგვარი მატერიის საყოველთაო მიზიდულობის მიზეზიც ჩვენთვის უცნობია და შესაძლოა იგი ვერასოდეს ვერ შევიმეცნოთ, მაგრამ იგი მაინც არაა საიდუმლო, რადგან მიზიდულობის კანონი ყველასათვის ცნობილია. კანტი გონითი გამოცხადების გარდა ყველაფერს ცრუმსახურებას უწოდებს. კანტი უარყოფს უმაღლესს არსებაზე ანტროპომორფისტულ წარმოდგენებს³⁹, მაგრამ რას დაადგენს იგი რელიგიის სფეროში ობიექტურად მნიშვნელად? როგორ ესმის მას გონითი გამოცხადების ცნება? მართლაც შეიძლება განხორციელდეს ჩვენს გონებაში ღმერთის მცნებების რაიმე ობიექტურად მნიშვნელადი უწყება? რელიგიის ფილოსოფიაშიც კანტი საბოლოოდ ღმერთის არსებობასა და სამყაროს მორალურ წყობას ადამიანთა ზნობრივი იდეალებისათვის საპირო სუბიექტურად მნიშვნელად დაშვებად მიიჩნევს. ისევე როგორც ფიხტე, კანტიც ტოვებს ღვთაებრივი გამოცხადების რწმენის შესაძლებლობას. ფიხტესთან ვერ დასაბუთდა რწმენის საყოველთაობა (ფიხტე წერს, რომ კრიტიკიკის არ არსებობის გამო ისღა დაგვრჩენია, რომ ყოველ პატიოსან ადამიანს სიტყვაში ვენდოთ, რომ მას რაღაც სწამს.⁴⁰). ასევე კანტიც მიუთითებს, რომ გამოცხადება ყველა ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს. კანტი საბოლოოდ აღიარებს რომ მხოლოდ სინდისი შეიძლება იყოს რწმენის საქმეში სახელმძღვანელო ძაფი. კანტი აღნიშნავს, რომ სინდისი არის თავის თავის განმსჯელი მორალური მსჯელობის უნარი და რომ საზოგადოების სულიერბა მეთაურებმა (ეკლესიის მსახურებმა) თავიანთი სინდისით უნდა გადაწყვიტონ, მართლაც ასრულებენ თუ არა ღმერთის ნებას, როცა ერტიკოსებს სიკვდილით სჯიან⁴¹.

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ კანტთან ვერც რელიგიის ფილოსოფიის სფეროში გაცვა პასუხი კითხვას, — რისი იმედი შეიძლება მქონდეს მე? კანტმა ვერც ამ სფეროში მოიპოვა რაიმე ობიექტურად მნიშვნელადი. კ. ფორლენდერი სვამს კითხვას: კანტმა განახორციელა თავისი ამოცანა ადამიანური ცნობიერების მეოთხე ძირითადი მიმართულების, — რელიგიის სფეროში, დააფუძნა იგი, თუ მისი რელიგიის ფილოსოფია მისი ეთიკის დამატებაა მხოლოდ? კ. ფორლენდერი საბოლოოდ მიიჩნევს, რომ კანტმა ამ სფეროში ვერ გადაწყვიტა თავისი ამოცანა. კანტის ფილოსოფიაში წამოჭრილ ზემოაღნიშნული სიძნელეების გადაჭრას II პერიოდში ფიხტე შეეცდება „მეცნიერებათმოდერებაში“. მაგრამ ამ შრომის შექმნამდე (1794 წ.) ფიხტე აქვეყნებს ორ შრომას სამართლის ფილოსოფიის საკითხებზე, რომელიც კვლავ მის კანტიანურ პერიოდს განეკუთვნება. ესენია 1) „ვერობის მმართველობისაგან აზრის თავისუფლების უკანდაბრუნების მოთხოვნა, რომელსაც ისინი აქამდე თრგუნავენ (1792 წ.) და 2) „საფრანგეთის რევოლუციის შე-

³⁹ И. Кант. Религия... стр. 172, 145—146, 176—177, 148—150.

⁴⁰ I. G. Fichte. Werke. B. I. S. 124.

⁴¹ И. Кант. Религия..., стр. 109, 196—198.

სახებ საზოგადოებრივი აზრის გასწორება“ (1793 წ.). ორივე შრომაში ფიხტეკანტის პრაქტიკული ფილოსოფიის პრინციპებზე დაყრდნობით ასახულებს რომ აზრის თავისუფლება ისეთი ფენომენია, რომლის გაუცხოება პრინციპულად დაუშვებელია და რომ ქვეშეპირი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება არ უნდა თრგუნავდეს მას (თავისი შრომა სამართლის ფილოსოფიის სფეროში კანტმა გამოაქვეყნა 1797 წელს). „მეცნიერებათმოდღერების“ შემქმნით მოხდა კანტისა და ფიხტეს თვალსაზრისთა სრული გათიშვა, ხოლო რაც შეეხება კანტის შრომას რელიგიის ფილოსოფიის საკითხებზე, კ. ფორლენდერი აღნიშნავს, რომ ფიხტეს იგი სიხარულით წაუკითხავს⁴².

დასკვნა. ფიხტესა და კანტის მიერ რელიგიის ფილოსოფიური პრობლემის დაიშვებით კიდევ უფრო მეტად გამომკლავნდა კანტის ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობა. რელიგიის სფეროშიც კი, ერთი მხრივ, ადამიანი სრულიად ავტონომიური, გარეგანს დაუქვემდებარებელი აღმოჩნდა და, მეორეს მხრივ, — თავის თავში ჩაკეტილი, თავისი სუბიექტური წარმოდგენების ამარა და როგორც სასრულო, — ისევე გარეგნისკენ ამო იმედებით მიმართული (პრაქტიკული გონების პოსტულატების დაშვების აუცილებლობა კანტთან და ფიხტესთან სწორედ სუბიექტის მიმართებას წარმოადგენს გარეგანისაკენ), სკეპტიციზმის ტყვეობაში მყოფი. ეს წინააღმდეგობა გადაჭრას მოითხოვდა; სკეპტიციზმი უნდა დაძლეულიყო. შესაძლებელი იყო ორი გზა: ან დასაბუთებულ უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანი სავსებით თავის თავზე სდგას და, ამდენად, უნდა მომხდარიყო მე-ს აბსოლუტად წარმოადგენა. ანდა, პირიქით, დასაბუთებულ უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანი მთლიანად გარეგანით არის განსაზღვრული. კანტთან იყო ორივე მხარე, მაგრამ უფრო მეტად პირველი და, ამიტომაც, ლოგიკური იყო კანტის ფილოსოფიის საფუძველზე ფიხტეს მეცნიერებათმოდღერების ამოზრდა, სადაც განხორციელდა სწორედ მე-ს აბსოლუტად წარმოდგენა. კ. ფიშერი ფიხტეს უკვე განხილულ „გამოცხადების კრიტიკაში“ ხედავს „მეცნიერებათმოდღერების“ მომავალ შემქმნელს. იგი წერს: (ფიხტესთან) ადამიანური გონების მოთხოვნილება სწყვეტს გამოცხადების წარმოშობის, შინაარსისა და ფორმის საკითხს. თუ ჩვენ გონების ამ მოთხოვნილებას განვიხილავთ როგორც რაღაც მე-ში ჩადებულს, მაშინ „ყოველგვარი გამოცხადების კრიტიკის ცდაში“ ჩვენ უკვე ვხედავთ „მეცნიერებათმოდღერების“ მომავალ შემქმნელს⁴³. მართლაც, როგორც ვნახეთ, ფიხტეს უკვე ამ შრომაში ეპვის ქვეშ იყო დაყენებული ყოველგვარი ტრანსცენდენტურის არსებობა და მის მიერ სუბიექტის განმსაზღვრელობა. ეს კი უკვე ნიშნავს პირველი ნაბიჯის გადადგმას მე-ს გააბსოლუტებისაკენ მიმავალ გზაზე, ან, სხვა სიტყვებით, ფიხტეს დებულებას: „ჩვენი გონება წყვეტს გონებად ყოფნას, თუ დაუშვებთ, რომ რაღაც სხვა უბრძანებს მას საკუთარი თავის გარდა“⁴⁴. — განხორციელების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

⁴² И. Кант. Религия..., стр. XXVII, XXXII, XXXIX.

⁴³ К. Фишер. Ист. нов. филос., т. 6, стр. 248.

⁴⁴ I. G. Fichte. Werke, B. I., стр. 21.



В. В. ЖВАНИЯ

К КРИТИКЕ ФИЛОСОФСКИХ ИНТЕРПРЕТАЦИЙ ТЕОРИИ
ОТНОСИТЕЛЬНОСТИ

Теория относительности Эйнштейна оказала большое влияние на развитие научной мысли. Она по-новому решила целый ряд проблем пространственно-временной структуры мира. Именно поэтому с момента своего возникновения она находится в центре внимания философов. Одной из важнейших задач, стоящих перед философской наукой, является философская интерпретация теории относительности. История существования теории относительности убедительным образом подтвердила это: теория Эйнштейна получила философское истолкование как с позиций материализма, так и идеализма.

Центральное место во всех истолкованиях теории относительности занимала и сейчас занимает проблема соотношения абсолютного и относительного. Уже в 1908 году, задолго до возникновения общей теории относительности, Г. Минковским была создана концепция абсолютного мира. Эта первая, своеобразная интерпретация теории относительности послужила поводом для дальнейших философских истолкований учения Эйнштейна. Стали возникать самые различные, часто противоположные друг другу интерпретации теории относительности. В острой полемике, развернувшейся между ними в разное время, принимали участие такие ученые с мировым именем, какими были Г. Минковский, М. Планк, С. А. Александер, Г. Рейхенбах, А. Эдингтон, М. Борн, Д. Бом и др. Борьба между различными концепциями со временем не только не утихла, а наоборот, принимала все более острый характер. Она и сегодня интенсивно ведется как в физической, так и в философской литературе.

Все философские интерпретации теории относительности сводятся, в конечном итоге, к одной из двух взаимоисключающих интерпретаций эйнштейновского учения. Одна группа интерпретаторов отдает предпочтение относительному и считает его основным понятием, фундаментом теории относительности. Другая группа, наоборот, таким фундаментальным понятием считает абсолютное. Мы будем в дальнейшем (разумеется, условно) называть представителей первой группы релятивистами, а второй — антирелятивистами. Соответственно этому будем рассматривать релятивистские и антирелятивистские философские интерпретации теории относительности.

Сам Эйнштейн не дает никакой философской интерпретации своей теории пространства и времени. Однако анализ его научной прозы приводит нас к заключению, что он совершенно сознательно склонялся именно к релятивистской интерпретации теории относительности. Известно, например, что Эйнштейн не скрывал своего расхождения с позицией М. Планка — последовательного защитника антирелятивистской интерпретации. М. Планк во всем искал абсолютное, считая его основным понятием научной мысли вообще и теории относительности в частности. По этому поводу в беседе с Бернардом Козном Эйнштейн говорил: «Планк был религиозным человеком и всегда пытался ввести абсолюты даже на основе теории относительности» (7, стр. 53). Следовательно, Эйнштейн не разделял точку зрения М. Планка и его попыски абсолютного объяснял религиозными мотивами.

Кроме того, само название теории относительности (хотя Эйнштейн не считал его совсем удачным) указывает на то, что творец этой теории проявлял, по крайней мере, определенные симпатии именно к релятивистской ее интерпретации. Однако, несмотря на это, Эйнштейн никогда открыто не вмешивался в ожесточенную полемику между релятивистами и антирелятивистами.

Совершенно иначе обстоит дело у тех сторонников релятивистской интерпретации теории относительности, которых мы условно назовем представителями «школы Эйнштейна». Эти исследователи не только не скрывают свои релятивистские позиции, но и умышленно подчеркивают их. Они стремятся наиболее выпукло показать роль относительного в физической теории пространства и времени.

Среди представителей «эйнштейновской школы» особо следует назвать имя М. Борна, утверждающего относительность всех основных понятий науки. М. Борн считает, что в современной эпохе «общей чертой науки стал принцип сведения к относительному» (6, стр. 13). Этот принцип, по его мнению, играет роль «ведущего принципа» в теории относительности Эйнштейна. Основной недостаток специальной теории относительности М. Борн усматривает в том, что она еще пользуется понятием абсолютного. По его мнению, научная теория только тогда становится совершенной, когда из нее полностью изгнано абсолютное. Поэтому М. Борн пытается доказать, что общая теория относительности ведет к освобождению от понятия абсолютного и завершает путь релятивизации, начатый в специальной теории относительности.

М. Борн прав в том, что общая теория относительности, завершая процесс релятивизации основных физических понятий, начатый специальной теорией относительности, сумела доказать относительный характер не только понятий пространства и времени в отдельности, но и их универсальной связи — пространства-времени. Однако вместе с этим он допускает ошибку, когда удовлетворяется исследованием только лишь роли относительного. Считая относительное сущностью теории Эйнштейна, он совершенно упускает из виду абсолютное. Это, в свою очередь, придает половинчатый, метафизический характер всей его философской интерпретации.

Господство относительного в теории Эйнштейна, кроме М. Борна, признают и многие другие исследователи. В качестве примера можно привести слова известного финского математика Р. Неванлинны: «Понятие **относительности**, — пишет он, — действительно стоит на переднем плане теории Эйнштейна, одновременно дающей весьма точно очерченное и резко дифференцированное теоретическое построение физической картины мира» (9, стр. 10). В книге Неванлинны сделана оригинальная попытка доказать примат относительного не только в теории относительности, но и в других областях физической науки.

В наиболее выраженном виде релятивистская концепция пространства и времени представлена в современном позитивизме. По своей сущности, по своему духу позитивизм направлен против признания абсолютного, в какой бы форме оно не появлялось. Поэтому не следует удивляться, что представители современного позитивизма чрезвычайно заинтересованы теорией относительности. В учении Эйнштейна они усматривают осуществление своих идеалов. Следовательно, философская интерпретация теории относительности должна играть (и на самом деле играет) большую роль в позитивизме, как философском течении в целом.

Самым крупным специалистом в области философии естествознания среди современных позитивистов до сих пор считается Г. Рейхенбах. Проблему соотношения абсолютного и относительного в теории относительности Рейхенбах нигде специально не разбирает. Однако, излагая новое учение о пространстве и времени, он неизменно делает упор на относительное, пренебрегая абсолютным, т. е. фактически дает релятивистскую интерпретацию теории относительности. Рейхенбах не отказывается полностью от понятия абсолютного в процессе изложения эйнштейновского учения, но придает ему второстепенное значение, считая относительное сущностью теории Эйнштейна о пространстве, времени и движении.

Отрицательное отношение Рейхенбаха к понятию абсолютного подтверждается в процессе изучения его взглядов на одновременность событий, движение, сущность пространства-времени и т. д. После такого анализа релятивистские позиции Рейхенбаха не вызывают уже никакого сомнения.

Ограниченный объем статьи вынуждает нас удовлетвориться теми несколькими замечаниями, которые мы высказали относительно концепции этого видного представителя позитивистской философии¹.

მეტყველების ობიექტივაცია ნიშნავს მეტყველების როგორც ოქმის პროცესის ობიექტად გადაქცევას, იმ მიზნით, რომ დადგინდეს სხვაობა ამ პროცესსა და იმ საგნობრივ სინამდვილეს შორის, რომელიც მეტყველებაშია ასახული. მოსიავა და ხოჯავა, რომელთაც ეკუთვნის ამ პრობლემის გამოკვლევა, უთითებენ თუ რა მნიშვნელობა აქვს მეტყველების ობიექტივაციის კვლევას წერა-კითხვის სწავლების დაწყებისათვის. ჩვეულებრივ ფიქრობენ: მოსწავლე რომ მომზადდეს წერა-კითხვის დაწყებისათვის, საჭიროა მისი მეტყველების განვითარებაზე მუშაობა. ამისათვის კი ბავშვებს ასწავლიან ლექსებს, მოთხრობებს და სხვა. მაგრამ ეს არა კმარა. მართალია, ასეთი ვარჯიში ამდიდრებს ბავშვის ლექსიკურ მარაგს, მაგრამ ხელს არ უწყობს ფონემატიკური სმენის განვითარებას. ამისათვის სწორედ მეტყველების ობიექტივაციაში ვარჯიშია საჭირო, რაც წერა-კითხვის წარმატებით დაწყების ერთ-ერთ საფეხურადაა მიჩნეული.

მოსწავლე განწყობისეული მოქმედების პლანში თავისუფლად მეტყველებს. მეტყველების პრაქტიკული გამოყენებისას იგი განვითარების მაღალ დონეზე დგას. მაგრამ წერა-კითხვის დასაწყისი საფეხური მეტყველების განწყობისეული მოქმედების პლანში არ შეიქმნება (ა. ფრანგიშვილი, მოსიავა და სხვ.). ამისათვის აუცილებელია თვით მეტყველების დაკვირვების ობიექტად დასახვა. მაგრამ როდის, რომელ ასაკში შეუძლია ბავშვს მეტყველების ობიექტივაცია? — ამ საკითხის გარკვევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიისათვის, რადგანაც სწორედ ამ უნარის მომწიფებაზეა დამოკიდებული წერა-კითხვის სწავლების დაწყება.

ადრეული გამოკვლევების მიხედვით (უზნაძე, მოსიავა, კეყერაძე) ობიექტივაციის უნარი საკმაოდ ადრე, 5 წლის ასაკშიც იჩენს თავს, მაგრამ იგი ძირითადად იმ საგნებზე და მოვლენებზეა მიმართული, რომლებიც უშუალოდ „აღქმის ველშია“ მოცემული; 7 წლის ასაკიდან კი მისი მოქმედების სფერო თვალსაჩინოების ფარგლებს შორდება და წარმოსახულ სიტუაციაშიც იწყებს მოქმედებას. ამის გამო, დასახელებულ ავტორებს სწორედ 7 წლის ასაკი მიაჩნდათ სასკოლო სწავლების დასაწყისის ასაკად.

მეტყველების ობიექტივაციის პრობლემა და საერთოდ წერა-კითხვის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები ფართოდ აქვს ნაკვლევი ა. მოსიავას 40-იანი წლების პირველ ნახევარში, შედეგები კი გამოქვეყნდა 1948 წელს, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომებში. მოსიავას მიერ ამ საკითხებზე მუშაობის დროს, ბევრი მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი იქნა დადგენილი, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს წერა-კითხვის სწავლებაში. საკუთარი გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით, 1955 წელს მოსიავასა და ხოჯავას მი-

ერ შედგენილი იქნა დედა-ენის სახელმძღვანელო, რომელსაც, სამწუხაროდ, ფართო პრაქტიკული შემოწმება არ გაუვლია, თუმცა არც მთლად უყურადღებოთ დარჩენილა. მასში მოცემულმა მითითებებმა თავისებური ასახვა ჰპოვა დედა-ენის იმ სახელმძღვანელოში, რომელიც უკანასკნელ წლებში გამოუშვა პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ და რომლითაც სწავლობს რესპუბლიკის სკოლების ნაწილი. მაგრამ ა. მისიავას მიერ ისეთი დასკვნებიც იქნა გაკეთებული, რაც ძნელად გასაზიარებელია. მაგ. მან დაადგინა, რომ „როგორც სკოლამდელი, ისევე სასკოლო სწავლების დაწყების პირველ ხანებში ბავშვებს არ შეუძლიათ სიტყვის ობიექტივაცია მოახდინონ იმისათვის, რომ მან სიტყვის დასახელება და მასზე მსჯელობა მოახდინოს, აუცილებელია განვითარების მაღალი საფეხური და განსაკუთრებით სწავლა“. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ სკოლამდელ ასაკში (მაშინდელი 6 წელი) ბავშვები არ არიან მზად წერა-კითხვის დაწყებისათვის.

თანამედროვე გამოკვლევები და ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების პრაქტიკა კი სულ სხვას გვეუბნება. ექვსწლიანი ბავშვები წარმატებით ახერხებენ იმ მასალის ობიექტივაციას, რომელიც მოსამზადებელი კლასის დედა-ენის სახელმძღვანელოებშია მოცემული. და არა მარტო ექვსი, არამედ ხუთწლიანებიც კი ახერხებენ, სწორი ორგანიზაციის პირობებში, მეტყველებსა და მეტყველების ნაწილების ობიექტივაციას (კარბაული, კარპოვა). მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმასაც თუ რამდენად სრული იქნება ორიენტაცია მეტყველებით სინამდვილეში. მეტყველებით სინამდვილეში ორიენტაციას კი მაშინ ექნება სრული სახე, როდესაც ბავშვებს შეეძლებათ ყველა კატეგორიის სიტყვების გამოყოფა — ობიექტივაცია. ამისათვის კი სპეციალური, ორგანიზაციული მუშაობის ჩატარებაა საჭირო, როგორც ამას კარპოვა ამტკიცებს. კარპოვას ადრე ჩატარებული ცდები გვიჩვენებენ, რომ წინადადებებიდან სიტყვის გამოყოფის პროცესი, ამ პროცესის სტიქიურად მიმდინარეობის დროს, ძალიან ვაგრძობელია და მოიცავს არა მარტო სკოლამდელ, არამედ უმცროსი სასკოლო ასაკის პერიოდსაც. ამ შემთხვევაში ბავშვები ორიენტირებენ არა მეტყველებით სინამდვილეზე, არამედ მეტყველებით აღნიშნულ შინაარსებზე მაშინაც კი, როცა სისტემატური სასკოლო სწავლება დაწყებულია. სულ სხვა სურათს ვღებულობთ მაშინ, როცა სწავლების პროცესი მტკიცედ ორგანიზებულ პირობებში მიმდინარეობს. ასეთი ორგანიზაციის საშუალებას იძლევა, კარპოვას აზრით, გალპერინის მეთოდი, რომელიც „გონებრივი მოქმედების ეტაპური ფორმირების“ ჰიპოთეზის სახელით არის ცნობილი. ამ ჰიპოთეზის არსს წარმოადგენს ის, რომ ფსიქიკური მოქმედება გაგებულია, როგორც გარეგანი, საგნობრივი მოქმედების ფსიქიკური ასახვა. ეს თავისთავად ნოითხოვს, რომ ყოველი ახალი გონებრივი მოქმედების ჩამოყალიბება დაიწყოს მისი გარეგანი, საგნობრივი დონიდან და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მატერიალიზებული დონიდან, რომელიც ეყრდნობა ობიექტების არსებითი თვისებების მატერიალიზებულ გამოსახულებებს. ამავე დროს გონებრივი მოქმედების სრულფასოვნად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია იმ ეტაპებისა და პარამეტრების დაცვა, რომელსაც გალპერინი იძლევა (იხ. გალპერინის შრომები). კარპოვა სიტყვების მატერიალიზაციას ახდენდა კვადრატებისა ან პლასტილინის საშუალებით და ზუსტად აძლევდა იმ კრიტერიუმებს, რომელთა დაცვა მოქმედების წარმატებით შესრულებას უზ-

რუნველყოფდა. ასეთ პირობებში და გონებრივი მოქმედების ჩამოყალიბების ეტაპების სრული დაცვით, სიტყვების გამოყოფას ახერხებდა არა ექვსი, არამედ 4.2 წლის ბავშვებიც კი. ამავე დროს მეტყველებით სინამდვილეში ორიენტაცია ატარებდა სრულ სახეს, რამდენადაც ამ ასაკის ბავშვები ახერხებდნენ სხვადასხვა კატეგორიის სიტყვების ობიექტივაციას¹.

როცა წინასწარ არ ხდებოდა მეტყველებით სინამდვილეში სრული ორიენტაციისათვის საფუძვლების შექმნა, მაშინ შესაძლებელია თუ არა ამის მიღწევა თვითონ ბავშვების მიერ? ამისათვის შევეამოწმეთ მოსამზადებელი კლასის მოსწავლეები წინასაანბნაო პერიოდის გავლის შემდეგ. ამ ბავშვების ვარჯიში, ამ პერიოდში, ძირითადად ხდებოდა ზმნებისა და არსებითი სახელების აღმნიშვნელი სიტყვების ობიექტივაციაზე. ჩვენ კი საობიექტივაციო სიტყვებად ისეთი სიტყვებიც შევიტანეთ, რომელთაც ბავშვებს განვლილ პერიოდში საქმე არ ჰქონიათ. ასეთები იყო მაგ. გარემოებისა და კავშირის აღმნიშვნელი სიტყვები: „სანამ“, „როცა“ და „და“. ცდებს ვატარებდით ინდივიდუალური წესით. ც.პირს ევალებოდა გამოეყო წინადადებებიდან სიტყვები, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სიტყვებიც იყო ჩართული. მაგ. „სანამ დედა მოვა“, „როცა მამა წავა“, „სკამი და მაგიდა დგას“ და ა. შ. გარდა ამისა, იმავე ცდის პირებს ევალებოდათ მოეხდინათ სიტყვებიდან ბგერების ობიექტივაცია და ბგერებიდან სიტყვეების შედგენა. ქვემოთ მოტანილია ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენი ც. პირი მონაწილეობდა და რა შედეგები იქნა მიღებული.

წინასაანბნაო მასალის ობიექტივაციაზე ჩატარებული ცდების შედეგები

ცხრილი 1

	არსებითი სახელისა და ზმნის აღმნიშვნელი სიტყვების ობიექტივაციის მაჩვენებლები	კავშირების აღმნიშვნელი სიტყვების ობიექტივაციის მაჩვენებლები	კავშირის აღმნიშვნელი სიტყვის ობიექტივაციის მაჩვენებლები	სიტყვებიდან ბგერების ობიექტივაციის მაჩვენებლები	ბგერებიდან სიტყვების შედგენის მაჩვენებლები
	60 ც. პ.	40 ც. პ.	40 ც. პ.	60 ც. პ.	60 ც. პ.
დადებითი პასუხები	53 ც. პ. 88,3 %	26 ც. პ. 65 %	9 ც. პ. 22,5 %	45 ც. პ. 75 %	75 ც. პ. 78,3 %
უარყოფითი პასუხები	7 ც. პ. 11,7 %	14 35%	31 ც. პ. 77,5 %	15 ც. პ. 25 %	13 ც. პ. 21,6 %

როგორც ცხრილიდან (1) სჩანს, არსებით სახელებისა და ზმნის აღმნიშვნელი სიტყვების ობიექტივაცია არავითარ სიმძნელეს არ წარმოადგენს მოსამზადებელი ასაკის ბავშვებისათვის. მხოლოდ 7 ც.პირი ვერ ახერხებს ამას. ისინი სიტყვების მაგივრად ან ბგერებს ასახელებენ ან საერთოდ ვერაფერს აკეთებენ.

გარემოების აღმნიშვნელი სიტყვების ობიექტივაციის მაჩვენებლები მართალია საკმაოდ მაღალია (65%), მაგრამ შედარებით ნაკლებია არსებითი და ზმნის აღმნიშვნელი სიტყვების ობიექტივაციის მაჩვენებლებზე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ აქ ისეთი შედეგებიც არის გაერთიანებული, რომლებიც დახმარების გზითაა მიღწეული. (დახმარების სახით ჩვენ

¹ კარპოვასთან მხოლოდ სიტყვების ობიექტივაცია ხდებოდა. რაც შეეხება მეტყველების ობიექტივაციას, ზემოთ მოცემული გაგებით, მის ცდებში ადგილი არ ჰქონდა.

წინადადებას ვიმეორებდით და უფრო გამოკვეთილად ვეუბნებოდით გამოსაყოფ სიტყვებს). ასეთ შემთხვევათა რაოდენობა 12,3%-ს უდრის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საობიექტივაციო სიტყვები წინადადების დასაწყისში იყო მოთავსებული, — ეს კი, როგორც ვიცით, მნიშვნელოვანი ფაქტორია ობიექტივაციის მოსახდენად.

კიდევ უფრო დაბალია კავშირის სიტყვის ობიექტივაციის მაჩვენებლები. როგორც ცხრილიდან სჩანს, რომ 40 ც. პირიდან მხოლოდ 9 ც. პირი ახერხებს ამას. ეს კი ძალიან დაბალი მაჩვენებელია (22,5%) — ც. პირები, რომლებიც ვერ ახერხებენ ამ სიტყვის ობიექტივაციას, ან გამოტოვებენ საერთოდ მას, ან წინ მდგომ სიტყვას აკუთვნებენ და ერთ სიტყვად ასახელებენ.

აქედან შეიძლება ვუპასუხოთ ზემოთ დასმულ კითხვას, რომ მეტყველებით სინამდვილეში სრული ორიენტაციის შექმნა, წინასწარ ორგანიზაციული მუშაობის ჩატარებისა და სწავლების გარეშე, შეზღუდული ხასიათისაა.

რაც შეეხება სიტყვებიდან ბგერების გამოყოფას და ბგერებიდან სიტყვების შედგენას, მოსამზადებელი კლასის ბავშვებისათვის ძირითადად მისაწვდომია, მაგრამ მაინც ყურადღების მიქცევის ღირსია, რადგანაც უარყოფითი შედეგებიც არც თუ უმნიშვნელო რაოდენობებს წარმოადგენენ. თუ იმ შეცდომებს გავაანალიზებთ, როლებსაც ბავშვები უშვებენ, დავინახავთ რომ შეცდომის დამშვებ ბავშვებს ჯერ კიდევ არ აქვთ განვითარებული სიტყვებისა და სიტყვებში აღნიშნული მნიშვნელობების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღქმის უნარი და ისინი სიტყვებს ისე განიცდიან, როგორც რეალურ საგნებსა და მოვლენებს მაგ., 9 ც. პირი იმ 15 ც. პირიდან, რომლებიც ვერ ახერხებენ ბგერების ობიექტივაციას, კითხვაზე: რამდენი ბგერაა სიტყვაში მაგ., თავი, მერხი და ა. შ. პასუხობენ „ერთი“. აქვე გვხვდება სიტყვების მარცვლებად დაყოფას შემთხვევები (4 ც. პირი) და ისეთი შემთხვევები (2 ც. პირი), რომლებიც რომელიმე ბგერას გამოტოვებენ (ამ შემთხვევაში, ხმოვან ბგერებს).

ბგერებიდან სიტყვების შედგენის შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი მაღალია, მაგრამ საინტერესოა ის შეცდომებიც, რომლებსაც აქაც ვხვდებით. 13 ცდისპირიდან, რომლებიც შეცდომით აკეთებენ დავალებას. 9 ც. პირი ისეთ სიტყვებს ადგენს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შესადგენ სიტყვასთან. მაგ. უნდა მიიღოს უ-თ-ო, ამბობს „ოთახი“; ვეუბნები „აშული“, ამბობს „თეზი“, „ხ-ე-რ-ბ-ი, პასუხი — ხ-ა-რ-ი. 4 ც. პირი კი საერთოდ ვერაფერს აკეთებს და რაიმეს თქმას ისევ დუმილს ამჯობინებს.

რას გვიჩვენებენ ზემოთ მოყვანილი ფაქტები? — იმას, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინტელექტუალური შესაძლებლობების არსებობა, მეტყველებით სინამდვილეში ორიენტაციისა, ეკვიპოტანელი ფაქტია. რას უნდა მივაწეროთ ეს ფაქტი: ინტელექტის სფეროში მომხდარ აქცელერაციას თუ იმას, რომ ეს საკითხი თავის დროზე საკმაო სიუხვით არ იყო შესწავლილი? პროფ. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ერთსაც და მეორესაც. ინტელექტის სფეროში მომხდარი აქცელერაცია უკვე ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს და მას ობიექტივაციის შესაძლებლობებშიც უნდა პქონდეს ადგილი; რამდენადაც ობიექტივაციის უნარი გონებრივ შესაძლებლობათა განვითარების ყველაზე ნიშანდობლივი მაჩვენებელია, განსაკუთრებით კი — განვითარების ადრინდელ საფეხურზე. 1965 წლის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში „ქვე-

ვის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობათა ობიექტივაცია და მისი მართვის გზები სკოლამდელ ასაკში“ პროფ. შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავდა: არც მოსიავს ექსპერიმენტები იძლევიან ექვსწლიანების მეტყველების ობიექტივაციის გამორკვევის ზუსტ საშუალებას. „მეტყველება — ამბობს ჩხარტიშვილი — ქცევის საშუალებათა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს. მან რომ თავისი ფუნქცია შეასრულოს, ყოველთვის არაა აუცილებელი მისი ობიექტივაცია მოხდეს. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ქცევა რომ განხორციელდეს, მისი ობიექტივაცია აუცილებელია“. ამის მაგალითად მოჰყავს პატარა გოგონას შემთხვევა, რომელსაც პიანინოს ამწყობი თხოვს არ ილაპარაკოს, რადგანაც მისი ლაპარაკი ხელს შეუშლის პიანინოს აწყობაში. გოგონა კი იმის მაგივრად რომ გაჩუმდეს, პირიქით ლაპარაკობს იმაზე, რომ ის კარგი გოგონა და არ დაილაპარაკებს, რათა ძიას ხელი არ შეუშალოს. აქ ნათლად სჩანს, რომ ამ ასაკის ბავშვი (გოგონა 4 წლისაა) მეტყველებას ყურადღებას არ აქცევს.

შეიძლება ითქვას, რომ სკოლამდელი გარემო, თავისი ბუნებრივი მიმდინარეობით, არ უყენებს ბავშვს მეტყველების ობიექტივაციის ამოცანას.

სკოლაში მოსვლისას კი სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ბავშვს ახლა ხშირად უხდება ყურადღების მიქცევა თვითონ მეტყველებისა და მეტყველებით ნაწილების ობიექტივაციაზე ვარჯიში წერა-კითხვის სწავლების დაწყების ერთ-ერთ აუცილებელ ეტაპადაა მიჩნეული. როცა სკოლამდელ გარემოზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს 5-6 წელი, უფრო დაბალ ასაკში კი, როგორც ამას კარპოვა ამბობს, ბავშვი ადრე დგება მეტყველების ბგერით მხარეზე ორიენტაციის ამოცანის წინაშე, კერძოდ კი მეტყველებითი მოქმედების პროცესში. მაგრამ ფორმალური ელემენტების შეთვისების შემდეგ, მათზე ორიენტაცია ქრება. კარგად შეთვისებული ელემენტების გამოყენება ავტომატიზირდება და რამდენადაც მათზე ორიენტაცია საჭირო აღარაა პრაქტიკული ურთიერთობების პირობებით, მათი ვაცნობიერება წყდება. პრაქტიკული ურთიერთობების პირობები ბავშვს აყენებს მეტყველებით აღნიშნული შინაარსების ორიენტაციაზე და ეს ორიენტაცია ყოველთვის მიმართულია სემანტიკაზე. ამავე აზრისაა პროფ. შ. ჩხარტიშვილი. და სწორედ მეტყველების ეს თავისებურება არ იყო გათვალისწინებული ადრინდელ გამოკვლევებში და მათ შორის არც ა. მოსიავს ექსპერიმენტებში. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ზრდადასრულებული ადამიანებიც იშვიათად ახდენენ მეტყველების ობიექტივაციას. მაშინაც კი, როცა კითხვაზე „რას აკეთებდით?“ ვპასუხობთ: „ვსაუბრობდითო“, აქაც ხშირად ის შთაბეჭდილებები და შინაარსები გვაქვს მხედველობაში, რომლებიც ჩვენი მეტყველების შინაარსს შეადგენს და არა თვითონ ჩვენი მეტყველების ფაქტი. მეტყველება ყოველთვის რაღაც ობიექტზეა მიმართული. მეტყველების ქცევის სუბიექტივაცია ყოველთვის ამ ობიექტისკენაა მიმართული. მას არ სჭირდება თვითონ თქმის ფაქტს მიაქციოს ყურადღება, თუ მეტყველების რაიმე გართულებულ მოვლენასთან არ ექნება სქამე. თვითონ მეტყველების ფაქტი რომ ვაქციოთ დაკვირვების საგნად, საჭიროა მეტყველების ობიექტისაგან აბსტრაქცია მოვახდინოთ და ყურადღება მეტყველების ობიექტიდან თვითონ მეტყველების აქტზე გადავიტანოთ. ეს კი ჩვენი ყოველდღიური განწყობის შეცვლას მოითხოვს, რისთვისაც უფრო მეტი ღონისძიებაა საჭირო, ვიდრე ეს იყო გამოყენებული ა. მოსიავს ცდებში. „ხშირია შემთხვევა — ამბობს პროფ. შ. ჩხარტიშვილი — როცა ჩვენ სრულიად მარტივ ამოცანასაც ვერ ვწყვეტთ, როცა იგი ჩვენთვის

ჩვეული განწყობილებიდან სულ სხვა მიმართულებით მოქმედ განწყობაში გადართვას მოითხოვს“. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს შემთხვევა, როცა ექვსი ასანთის ღერისაგან ვერ ვახერხებთ ოთხი საშუთხედის გაკეთებას, როცა ამ ამოცანის გადაწყვეტას ორგანოზომილებიან სიბრტყეში მოქმედების ჩვეული განწყობით ვცდილობთ.

როცა ა. მოსიავა მეტყველების ობიექტივაციის შესაძლებლობებზე, (სკოლამდელ ასაკში) დასკვნას აკეთებდა, მას საკუთარი გამოკვლევების გარდა, სხვა ავტორთა გამოკვლევებიც ჰქონდა გამოყენებული. კერძოდ კი პიაჟეს, კოვკას, ვიგოტსკისა და სხვების. მაგრამ ამ ავტორთა გამოკვლევები სულ სხვა საკითხს შეეხება, და მათ მიერ ნაკვლევი პრობლემა უფრო ფართოა, ვიდრე ესაა მეტყველების ობიექტივაცია. ამის დასამტკიცებლად განვიხილოთ ამ ავტორთა გამოკვლევები. როგორც თვითონ ეს ავტორები მიუთითებენ, მათ აინტერესებდათ სიტყვისა და მნიშვნელობის დამოკიდებულების ცვლილების შესწავლა გენეტიკური განვითარების გზაზე. აღნიშნულმა ავტორებმა დაადგინეს, რომ სკოლისწინარე პერიოდში სიტყვებში მყარი, კონკრეტულ-საგანობრივი მნიშვნელობა მიიღწევა. იმდენად მყარი და მტკიცე, რომ ბავშვები ვეღარ ახერხებენ მათ შეცვლას სხვა ახალი სახელით. მაგ. პიაჟე ცდებს ატარებდა კლინიკური მეთოდით. კითხვაზე: „შეიძლება თუ არა მთა იურას „სალევი“ ვუწოდოთ და პირიქით?“ 7-წლიანი ბავშვის პასუხი უარყოფითია: „იმიტომ, რომ ისინი ერთი და იგივე არაა“. მეორე კითხვაზე: „შეიძლება თუ არა მზეს მივცეთ მეორე სახელი“, 9-წლიანი ბავშვი პასუხობს, რომ ეს არ შეიძლება, 6,6 წლიანი ბავშვი კი ამბობს, რომ ეს მხოლოდ ღმერთს შეუძლია. მაგრამ შემდეგ კითხვაზე იქნება თუ არა ეს სამართლიანი, სწორი, ის პასუხობს, რომ არ იქნება სწორი, რადგანაც მზეს მზე უნდა ერქვას და მთვარეს მთვარეო. კოვკას მიერ პიაჟეს ცდების განმეორების დროს, ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული, რის საფუძველზეც გააკეთა დასკვნა, რომ სახელი თვითონ საგანში იმყოფება და თვითონ საგანი გვეუბნება, თუ როგორ უნდა იწოდებოდნენ ისინო.

ვიგოტსკიც ოზიარებს აზრს სიტყვის მნიშვნელობის განვითარების შესახებ. მნიშვნელობა ბავშვის განვითარების მსგეულობაში იცვლება და ამასთან ერთად იცვლება აზრის სიტყვასთან დამოკიდებულებაც. პირველად, ბავშვთან ვხვდებით სიტყვეური ფორმის და სიტყვიერი მნიშვნელობის გაუცნობიერებისა და არადიფერენცირების ფაქტს. სიტყვა და მისი ბგერითი აგებულება ბავშვის მიერ აღიქმება, როგორც საგნის ნაწილი ან მისი თვისება, რომელიც განუშორებელია მისი სხვა თვისებებისაგან.

როგორც ვხედავთ ვიგოტსკიც, პიაჟესა და კოვკას მსგავსად, სახელს საგნის თვისებად აცხადებს და ასეთ დასკვნას საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე აკეთებს, რომლებიც პიაჟესა და კოვკას ცდების ანალოგიური. ვიგოტსკიმ უჩვენა, თუ რა ძნელია ერთი სახელის მეორით შეცვლა. ან ერთი სახელის მეორე საგანზე გადატანა და თუ ამას მაინც მოახერხებს ბავშვი, მაშინ სახელს საგნის თვისებებიც გადაჰყვება და ეს მეორე საგანი გახდება პირველის თვისებების მატარებელი. მაგ., ბავშვს ავალებენ ძაღლს დაარქვას ძროხა და ძროხას ძაღლი. ვინც ამას მოახერხებს, ძაღლს ნამდვილ ძროხად განიცდის და როდესაც ეკითხებიან, როგორ შეიძლება ეს. პასუხობენ: „ძაღლს, რომელსაც ძროხა ჰქვია, პატარა რქები მაინც უნდა ჰქონდესო“.

რა შეიძლება ამ ექსპერიმენტების შესახებ ითქვას? პირველ რიგში ის, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვისა და მნიშვნელობის ცვლილების ბუნების გასაგებად ონტოგენეტური განვითარების გზაზე, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ მარტო შეტყველების ობიექტივაციის პრობლემის კვლევას. აქ სხვა პრობლემის კვლევა გვაქვს, კერძოდ — მნიშვნელობის შეცვლის პრობლემისა. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა კი რთულ პრობლემას წარმოადგენს და ამისათვის განვითარების უფრო მაღალი დონეა საჭირო, ვიდრე ეს სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ახასიათებს. მით უმეტეს, როგორც ეს ზოიკის ცდებში გამოჩნდა, ვერც 9-წლიანები ახერხებენ ამას. ჩვენც მოზრდილები როცა რომელიმე სიტყვის მნიშვნელობას ვცვლით, იმწუთასვე ვერ ვეუფლებით ამ სიტყვის ახალი მნიშვნელობით ხმარებას და ხშირად, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ისევე ძველი მნიშვნელობით ვხმარობთ მას. ამის მაგალითად ფულის ერთეულის ცვლილების მაგალითი გამოდგება. თითქმის 14 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ფულის ერთეული შეიცვალა, მაგრამ ძალიან ხშირად, ჩვენ დიდებიც, ძველი მნიშვნელობით ვხმარობთ მას.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ა. მოსიაეას ცდების მიმდინარეობა და მიღებული შედეგები, რადგანაც სწორედ მას ჰქონდა შეტყველების ობიექტივაციის იმ სახით კვლევა მიზნად, როგორც ეს შრომის დასაწყისში აღვნიშნეთ.

ძირითადი ექსპერიმენტი², რომლითაც ა. მოსიაევამ აღნიშნული საკითხი იკვლია სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან, შემდეგი სახისაა: ც. პირებს, რომლებსაც ცდები ინდივიდუალური წესით უტარდებათ, ეძლევათ შემდეგი სახის ინსტრუქცია „მე თვალებს ავიხვევ! თვალახვეული რაღაცას გაიგონებ. მიაქციე კარგად უყრადღება და როცა ნახვევს ავიხსნი, მოთხარი ყველაფერი, რაც გაიგონე, ისე, რომ არაფერი გამოტოვო“. ამ ინსტრუქციის შემდეგ ეძლევა ოთხი გამლიზიანებელი, აკუსტიკური ხასიათისა. აქედან ორი არის ბგერითი მოვლენა: ზარის ხმა და სტვენა, ორიც სიტყვაა, რომელშიც ეს მოვლენებია ასახული. მაგრამ ისე, რომ ეს სიტყვები მოვლენებს პირდაპირ როდი ასახელებენ, სიტყვები „ზარი“ და „სასტვენი“ აღნიშნავს საგნებს, რომლებიც მოვლენებს, ზარის ხმასა და სტვენას წარმოშობენ. ასე, რომ — ამბობს ა. მოსიაეა — ბავშვებს სიტყვების და მათში ნაგულისხმევი მოვლენების განსხვავების საშუალება აქვთ. ექსპერიმენტები ტარდება 6,6 წლიდან 9 წლის ასაკამდე.

გამოირკვა, რომ გამლიზიანებელთა მიწოდების თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ ჰქონდა და ამიტომ ცდები ყოველთვის ერთნაირად ტარდებოდა, მიწოდებათა თანმიმდევრობის შეუცვლელად: ჯერ ეძლეოდათ მოვლენა, შემდეგ კი მისი აღმნიშვნელი სიტყვა.

პირველად აღირიცხება სპონტანური პასუხები. შემდეგ კი ეძლევათ დასაფეხურებელი დახმარებითი კითხვები და ამის შედეგად დასახელებული სიტყვები ან მოვლენები. დაბოლოს აღირიცხება ის შემთხვევებიც, როცა ცდისპირები დახმარების გზითაც ვერ ახერხებენ სიტყვებისა ან მოვლენების დასახელებას.

დახმარების საშუალებად გამოყენებული იყო შემდეგი სახის კითხვები:

² ავტორი, ამ საკითხის საკვლევად და სასწავლად, კერძოდ წინა-საანბნო პერიოდში სხვა საშუალებებსაც მიმართავდა, რომელთაც სამწუხაროდ არ იყენებდა სკოლამდელ ასაკში.

1. მაგ. დაასახელა ზარი და შეჩერდა. მაშინ ეკითხებიან: „მეტი?“ იგი თუ იტყვის „სტვენა“ და ისევ გაჩუმდება, მაშინ მოსდევს მეორე კითხვა.
2. „მეტი არაფერი იყო.“ თუ ბავშვის პასუხი აქაც უარყოფითია, აძლევენ შესამე კითხვას.
3. „სიტყვები არ გავიგონია?“ დახმარების ამ ეტაპზე არის შემთხვევა, როცა ბავშვი პასუხობს „კი-ო“, მაგრამ ამ სიტყვების მოქმედად არა ცდის ხელმძღვანელს ასახელებს, არამედ აცხადებს, რომ ეს სიტყვები ზარმა და სასტვენმა თქვაო. და ბოლოს ეძლევა მეოთხე კითხვა:
4. „მე არაფერი ნიოქვამს?“ თუ ამბობს არაო, მაშინ ცდები წყდება, ზოგის პასუხი დადებითია, მაგრამ გამოკითხვის შემდეგ ირკვევა, რომ მათ მხედველობაში აქვთ ინსტრუქცია და მას ჰყვებიან, ანდა საერთოდ დღემილს ამჯობინებენ.

სანამ მიღებულ შედეგებს განვიხილავდეთ, მანამ ყურადღება მივაქციოთ ცდის აღწერის დროს ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. სიტყვები „ზარი“ და „სასტვენი“ აღნიშნავს საგნებს, რომლებიც მოვლენებს: ზარის ხმასა და სტვენას წარმოშობენ. ასე, რომ ბავშვებს სიტყვებისა და მათში ნაგულისხმევი მოვლენების განსხვავების საშუალება აქვთ. სიტყვები „ზარი“ და „სასტვენი“ ჩვენი აზრით, აღნიშნავენ არა მარტო იმ საგნებს, რომლებიც ზარის ხმასა და სტვენას წარმოშობენ, არამედ თვითონ ამ მოვლენებსაც. მაგ. ჩვენ არასდროს ვიტყვით, რომ ზარის რეკვა ან სასტვენის სტვენა იყო-თქო, არამედ ვიტყვით ზარი ან სასტვენი იყო-თქო და ამით ვგულისხმობთ არა ამ მოვლენის წარმოშობს საგნებს, არამედ თვითონ ზარის რეკვასა და სტვენას. თვითონ სიტყვა „სტვენა“ შეიძლება ვიხმაროთ მაშინ, როცა თვითონ ადამიანი წარმოშობს მას, რაიმე სპეციალურ ხელსაწყოს საშუალებით. ამ შემთხვევას იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ ჩვენს მიერ განმეორებულ მოსიავას ცდებში ბავშვები მხოლოდ ერთ პასუხს იძლევიან „ზარი“ და „სასტვენი“ იყო. ისინი, როგორც შეეკითხვით ირკვევა, აქ მხოლოდ მოვლენებს გულისხმობენ და არა ამ მოვლენების აღნიშვნელ სიტყვებს.

მეტყველების ობიექტივაციაზე ჩატარებული ცდების შედეგები ცხრილი 2

ც. პირთა ვაკე	მოვლენათა სპონტანური და- სახელების შეით- ხვეები %-ში		სიტყვების სპონ- ტანურად დასა- ხელების შეითხ- ვეები %-ში		დახმარებით მოვლენათა და- სახელების შეით- ხვეები %-ში		დახმარებით სიტყვათა დასა- ხელების შეით- ხვეები %-ში		იმ შემთხვევათა %-ში, როდესაც ც. პირები დახ- მარებითად ვერ ასახელებს მოვ- ლენებს		იმ შემთხვევათა %-ში, როდესაც ც. პირები დახმე- რებითად ვერ ასახელებს სიტყ- ვებს	
	ზარის რეკვა	სტვენა	ზარი“	სასტვე- ნი“	ზარის რეკვა	სტვენა	ზარი“	სასტვე- ნი“	ზარის რეკვა	სტვენა	ზარი“	სასტვე- ნი“
5,6—6,0	95	75	5	—	—	5	35	40	5	20	60	60
6,0—6,6	85	90	—	—	15	10	55	60	—	—	45	40
6,0—6,6	73,4	86,7	—	—	—	—	6,6	6,6	26,6	13,3	93,4	93,4
6,6—7,0	100	95	—	—	—	5	90	90	—	—	10	10
6,6—7,0	100	100	5	5	—	—	25	20	—	—	70	75
7,0—8,0	100	100	13,3	13,3	—	—	76,6	76,6	—	—	10,1	10,1
7,0—8,0	32	34	69	60	22	30	5	6	46	36	26	36
8,0—9,0	24	36	82	69	38	34	5	8	38	30	13	23
14—15	100	100	15	15	—	—	85	85	—	—	—	—

როგორც აღენიშნეთ, ჩვენ ვავიმოვრეთ ა. მოსიაევს ზემოთ აღწერილი ექსპერიმენტი, რათა გვეჩვენებინა, რომ ის არ იძლევა საშუალებას მეტყველების ობიექტივაციის კვლევასათვის. როგორც ჩვენი, ასევე ა. მოსიაევს მიღებული შედეგები მოცემულია ცხრ. № 2-ში. ცხრილის A სტრიქონში მოცემულია ჩვენს მიერ განმეორებული ცდების შედეგები, B-ში ადრე ჩატარებული ცდების შედეგები. ჩვენ ცდების ჩატარება დაიწყო 5,6 წლიდან, რადგანაც ახლა ეს ასაკი წარმოადგენს სკოლამდელ ასაკს, ადრე კი ეს ასაკი 7 წლამდე განისაზღვრებოდა და ა. მოსიაევს ცდებიც სწორედ 6,6 წლიდან იყო ჩატარებული.

როგორც ცხრილიდან (2) სჩანს, 6,0—6,6 წლის ბავშვები, ადრე ჩატარებულ ცდებში, სპონტანურად საერთოდ ვერ ამჩნევენ სიტყვებს. მხოლოდ დახმარების გზით ახერხებენ ამას და ისიც უმნიშვნელო რაოდენობით (6,6%). პროგრესი, შემდგომ ასაკობრივ პერიოდში (6,6—7,0) არ შეინიშნება. სიტყვების სპონტანურად დასახელების მაჩვენებელი 5%-ის ტოლია. მართალია დახმარების გზით იგი აღის 20—25%-მდე, მაგრამ საერთო შემთხვევათა რიცხვიდან მაინც ძალიან შორს დგას.

სრულიად განსხვავებული შედეგებია მიღებული სასკოლო ასაკის ბავშვებთან. ახლა უკვე სიტყვების სპონტანურად დასახელების პროცენტული მაჩვენებელი იზრდება და მცირდება მოვლენების სპონტანურად დასახელების მაჩვენებელი. დახმარების გზით, მართალია სწორდება მოვლენათა დასახელების მაჩვენებელი, მაგრამ სიტყვების დასახელების მაჩვენებელამდე მაინც ვერ აღის. მაგრამ სამაგიეროდ, ამბობს ავტორი, ახლა სიტყვებში ნაულისხმები მოვლენები ეკარგებათ ბავშვებს.

აქ მოტანილი შედეგებიდან, ის რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი ვერასახელებს სიტყვებს, არაა გასაკვირველი. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ამისათვის არ იყო საკმარისი დახმარება გაწეული ბავშვებისათვის, რათა მათ შეძლებოდათ თვითონ მეტყველებით სინამდვილეზე შემობრუნება. თვითონ ავტორი ამ ფაქტის შესახებ ასე მსჯელობს. უდავოა, რომ ბავშვმა ოთხივე გამლიზიანებელი მოისმინა და აღიქვა, მაგრამ მას მარტო მოვლენების დასახელება შეუძლია. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ სიტყვებით ზარის რეკვისა და სასტვენის სტვენის ობიექტივაცია და მათი შემდგომი დასახელების აქტი განახორციელა. სიტყვის დასახელება კი სწორედ ამიტომ ვერ მოახერხა, სიტყვა ობიექტივაციის საშუალებიდან თვითონ ობიექტად ვერ გადააქცია. ბავშვმა ვერ დასახა სიტყვა ობიექტად, ვერ მოახდინა მისი ობიექტივაცია. თვითონ სიტყვის ობიექტივაციას რომ ახერხებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ამას ა. მოსიაევს მიერ ჩატარებული საკონტროლო ცდების შედეგებიც ადასტურებენ. 6,0—6,6 წლის ბავშვებს ეძლევათ სიტყვები „ჩიტი“ და „ბურთი“. მათ დასახელებას ბავშვები მართალია ახერხებენ, მაგრამ ისინი მათ, როგორც დალაპარაკების ფაქტს კი არ განიცდიან, არამედ როგორც რეალურ საგნებს.

მაგრამ, სასკოლო სწავლების პერიოდის დაწყებიდან უფრო საინტერესო შედეგებია მიღებული, კერძოდ ის, რომ ახლა ბავშვები უპირატესად სიტყვების დასახელებას იწყებენ, მოვლენებს კი ვეღარ ამჩნევენ. რა მოხდა ისეთი, რომ ახლა სიტყვები ობიექტივაციის საშუალებათა როლში კი არ გამოდიან, არამედ თვითონ ხდებიან დაკვირვების ობიექტები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლა მოვლენები გამოდიან ობიექტივაციის საშუალებათა როლ-

ში. თვითონ ავტორი ამის მიზეზს წერა-კითხვის სწავლების დაწყებაში ხედავს. მაგრამ მართლა წერა-კითხვის სწავლებაა ამის მიზეზი? ან სიტყვების დასახელება ნიშნავს თუ არა იმას, რომ მას ბავშვი განიცდის როგორც თქმის, დალაპარაკების ფაქტს, რომელიც სულ სხვა სინამდვილეს წარმოადგენს? ჩვენი აზრით, არა. ამას ჩვენს მიერ განმეორებული მოსიავას ცდების შედეგებიც გვიჩვენებენ. ამ ცდებში, როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო პერიოდში, სპონტანურად მხოლოდ და მხოლოდ მოვლენების დასახელება ხდება აბსოლუტური უმრავლესობით. მხოლოდ 7,0—8,0 წლის ბავშვებთან ვხვდებით სიტყვების სპონტანურად დასახელების შემთხვევებს, მაგრამ იმასაც უმნიშვნელო რაოდენობით—13,3%. ეს იმას უჩვენებს, რომ მართლაც წერა-კითხვის სწავლებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული სიტყვების სპონტანურად დასახელება. რომ ეს ასეა, ამას კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს მიერ 14-15 წლის მოსწავლეებთან მიღებული შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსწავლეებს სწავლების საკმაოდ დიდი სტაჟი აქვთ, მხოლოდ ც. პირთა 15% ახერხებს სიტყვების სპონტანურად დასახელებას. აქედან ის დასკვნა შეიძლება გაეკეთოს, რომ მოსიავას მიერ მიღებული შედეგები, გამოწვეული იყო არა წერა-კითხვის სწავლების დაწყებით, არამედ სხვა რაღაცა ფაქტორის ჩარევით, რომელსაც ავტორი ყურადღებას არ აქცევდა.

საინტერესო შედეგებია მიღებული დახმარების გზით სიტყვების დასახელების შემთხვევაში. ა. მოსიავას ცდებში 6,0—6,6 წლის ბავშვების მხოლოდ 6,6% ახერხებს სიტყვების დასახელებას დახმარების გზით. ჩვენს ცდებში კი უფრო პატარა ბავშვები (5,6—6,0) დახმარებით უფრო მეტჯერ ასახელებენ სიტყვებს (35% და 40%) და იზრდება ასაკის ზრდის და მიხედვით, სასკოლო ასაკის დაწყებამდე. ეს კი, ჩვენი აზრით, ინტელექტის სფეროში მომხდარი აქცილერაციით უნდა იყოს გამოწვეული.

ახლა ეუბანსებით მეორე კითხვას, რომელიც ზემოთ დავსვით: სიტყვების დასახელება ნიშნავს იმას თუ არა, რომ ბავშვი მას განიცდის, როგორც თქმის ფაქტს, რომელიც სრულიად განსხვავდება თქმის ამ ფაქტით აღნიშნული რეალური სინამდვილისაგან? ამის გამოსარკვევად ც. პირებს სიტყვების დასახელების შემდეგ ვაძლევდით დამატებით შეკითხვას: ის ზარის ხმა შენ რომ გაიგონე და სიტყვა „ზარი“ ერთი და იგივეა თუ სხვადასხვა? ყველა ცდის პირი, რომელიც ასაკის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს ის, აცხადებს, რომ ერთი და იგივეაო. მაშ მართლაც სიტყვების დასახელება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი ასულია მეტყველების ობიექტივაციის მაღალ დონეზე.

მაშ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეტყველების ობიექტივაციის ზემოთაღნიშნული მეთოდოლოგია პრობლემას კვლევის ზუსტ საშუალებას არ იძლევა. თვითონ ა. მოსიავა, წინა საანბნაო პერიოდში მეტყველების ობიექტივაციაში სავარჯიშოთ სულ სხვადასხვა საშუალებებს იყენებდა. მაგ. ჯერ შეასრულებინებდა რაიმე მოქმედებას, შემდეგ კი შესრულებულ მოქმედებას სიტყვებითაც ეუბნებოდა. ყოველ ასეთი მოქმედების შემდეგ ცდის პირს ეკითხებოდა „რა ვქენი მე?“ „რა ქნა მან“ და ა. შ.

სწავლების დასაწყისში, დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ ბავშვები სხვისი მეტყველების ობიექტივაციას რაც შეეხება საკუთარი მეტყველების ობიექტივაციას, მასში წარმატების მისაღწევად საკმაოდ დიდი ვარჯიში და დრო იყო საჭირო. ჩვენი აზრით, აქ საქმეს ართულებდა ბავშვების წინაშე დასმული კითხვის შინაარსი. „რა ვქენი მე?“ „რა ქნა მან?“. ეს ისეთი კითხვე-

ბია, რომლებიც ყოველთვის საგნობრივი მოქმედებისაქენ წაიყვანს ჩვენს ყურადღებას მეტყველებისაქენ ყურადღების მიქცევა კი რომ გამოიწვიოს, ამისათვის წინასწარი მუშაობის გაწევა საჭირო ბავშვებთან, რათა ავუსხნათ მათ, რომ მეტყველება მოქმედების სპეციფიკურ მხარეს წარმოადგენს და რომ მასაც შეიძლება დაესვას ზემოთ აღნიშნული კითხვები. სწორედ ამ მიმართულებით იქნა ცდების ჩატარება დაწყებული პროფ. შ. ჩხარტიშვილის მიერ სკოლამდელ ასაკში 60-იან წლებში, ე. ი. 1965 წლის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე გაკეთებულ მოხსენებამდე, სადაც გამოვლინდა, რომ მეტყველების ფაქტების გაცნობიერების შედეგად, 5—6 წლიანი ბავშვების უმრავლესობა ახერხებს, როგორც საკუთარი ისე სხვისი მეტყველების ობიექტივაციას. მაგრამ ავტორის მიერ აღნიშნული საკითხის კვლევას მამინ სისტემატური ხასიათი არ მიუღია. ჩვენ ის გავაგრძელებთ მისივე ხელმძღვანელობით.

ცდების ჩატარება დაიწყო 4,6 წლის ბავშვებთან. ცდები ტარდებოდა ინდივიდუალური წესით. სანამ ც.პირებს მეტყველების ფაქტის გაცნობიერებას და კითხვების— „რა ქნა“, „რა ვქენი“— ხასიათს ვასწავლიდით, მანამდე პირდაპირ, ისევე როგორც ამას ა. მოსიავა აკეთებდა წინასაანბნაო პერიოდში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ვაძლევდით ამ კითხვებს. მაგ. ვასრულებ რაიმე მოქმედებას. ვეკითხები ც.პირს: „რა ვქენი მე“?. ბავშვის პასუხი გამოხატავს ჩემს მიერ შესრულებულ მოქმედებას, მაგრამ როცა შესრულებულ მოქმედებას სიტყვებით ვეუბნებთ და თანაც ვაძლევ აღნიშნულ კითხვას, ბავშვები, თითქმის ყველა, მხოლოდ შესრულებულ მოქმედების ფაქტს მიჩვენებს.

ასეთივე შედეგებს ვღებულობდით მოზრდილ ადამიანებთანაც, რომლებსაც შემოწმების სახით ვაძლევდით აღნიშნული სახის შეკითხვებს. მართალია აქ ცდებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც კარგად გვიჩვენებდა, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ისინი მამინ, როცა მეტყველების ფაქტის საობიექტივაციოთ „რა ვქენი, რა ქნა“, კითხვას დავუსვამდი. ისინი საერთოდ, დუმდნენ ამჯობინებდნენ. ეს ყოველივე გვიჩვენებს, რომ წინასწარი გაცნობიერების გარეშე, აღნიშნული კითხვების დასმა, მეტყველების ობიექტივაციას ძალიან ართულებს. ჩვენ, ამიტომ ცდების ჩატარებას ვიწყებდით იმის ახსნით, რომ მეტყველება აქვე მოქმედებაა როგორც მაგ. თამაში, მუშაობა და ა. შ., რომ ჩვენ ხშირად მხოლოდ ვლაპარაკობთ, და კითხვები „რა ვქენი“ შეიძლება დალაპარაკების მოქმედებასაც დაეუსვათ. როგორც გამოირკვა, ასეთი სიტყვიერი ახსნა-განმარტება მაინც და მაინც კარგ შედეგს არ იძლეოდა. ამიტომ, რათა ამოცანის შინაარსს ჩაწვდომოდა ბავშვი, ჩვენ როლებას თამაშს მივმართეთ, რაც შემდეგში გამოიხატებოდა. ხან მე გამოვდივარ შემკითხველის როლში და ბავშვი მპასუხობს, ხან კიდევ პირიქით. მაგ. ბავშვს ვევალებ, რომ რაც არ უნდა გავაკეთო მომცეს შეკითხვა „რა ჰქენი ახლა შენ“? მე ამ შეკითხვაზე, იმის და მიხედვით, მოქმედებას ვასრულებდი, თუ ამ მოქმედებას სიტყვებით გამოვხატავდი, ვპასუხობდი „ახლა ესა და ეს მოქმედება (ხელის აწევა, წიგნის მაგიდაზე დადება და ა. შ.) შევასრულე ან ახლა მხოლოდ დავილაპარაკე, ვთქვი-თქო და ვუმატებდი, რომ მოქმედება კი არ შემისრულებია, არამედ მხოლოდ დავილაპარაკეთ-ქო. ამის შემდეგ მე ვაძლევდი კითხვებს და ისინი პასუხს იძლეოდნენ თავიანთი მოქმედების შესახებ. პირველის დროს, როცა თვი-

თონ ბავშვი იყო შემკითხველის როლში, ბავშვი, სხვისი, ცდის ხელმძღვანელს, მეტყველების ობიექტივაციის ამოცანის წინაშე დგებოდა. მეორედ, კი, საკუთარი მეტყველების ობიექტივაციისა. როგორც აღნიშნეთ ცდების ჩატარება დაიწყო 4,6 წლიდან. საექსპერიმენტო ბავშვები დაყოფილი იყო ასაკობრივ ჯგუფებად: 1) 4,6—5,0 წ. წ., 2) 5,0—5,6 წ. წ. და 3) 5,6—6,4 წ. წ. ცდების შედეგები მოცემულია ცხრ. № 3.

ცხრილი 3

ც. პირთა ასაკობრივი ჯგუფები	მეტყველების ობიექტივაციის მაჩვენებლები %-ში	
	სხვისი მეტყველების მაჩვენებლები	საკუთარი მეტყველების მაჩვენებლები
4,6—5,0	80%	75%
5,0—5,6	95%	90%
5,6—6,0 წ.წ.	100%	90%

როგორც ცხრილიდან ჩანს დაბალ ასაკშიც არ წარმოადგენს სიძნელეს მეტყველების ობიექტივაცია, თუ ამისათვის სწორი მოქმედების კრიტერიუმები თავიდან იქნება მოცემული და დაცული. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დაბალი ასაკის (სკოლამდელი ასაკი) ბავშვები იმ წუთსავე, გადადიოდნენ მეტყველების ფაქტის ობიექტივაციაზე. ამისათვის გარკვეული დრო და ვარჯიში იყო საჭირო. ჩვენს ცდებში, თავდაპირველად, როცა კითხვა მეტყველების ობიექტივაციას ეხება, შეინიშნებოდა მეტყველების ფაქტისა და ამ ფაქტით აღნიშნული მოქმედების ერთად შესრულების შემთხვევები მხოლოდ 15—20 წუთიანი ვარჯიშის შემდეგ ახერხებდნენ ც.პირები უშეცდომოთ მეტყველების ობიექტივაციას. და რაც უფრო დაბალი იყო ასაკი, აღნიშნული შემთხვევა უფრო ხშირად გამოვლინდებოდა.

რას ვეიჩვენებს ზემოთ მიღებული შედეგები? მხოლოდ და მხოლოდ ერთს, კერძოდ იმას, რომ მეტყველების ობიექტივაცია შეუძლია არა მარტო ჩასკოლო, არამედ სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც, ოღონდ ამისათვის სწორი ორიენტაციული საფუძვლების მიცემა საჭირო ისეთი ორიენტაციული საფუძვლებისა, რომლებიც გაუადვილებენ ბავშვებს ამ ამოცანის გაგებას, რომელთა გადაჭრაც (ამ შემთხვევაში მეტყველების ფაქტის ობიექტივაცია) მათ ევალდება.

მაგრამ 4,6 წელი შესაძლებელია თუ არა ჩაითვალოს იმ ქვედა ზღურბლად, რომელთა ქვემოთ მეტყველების ობიექტივაციის უნარის არსებობას ადგილი აღარ ექნება? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ასაკში მიღებული შედეგები საკმაოდ მაღალია და არც თუ ისე ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგადაა მიღებული, უნდა ვიფიქროთ, რომ არა. ასე, რომ ეს საკითხი ღიად რჩება და ბიძგს იძლევა იქითკენ, რათა ჩატარდეს დამატებითი კვლევა-ძიება ქვედა ასაკობრივი საზღვრის დასადგენად.

ამრიგად, მეტყველების ობიექტივაციის არასრულფასოვანი გამოკვლევების შედეგად დადგენილი ფაქტები ახლანდელი გამოკვლევებითაა და საქმის ფაქტიური ვითარებით არ დგინდება. აღრინდელი გამოკვლევები ან არ იკვლევდნენ უშუალოდ აღნიშნულ პრობლემას ან იკვლევდნენ, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ მეტყველების იმ თავისებურებას, რომლებსაც შ. ჩხარტიშვილი მიუთითებდა. ამ თავისებურების გათვალისწინების და სწორი ორიენტირების მიცემის საფუძვლზე, ამ ამოცანას წარმატებით წყვეტენ სკოლამდელი და სკოლის წინარე ასაკის ბავშვებიც.



А. Н. ШЛЫЧКОВА

СООТНОШЕНИЕ НЕПРОИЗВОЛЬНОЙ ПАМЯТИ И РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ ПРОИЗВОЛЬНОГО ЗАПОМИНАНИЯ ПО ДАННЫМ УЗНАВАНИЯ И ВОСПРОИЗВЕДЕНИЯ

Проблеме соотношения непроизвольного и произвольного запоминания по данным узнавания и воспроизведения была посвящена наша статья (в соавторстве с А. А. Смирновым) в журнале «Вопросы психологии» № 5 за 1976 год. Основные выводы этой работы заключались в следующем: 1. Соотношение непроизвольного и произвольного запоминания по данным узнавания и воспроизведения оказывается различным в зависимости от того, в какой памяти (в кратковременной или долговременной) это соотношение исследуется. 2. В кратковременной памяти (в условиях непосредственной актуализации запоминавшегося материала) различие в соотношении названных видов запоминания не обнаружено. 3. В отличие от этого в долговременной памяти (в условиях отсроченной актуализации) указанная разница выявилась с большой определенностью: по данным воспроизведения преимущество того или другого вида запоминания выступило очень резко, в то время как по данным узнавания оно было значительно меньше или даже вовсе отсутствовало.

Наряду с этими положениями полученные материалы с полной ясностью подтвердили значимость установленной ранее в некоторых работах зависимости соотношения непроизвольного и произвольного запоминания от характера деятельности, в которой осуществляется непроизвольное запоминание. В тех случаях, когда оно реализуется в итоге выполнения какой-либо активной мыслительной деятельности, оно более продуктивно, чем произвольное запоминание (1 серия опытов). Если же это условие отсутствует, соотношение видов запоминания оказывается обратным (2 серия опытов). Каково бы, однако, ни было это соотношение, в обоих случаях имеют силу все указанные выше положения. Различия сводится лишь к тому, какой вид запоминания является преобладающим, т. е. каково «направление» искомого соотношения. Поэтому в тех случаях, когда более продуктивно произвольное запоминание, его преимущество значительно яснее обнаруживается также при отсроченном воспроизведении.

Получены далее некоторые данные и о возрастных различиях в соотношении произвольного и непроизвольного запоминания. В первой серии преимущество непроизвольного запоминания при переходе от младшего возраста (5 класс) к старшему (студенты) существенно ослабляется. Во второй серии возрастные изменения в преимуществе произвольного запоминания (характерном для данной серии) не наблюдались. В двух случаях из четырех (в опытах с непосредственным и отсроченным узнаванием) никаких изменений в этом преимуществе, и, следовательно, в соотношении непроизвольного и произвольного запоминания с возрастом не отмечалось.

В настоящей статье излагаются результаты дальнейшего исследования названной выше проблемы. Задача этой работы — выявить со-

отношение произвольного запоминания с двумя различными видами ПРОИЗВОЛЬНОГО запоминания (без мыслительной деятельности и с мыслительной деятельностью), а также соотношение двух видов произвольного запоминания: «свободного» (в тех случаях, когда мыслительная задача не давалась) и при наличии этой задачи, причем в обоих этих случаях опять-таки в условиях узнавания и воспроизведения.

Сходные вопросы уже ставились в работах других авторов. В некоторых зарубежных исследованиях в ситуацию произвольного и произвольного запоминания вводилось так называемое ориентирующее задание, по виду одинаковое в обоих случаях запоминания. Оно должно было дать возможность испытуемым ориентироваться в запоминаемом материале (в каком-либо указанном им отношении) и служило тем самым средством уравнивания условий обоих видов запоминания. В одном из исследований Постмана, Адамс и Филлипс (1955), например, ставилась задача определять по 7-балльной оценке частоту использования в речи каждого из 30 слов, предлагавшихся испытуемым. Одна группа получала только это задание, но затем (неожиданно для участников этой группы) им предлагалось воспроизвести все слова, т. е. проверялась продуктивность произвольного запоминания. В отличие от этого произвольно запоминавшие должны были одновременно выполнять такое же задание и вместе с тем запоминать представляемый материал. При воспроизведении каждая из этих двух групп испытуемых (произвольно и произвольно запоминавшие), делилась в свою очередь на 3 подгруппы: свободно воспроизводившие (без всякой поддержки или тормоза) и воспроизводившие с облегчающим или тормозящим контекстом. Результат исследования: только при свободном воспроизведении обнаруживается преимущество произвольного запоминания, при наличии же контекста (а таким контекстом были слова, ассоциативно связанные или не связанные с запоминавшимися), независимо от того, каков был контекст, оба вида запоминания были одинаковыми по продуктивности с совсем, правда, незначительным преимуществом у произвольного запоминания.

В исследовании Зальцмана (1956) произвольное запоминание, осуществлявшееся в результате выполнения пяти различных заданий, сравнивалось с произвольным запоминанием того же материала (14 чисел), сопровождавшимся выполнением тех же заданий. Во всех пяти случаях этот последний вид запоминания был более продуктивен, чем произвольное запоминание (в одном случае, правда, это превосходство было минимальным).

В исследовании Керена (1956) произвольное запоминание, достигавшееся в итоге поисков на панели места для каждого из 15 слов и 15 слогов, сопоставлялось с произвольным запоминанием этого же материала, осуществлявшимся под влиянием обоих заданий: находить место для каждого из указанных элементов ряда и запоминать их. Итог работы: выявлено преимущество этого второго вида запоминания.

Глитмен и Джиллет (1957) проводили исследование по сравнению произвольного запоминания (с группой испытуемых, которая должна была, слушая голоса, определять качество произношения) с произвольным запоминанием, но сопровождавшимся выполнением этого же ориентирующего задания (запоминая числа, испытуемые этой группы должны были также оценивать и качество произношения), а также с другим видом произвольного запоминания (без ориентирующего задания, когда требовалось только запоминать числа; оценка же произношения отсут-

ствовала). Результаты опытов: на первом месте оказалась группа, которая только запоминала, на втором — испытуемые, выполнявшие обе задачи, и на последнем месте — группа, запоминая произвольно.

Таким образом, испытуемые, действовавшие под влиянием намерения запомнить и выполнявшие одновременно ориентирующее задание (оценка признания), не имели преимущества перед теми, у которых это ориентирующее задание отсутствовало.

В более позднем исследовании Игла и Лейтера (1964) произвольное запоминание сравнивалось также с двумя видами произвольного запоминания, сопровождавшегося выполнением ориентирующего задания и не сопровождавшегося им. В качестве ориентирующего задания было использовано определение части речи каждого предъявлявшегося слова. В отличие от указанных выше работ, где было использовано только воспроизведение материала, эти опыты проводились на **узнавание** и **воспроизведение**. Основные результаты были таковы: самое высокое **воспроизведение** было при произвольном запоминании без ориентирующего задания; самое низкое — при произвольном запоминании; среднее по продуктивности — произвольное запоминание с определением части речи; самое высокое **узнавание** было при произвольном запоминании; самое низкое — при произвольном запоминании без определения части речи; среднее место занимало произвольное запоминание с определением части речи. Опыты проводились только при непосредственной актуализации. И в этих опытах, следовательно, произвольное воспроизведение при двойном задании дало меньший эффект, чем «простое» произвольное запоминание (без ориентирующего задания). В опытах с узнаванием, однако, соотношение обоих видов произвольного запоминания было обратным.

В советской психологии соотношение произвольного запоминания с двумя видами произвольного запоминания изучалось П. И. Зинченко. Еще в 1939 году им было проведено исследование, в котором произвольное запоминание сравнивалось не только с «простым» произвольным запоминанием (без выполнения мыслительной деятельности), но и с осуществлявшимся при наличии двух задач: мнемической и мыслительной. В качестве деятельности во всех случаях запоминания (в условиях произвольного и обоих видов произвольного запоминания) была использована классификация картинок по смыслу (по содержательным, смысловым связям). В отличие от зарубежных исследователей, где испытуемыми были взрослые, в работе Зинченко опыты проводились с испытуемыми разного возраста (средние и старшие дошкольники, младшие школьники, средние школьники и взрослые). Результаты опытов в разных возрастах оказались неодинаковыми. У дошкольников и младших школьников наиболее продуктивным было произвольное запоминание. Произвольное запоминание, сопровождаемое классификацией картинок, у младших дошкольников дало самый низкий показатель, у средних дошкольников и у младших школьников оно занимало среднее место, т. е. было хуже, чем произвольное запоминание без классификации картинок. У средних же школьников и у взрослых оно оказалось наиболее продуктивным. Эти данные относятся к индивидуальным опытам. В групповых опытах наиболее продуктивным во всех возрастах (начиная с младшего школьного) оказалось произвольное запоминание. Произвольное запоминание с классификацией картинок во всех возрастах было более продуктивным, чем произвольное запоминание без классификации. Совершенно однозначные результаты в этой работе не были получены, но произвольное запоминание с

классификацией, начиная со старшего дошкольного возраста, было все же более продуктивным, чем без классификации.

В другом исследовании П. И. Зинченко испытуемым предъявлялись различные тексты (повествовательные, описательные, объяснительные). В одних случаях требовалось только понять их, пользуясь тремя средствами — простым трехкратным повторением, составлением плана текста и использованием готового плана. В других случаях то же самое нужно было выполнять с одновременным осуществлением мнемической задачи — запоминать тексты. Опыты с повествовательными текстами проводились с учащимися II, IV, VI, VIII, X классов, с описательными — IV, VI, VIII, X классов, с объяснительными — VIII и X классов. Результаты опытов с повествовательным текстом были следующие: только во II классе было отмечено (в опытах с простым трехкратным чтением) преимущество произвольного запоминания, во всех же остальных опытах (с испытуемыми всех возрастов) четко выявлялось преимущество произвольного запоминания с использованием средств для лучшего понимания текста. То же самое отмечалось в опытах с описательным текстом (во втором классе он не давался). В опытах же с объяснительным текстом (где испытуемыми были только старшие школьники — учащиеся VIII и X классов), в VIII классе в двух случаях из трех (составление плана и использование готового плана) обнаружилось преимущество произвольного запоминания; в X же классе преимущество было у произвольного запоминания во всех трех опытах (отличавшихся разными средствами, предназначенными для того, чтобы достичь лучшего понимания). Нельзя не отметить, однако, что как те, так и другие различия между разными видами запоминания (в VIII и X классах) были незначительны, а значимость их неопределялась. Возможно, что значимых различий между продуктивностью обоих случаев запоминания в двух старших классах (VIII и X) при запоминании объяснительных текстов не было. Что же касается двух других текстов, то здесь запоминание во всех возрастах, начиная с IV класса, было более продуктивным при наличии двух задач: мнемической и мыслительной.

В последнее время было опубликовано исследование Бочаровой С. П. (1976), где произвольное запоминание, осуществлявшееся в итоге сопоставления испытуемыми предъявлявшегося им рисунка фигуры с эталоном, сравнивалось с двумя видами произвольного запоминания. Самая низкая продуктивность была у произвольного запоминания с совмещенными задачами: мнемической и познавательной; самая высокая — при произвольном запоминании с мнемической задачей; результаты произвольного запоминания заняли промежуточное место, т. е. были выше, чем результаты произвольного запоминания с совмещенными задачами. В другой серии того же исследования была использована избыточная информация (фигуры давались на определенном для каждой из них фоне), во всем же остальном условия опытов оставались теми, что и в только что указанных выше. В этой серии резко снизилось произвольное запоминание, осуществлявшееся только с мнемической задачей, еще больше — произвольное запоминание с совмещенными задачами, произвольное же запоминание оказалось самым высоким по продуктивности. Опыты проводились на непосредственное воспроизведение.

Обобщая результаты всех приведенных выше работ, можно констатировать следующее положение. При сравнении произвольного запоминания с произвольным, осуществляемого при совмещении двух

задач — мыслительной и мнемической — в ряде работ, а именно: в исследованиях Зальцмана, Керена, в опытах Постмана, Адамс, Филлипе, в которых не были использованы ни поддержки, ни тормоза (в виде дополнительных слов), в работе Глитмена и Джиллета, в опытах Игла и Лейтера с воспроизведением запоминавшегося материала, в большинстве опытов П. И. Зинченко (с классификацией картинок и с запоминанием повествовательного и описательного текстов) произвольное запоминание было менее продуктивным, чем «совмещенное» произвольное. В некоторых же других исследованиях (в той серии опытов Постмана, Адамс и Филлипе, в которой были применены поддержки и тормоза воспроизведения, в опытах Игла и Лейтера с узнаванием запоминавшегося материала, в опытах П. И. Зинченко с запоминанием объяснительного текста) преимущество названного вида произвольного запоминания над произвольным обнаружено не было (отмечалась или более значительная продуктивность произвольного запоминания — у Игла и Лейтера, или примерное равенство этих обоих видов запоминания — Постман с сотрудниками и опыты П. И. Зинченко с объяснительным текстом).

სახალხო სასამართლოს განაჩენით კენკებაშვილი, ქსოვრელი და ამავე საქმეზე მსჯავრდებული ნ. შეხივცევი და მ. ჩირიკაშვილი ცნობილი არიან დამნაშავედ იმისათვის, რომ მუშაობდნენ რა კენკებაშვილი — ა/კ რკინიგზის სადგურ ნავთლულ-პირველის სავაგონო დეპოს ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პარკის ცვლის ოსტატად, ქსოვრელი — ვაგონების გამსინჯველად, შეხოვცევი — დისპეტჩერად და ჩირიკაშვილი — მატარებლის შემდგენელად, 1968 წლის 21 ნოემბერს, მატარებლის მანევრირებისა და გასინჯვა-შეკეთების დროს უხეშად დაარღვიეს რკინიგზის ტრანსპორტის ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესები, რის შედეგადაც შ. ჯანებაშვილი იქვე გარდაიცვალა, ხოლო მეორე მუშამ ა. მენთეშაშვილმა მიიღო სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კენკებაშვილი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა რკინიგზის ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დაცვას. იგი არ ამოწმებდა მატარებლების გასინჯვა-შეკეთების წინ მატარებლის საიმედოდ შეზღუდვის საკითხს, სამუშაო უბანზე არ ჰქონდა ღამის საათებში მატარებლის შესაზღუდვი სპეციალური გადასატანი ნიშნები და საჭურვლები. ამასთან, ზოგჯერ ისე იწყებოდა მატარებლის დამუშავება, რომ იგი კენკებაშვილს, როგორც ცვლის ოსტატს, ოფიციალურად არ ჰქონდა მიღებული დასამუშავებლად.

განაჩენში მითითებულია, რომ ასეთივე მდგომარეობა იყო შემთხვევის დღეს, რომ კენკებაშვილს საერთოდ და განსაკუთრებით შემთხვევის დღეს ჰქონდა შესაძლებლობა შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა, უშუალოდ შეემოწმებინა შრომის უსაფრთხოების წესები და არ დაეშვა ის დარღვევები, რაც ქსოვრელმა დაუშვა მატარებლის შეზღუდვის დროს, რომ რკინიგზის სავაგონო და სალოკომოტივო დეპოს ოსტატთა დებულება ავალდებულებს მას, როგორც ცვლის ოსტატს, პირველ რიგში დაიცვას და შეასრულოს ტექნიკის უსაფრთხოების წესები და ა. შ.

სასამართლოს დადგენილად მიიჩნია, რომ კენკებაშვილმა დაარღვია „როგორც ოსტატის დებულების მოთხოვნები, ისე რკინიგზის მოქმედი სხვა

წესები (რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსის 1964 წლის 22 ოქტომბრის № 370 ბრძანება, ვაგონების შემკეთებელი ზეიწკლების და ვაგონების გამსინჯველთა ტექნიკური ინსტრუქცია), რამაც თავისებური წვლილი შეიტანა უბედური შემთხვევის დადგომის საქმეში.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სასამართლომ მხოლოდ ზოგადად აღნიშნა კენებაშვილის მხრიდან უსაფრთხოების წესების დარღვევის და იმის შესახებ, რომ მის სამუშაო უბანზე საერთოდ არ ექცეოდა სათანადო ყურადღება ამ წესების დაცვას, მაგრამ არსებითად არ მიუთითა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რის საფუძველზე და რაკონკრეტული მოვალეობის შესრულება ევალებოდა კენებაშვილს, რომლის შეუსრულებლობამაც განაპირობა დანაშაულებრივი შედეგის დადგომა.

პიროვნებამ შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამდგარი დანაშაულებრივი შედეგი მიზეზობრივ კავშირშია მის კონკრეტულ მოქმედებას ან უმოქმედობასთან. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი დაკავშირებულია ორი ან რამდენიმე პირის ქმედობასთან, თითოეული მათგანის ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებლად აუცილებელია იმის დადგენა, რომ კონკრეტული პირის მიერ იმ მოქმედების შესრულება, რომელიც მას ევალებოდა და არ შეასრულა, გამოიწვიებდა დანაშაულებრივი შედეგის დადგომას.

ქსოვრელი ცნობილია დამნაშავედ იმისათვის, რომ არ დაიცვა მატარებლის შეზღუდვის არსებული წესი, კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ სპეციალურად წითელი შუქნიშანი დაედგა ლიანდაგებს შორის გასასინჯი მატარებლის ბოლო ვაგონიდან 50 მეტრის დაშორებით და ლიანდაგზე დაეღაგებია სპეციალური საქუსლეები, მან საქუსლეები საერთოდ არ დააღაგა, ხოლო წითელი შუქნიშანი ჩამოჰკიდა გასასინჯი მატარებლიდან 120 მეტრის დაშორებით მდგარი ვაგონების ჯგუფის ბოლო ვაგონზე.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოძრავი შემადგენლობა, რომელიც დისპეტჩერ შეხოვცევის განკარგულებით შევიდა დაკავებულ ლიანდაგზე და რომელსაც მართავდა მემანქანე ჩირიკაშვილი, დაეჭაზა ვაგონების სწორედ იმ ჯგუფის ბოლო ვაგონს, რომელზეც ჩამოკიდებული იყო წითელი შუქნიშანი. ამგვარად, ვაგონმა გაიარა 120 მეტრი, დაარტყა გასასინჯ მატარებელს, რომლის მოძრაობაში მოყვანამაც გამოიწვია მის გასინჯვაზე მომუშავე მუშა კანებაშვილის სიკვდილი.

თუ შემდგენელმა ჩირიკაშვილმა, როგორც ამაზე განაჩენი მიუთითებს, ყურადღება არ მიაქცია წითელ შუქნიშანს, რომელიც ვაგონების ჯგუფის იმ მხარის ბოლო ვაგონზე იყო ჩამოკიდებული, საიდანაც მანევრირება ხდებოდა, ბუნებრივია, იგი ყურადღებას არ მიაქცევდა (და ვერ მიაქცევდა) მას, თუ იგი ამ ვაგონების ჯგუფის შემდეგ ლიანდაგებს შორის იქნებოდა დადგმული.

მაშასადამე, მართალია ქსოვრელის მხრიდან აღვლილი ჰქონდა წითელი შუქნიშნით მატარებლის შეზღუდვის ინსტრუქციით გათვალისწინებული წესების დარღვევას, მაგრამ მის დაცვას შექმნილ ვითარებაში არ შეეძლო დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება.

გარდა ამისა, სასამართლომ არ გაარკვია, შეეძლო თუ არა ლიანდაგზე დაწყობილ საქუსლეებს შეეჩერებოდა ვაგონები და აეციდინა უბედური შემთხვევის დადგომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ განაჩენი და განჩინება კენკებაშვილისა და ქსოვერელის მიმართ გაუქმდეს და საქმე სამსჯავრო სხდომის სტადიიდან ხელახალი განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას¹⁵.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის ამ დადგენილებაში ჩამოყალიბებულია პრინციპული ხასიათის დებულება: „მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასადასტურებლად აუცილებელია იმის დადგენა, რომ კონკრეტული პირის მიერ იმ მოქმედების შესრულება, რომელიც მას ევალება და არ შეასრულა, გამორიცხავდა დანაშაულებრივი შედეგის დადგომას“. იგივე აზრი გამოხატულია სიტყვებით: „მართალია ქსოვერელის მხრიდან ადგილი ჰქონდა წითელი შუქნიშნით მატარებლის შეზღუდვის ინსტრუქციით ვათვალისწინებული წესების დარღვევას, მაგრამ მის დაცვას შექმნილ ვითარებაში არ შეეძლო დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბებული პოზიცია მიზეზობრივი კავშირის საკითხში იმის აღიარებაა, რომ ე. წ. „ალბათობითი მიზეზობრივი კავშირი“ (როგორც არ უნდა იყოს დათქმები) ვერ გამოადგება პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძვლად შედეგიანი დანაშაულის ჩადენისას. პრინციპულად შეუწყნარებელია მსჯავრდება ისეთი შედეგისათვის, რომელიც, მოვალეობის შესაბამისი ქცევის პირობებში შესაძლოა (ალბათ, ეგების) სასიკეთო ყოფილიყო, რადგან ასეთ შემთხვევებში გამორიცხულია მიზეზობრივი კავშირის რეალურად არსებობა.

მართალია „ალბათობითი მიზეზობრივი კავშირის“ ცნება უფარგისია პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის რეზულტატურ დელიქტებში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყოველნაირი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას უარი უნდა ვთქვათ ალბათობით კანონზომიერებათა კვლევაზე, რომლებიც „ალბათობითი მიზეზობრივი კავშირის“ ცნებას უდევს საფუძვლად. მაგალითად, კონკრეტული საფრთხის დელიქტების დროს დამნაშავე პასუხს აგებს ზიანის მიყენების რეალური შესაძლებლობისათვის, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით განიზომება. გარდა ამისა, „სტატისტიკური ალბათობის“ ცნება ფართოდ გამოიყენება (და მომავალში კიდევ უფრო ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული) კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში, აგრეთვე სამართალშემოქმედებით საქმიანობაში, სადაც სოციალურ მოვლენათა ყოველმხრივი ანალიზი ნორმათა შემუშავებისას მასობრივი სოციალური პროცენტების სტატისტიკურ ანალიზსაც მოიცავს.

¹⁵ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1970 წლის 8 ივნისის დადგენილება კ. კენკებაშვილის, ე. ქსოვერელისა და სხვათა საქმეზე. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1971, № 2, გვ. 20—21.



დისკუსია

ტერმინოლოგიური მსჯელობა

ტერმინი „Das Mutterrecht“, რაც „მატრიარქატის“ სინონიმა და გერმანულ სპეციალურ ლიტერატურაში ბახოფენის ნაშრომის მიხედვით დამკვიდრდა, ქართულად უნდა ითარგმნოს როგორც „დედის ხელისუფლება“ და არა „დედის სამართალი“. ოჯახის (გვარის) უფროსის ხელისუფლება სწორედ გვაროვნული წყობილების დროს წარმოიშვა და მისი დამახასიათებელი ნიშანია, „სამართალი“ კი კლასობრივი საზოგადოების კატეგორიაა. მატრიარქატი (დედის გვარი) ზუსტად გამოხატავს „დედის ხელისუფლებას“, ხოლო პატრიარქატი (მამის გვარი) — „მამის ხელისუფლებას“. ამასთან ტერმინი „ხელისუფლება“ ცხადად შეტყველებს იმ უცილობელ ფაქტს, რომ თავდაპირველად „უფლება“ სწორედ „ხელთან“ (manus) იყო დაკავშირებული და მისგან წარმოიშვა.

რაც შეეხება ზედსართავ სახელებს „mutterrechtliche“ და „vaterrechtliche“, უნდა ითარგმნოს როგორც „დედისეული“ (მატრიარქალური) და „მამისეული“ (პატრიარქალური), მაგრამ არავითარ შემთხვევაში „დედისუფლებრივი“ ან „მამისუფლებრივი“.

ი. დოლიძე



ვიორგი ნაღარეიშვილი

დედის უფლება თუ დედის სამართალი?

ფრიდრიხ ენგელსმა თავის ცნობილ ნაშრომში — „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“ — აღნიშნა ცნობილი შვეიცარიელი ისტორიკოსისა და იურისტის იოჰან იაკობ ბახოფენის (1815—1887) დამახატურება ოჯახის ისტორიის შესწავლის საქმეში. ფ. ენგელსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ბახოფენის დალ. მორგანის ნაშრომებს, სადაც კონკრეტულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე დასაბუთებული იყო, რომ მატრიარქალური პირველყოფილი გვარები წინა საფეხურია კულტურულ ხალხთა პატრიარქალური გვარებისა. „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის“ 1891 წლის, ე. ი. მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობაში ფრიდრიხ ენგელსი მიუთითებდა: აღმოჩენას იმის შესახებ, რომ მატრიარქალური პირველყოფილი გვარები წინა საფეხურია კულტურულ ხალხთა პატრიარქალური გვარებისა, პირველყოფილი ისტორიისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დარვინისეულ განვითარების თეორიას ბიოლოგიისათვის და მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიას პოლიტიკური ეკონომიკისათვის.

დიდი მნიშვნელობა საკითხისა თავისთავად ცხადია, ყველა მარქსისტ ისტორიკოსს, რომელიც უძველეს საზოგადოებათა სფეროში მუშაობს, არ შეუძლია გვერდის ავლა მატრიარქატისა და პატრიარქატის თანმიმდევრობით არსებობის ან არარსებობის საკითხისათვის. წინამდებარე წერილში საქირად შვიჩინით უურადების გამახვილება საკითხზე, თუ როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ი. ბახოფენის თხზულების სათაური — Das Mutterrecht; აგრეთვე ი. ბახოფენისა და ფ. ენგელსის მიერ ნაშთარ გამოთქმული Mutterrechtliche Gens და vaterrechtliche Gens.

ფ. ენგელსის თხზულებათა ქართულ თარგმანებში, როგორც წესი, ი. ბახოფენის ნაშრომის სახელწოდება გადმოიციემა როგორც „დედის უფლება“, ამასთან, mutterrechtliche — როგორც „დედის უფლებიანი“, ხოლო vaterrechtliche — „მამისუფლებიანი“¹.

პირველყოფილისა უნდა შევინიშნოთ, რომ ი. ბახოფენთან „მუტტერრეხტ“ ნიშნავს არა „დედის უფლებას“, როგორც ეს ქართულ თარგმანშია გადმოცემული, არამედ „დედის სამართალს“, „დედაკაცის სამართალს“ (იგულისხმება დედაკაცთა სამართალი როგორც მამაკაცთა სამართლის საპირისპირო ცნება).

ბახოფენის აზრით, თავდაპირველად აღამიანები ცხოვრობდნენ შეუზღუდველ სქესობრივ ურთიერთობაში და ამიტომაც გამოიციხული იყო მამობის უტყუარი გამორკვევის შესაძლებლობა. აღამიანის წარმოშობის გარკვევა ხდებოდა მდებრობითი ხაზით — დედის (დედაკაცის) სამართლის მიხედვით. ამის შედეგად დედაკაცებს როგორც დედებს, როგორც ახალგაზრდა თაობის ერთადერთ უძველეს მშობლებს დიდი პატივისცემა და ღირსება მქონდათ მინიჭებული, რაც, ბახოფენის შეხედულებით, დედაკაცთა სრულ ბატონობამდე (გი-დეკოკრატამდე) აღწევდა².

ბახოფენისთვის მატრიარქატი ეს ისეთი წყობილება იყო, სადაც ქალს ეკირა ვაბატონებული მდგომარეობა საზოგადოებაში. ქალი იყო კანონმდებელი და ამიტომ დედაკაცის სამართალი მამაკაცების დამორჩილებულ მდგომარეობას აკანონებდა.

ბახოფენისთვის მატრიარქატის ხანაშიაც კლასობრივი საზოგადოება იგულისხმებოდა. ამიტომ სწორი არ იქნებოდა, რომ დავემახინჯებინა აზრი ბახოფენის თხზულების სათაურისა და შეგვეცვალა მნიშვნელობა დიდი მენიერის გამოთქმებისათვის.

შეცდომისა თუ უზუსტობის წყარო ისიც იყო, აღმათ, რომ გერმანული და რუსული ენები სამართალსა და უფლებას ერთი ტერმინით გამოხატავენ. ჩვეულებრივ სიტყვათხმარე-

1 იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, თბ., 1968. გვ. 205, 206, 215.

2 იხ. დასახ. თხზ. იქვე.

ბის პროცესში გერმანული „რეტ“ სამართალსაც ნიშნავს და უფლებასაც, ისევე როგორც რუსულ „პრავო“.

ქართულ ენას აქვს საშუალება ტერმინოლოგიურად განახლებავს ერთმანეთისაგან „სამართალი“ და „უფლება“. ამასთან ისტორიულად ქართული ენა უფლების ცნებას ორი სინონიმური მნიშვნელობის ტერმინით გამომატავდა — „ქელი“ და „უფლება“.

რუსულ ენაში „პრავო“ ჩვეულებრივ სამართალსაც ნიშნავს და უფლებასაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებით უნდათ ხაზი გაუსვან იმ გარემოებას, რომ უფლება აზრდებოდა ლაპარაკობდნენ და არა სამართალზე, მიმართავენ ორ სიტყვას. „Судяк-тивное право“. ჩვეულებრივ დიდ უმრავლეს შემთხვევებში კი რუსულ წინადადებაში „პრავო“-ს ქვეშ უფლება იგულისხმება თუ სამართალი, ეს გარემოება მხოლოდ აზრობრივად შეიძლება გაიკვეს. დაახლოებით იმავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გერმანულშიაც. სამწუხაროდ გერმანულიდან და რუსულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელები ზოგჯერ ქართული ენის შესაძლებლობას მართებულად ვერ იყენებენ.

ფ. ენგელის ზემოხსენებული თხზულების ქართულ თარგმანში ერთგან იკითხება:

„ახეთი ურთიერთობა გამოირიცხავს მამობის უტყუარი გამორკვევის ყოველგვარ შესაძლებლობას, და ამიტომ წარმოშობის გარკვევა შეიძლებოდა მხოლოდ მდებარეობით ხაზით — დედის უფლების მიხედვით. — და ეს თავდაპირველად ასეც ხდებოდა ძველი დროის ყველა ხალხში“; თუ ზემოთ მოტანილ ციტატაში გამოთქმას „დედის უფლების მიხედვით“ შევცვლით სწორი აზრობრივი თარგმანით „დედის სამართლის მიხედვით“ ყველაფერი გასაგები იქნება.

უახლეს რუსულ გამოცემაში ფ. ენგელის თხზულების ციტირებული ადგილი ასე იკითხება: «такие отношения исключают всякую возможность достоверно установить отца, и поэтому происхождение можно было определять лишь по женской линии — согласно материнскому праву, — как первоначально это и было у всех народов древности».

ზემომოყვანილ ციტატაში „согласно материнскому праву“ ნიშნავს — „დედის სამართლის მიხედვით“ და არა „დედის უფლების მიხედვით“.

ფ. ენგელის სიტყვით, ბახოფენი განმარტავს ესტილეს „ორგენტიას“ როგორც დაღუპვისაგან დაქანებულ „დედის სამართალსა და გმირულ ეპოქაში აღმავალ და ძლევამოსილ მამის სამართალს შორის წარმოებული ბრძოლის დრამატულ გამოსახულებას“; ნაცვლად ამისა ქართულ თარგმანში ლაპარაკია დაღუპვისაგან დაქანებულ დედის უფლებას და გმირულ ეპოქაში აღმავალ და ძლევამოსილ მამის უფლებას შორის წარმოებული ბრძოლის დრამატულ გამოსახულებაზე. უფლება აქ არაფერ შუაშია.

ი. ბახოფენის თხზულების სრული სათაური ასეთია: „Das Mutterrecht. Eine Untersuchung über die Gynaiokratie der alten Welt nach ihrer religiösen und rechtlichen Natur“ ე. ი. „დედის სამართალი. გინეოკრატის გამოკვლევა ძველ სამყაროში მისი რელიგიური და სამართლებრივი ბუნების საფუძველზე“.

ბახოფენის თხზულების სათაურიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ ავტორის მხედველობაში დედის სამართალი და არა დედის უფლება აქვს. განხილული უნდა იქნეს აგრეთვე საკითხი: დედის სამართლის და მამის სამართლის ნაცვლად ხომ არ იქნება მართებული ვინმართ დედაკაცის სამართალი და მამაკაცის სამართალი ან უბრალო მატრიარქატი და პატრიარქატი სათანადო ტერმინოლოგიური კომენტარით.

ვფიქრობთ, ამ საკითხზე გერმანული ენის სპეციალისტებიც გამოსთქვამენ საუურადღებო მოსაზრებას.

³ იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, თბ., 1950, გვ. 198.

⁴ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание второе, М., 1962, т. 22, 216.

⁵ „Hiernach stellt Bachofen die „Oresteia“ des Äschylos dar als die dramatische Schilderung des Kampfes zwischen dem untergehenden Mutterrecht und dem in der Heroenzeit aufkommenden und siegenden Vaterrecht“.

Friedrich Engels Der Ursprung der Familie, des Privateigentums und des Staats. Leipzig, 1961, s. 10—11.



საიუბილეო ფურცლები

ვლადიმერ პრიგოლავა

დ. უზნაძე (დაბადების 90 წლისთავის გამო)

არჩან შემოქმედი ადამიანები, რომელთა ნაშრომ-ნაღვაწი მათი გარდაცვალების შემდეგ იძენს განსაკუთრებულ ცხოველმყოფელ ძალას. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნება დიდი ქართველი მოაზროვნე და პედაგოგი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების პირველი დღიდან მისი ნამდვილი წევრი დიმიტრი უზნაძე.

დ. უზნაძის სიცოცხლე სწორედ მაშინ შეწყდა, როდესაც მისი ორიგინალური ნააზრევი პირველ მტკიცე ნაბიჯებს დგამდა საბჭოთა ფსიქოლოგიაში: ჩამოყალიბებული იყო განწყობის თეორია და გამოქვეყნდა დ. უზნაძის მრავალი წლის ექსპერიმენტული და თეორიული მუშაობის შემაჯამებელი მონოგრაფია — „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“ (1949 წ.), რომელმაც ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას მთელს მსოფლიოში. „საქართველოში შექმნილია ფსიქოლოგიის საინტერესო სკოლა, რომლის ანალოგიური, შეიძლება ითქვას, არც კი არის ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ფსიქოლოგებისათვის დამახასიათებელია კვლევის მიზანდასახულობა, ტრადიციულ მიმართულებათა ერთგულება, აგრეთვე, ახლის შეგარძნება და ეს აკადემიკოს დ. უზნაძის დამსახურებაა, რომელმაც თავისი ნიჭითა და შრომით საძირკველი ჩაუყარა ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას“, — ეს სიტყვები გამოჩენილ რუს ფსიქოლოგს სსრკ პედაგ. მეცნიერების აკადემიის წ/კორესპონდენტს, აწ განსვენებულ პროფესორს ვ. დ. ნეზილიცინს ეკუთვნის¹.

და განა მარტო საბჭოთა კავშირში ქართულმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ, რომლის პეციფიკურ პრობლემას განწყობის ფსიქოლოგია წარმოადგენს, ფართოდ გაითქვა სახელი საზღვარგარეთაც. ის ფენომენი, რომლის საფუძველზეც დ. უზნაძემ განწყობის ექსპერიმენტული მეთოდი დაამუშავა, მეცნიერებაში ცნობილია „უზნაძის ეფექტის“ სახელით. ასე უწოდა მას თანამედროვეობის უდიდესმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ (საფრანგეთი) და სპეციალური მონოგრაფიაც მიუძღვნა მას (პარიზი, 1944 წ.).

დ. უზნაძის მოძღვრების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ შემოდასახელებული მონოგრაფია („განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“), რომელშიც განზოგადებულია მისი ხელმძღვანელობით გაწეული მრავალი წლის მუშაობის შედეგები, ინგლისურ ენაზე გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ნიუ-იორკი, 1966, რედაქტ. ა. ფრანგიშვილი).

აშშ-ის მეცნიერებისა და ხელოვნების საერთაშორისო გამომცემლობამ მეშვიდე ტომის მეორე ნომერი (1969) მთლიანად ქართულ ფსიქოლოგიურ სკო-

¹ „თბილისი“, 1972, 17/X.

ლას მიეძღვნა საერთო სათაურით — „შეუდარებელი ქართველები“. ამ ქუჩა-ნალში, მიმოხილვითი ხასიათის წერილების გარდა, დაბეჭდილია ცნობილი ქართველი ფსიქოლოგების, ა. ფრანგიშვილის, რ. ნათაძის, ი. ბეჟალავას სტატიები, ანოტირებულია ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევები.

დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების მონოგრაფიები, ცალკეული სტატიები გამოქვეყნებულია აშშ-ში, საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, იტალიაში, კანადაში და სხვ. სულ ახლახან გამოვიდა ბერლინში კრებული — „განწყობის ფსიქოლოგია“, რომელშიც, გარდა დ. უზნაძის შრომებისა, გამოქვეყნებულია მისი მოწაფეების: ა. ფრანგიშვილის, ვ. გრიგოლავას, ზ. ხოჯაეას, ნ. ელიაეას, რ. ნათაძის, შ. ჩხარტიშვილის, ე. გერსამიას ნაშრომები.

თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ეს თეორია, ნათელია იმ ფაქტით, რომ კანადელი (ქ. კალგარი) ფსიქოლოგების ძლიერი კოლექტივი ამჟამად ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს განწყობის ფსიქოლოგიაში და მათ მრავალი საყურადღებო შედეგი აქვთ მოპოებული. ასევე საგულისხმოა, რომ XVIII საერთაშორისო კონგრესზე (მოსკოვი, 1966) სპეციალური სიმპოზიუმი მიეძღვნა განწყობის ფსიქოლოგიის პრობლემის განხილვას (ხელმძღვანელი, პროფ. ა. ფრანგიშვილი).

დ. უზნაძის დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა შრომების კრებული — „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“ (რედაქტ. ა. ფრანგიშვილი), რომელშიც შევიდა მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი ფსიქოლოგის მიერ სპეციალურად ამ კრებული-სათვის დაწერილი გამოკვლევა (ყ. პიაე — შვეიცარია: ჯ. ბრუნერი — აშშ; ა. ლაჩინისი — აშშ; ლინგარტი — ჩეხოსლოვაკია, ნ. ოკონორი — ინგლისი; შ. შატო — საფრანგეთი, ჯ. გრიცუკი — კანადა; დ. შეკოუ — აშშ; კ. სატო — იაპონია, ვ. ნებლიცინი, პ. ვალბერინი, ფ. ბასინი — სსრკ და სხვ.). კრებულში ორმოცზე მეტი სტატია არის წარმოდგენილი, რომელთა უმრავლესობაში ხაზგასმულად დ. უზნაძის მოძღვრების გავლენა თანამედროვე ფსიქოლოგიაზე. ჯ. ბრუნერი სტატიაში — „ბავშვის უნარის განვითარების ხვადასზე დონე“ უპირველესად მიუთითებს იმ დიდ გავლენას, რომელიც დ. უზნაძის მოძღვრებამ მოახდინა მასზე როგორც მკვლევარზე. ეს მოძღვრება მას პირველად გაუცნია 1966 წელს, როდესაც ნიუიორკში ინგლისურ ენაზე გამოვიდა დ. უზნაძის ძირითადი ნაშრომი — „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“.

დ. შეკოუს სტატია ეხება შიზოფრენიით დაავადებულთა ფსიქოლოგიის საკითხებს. ავტორი მიუთითებს, რომ დ. უზნაძის მოძღვრება განწყობის შესახებ დიდად უწყობს ხელს შიზოფრენიით დაავადებულთა დიაგნოსტიკის ზომიერი საკვანძო საკითხის გარკვევას.

ო. ველეკი სტატიაში — „განწყობის თეორია და სტრუქტურა“ განიხილავს გერმანელი ფსიქოლოგების ფ. კრიუგერის, ე. ვერტჰაიმერისა და კ. ლეკინის მოძღვრებას განწყობის შესახებ და არკვევს მათს ადგილსა და მნიშვნელობას დ. უზნაძის თეორიაში.

გ. ოკონორი და ფრიტი სტატიაში — „შემეცნება და განწყობა“ მიმოიხილავენ შემეცნებისა და განწყობის ურთიერთობის საკითხებს და აღნიშნავენ, რომ მეცნიერული ფსიქოლოგიის საერთო-საკაცობრიო საგანძურში საბჭოთა

ფსიქოლოგიის სამი მიმართულება შეიძლება იქნას წარმოდგენილი განსაკუთრებით მკაფიოდ: „პავლოვის სკოლა, ვიგოტსკის მიერ დაარსებული სკოლა და უზნაძის მოღვაწეობით შთაგონებული სკოლა საქართველოში“.

რ. ჰერცოვისა და ვ. ანრუს სტატია — „უზნაძის განწყობის თეორიისა და ადამიანის მოქმედების დასავლური თეორიების ურთიერთობის საკითხისათვის“ ეხება განწყობის უზნაძისეული გააზრების მნიშვნელობას მოქმედების, კერძოდ, სწავლის ფსიქოლოგიისათვის.

შ. ფორვერგის სტატია — „სწავლება როლების შესრულების გზით“ პედაგოგიური ფსიქოლოგის, კერძოდ, სწავლების ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს ეხება. ავტორი დაასკვნის, რომ ინდივიდები შეფასებულნი უნდა იქნან თავიანთი განწყობის ტიპის მიხედვით — დინამიკურია მათი განწყობა თუ სტატიკური. ავტორი ამტკიცებს, რომ დინამიკური განწყობის მქონე ინდივიდები უფრო უკეთ ეგუებიან სიტუაციის მოთხოვნებს, ვიდრე — პლასტიკურ-დინამიკური ტიპის განწყობის ინდივიდები.

ა. და ე. ლაჩინაძის სტატია — „აზროვნების როლი განწყობის ეფექტებში“ — იწყება ავტორთა განცხადებით, რომ მათთვის დიდი პატივია მონაწილეობა მიიღონ ისეთი დიდი ექსპერიმენტატორისა და თეორეტიკოსისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, როგორც იყო დ. უზნაძე. ავტორებს ჩაუტარებიათ ცდა არითმეტიკულ მასალაზე განწყობის ფსიქოლოგიის მეთოდით, როდესაც ამოცანის ერთგვარობის პირობებში ინსტრუქცია იცვლება. ავტორთა დასკვნით, რაც უფრო მეტად არის ცდის პირი ამოცანისადმი ენობიერად მიმართული, მით უფრო ძლიერი განწყობა ექმნება მის.

დ. ბერლანი („ესთეტიკის ფსიქოლოგია და მისი სიძნელეები“) აღნიშნავს, რომ ექსპერიმენტული ესთეტიკა არის მეორე უძველესი დარგი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისა. თუმცა მეტისმეტად ჩამორჩენილი. ავტორი გვთავაზობს მოსაზრებებს, თუ როგორ და რა გზებით უნდა განვითარდეს ესთეტიკის ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და რა როლის შესრულება შეუძლია ამ საქმეში უზნაძის განწყობის თეორიას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასახელებული კრებული კარგად ასახავს ფსიქოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას ყველა მოწინავე ქვეყანაში და იმ ფართო რეზონანსს, რომელიც დ. უზნაძის განწყობის თეორიას აქვს საერთაშორისო ფსიქოლოგიურ აზროვნებაში.

მეცნიერული ფსიქოლოგიის და, კერძოდ, საბჭოთა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება საქართველოში დ. უზნაძის სახელთან არის უშუალოდ დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, ისტორიულად მნიშვნელოვან ეტაპს თბილისის უნივერსიტეტის დაარსება (1918) წარმოადგენს, სადაც თავიდანვე შეიქმნა ფსიქოლოგიის განყოფილება და კათედრა, რომელთა უცვლელი ხელმძღვანელი გარდაცვალებამდე (1950 წ.) დ. უზნაძე იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქართველ ფსიქოლოგთა წარმატებები, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე (1941) დ. უზნაძე არჩეულ იქნა მის ნამდვილ წევრად.

დ. უზნაძის საყოველთაოდ აღიარებული დამსახურება საბჭოთა ფსიქოლოგიის წინაშე ის არის, რომ მან დიალექტიკურ-მატერიალისტური პოზიციებიდან შესძლო აეგო ადამიანის ქცევის ექსპერიმენტულად დასაბუთებულ თეორია „განწყობის ფსიქოლოგიის“ სახელწოდებით.

დ. უზნაძე დაიბადა 1886 წ. 20 დეკემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში და პირველდაწყებითი განათლება ექვე მიიღო. 1896 წელს სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შევიდა, საიდანაც გარიცხულ იქნა 1905 წელს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. ამის შემდეგ იგი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა და თავისუფალ მსმენელად იქნა ჩარიცხული ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც იგი სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის ვ. ვუნდტის ხელმძღვანელობით.

1909 წელს დ. უზნაძემ წარმატებით დაამთავრა ლაიპციგის უნივერსიტეტი და იმავე წელს ქ. ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ვლადიმერ სოლოვიოვი, მისი შემეცნების თეორია და მეტაფიზიკა“, რისთვისაც მას ფილოსოფიის მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

ამავე წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში მსოფლიოს ისტორიისა და ლოგიკა-ფსიქოლოგიის მასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ (1910 წ.) იგი შედის ხარკოვის უნივერსიტეტში და 1913 წელს ამთავრებს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს.

1909 წლიდან 1917 წლამდე დ. უზნაძე ძირითადად ქუთაისში მუშაობს და, დაძაბულ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ფრიად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში: აქვეყნებს წერილებს პედაგოგიკის თეორიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ადგენს სახელმძღვანელოებს ისტორიაში და სხვა.

1912 წელს გამოვიდა მისი „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“. რომელშიც გადაპირით ილაშქრებს არსებული პედაგოგიური სისტემის წინააღმდეგ. ეს იყო პირველი მეცნიერული შრომა ქართულ ექსპერიმენტულ პედაგოგიაში, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია პედაგოგიკის განვითარებას საქართველოში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. 1915 წელს დ. უზნაძემ ქუთაისში დააარსა პირველი ქალთა სკოლა საქართველოში, სადაც ქართული ენაზე ასწავლიდნენ.

1917 წელს დ. უზნაძე სამუშაოდ თბილისში გადმოვიდა და რევოლუციის მონდევნო პერიოდის სასკოლო რეფორმის საკითხების დამუშავებას მიჰყო ხელი. 1921 წელს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დავალებით, დ. უზნაძემ წარადგინა მოხსენებითი ბარათი სკოლის რეფორმის საკითხებზე, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში.

ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართული უნივერსიტეტის დაარსება თბილისში, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აკადემიური კომისიის წევრი — ივ ჯავახიშვილთან, ა. მელიქიშვილთან, ე. თაყაიშვილთან, ფ. გოგიჩაიშვილთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად — დ. უზნაძე იყო.

უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე დ. უზნაძე ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის პირველი პროფესორია საქართველოში და უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრისა და ფსიქოლოგიის ლაბორატორიის პირველი გამგე. უნივერსიტეტში პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობასთან ერთად

დ. უზნაძე ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა სახალხო განათლების სხვადასხვა დარგში. მისი ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტთან შეიქმნა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის დირექტორი და პროფესორი 1925 წლამდე დ. უზნაძე იყო. მომდევნო წლებშიც იგი მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს ხელმძღვანელობდა: ქუთაისში პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებიდან (1933 წ.) 1940 წლამდე ფსიქოლოგიის კათედრის გამგე იყო, ლექციებს კითხულობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვა. მისი შრომები სისტემატურად ქვეყნდებოდა მსოფლიოში ცნობილ ფსიქოლოგიურ ჟურნალებში, სკავშირო და საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების მასალებში.

დიდია დ. უზნაძის დამსახურება ფსიქოლოგიასა და პედაგოგიაში ქართული მეცნიერული კათედრის მომზადების საქმეში. მის სახელმძღვანელოებზე — „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“, „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, „ზოგადი ფსიქოლოგია“, „ბავშვის ფსიქოლოგია“ და სხვა — აღიზარდა პედაგოგიური მეცნიერების მრავალი წარმომადგენელი.

დ. უზნაძის დაუღალავი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა გახდა იმის საფუძველი, რომ 1941 წელს საქართველოში, პირველად მთელ საბჭოთა კავშირში, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დირექტორი დღიდან მისი დაარსებისა დ. უზნაძე იყო.

დ. უზნაძის უანგარო, დაუღალავი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებული პარტიისა და მთავრობის მიერ: 1941 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და იგი დაჯილდოებულ იქნა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, 1950 წელს, დ. უზნაძის სახელი ეწოდა იმ ინსტიტუტს, რომლის შექმნასა და განვითარებას მთელი შემოქმედებითი შრომა და ენერჯია მოახმარა ამ დიდმა მეცნიერმა, სამაგალითო მოქალაქემ და თავდადებულმა პატრიოტმა.

იქნას, თუ რა შინაარსი ესმის უსასრულო დასკვნის თეორიის ავტორს აბსოლუტურის ცნებაში.

ობიექტურის ცნებას ფილოსოფიაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი აღნიშნავს დამოუკიდებელს. ობიექტური არის ის, რაც დამოუკიდებელია, თავისთავადია. თვითონ დამოუკიდებლობის ცნებაც სხვადასხვა აზრით იხმარება; კერძოდ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ოთხი ტიპის (ოთხი საფეხურის, ხარისხის, დონის) დამოუკიდებლობა:

პირველი, შეიძლება რაიმე ცნობიერებას ეკუთვნოდეს და, მაშასადამე, მასზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ რაღაცდაგვარად მაინც დამოუკიდებელი, ე. ი. ობიექტური იყოს. ასეთია, მაგალითად, გაცდა. იგი სუბიექტურია, სუბიექტს ეკუთვნის, მაგრამ მთლად სუბიექტური როდია, — იგი ობიექტურია იმ აზრით, რომ მთლიანად სუბიექტზე არ არის დამოკიდებული, არამედ მისი მიზეზი სუბიექტის გარეთაა. მე არ შემიძლია, როცა მსურს მიხაროდეს ან ვწუხდე, — ამას ობიექტური მიზეზები აქვს და, ამდენად, ნებელობისაგან დამოუკიდებელია, ამავნა მისი ობიექტურობა; თუმცა ეს დამოუკიდებლობა, მაშასადამე, ობიექტურობა მინიმალურია და ობიექტურობის უდაბლეს ხარისხს წარმოადგენს, მაგრამ მაინც ობიექტურობაა;

მეორე, დამოუკიდებლობისა და, მაშასადამე, ობიექტურობის უფრო მაღალი დონეა ინტერსუბიექტური, ე. ი. ისეთი რამ, რაც დამოუკიდებელია ამა თუ იმ (ინდივიდუალური) ცნობიერებისაგან, მაგრამ არა საერთოდ ცნობიერებისა და კაცობრიობისაგან. ასე ესმოდა კანტს სივრცისა და დროის ობიექტურობა. ისინი, როგორც წმინდა ინტუიციის აბრიორული ფორმები, სუბიექტურია, არ ეკუთვნიან ნივთებს თავისთავად, მაგრამ იმავე დროს სივრცე და დრო ობიექტურია, ვინაიდან არ არიან დამოკიდებული ცალკეულ სუბიექტზე. დაახლოებით ასევეა გავებული ჭეშმარიტების ცნება დიალექტიკურ მატერიალიზმში, აზროვნების ლოგიკური კანონები და ა. შ. ჭეშმარიტება სუბიექტზეა დამოკიდებული, სუბიექტურია იმ აზრით, რომ ადამიანის გარეშე არ არსებობს; მაგრამ, არსებითად რომ ვთქვათ, სუბიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს, ვინაიდან ჭეშმარიტება დამოუკიდებელია ცალკეული სუბიექტისაგან, ინდივიდისაგან. ასევეა აზროვნების ლოგიკური კანონებიც, ამ შემთხვევაში, ობიექტურობის (დამოუკიდებლობის) უფრო მაღალი დონე, მაღალი ხარისხი გვაქვს, ვიდრე განცდას.

მესამე, დამოუკიდებლობისა და, მაშასადამე, ობიექტურობის კიდევ უფრო მაღალ დონეს ქმნის ბუნების საგნებისა და მოვლენების ობიექტურობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დამოკიდებული ცნობიერებისა და ადამიანის არსებობაზე, არც ცალკეულ ინდივიდზე და არც მთელ კაცობრიობაზე. ამდენად საგნები და მოვლენები ობიექტურია. ჩვეულებრივად, როდესაც ობიექტურობაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ სწორედ ასეთი ობიექტურობა, როგორც უფრო თვალსაჩინო, მაგრამ ობიექტურობა, როგორც დამოუკიდებლობა, არც აქ არის სრულყოფილად გამოვლენილი. საგნები დამოუკიდებელია ცნობიერებისაგან და ამდენად ობიექტურია, თუმცა ისინი არ არიან საერთოდ დამოუკიდებელი. მატერიალისტური დიალექტიკა გვასწავლის, რომ ბუნების საგნები და მოვლენები ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში იმყოფებიან. სწავავარად ეს ნიშნავს, რომ საგნე-

ბი და მოვლენები, მართალია, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ დამოკიდებული არიან ერთმანეთზე. ამ დონეზე, როგორც ვხედავთ, დამოუკიდებლობა, და, მათთანადამე, ობიექტურობა კიდევ უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, მაგრამ არა სრულყოფილად. ხოლო ისეთი დამოუკიდებლობა, რომელიც წარმოადგენს არა მარტო სუბიექტისაგან, არამედ აგრეთვე სხვა ობიექტებისაგან დამოუკიდებლობას არის უმაღლესი დონის, ნამდვილი, სრულყოფილი დამოუკიდებლობა და თავისთავადობა, ე. ი. ობიექტურობა. ასეთია აბსოლუტური. ამდენად და ამ ბუნქტში ობიექტური და აბსოლუტური ერთმანეთს ემთხვევა. ეს არის ობიექტურობის მეოთხე და უკანასკნელი ფორმა.

როდესაც ს. წერეთელი აბსოლუტურისა და ობიექტურის იგივეობაზე ლაპარაკობს, მას უთუოდ მხედველობაში აქვს უმაღლესი დონის ობიექტურობა ანუ ობიექტურის ცნების ეს მეოთხე ასპექტი, რაც მთლიანად ემთხვევა აბსოლუტურს. მართლაც, სრული დამოუკიდებელი, თავისთავადი, უპირობო, სხვა არაფერია, თუ არა აბსოლუტური, ე. ი. ის, რასაც თავისი არსებობის საფუძველი თავის თავში აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აბსოლუტური არაფრის მიმართ არ არის დასრულებული, განსაზღვრული ანუ იგი უსასრულოა. ამის შესაბამისად, რელატიური, რომელიც სხვასთან მიმართებაში არსებობს და, მათთანადამე, სხვაზეა დამოკიდებული, სხვისი საშუალებით დგინდება, არის სასრული. რელატიურობა სასრულობის მაჩვენებელია. „სასრული არის ის, — ამბობს ს. წერეთელი, — რაც სხვით დგინდება და უარყოფა“⁴. აქედან ჩანს, რომ რელატიური და სასრული, ერთი მხრივ, ხოლო აბსოლუტური და უსასრულო, მეორე მხრივ, ერთმანეთს ემთხვევა. „ლოგიკას საქმე აქვს აზრში არსებულ ობიექტურთან, — ამბობს ს. წერეთელი, — რომლის მხარეები — მომენტები — რელატიურია“. რელატიურის, როგორც აბსოლუტურის მხარის, მომენტის შესახებ ქვემოთ სპეციალურად ვიმსჯელებთ, ამჟამად კი მარტოდენ ის გვიანტერესებს, რომ აბსოლუტური არის სისრულით წარმოდგენილი ობიექტური, რომელიც, როგორც უპირობო და თავისთავადი, უსასრულოა; ამის შესაბამისად რელატიური, როგორც ობიექტურ-აბსოლუტურის საპირისპირო და მისი ცალმხრივობა, არის სასრული.

მ. რელატიურიდან აბსოლუტურზე გადასვლის მეთოდი. ნამდვილი ლოგიკური, რომელშიც ს. წერეთელი ყოველთვის დიალექტიკურ-ლოგიკურს გულისხმობს, უნდა იყოს თავისთავადი, ე. ი. ობიექტურ-ლოგიკური, სრული ლოგიკური, რომელსაც თავისი ლოგიკური საფუძველი თავის თავში აქვს. ეს ვარემოება მასზე მიუთითებს, რომ იგი არის ლოგიკურ-აბსოლუტური ანუ ლოგიკურის სფეროში განხორციელებული აბსოლუტური. ფორმალურ-ლოგიკური კი ვერ იქნება ნამდვილი ლოგიკური, ვინაიდან იგი ცალმხრივობას წარმოადგენს, კერძოდ იგი არის სრული დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთი ცალმხრივობა. ცალმხრივი კი არის რელატიური და სასრული, ვინაიდან ცალმხრივი მთელზეა დამოკიდებული, რომლის ცალმხრივობასაც იგი წარმოადგენს.

ფორმალური ლოგიკის არასრულობისა და ცალმხრივობის მაჩვენებელია, ს. წერეთლის აზრით, სილოგოზმი, რომელშიც დანასაკვი თავის გამართლებას

4 ს. წერეთელი. დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 232.

სხვაგან, სახელდობრ წანამძღვრებში ეძებს. წანამძღვრები გარედაა გატანილი ანუ დანასკვი არათვისაფუძვლის მქონე, მისი საფუძველი სხვაშია და, მაშასადამე, ამდენად სხვაზეა დამოკიდებული. ეს გარემოება, ს. წერეთლის აზრით, ფორმალური ლოგიკის რელატიურობასა და სასრულობაზე მიუთითებს, რასაც იგი ფორმალურ-ლოგიკურის ნაკლად თვლის.

ამის შესაბამისად მთელი ფორმალური ლოგიკა სასრული ლოგიკურის სფეროდ ცხადდება, ვინაიდან იგი სრული ლოგიკურის (დიალექტიკურ-ლოგიკურის) მხოლოდ ერთი მხარეა, ერთი მომენტი, მისი ცალმხრივობაა. დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულოს ლოგიკა; უსასრულობას კი ის ქმნის, რომ დიალექტიკურ-ლოგიკური აბსოლუტურია, თავის თავში აქვს თავისი ლოგიკური საფუძველი, თავისთავადია.

ვინაიდან ცალმხრივობა სასრულობის მაჩვენებელია, მისი მოხსნა იმავე დროს სასრულის მოხსნასა და უსასრულოს მიღებას უნდა ნიშნავდეს. მსჯელობა არის ცალმხრივობის ასახვა; იგი სინამდვილეს რაღაც ერთი მხრით ასახავს და, მაშასადამე, სისრულით ვერ წარმოგვიდგენს. საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობა კი იქნება ცალმხრივობის მოხსნა ანუ დასკვნაში გადასვლა. ასეთი დასკვნა, ცხადია, უსასრულო იქნება, ვინაიდან ცალმხრივობის მოხსნა ამასთანავე სასრულობის მოხსნასაც ნიშნავს.

უსასრულო დასკვნა არის თავისთავადი, თვითსაფუძვლის მქონე დასკვნა, რომლის წანამძღვრები, ფორმალური ლოგიკის სილოგიზმისაგან განსხვავებით, დანასკვის გარეთი არ არის გატანილი, არამედ თავის თავში აქვს. სწორედ ამიტომ ს. წერეთელი ზოგჯერ მას „ერთგნებთან დასკვნას“ უწოდებს. აქ საფუძველი და ის, რაც მასზეა დაფუძნებული, ერთმანეთს ემთხვევა. იგი არის თავის თავისავე მიბრუნებული დასკვნა; ამაში გამოიხატება მისი რეფლექსურობა და აბსოლუტურობა.

დიალექტიკურ-ლოგიკური არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მსჯელობებით თუნდაც იმიტომ, რომ იგი არასრულ, ცალმხრივ ცოდნას გვაძლევს: „ცალმხრივობა შეცდომას წარმოადგენს, რადგან ცალმხრივ თვალსაზრისს საგნის ერთი მხარე მთელ საგნად მიაჩნია“. ეს არის მეტაფიზიკური თვალსაზრისი, ცალმხრივისა და არასრულის გავზიადება.

ამრიგად, ს. წერეთელი თვლის, რომ ცალმხრივიდან სრულზე, რელატიურიდან აბსოლუტურზე გადასვლა ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენს (იგი არის გნოსეოლოგიური აუცილებლობაც, ვინაიდან შემეცნება სასრულიდან უსასრულოსაკენ მიემართება). მაგრამ როგორ ხორციელდება ეს გადასვლა? ს. წერეთელია შეიმუშავა რელატიურიდან აბსოლუტურზე გადასვლის მეთოდი ლოგიკურ სფეროში. ამ მეთოდის საილუსტრაციოდ იგი აჩვენებს უსასრულო დასკვნის რეამხრივობასა და თითოეული ამ მხარის (მსჯელობის) ცალმხრივობას.

დასკვნის რეამხრივობის თითოეული მხარე ცალმხრივობასა და, ამდენად, შეცდომას წარმოადგენს, რომელთა მოწყვეტა დანარჩენისაგან და, მაშასადამე, გააბსოლუტურება აგრეთვე შეცდომაა. „თუ არის წარმოება, მაშინ არის მოხმარება“. ეს სწორია, ვინაიდან წარმოება მოხმარების გარეშე შეუძლებელია: მაგრამ ეს ჭეშმარიტება ცალმხრივია, ვინაიდან არა მარტო წარმოება მოითხოვს მოხმარებას, არამედ არც მოხმარება არსებობს წარმოების გარეშე (ვე-

რაფერს მოიხმარ, თუ არ აწარმოე); ამრიგად, უნდა ვთქვათ, რომ „თუ არის მოხმარება, მაშინ არის წარმოება“. ეს მსჯელობა ავსებს პირველს. ანალოგიური ვითარება გვექნება შემდგომშიც: „თუ არ არის წარმოება, მაშინ არ არის მოხმარება“ და „თუ არ არის მოხმარება, მაშინ არ არის წარმოება“.

შემდგომ ოთხ მსჯელობას აზრი აქვს როგორც პირველი ოთხის საპირისპიროთ და მათ შემესებთ, მაგალითად: „თუ არის წარმოება, მაშინ არ არის მოხმარება“ და „თუ არის მოხმარება, მაშინ არ არის წარმოება“ და ა. შ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ, მართალია, წარმოება და მოხმარება ერთმანეთის გარეშე არ არსებობს (რაც გამოთქმულია პირველ ორ მსჯელობაში), მაგრამ წარმოება მაინც წარმოებაა და მოხმარება — მოხმარება (V და VI მსჯელობები) ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, ცალმხრივს გარკვეული დამოუკიდებლობა გააჩნია და მსჯელობა ობიექტურობას (თუმცა არასრულს) გამოხატავს. არასრული ობიექტურობაც ხომ ობიექტურობაა? ამ ცალმხრივობათა გათვალისწინება იქნება მათი „ამოწურვა“, კერძოდ, სასრულის სფეროს ამოწურვა და უსასრულობამდე „შეცემა“. რვა მსჯელობით ამოწურება სასრულის სფერო და შედეგად უსასრულოს მივიღებთ. სასრულები ავსებენ უსასრულოს ანუ უსასრულო მიიღება სასრულთა (ცალმხრივთა) ამოწურვისა და უსასრულობამდე შეცემის შედეგად. ეს არის ე. წ. „ამოწურვა-შეცემის“ მეთოდი, რომელსაც, ს. წერეთელი ხმარობს სასრულის სფეროდან უსასრულობაზე ანუ რელატიურიდან აბსოლუტურზე გადასასვლელად. იგივე მეთოდი ს. წერეთლის ლოგიკურ კონცეფციაში მოხმარებულია როგორც უსასრულო დასკვნის მიღების მეთოდი.

რასაკვირველია, ამ მეთოდის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ს. წერეთელი სასრულთა უსასრულობას უშვებდეს. მართლაც, თუკი სასრულთა (ცალმხრივთა) რიცხვი უსასრულო იყოს, მაშინ მის ამოწურვას ვერ შევძლებდით, ხოლო ყოველი საფეხური ამ უსასრულო გზაზე ინდუქციური და სააღბათო იქნებოდა. მაგრამ ს. წერეთელი დიალექტიკის პოზიციებზე დგას და ადვილად სძლევს ამ სიძნელეს. იგი თვლის, რომ წინააღმდეგობის მხარეები არ შეიძლება იყოს უსასრულო. კერძოდ, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სასრულთა რიცხვი რვა მსჯელობით ამოწურება ანუ უსასრულო (დასკვნა) შედეგება რვა სასრულისაგან (მსჯელობისაგან). კიდევ მეტიც, ს. წერეთელი ფიქრობს, რომ აქ გვაქვს არა რვა მსჯელობა (რვა ცალმხრივობა), არამედ მხოლოდ ორი, ვინაიდან დაპირისპირება-წინააღმდეგობაში არსებითად მხოლოდ ორი ურთიერთდაპირისპირებული-ურთიერთდამდგენი მხარე შეიძლება იყოს. სწორედ ამიტომ ამ სასრული რიცხვის სასრულის (მით უმეტეს ორი სასრულის) „გავლა“, მათი სისრულით ამოწურვა და უსასრულობამდე შეცემა იოლად შეიძლება. „რადგან ასეთი კერძო არის მხოლოდ ორი და მესამე გამოირიცხულია, ამიტომ მათი «გავლა» შეიძლება და ხორციელდება. ორი ასეთი კერძოს დადგენით უკვე გავლილია კერძოს სფერო“.

სასრულთა „გავლის“ შესაძლებლობის დასამტკიცებლად ს. წერეთელს სხვა არგუმენტიც მოჰყავს, სახელდობრ, კერძოსა და ზოგადის კატეგორიებთან დაკავშირებით იგი ფიქრობს, რომ თუ სრული კერძო არის მხოლოდ ორი, მაშინ კატეგორიალურ ფორმაში ორივე კერძო ერთი იქნება; ეს ნიშნავს, რომ „კერძოების უსასრულობის გავლა ზდება კერძოს კატეგორიაში“

(კატეგორია როგორც უზოგადესი ცნება ხომ უსასრულობის გამომხატველია?!).

ამრიგად, დიალექტიკური თეორიის საფუძველზე სასრულთა ამოწურვა და უსასრულოს მიღება შესაძლებელია. „საწინააღმდეგო მსჯელობანი, რომლებიც არსებას და დაუბოლოებელს შეეხებიან, ერთმანეთს ავსებენ „მესამედე“ — ერთიანობამდე“⁷. ამით თავიდან აცილებულია ინდუქციის ცნობილი ნაკლი და არც ასეთი „ამოწურვა-შევსების“ შედეგად მიღებული დასკვნა ატარებს ალბათურ ხასიათს. ს. წერეთელი თვლის, რომ თუ უსასრულოს ქვეშ მარტოდენ პოტენციალურ უსასრულობას ვიგულისხმებთ, მაშინ მისი გავლა და უსასრულოს ამოწურვა მართლაც შეუძლებელი იქნება. ეს შეუძლებლობა იწვევს ინდუქციურ ალბათობას. ამ სიძნელიდან გამოსავალს კი ს. წერეთელი ქვეშარიტი უსასრულობის აღიარებაში ხედავს, რომელიც, პოტენციალურისაგან განსხვავებით, დადებით უსასრულობას წარმოადგენს. იგი არის სასრული უსასრულო ანუ წრისებური, ჩაკეტილი უსასრულობა. აქ უსასრულობა სავსეობასა და ყოველმხრივობას ნიშნავს. ეს უქანასკნელი კი „ამოწურვა-შევსების“ მეთოდის გამოყენების საფუძველზე მიიღება.

სასრულთა „ამოწურვა-შევსების“ („გავლის“) გზით მიღებული უსასრულო, ცხადია, არ იქნება სასრულთა ჯამი; აბსოლუტური არ არის რელატიურების ჯამი, მათი კრებადობა. უსასრულო დასკვნა, ცხადია, არ შეიძლება ჩაითვალოს რვა ცალმხრივი მსჯელობისაგან „შემდეგარ“ დებულებად. აქ გვაქვს თვისებრივი უსასრულობა და არა სასრულთა უსასრულო კრებადობა. ცხადია, თვისებრივი უსასრულობა ს. წერეთლის კონცეფციაში არ ნიშნავს რაოდენობრივი უსასრულობის ანალოგიურს (წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით უაზრობას)⁸. თვისებრივი უსასრულობის ქვეშ აქ მხოლოდ ის იგულისხმება, რომ უსასრულობა თვისებრივად ახალია სასრულთან შედარებით.

„წინააღმდეგობისათვის „მესამე“ არის მისი ძირი და არა საწინააღმდეგოთა ნაერთი“ — ამბობს ს. წერეთელი. ეს ნიშნავს, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობა არ არის დაპირისპირებულთა ჯამი. აქ თითქოს უკვე აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი დაპირისპირებასა და წინააღმდეგობას ანუ საწინააღმდეგოთა და დაპირისპირებულთა „ძირი“ თვითონ უკვე აღარ უნდა შეიცავდეს წინააღმდეგობას, ვინაიდან წინააღმდეგობაში ყოფნა რელატიურობისა და სასრულობის საფუძველია, ხოლო ამ წინააღმდეგობის მოხსნა რელატიურობისა და სასრულობის დაძლევა და აბსოლუტურის, უსასრულოს მიღება იქნება. „წინააღმდეგობის მოხსნა ერთიანობის აზრით დაბოლოებულობის დაძლევის წარმოადგენს. ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობა დაბოლოებულ განსაზღვრულობათა მოხსნასა და ერთიანობას უნდა ნიშნავდეს“⁹.

აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს, რომ აბსოლუტურსა და უსასრულოში უკვე შეუძლებელია წინააღმდეგობის არსებობა (ვინაიდან წინააღმდეგობის არსებობა სასრულობასა და რელატიურობაზე მიუთითებს). „წინა-

7 ს. წერეთელი. ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, თბ., 1952, გვ. 121.

8 იხ. ჩვენი წიგნი, ბუნებისმეტყველების ფილოსოფია, თბ., 1974, თავი უსასრულობაზე.

9 ს. წერეთელი. ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 111.

აღმდევობის ერთიანობა“ სწორედ ერთიანობაა და არა წინააღმდეგობა ანუ იგი არის „დაბოლოებულ განსაზღვრულობათა მოხსნა“ და დაუბოლოებელის (უსასრულოს) და აბსოლუტურის მიღება. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ არც ეს „ძირი“ შეიძლება იყოს თავისუფალი წინააღმდეგობისაგან, თორემ ნ. კუზნეცის „Coincidentia oppositorum“-ს და, საერთოდ, დიალექტიკის უარყოფას ვერ ავცდებით. სწორედ ამიტომ ამბობს ს. წერეთელი, რომ „ურთიერთუარყოფა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, ე. ი. მაშინ, როდესაც ერთიმეორის უარყოფელნი არა მხოლოდ უარყოფენ ერთიმეორეს, არამედ ერთიმეორესაც ადგენენ, ერთიანობაშიც იმყოფებიან. ეს ერთიანობა აუცილებლობით თავის თავშიც შეიცავს წინააღმდეგობას“¹⁰. ამრიგად, თვითონ „ძირიც“ (ერთიანობა) ვერ ასცდება წინააღმდეგობას. პირიქით, თვითონ დაპირისპირებულთა (როგორც ცალმხრივობათა, სასრულთა, რელატიურთა) ერთიანობა, რაც აბსოლუტურსა და უსასრულოს წარმოადგენს და მიღებულია სასრულთა, რელატიურთა ამოწურვის შედეგად, კვლავ წინააღმდეგობის შემცველია დაპირისპირებულთა ერთიანობის აზრით. ამდენად ნ. კუზნეცის გზა დაპირისპირებულთა დამთხვევისა და ამდენად წინააღმდეგობის მოხსნისა აბსოლუტურის სფეროში უარყოფილია.

მაგრამ როგორ არის შესაძლებელი, რომ წინააღმდეგობა ერთი მხრივ რელატიურობისა და სასრულობის მაჩვენებელია, ან, როგორც თვითონ ს. წერეთელი ამბობს, „წინააღმდეგობაში ყოფნა დაბოლოებულობას (ე. ი. სასრულობას) ნიშნავს“, ხოლო, მეორე მხრივ, წინააღმდეგობის (დაპირისპირებულთა) ერთიანობა, როგორც წინააღმდეგობის აუცილებლობის შემცველი, არ არის რელატიური და სასრული, არამედ აბსოლუტური და უსასრულო? ეს სიძნელე მაშინვე წამოიჭრება, როდესაც „ამოწურვა-შევსების“ მეთოდი თავის საქმეს დაასრულებს.

ერთი სიტყვით, მთელი სირთულე ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოვიაზროთ უსასრულოსა და აბსოლუტურის წინააღმდეგობრივი ხასიათი. თუ სასრულთა „გავლა“ უსასრულოს უნდა გვაძლევდეს (სხვაგვარად „ამოწურვა-შევსების“ მეთოდი აზრს მოკლებული იქნებოდა), მაშინ უსასრულო როგორ შეიძლება შეიცავდეს კვლავ სასრულს წინააღმდეგობის სახით? — ეს სიძნელე საერთოდ არ არის სათანადოდ გამოკვლეული ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში. სწორია ის, რომ რელატიური შეიცავს აბსოლუტურს, მაგრამ გასარკვევია, თუ როგორ შეუძლია რელატიურსა და სასრულს აბსოლუტურისა და უსასრულოს მოცვა. ს. წერეთლისათვის ეს არ იყო უშუალო კვლევის ობიექტი, ვინაიდან მას აბსოლუტურისა და რელატიურის ურთიერთობის პრობლემა თავისთავად არც აინტერესებდა. სწორედ ამიტომ იგი აქ შეჩერდა, რაც სრულიად დამაკმაყოფილებლად ხსნის მისი თეორიის ყველა დეტალს. სიძნელე მაშინ შეიძლება შევამჩნიოთ, როდესაც ლოგიკურის ფარგლებიდან გავალთ და ლოგიკურ თეორიას ინტოლოგიური ვითარების ახსნას მოვთხოვთ. მაგრამ ასეთი მოთხოვნა ხომ კანონიერი არ არის?

4. აბსოლუტურის სფერო. რელატიური, ცალმხრივი (მაგალითად, მსჯელობები) იმით არის ასეთი, რომ სხვაზე დამოკიდებული და, მაშასადამე,

¹⁰ ს. წერეთელი. ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ. თბ., 1956, გვ. 257.

სასრულია. უსასრულო დასკვნა კი ამ რელატიურთა, ცალმხრივთა, სასრულთა ამოწურვის, მათი „გავლის“ შედეგად მიიღება. აქედან ცხადია, რომ რელატიურისა და სასრულის „გავლის“ შედეგად კვლავ რელატიური და სასრული აღარ შეიძლება მივიღოთ (წინააღმდეგ შემთხვევაში მათ „ამოწურვა-გავლასაც“ აზრი აღარ ექნებოდა). ეს ნიშნავს, რომ დასკვნა, რომელიც რელატიურისა და სასრულის „გავლის“ შედეგად მივიღეთ, თვითონ აღარ არის რელატიური და სასრული, არამედ აბსოლუტური და უსასრულო. საერთოდ აბსოლუტურისა და უსასრულოს ცნებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკურ კონცეფციაში ისინი იგივეობრივია, ვინაიდან უსასრულობა სასრულთა და რელატიურთა, ცალმხრივთა და განპირობებულთა მოხსნის („გავლის“) შედეგად მიიღება. ასეთი კი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტური; განპირობებულობისა და რელატიურობის მოხსნა, ცხადია, ნიშნავს უპირობოსა და აბსოლუტურის მიღებას. ამრიგად, უსასრულო დასკვნა არის აბსოლუტური დასკვნა. — ეს ნიშნავს, რომ ს. წერეთელმა შეასრულა მის წინაშე მდგარი ამოცანა: იპოვნა აბსოლუტური ლოგიკურში, დასძლია რელატიურობის პოზიციები და გადავიდა აბსოლუტურზე. ამდენად ს. წერეთლის ლოგიკური თეორია შინაგანად დასრულებულია.

ამავე საფუძველზე უსასრულო დასკვნის თეორია შეიძლება განვიხილოთ როგორც ონტოლოგიური თეორია, ვინაიდან მას საქმე აქვს აბსოლუტურთან (მართალია, ლოგიკურის აბსოლუტურთან, მაგრამ მაინც აბსოლუტურთან). ამავე აზრით ს. წერეთელი დიალექტიკურ ლოგიკას „ონტოლოგიურ ლოგიკად“ თვლიდა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს ჰეგელის თეალსაზრისის განმეორებას, სადაც არსი და აზრი ერთმანეთს ემთხვევა, არამედ მარტოოდენ იმას, რომ არსის ამსახველი აზრი მისი ობიექტურობა-დამოუკიდებლობა-აბსოლუტურობის ამსახველიც უნდა იყოს. ეს აბსოლუტურობა, როგორც უმაღლესი დონის ობიექტურობა, აძლევს ლოგიკურს ონტოლოგიურ ხასიათს.

უსასრულო დასკვნის უსასრულობის მტკიცება მისი აბსოლუტურობის მტკიცებასაც ნიშნავს. აბსოლუტურობა უპირობობაა; სწორედ ასეთია უსასრულო დასკვნა. იგი არის უშუალო (ანუ, რაც იგივეა, შინაგანად გაშუალებული) და უპირობო (ანუ თვითგანპირობებული), თავისი არსებობის საფუძვლის თავის თავში მქონე (ცხადია, მხედველობიდან არ არის გამორჩენილი ლოგიკურის, როგორც ასახვის, რეალური საფუძველი; მაგრამ აქ ლაპარაკია ლოგიკურ საფუძველზე). ამ შემთხვევაში ს. წერეთელი ამოდის უსასრულობის საკუთარი განსაზღვრებიდან: „უსასრულო არის ის, რისი უარყოფაც მასვე ამტკიცებს“. სწორედ ასეთია უსასრულო დასკვნა. რაც უფრო მეტად ვამტკიცებთ, რომ „არ არსებობს ჭეშმარიტება“, მით უფრო მეტი აუცილებლობით ვასაბუთებთ მის არსებობას, ამაში მდგომარეობს უსასრულო დასკვნის შინაგანი აუცილებლობა.

აბსოლუტური, ცხადია, შინაგანი აუცილებლობის მქონეა; წინააღმდეგ შემთხვევაში მას გარეგანი აუცილებლობა (იძულება) რელატიურად და სასრულად აქცევდა (მასზე იქნებოდა დამოკიდებული). უსასრულო და აბსოლუტური მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული, თვითსაფუძვლის მქონეა, რეფლექსურია ანუ თავის თავისკენაა მიმართული. აბსოლუტური ვერ იქნება არარეფლექსური და სხვისკენ (გარეთ) მიმართული, ვინაიდან ამ შემთხვევა-

ში იგი აბსოლუტურიც (თვითგანპირობებულიც) არ იქნებოდა. რეფლექსურობა და შინაგანი აუცილებლობა აბსოლუტურის არსებითი ნიშნებია.

რეალური აბსოლუტური (მაგალითად, მატერიალისტური მსოფლმხედველობისათვის მატერიალური სუბსტანცია), როგორც უპირობო, თვითსაფუძვლის, თვითმიზეზობრიობის შემცველი უნდა იყოს. ს. წერეთელი, როგორც ლოგიკოსი, ეძებს რეალური აბსოლუტურის ანალოგს, როგორც მის ასახვას ლოგიკურში. ლოგიკური, მისი აზრით, ვერ იქნება რეალურის ასახვა, თუ რეალური აბსოლუტურისა და უსასრულოს ანალოგი ლოგიკურშიც არ არსებობს. „ხომ არ არის შესაძლებელი — კითხულობს ს. წერეთელი — ისეთი სტრუქტურის დასკვნისა და დასაბუთების ჩამოყალიბება, რომელიც თვითმოდრაობისა და თვითმიზეზობრიობის გამომთქმელი იქნება? სინამდვილის თვითმოდრაობასა და თვითმიზეზობრიობას ზომ უნდა შეესატყვისებოდეს თვითსაფუძვლის, შინაგანი საფუძვლის მქონე დასკვნა?“¹¹ ს. წერეთლის მთელი ლოგიკური თეორია ასეთი დასკვნის შესაძლებლობის დასაბუთებას ემსახურება. უსასრულო დასკვნა თვითსაფუძვლის მქონე დასკვნაა, რომელიც, იმავე დროს, დასაბუთებას წარმოადგენს.

ასეთ დასკვნას ს. წერეთელი „თავისუფალ დასკვნას“ უწოდებს, ვინაიდან იგი შინაგანი აუცილებლობის შემცველია, თვითსაფუძვლის მქონეა. „დასკვნა, — წერს იგი, — რომელსაც თავისი საფუძველი თავის შიგნით აქვს, როგორც თვითმოდრავი საფუძვლის გამომხატველი, შეიძლება იწოდოს შინაგანი აუცილებლობის მქონე, თავისუფალ დასკვნად“¹². დასკვნის „თავისუფლება“ მის უსასრულობასა და აბსოლუტურობაში მდგომარეობს. იგი თავისუფალია იმიტომ, რომ სასრულის სფერო ამოიწურა, სასრულობა კი განსაზღვრულობაა; მოიხსნა („ამოწურვა“-შეესებინა“ მეთოდის გამოყენების შედეგად) განსაზღვრულობა და მივიღეთ განუსაზღვრელობა, დაუსრულებლობა, უსასრულობა ანუ აბსოლუტურობა. ამით იგი გარეგანისაგან გათავისუფლდა. აბსოლუტური დამოუკიდებელს, თავისთავადს ნიშნავს.

მაგრამ სხვისგან დამოუკიდებელი, როგორც თავისუფალი, შეიძლება იყოს მასზე უფრო მკაცრად დეტერმინირებული, ვიდრე ის, რაც გარეგან იძულებას ექვემდებარება. კიდევ მეტიც, შინაგანი თავისუფლება (ყოველ შემთხვევაში ს. წერეთლის თეორიაში) შინაგან განსაზღვრულობას ნიშნავს და რაც უფრო მეტია თავისუფლება, მით უფრო მკაცრ შინაგან განსაზღვრულობასთან გვაქვს საქმე. ს. წერეთელი არაერთხელ ამტკიცებდა, რომ უსასრულო დასკვნის აუცილებლობა უფრო მკაცრია, ვიდრე ფორმალურ-ლოგიკური დასკვნებისა, ვინაიდან ეს უქანასკნელი გარეგან აუცილებლობას (სახელდობრ, დანასკვნს გარეთ გატანილი წინამძღვრებისაგან გამომდინარეობის აუცილებლობას) გამოხატავენ. ამრიგად, ყველაზე მკაცრ აუცილებლობად შინაგანი აუცილებლობა ცხადდება. ტუსადი აუცილებლობას ექვემდებარება, მაგრამ გარეგანს; მას მაინც აქვს შინაგანი ნება (თუმცა შეზღუდული), რომელიც ამ გარეგან დეტერმინაციას უპირობობს. მაგრამ შინაგანი აუცილებლობა ადამიანში თვითონ ნებასაც კი — თავისუფლების ამ ერთადერთ ციტადელს — აუქმებს და მთლიანად ბატონდება. იგი, ცხადია, გარეგან აუცილებლობაზე (იძულებაზე) ძლიერია. ამასთან სწორედ შინაგანი აუცილებლობა არის თა-

¹¹ ს. წერეთელი. ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 112.

¹² იქვე, გვ. 132.

ვისუფლება. ერთი სიტყვით, ყველაზე მკაცრი (შინაგანი) აუცილებლობა და სრული თავისუფლება ერთი მედლის ორი მხარეა. ასეთია აბსოლუტურის ბუნება.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სპინოზა, რომელმაც შინაგანი აუცილებლობა თავისუფლებას დაამთხვია. ეს იყო დიალექტიკის მომენტი (დაპირისპირებულთა ერთიანობა) სპინოზას ფილოსოფიაში, რაც სრულიად ბუნებრივად აისახა ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკურ კონცეფციაში.

აქაც გამოვლინდება აბსოლუტურის რეფლექსურობა; აბსოლუტური, ცხადია, რეფლექსური უნდა იყოს, ვინაიდან მას სხვასთან (თუ ასეთი რამ არსებობს) არავითარი კავშირი არა აქვს. კიდევ მეტიც, მისთვის სხვა არც არსებობს, სხვას არ საპიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აბსოლუტური არც იქნებოდა. ეს ასე იყო არა მხოლოდ მონისტურ, არამედ პლურალისტურ თეორიებშიც. ამ გარემოებას პირველად (თუმცა არაცნობიერად) პარმენიდემ მიაქცია ყურადღება, რომელმაც ერთადერთი აბსოლუტი — არსი — დაახასიათა როგორც „მრგვალი“, ე. ი. თავის თავისაკენ მიბრუნებული, რეფლექსური. პრინციპულად ასეთივეა ატომიზმის პლურალისტური სისტემაც. მართალია, არსებობს ატომთა უსასრულო სიმრავლე, მაგრამ თითოეული ატომი არის სუბსტანცია, ე. ი. თვითმარჩი, უპირობო, აბსოლუტური და ამდენად უსასრულო სიდიდე. სივრცობრივი სასრულობა (სხვა ატომების მიერ რაოდენობრივი განსაზღვრულობის გამო) მის არსებით (არსების მიხედვით) უსასრულობას ვერ უარყოფს, ვინაიდან თითოეული ატომი არის უპირობო, არაფრით არ არის განპირობებული, არაფერზე არ არის დამოკიდებული, არაფერთან მიმართებაში არ იმყოფება, ანუ, ლაიბნიცის სიტყვებით რომ ვთქვათ (როგორც მან მონადები დახასიათა), მათ „არა აქვთ ფანჯრები“. ამრიგად, ატომიც არსებითად ისევე „მრგვალია“, თავისთავისკენა მიბრუნებული ანუ რეფლექსურია, როგორც პარმენიდეს არსი. რეფლექსურობა აბსოლუტურის ძირითადი ნიშანია. ამიტომ ამბობს ს. წერეთელი, რომ „უსასრულო არის რეფლექსური“. სხვაგვარად ყოფნა აბსოლუტურს არ შეუძლია.

უსასრულო დასკვნის არსებას შინაგანი უარყოფით დადგენა (ანუ თვითდადგენა) წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ აბსოლუტური წინააღმდეგობის გარეშე კი არა დგას, წინააღმდეგობის მოხსნის შედეგი კი არ არის, როგორც ეს ნ. კუზნანელს ეგონა, არამედ, პირიქით, ყოველგვარი წინააღმდეგობის, დაპირისპირების ძირშია, როგორც მათი არსება. დაპირისპირებულნი, რომლებიც ერთმანეთს არა მარტო უარყოფენ, არამედ კიდევ ადგენენ და ამდენად ურთიერთარსებობას განსაზღვრავენ, ურთიერთგანაპირობებენ და, მაშასადამე, კიდევ ასრულებენ (სასრულს ზღიან), რელატიურია, ხოლო მათი ძირი — დაპირისპირებულთა ერთიანობა — არის აბსოლუტური. „ნამდვილი აბსოლუტური — წერს ს. წერეთელი — მათი, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობაა“. ამრიგად, თუ ფილოსოფოსთა უმრავლესობა აბსოლუტურს მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის ფუძემდებლურ ცნებად თვლიდა, ს. წერეთელმა ამ ცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება მოგვცა. სახელდობრ, მან მოგვცა ფრიალ სერიოზული ცდა იმის დასაბუთებისა, რომ აბსოლუტურის აღიარება არა მარტო არ აუქმებს დიალექტიკას (როგორც ამას ადგილი აქვს ნ. კუზნანელთან), არამედ, პირიქით, ამ უკანასკნელის საფუძველში ძევს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)



გიჟინა ლუბიძე

**ისტორიული მატერიალიზმის საკითხებზე
ს. წერეთლის ნაშრომებში**

ფილოსოფიით დაინტერესებული საზოგადოებრიობისათვის პროფესორი სავლე წერეთელი ცნობილია როგორც ფილოსოფიის ისტორიისა და დიალექტიკური ლოგიკის თვალსაჩინო მკვლევარი. რაც შეეხება მის გამოკვლევებს სხვა სფეროებში, კერძოდ, ისტორიული მატერიალიზმის აქტუალურ პრობლემებზე, — ამ მიმართულებით მისი დამსახურება სათანადოდ შესწავლილი არ არის.

საქიროა აღინიშნოს, რომ ისტორიული მატერიალიზმის პრობლემატიკა არ შეადგენდა სავლე წერეთლის კვლევის უმთავრეს სფეროს. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგისადმი, ხოლო თავისი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდებში, განსაკუთრებით კი ორმოცდაათიან წლებში, სპეციალური გამოკვლევებიც შექმნა და გამოაქვეყნა ისტორიის მატერიალისტური გაგების აქტუალურ საკითხებზე. ამიტომ, როდესაც სავლე წერეთლის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების საკითხი დგას, საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, აგრეთვე, მისი ნაშრომები ისტორიული მატერიალიზმის საკვანძო საკითხებზე.

წინამდებარე სტატია სწორედ ამ მიზანს ისახავს. ქვემოთ ჩვენ შევეხებით რამდენიმე საკითხს მარქსისტული სოციოლოგიიდან, რომლებიც სავლე წერეთელმა მისთვის ჩვეული სიღრმითა და აზრის შემოქმედებითი სახელით გააშუქა და ამით საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული სოციოლოგიური აზროვნების ისტორიაშიც.

1. წარმოების განვითარების უზოგადესი კანონები. ამ კანონებიდან პროფ. ს. წერეთლის განხილვის ობიექტია: ა) საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი, ბ) საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ურთიერთქმედების კანონი; გ) საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის კანონი.

აქ სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების განვითარების კანონზომიერება წარმოდგენილია როგორც საზოგადოებრივ აუცილებლობათა სისტემა, როგორც წარმოებისათვის დამახასიათებელი სამი ზოგადი კანონის ერთიანობა, რომელთაგან მოძებნილია ერთი ძირითადი და გარეგანდამწვდომი.

საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი ერთიანი წარმოების ორ, ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებულ მხარეს შეადგენენ და მუდმივად ახდენენ ზეგავლენას ერთმანეთზე: საწარმოო ძალთა განვითარების დონითა და ხასიათით განისაზღვრება საკუთრების, ვაცკლის, განაწილებისა და ნიჰილარების ფორმები, — წარმოებითი ურთიერთობები საერთოდ. მეორე მხრივ, იმაზე, თუ წარმოებითი ურთიერთობების რა ფორმების შიგნით უხდებოდათ განვითარება, დიდად არის დამოკიდებული საწარმოო ძალთა განვითარების მდგომარეობა, პროგრესი ან შეფერხება საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ყოფიერებაში. მაშასადამე, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი ერთმანეთს მოითხოვენ, ერთმანეთზე ზემოქმედებენ და მათი ურთიერთშემოქმედებითი კავშირი ობიექტური აუცილებლობის სახეს ატარებს ნებისმიერი საზოგადოებისათვის. „საწარმოო ძალთა და წარ-

მოებით ურთიერთობათა შორის ურთიერთობის კანონი არის ზოგადი კანონი საზოგადოების განვითარების ყველა ფორმაციისათვის“ — წერს ს. წერეთელი (იხ. მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ. 1955. გვ. 113).

ს. წერეთლის აზრით, საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ურთიერთქმედების ზოგადი კანონი არის მატერიალისტური დიალექტიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონის — საყოველთაო ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის კერძო გამოვლენა წარმოების შიგნით, წარმოების მხარეთა შორის. მაგრამ ეს კანონი, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, არ ამოწურავს საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა მიმართების არსებას. საქმე ის არის, რომ მათს ურთიერთქმედებაში საწარმოო ძალები წარმოდგენილია როგორც წარმოების უფრო მოძრავი და რევოლუციური ელემენტი მაშინ, როდესაც წარმოებითი ურთიერთობანი, — უწინარეს ყოვლისა ეს ეხება საკუთრების ურთიერთობებს, — შედარებით მყარი, მდგრადი ბუნებისა არიან, ამიტომ განვითარების პროცესში იქმნება დისპრობორცია მხარდი საწარმოო ძალების დონესა და ჩამორჩენილ წარმოებით ურთიერთობათა შორის, ე. ი. შინაარსისა და ფორმის შორის. საწარმოო ძალების განვითარება ობიექტურად მოითხოვს შესატყვის წარმოებით ურთიერთობებს, ნაცვლად იმ ურთიერთობებისა, რომლებიც მის წინსვლას აფერხებდნენ; და როცა ამის საპირობება არსებობს ისტორიაში, ეს ასეც ხდება.

ს. წერეთელი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რაკი საწარმოო ძალების განმსაზღვრელი ძალა, თავის მხრივ, წარმოებითი ურთიერთობებია, სწორედ ამ უკანასკნელთა შესაბამისობა საწარმოო ძალთა ხასიათისა და დონისადმი გვევლინება როგორც წარმოების იმანენტური განვითარების ერთ-ერთი დიდ-მნიშვნელოვანი აუცილებლობა: „საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონი ზოგადი კანონია სურთოდ საზოგადოების განვითარების ყველა ფორმაციისათვის“ (იქვე, გვ. 106). ამასთან, ამ კანონს იგი განიხილავს როგორც შინაარსისა და ფორმის დიალექტიკური ურთიერთკავშირის გამოვლენას წარმოების სფეროში.

ამრიგად, ს. წერეთლის მსჯელობით, საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების ურთიერთქმედება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათს სავალდებულო შესაბამისობას. სავალდებულო შესაბამისობის კანონს განსაკუთრებული ადგილი აქვს წარმოების კანონთა სისტემაში. პირველს მეორე ამდიდრებს, ორივე კი გამოხატავს წარმოების განვითარების, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველი და მეორე რიგის არსებას; მაგრამ, ს. წერეთლის სიტყვებს თუ დავიმორწმებთ, „განხილული ორი ზოგადი კანონის ბუნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს ის, რომ უნდა არსებობდეს მესამე ზოგადი ანუ უზოგადესი კანონი საზოგადოების განვითარების ყველა ფორმაციისათვის“ (იქვე, გვ. 113).

არც საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ურთიერთქმედების, არც მათ შორის შესაბამისობის კანონი, სავლე წერეთლის მტკიცებით, თავისთავად აღებული საკმარისი არ არის წარმოების განვითარების წყაროს ასახსნელად. აქ იგი ავითარებს ორიგინალურ თვალსაზრისს: რამდენადაც განვითარების წყაროს წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობა და

ბრძოლა, იმდენად წარმოების განვითარების იმანენტური წყარო მისი შინაგანი მხარეების ერთიანობაში უნდა ვეძიოთ.

ამის ლოგიკურ არგუმენტად გამოყენებულია ის, რომ საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ურთიერთქმედების კანონი ჯერ კიდევ არ გვაძლევს პასუხს კითხვაზე, თუ რომელი მხარეა მთავარი და განმსაზღვრელი წარმოების ამ კომპონენტებს შორის. ამ კანონის თანახმად, საწარმოო ძალები ზეგავლენას ახდენენ ურთიერთობებზე, ეს უქანასკნელნი კი პირველზე; კანონი არ მიგვანიშნებს მათ შორის დომინანტურ განმსაზღვრელ ძალაზე, სინამდვილეში კი „საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი ურთიერთქმედებაში არიან, მაგრამ ამ ურთიერთქმედების მხარეები ერთი და იგივე ძალისა არ არიან“ (იქვე, გვ. 114).

განვითარების წყაროს ამხსნელის ფუნქცია უფრო მეტად შეიძლება დაეკისროს საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონს, ვინაიდან იგი გვიჩვენებს, თუ როგორია წარმოების განვითარების შექანიზმი; რომ საწარმოო ძალების შეცვლას, საბოლოო ანგარიშით, მოსდევს წარმოებით ურთიერთობათა შეცვლა და ამის შესაბამისად ხდება გადატრიალება მთელს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ზედნაშენში. მაგრამ აქაც არსებითად ღია რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ამუხრუჭებენ ან აჩქარებენ წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა განვითარებას, რით განისაზღვრება წარმოებით ურთიერთობათა უკუშემქმედება საწარმოო ძალებზე და, მაშასადამე, რა არის მათი შესაბამისობის წყარო; ეს კი იგივეა, რაც მათი განვითარების თვითმიზეზი.

„საწარმოო ძალები, — წერს ს. წერეთელი, — განსაზღვრავენ წარმოებით ურთიერთობებს, წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების განმსაზღვრელია... ერთი მეორეს ამოძრავებს, მეორე — პირველს, მაგრამ საწარმოო ძალები თვითონ განსაზღვრავენ წარმოებით ურთიერთობათა მათზე უკუშემქმედების სიძლიერეს, მაშასადამე, — ისინი არიან თვითონ აღნიშნული ურთიერთობის ამხსნელნი“ (იქვე, გვ. 114).

ამრიგად, საწარმოო ძალები წარმოების გარეგანდამწვდომი მომენტია, საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობა — ესაა განვითარების თვითმიზეზი, წარმოების თვითმოძრაობა — თვითგანვითარების იმანენტური წყარო. წარმოება არ საჭიროებს გარეგან განმსაზღვრელ მიზეზს განვითარებისათვის. ამ როლს შისტვის საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობა ასრულებს, რაც ყველაზე ძირითადია წარმოების განვითარების სხვა კანონებთან შედარებით. ვამოდის, რომ წარმოების „ზოგად სამ კანონში ძირითადს ანუ უზოგადესს საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 122).

აღნიშნულ დებულებას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, ს. წერეთელი ასაბუთებს აგრეთვე სხვა გზითაც. სახელდობრ, თვით ძირითადი კანონის ცნების დეფინიციისა და წარმოების განვითარების კანონებისადმი მისი მიყენების გზით. იგი აღნიშნავს, რომ ძირითადი კანონი ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის განვითარებაში მხოლოდ ის კანონი შეიძლება იყოს, რომელიც განსაზღვრავს მის ყველა მხარეს; განსხვავებით არაძირითადი კანონისაგან, რომელზეც დამოკიდებულია

საგნებისა და მოვლენის განვითარების მხოლოდ რომელიმე ცალკეული მხარე ან რომელიმე ცალკეული პროცესი: „რაიმე საგნის განვითარების ძირითადი კანონი ამ განვითარების არსების განმსაზღვრელი კანონია. ეს არის ის, რაც საგნის განვითარების შინაგან მამოძრავებელს წარმოადგენს. ასეთი კანონი ყოველგვარი მოძრაობა-განვითარებისათვის არის შინაგანი წინააღმდეგობის კანონი“ (იქვე, გვ. 124).

დიალექტიკის ამ დებულების მიყენებით წარმოებისადმი ს. წერეთელმა გამოიტანა დასკვნა, რომელიც, ორიგინალური ხასიათის გამო, მის სახელთან არის დაკავშირებული; კერძოდ, ის, რომ წარმოების განვითარების ზოგად კანონებს შორის ძირითადი და უზოგადესია საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის კანონი. ამასთან, იგი განმარტავს, რომ საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობა სხვადასხვა წესითა და ფორმით, შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლენისა და მათი გადაჭრის განსხვავებული საშუალებებით მოქმედებს ყოველ კონკრეტულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში.

2. საზოგადოებრივი განვითარების კანონების ურთიერთკავშირი. საველ წერეთელს ეკუთვნის საზოგადოებრივი განვითარების კანონების ურთიერთკავშირის თავისებური გაგება, რასაც აგრეთვე შეფასება სჭირდება. თვით იგი იმდენად მნიშვნელოვნად თვლიდა ამ კანონთა ურთიერთკავშირის საკუთარ გაგებას, რომ თავის წიგნში — „მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ“ — ამის თაობაზე დასკვნის სახით წერდა: „საზოგადოების განვითარების კანონთა ურთიერთკავშირის ზემოთ მოცემული გაგება, ვფიქრობთ, შეიძლება, შესაბამისი სახეცვლილებით, გამოყენებულ იქნას ბუნებისა და აზროვნების კანონთა განხილვის დროსაც, მაგრამ ასეთი განხილვა სპეციალურ გამოკვლევებს მოითხოვს“ (იქვე, გვ. 143). ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ მეცნიერებაში ბევრი რამ ახალი ითქვა, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კანონების ურთიერთკავშირის თავისებურ გაგებას, რომელსაც ს. წერეთელი გვაძლევს, დღემდე მნიშვნელობა არ დაუკარგავს. პირიქით, მრავალმა მკვლევარმა გაიზიარა მისი აზრი, თუმცა, სამწუხაროდ, ლიტერატურაში არ ვხვდებით შესაბამის დამოწმებას...

ახლა უფრო კონკრეტულად. კანონთა შორის ისევე, როგორც მოვლენათა შორის გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობს. დიალექტიკის კანონები მთელი სამყაროს განვითარების კანონებია და საზოგადოება, როგორც სამყაროს ნაწილი, ამავე კანონებს ემორჩილება. დიალექტიკის კანონები უზოგადესია საზოგადოებრივი განვითარებისათვის, მაგრამ საზოგადოებას თავისებრივი თავისთავადობა ახასიათებს, აქ ისეთი კანონებიც მოქმედებენ, რომლებიც სწორედ მისთვის არიან ნიშანდობლივი და არა, მაგალითად, ბუნებისათვის. ამდენად, საკუთრივ საზოგადოებრივი განვითარების კანონები სპეციფიკური კანონებია, მათი მოქმედების არე მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებით შემოიფარგლება. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კანონების სპეციფიკურობა არ გამორიცხავს მათ ზოგადობას. ზოგადობა ყოველგვარი კანონის, მათ შორის საზოგადოებრივი განვითარების კანონების არსებითი ნიშანია.

ამასთან, ზოგადობის ხარისხით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თვითსა-ზოგადობრივი განვითარების კანონებიც, რომელთაგან ზოგიერთი მოქმედების ძალას ინარჩუნებს ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში, ზოგიერთი კი მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმაციისათვის არის დამახასიათებელი. დამოკიდებულება ყველა ფორმაციაში მოქმედ კანონებსა და მხოლოდ ამა თუ იმ ფორმაციის წიაღში მოქმედ კანონებს შორის აგრეთვე წარმოსდგება ზოგადისა და კერძოს ურთიერთობის სახით.

მაგრამ ეს კერძოც, სპეციფიკურიც, გარკვეული აზრით, ზოგადი ხასიათისაა და განსხვავდება ე. წ. მოცულობითი ზოგადისაგან. მოცულობითი ზოგადი საერთოა ერთგვარი სიმრავლისათვის. სპეციფიკური კი როგორც ზოგადი ერთისა და იმავეს სხვადასხვა მხარეების გამაერთიანებელია; იგი ზოგადია იმდენად, რამდენადაც საერთოა ერთი და იმავეს სხვადასხვა მხარისათვის. მაგალითად, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის კანონი ზოგადია იმის გამო, რომ საერთოა ფორმაციების სიმრავლისათვის, კაპიტალიზმის (ან სოციალიზმის) ძირითადი კანონი კი სპეციფიკური ზოგადი კანონია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული კაპიტალიზმის (ან სოციალიზმის) განვითარების ყველა მხარე და პროცესი.

სწორედ აქ იქმნება სიძნელე: ხომ არ ექვემდებარება თითოეული ფორმაცია ორ ძირითად კანონს, ერთს — ზოგადს, რომელიც საერთოა ყველა ფორმაციისათვის და მოცემულ ფორმაციაშიც მოქმედებს, ხოლო მეორეს — სპეციფიკურ ძირითად კანონს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი.

ს. წერეთელი ამ სიძნელეს წყვეტს თავისებურად, მაგრამ, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად და დამაჯერებელი არგუმენტაციით: ერთსა და იმავე ფორმაციაში არ შეიძლება არსებობდეს ორი ძირითადი კანონი, ძირითადი კანონი მისთვის მხოლოდ ერთი უნდა იყოს, საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონი სწორედ ფორმაციის ძირითად სპეციფიკურ კანონში ვლინდება, სპეციფიკური ძირითადი კანონი საზოგადოების ზოგადი კანონის კონკრეტული სახეა. „ზოგადი და სპეციფიკური კანონები, — დასკვნის იგი, — ერთი მეორის გვერდით კი არ არიან დალაგებული, არამედ ერთი მეორეში მოქმედებენ; ისინი ერთიანი პროცესის, ერთიანი კანონზომიერების მხარეებს, ან ერთიმეორის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენენ“ (იქვე, გვ. 142—143). ამ თვალსაზრისს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ურთიერთგანმსკვალვის, საზოგადოებრივი და სპეციფიკური კანონების თანაფარდობის შესახებ გვერდს ვერ ავუვლით, თუკი გვსურს შევიცნოთ საზოგადოების სიღრმისეულ ძალთა განლაგება და კავშირურთიერთობა.

მ. საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი თავისებურება სოციალიზმის პირობებში. ისტორიული მატერიალიზმის საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითის სოციალიზმის პირობებში საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობის თავისებური გაგება, რომელსაც ს. წერეთლის ნაშრომებში ვხვდებით. ცნობილია, რომ სოციალიზმის დროს საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის სრული შესაბამისო-

ბა არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საწარმოო ძალები როგორც წარმოების ყველაზე რევოლუციური მხარე წინ უსწრებს წარმოებით ურთიერთობის განვითარებას ისე, რომ მათ შორის გარკვეული წინააღმდეგობაც იქმნება. მაგრამ ეს წინააღმდეგობა არ ატარებს ანტაგონისტურ ხასიათს, იგი არაანტაგონისტური ბუნებისაა. საქმე ის არის, რომ სოციალიზმის დროს საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც თავიანთი განვითარების დონის სხვადასხვაობის გამო გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნიან, ხელს კი არ უშლიან, არამედ ხელს უწყობენ განვითარების პროცესს: „საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობა სოციალიზმის პირობებში არაანტაგონისტურია, რომელიც განვითარების წყაროს წარმოადგენს და თვითონაც უნდა განვითარდეს სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლასთან დაკავშირებით და საერთოდ სოციალისტური ფორმაციის განვითარების შესაბამისად; მიუხედავად ამისა, ამ წინააღმდეგობის ერთი გარკვეული ხასიათი იცვლება იმავე წინააღმდეგობის მეორე ხასიათით. წინააღმდეგობის არსება ინახება და ვითარდება, მისი სხვადასხვა ხასიათი კი იცვლება ისე, რომ წინააღმდეგობის ორივე მხარე განვითარებას უწყობს ხელს“ (დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, 1955, გვ. 238).

დებულება, რომ საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობა არა მხოლოდ ამ შესაბამისობით უწყობს ხელს სოციალისტური საზოგადოების განვითარებას, არამედ წინააღმდეგობათა ხასიათის შეცვლითაც — მეტად მნიშვნელოვანია სოციალისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალთა ასახსნელად. არაანტაგონისტური წინააღმდეგობის ამ კერძო შემთხვევაში კი სოციალიზმის დროს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობის შიგნით წინააღმდეგობათა ხასიათის მოცემული გაგებიდან გამომდინარეობს თავისებური კუთხე, რომელიც მოძებნა ს. წერეთელმა საზოგადოებრივი მოვლენების ნახტომისებური განვითარების ასახსნელად სოციალისტური საზოგადოებისადმი მიყენებით.

რაკი წინააღმდეგობის ორივე მხარე სოციალიზმის დროს ხელს უწყობს განვითარებას, იმთავითვე გამოირიცხულია, ამ პირობებში, საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობის გადაჭრა აფეთქებითი გზით. იმ გზით, როდესაც ახალი საწარმოო ძალები სპობენ და თავიდან იშორებენ ძველ წარმოებით ურთიერთობებს.

ცხადია, მარქსისტულ ფილოსოფიისა და სოციოლოგიაში საკმარისად არის ცნობილი და განმტკიცებული დებულება, რომ სოციალიზმის დროს წინააღმდეგობათა, მათ შორის საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობის გადაჭრა მშვიდობიანი, არააფეთქებადი გზით ხდება. მაგრამ ამ თეზისის დასასაბუთებლად უმთავრესად ემყარებოდნენ სუბიექტური ფაქტორის მხარდ როლს სოციალისტურ საზოგადოებაში, აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების სწორი პოლიტიკა უზრუნველყოფს საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობის გადაწყვეტას მშვიდობიანი მიმართულებით.

ს. წერეთელმა წამოაყენა დამატებითი არგუმენტი. მისი აზრით, საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობის სპეციფიკური ბუნება განსაზღვრავს ნახტომისებური განვითარების მშვიდობიანობას სოციალისტურ საზოგადოებაში: „თუკი ძირითადი წინააღმდეგობა არა-

ანტაგონისტურია, სადაც საწინააღმდეგო მხარეები არა მარტო ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს, არამედ ერთიმეორესაც უწყობენ ხელს, მაშინ ერთი თვისობრიობიდან მეორეში გადასვლა, მართალია, შესრულდება ნახტომის ფორმით, მაგრამ ამ ნახტომს არ ექნება აფეთქების ხასიათი. ასეთ მდგომარეობას აღვილი აქვს, მაგ., სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის დროს, სადაც სოციალიზმში არსებული ძირითადი შინაგანი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის — კი არ ისპობა, არამედ გრძელდება და წინააღმდეგობის ამ მხარეთა შორის არსებობს სრული შესაბამისობა“ (დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, 1955, გვ. 195).

4. საზოგადოებრივი განვითარების კანონების დამახასიათებელი ნიშნები.

ს. წერეთელი გამოყოფს საზოგადოებრივი განვითარების კანონების რამდენიმე დამახასიათებელ ნიშანს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი, მისი აზრით, ობიექტურობაა. საყოფადღებოა ის წესი, რომელსაც იყენებს, ს. წერეთელი. კანონის ობიექტურობის დასახასიათებლად. იგი განიხილავს და აბათილებს არგუმენტებს, რომელნიც შეიძლება გამოყენებული იქნას კანონის ობიექტურობის უარსაყოფად, რათა ამ გზით დაამტკიცოს თეზისი კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ. მაგალითად, ცნობილია, რომ საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოთხოვნების განხორციელება ჩვენს მიზანს წარმოადგენს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, თითქოს ეს კანონები არ არის ობიექტური. ამ კანონთა პრაქტიკული მოქმედების ნორმად გამოიყენება კი არ უარყოფს, არამედ აღსატურებს მათს ობიექტურობას. ჩვენ არ შეგვიძლია ობიექტური კანონების შეცვლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კანონი უცვლელია. თავის მხრივ, კანონის ცვალებადობის ფაქტიდან აგრეთვე არ გამომდინარეობს, რომ იგი ობიექტური არ არის. კანონი ობიექტური მოვლენების ობიექტურ კავშირს გამოხატავს და ამ უკანასკნელის შეცვლა ობიექტური კანონის შეცვლასაც გულისხმობს, რაც ადამიანის ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად ხდება.

ამავე წესით, ს. წერეთელი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი განვითარების კანონების ობიექტურობას არ უარყოფს არც მათი მეტ-ნაკლები ხანგრძლივობა და განვითარება-კონკრეტისა; არც ის, რომ რომელიმე კანონი შეიძლება არაძირითადი, დაქვემდებარებული და მეორადი იყოს და არც ის, რომ მათ გამოიყენებას კლასობრივი სარჩული აქვს კლასობრივ საზოგადოებაში და სხვ.

ს. წერეთელი დაწვრილებით ეხება, აგრეთვე, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ისეთ ნიშნებს, როგორცაა აუცილებლობა, იმანენტურობა, განმეორებადობა, ზოგადობა და მიუთითებს მათს ორგანულ კავშირზე: „კანონი არის აუცილებელი კავშირი მოვლენებს შორის: ეს კავშირი შინაგანია, არსებითი ხასიათისა... ამიტომაც იგი აუცილებლობის ბუნებისა. ამავე დროს, კავშირის არსებობა მის ზოგადობას ქმნის... არსებითობის გამო არსებობს ზოგადობა, ეს კი აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ არ იარსებებდა არც ერთი ნიშანი, რომ კანონი ობიექტური ხასიათისა არ იყოს... კანონის ნიშნები ურთიერთში გამსჭვალულნი, ერთიმეორის აუცილებლობით მომთხოვნი არიან, ისინი ერთიმეორეში გარკვეულად იმყოფებიან“, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 94).

ს. წერეთლის მოსაზრება საზოგადოებრივი განვითარების კანონების დამახასიათებელი ნიშნების სუბორდინაციისა და ურთიერთმოთხოვნის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია ზოგადსოციოლოგიური კანონებისა და კატეგორიების მთლიან სისტემად გააზრებისათვის.

შეიძლება შევხვდეთ აგრეთვე ს. წერეთლის შეხედულებებს საზოგადოებრივი განვითარების სხვა აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: ისტორიული კანონების შეგნებული გამოყენება, თავისუფლება და აუცილებლობა, საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ძირითადი კანონები და სხვა, მაგრამ ამით კვლავ და კვლავ იმავე დებულებას დავადასტურებდით, რომ შემოქმედებითი ძიება, თეორიული მიდგომის სიღრმე და საკუთარი სიტყვა მათი გადაწყვეტისას ს. წერეთლის მეცნიერული კვლევის ორგანულად თანხმლები კომპონენტი იყო. ამ მხრივ, მისთვის გამოჩაყლის არც ისტორიული მატერიალიზმის პრობლემატიკა შეადგენდა.



კონსტანტინე სანაია

საპლე წერეთელი როგორც დიალექტიკური ლოგიკის მკვლევარი

გამორჩეული საბჭოთა ფილოსოფოსის ს. ბ. წერეთლის ნაწარეში მთავარი ადგილი უჭირავს მის ლოგიკურ შეხედულებებს, რომელიც მწუხარი სისტემის სახით დალაგებულია წერეთლის მთავარ შრომაში „დიალექტიკური ლოგია“ (ქართული გამოცემა—1965 წ., რუსული გამოცემა—1971 წ.). ამ ნაშრომს წინ უძღოდა წერეთლის მრავალი სერიოზული ლოგიკური გამოკვლევა. ლოგიკის საკითხების კვლევით დაიწყო ს. წერეთელმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობა. მის პირველ შრომაში, საკანდიდატო დისერტაციაში განხილულია დასაბუთების რედუქციული მეთოდები (1934-1938 წწ.). თითქმის ყველა შემდგომი მისი ფუნდამენტური მონოგრაფია მიეძღვნა ლოგიკის ამა თუ იმ ძირეულ პრობლემას, კერძოდ, ლოგიკურის ბუნების გამოკვლევა არის ძირითადი თემა ორი მონოგრაფიისა: „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“ (1952 წ.) და „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“ (1956 წ.); აგრეთვე დასაბუთების საკითხები დაწვრილებით განხილულია მონოგრაფიაში — „დასაბუთების საწყისი“ (1963 წ.), ხოლო მეგელის დასკვნის თეორიის კრიტიკული ანალიზი მოცემულია მონოგრაფიაში — „რაციონალური მარცვალის მეგელის დასკვნის თეორიაში“ (1959 წ.); დაბოლოს წერეთლის ლოგიკური კონცეფციის ბირთვი — უსახრულო (დაუბოლოებელი) დასკვნის პრობლემა — სხვადასხვა მხრიდან გამოკვლევულია თითქმის ყველა ნაშრომში: დაწვებული 1949 წელს გამოქვეყნებული სტატიით — „დასკვნის პრობლემისათვის“ და გათავებული უკანასკნელი შემაჯამებელი ნაშრომით — „დიალექტიკური ლოგია“.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა საფუძველი ჩაუყარეს აზროვნების ფორმების დიალექტიკური ბუნების შესწავლას მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე. ფ. ენგელსისა და ვ. ლენინის ნაშრომებში მოცემულია მითითებები დიალექტიკურ ლოგიკაზე როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებაზე, რომელიც აზროვნების ფორმებისა და კანონების შესწავლისას დიალექტიკურ მეთოდს შეგნებულად იყენებს, აზროვნების ფორმებს სწავლობს მათს მოძრაობას, ურთიერთკავშირსა და განვითარებაში. ეს მეცნიერება, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრით, უნდა დაუპირისპირდეს ძველ ფორმალურ ანუ სქოლასტიკურ ლოგიკას, რომელიც მეტაფიზიკურ თვალსაზრისს იცავს¹. ენგელსისა და ლენინის მითითებათა საფუძველზე, მარქსისტ ფილოსოფოსებს შორის შემუშავდა აზრი, რომ საჭიროა ყოველმხრივ დამუშავდეს ახალი ფილოსოფიურ-ლოგიკური დისციპლინა, დიალექტიკური ლოგია, რომელიც, დიალექტიკურ-მატერიალისტურ ფილოსოფიურ წინამძღვრებზე დაყრდნობით, შეისწავლის აზროვნების ფორმებისა და კანონების დიალექტიკას.

იმათ შორის, ვინც ამ სფეროში დაიწყო კვლევა-ძიება, ს. ბ. წერეთელს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. წერეთელმა დიდი მეცნიერული სერიოზულობით გამოიკვლია დიალექტიკური ლოგიკის ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორცაა ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნება, უსასრულო

* წაითხულია მოხსენებად ს. ბ. წერეთლის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1977 წლის 12 თებერვალს.

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 358; ვ. ი. ლენინი, თხზ., IV გამ., ტ. 32, გვ. 102-103.

დასკვნა როგორც დიალექტიკური აზროვნების ძირითადი ლოგიკური ფორმა, დიალექტიკური ლოგიკის კანონები, დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი, ცნებისა და მსჯელობის დიალექტიკა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დიალექტიკური ლოგიკის სფეროში მიმღწევე საბჭოთა ფილოსოფოსებს შორის არ არის სხვა ავტორი, რომელიც შეიძლება შეეადაროს ს. წერეთელს მეცნიერული კვლევის სიღრმით, კვლევა-ძიების სფეროს მრავალნაირობით და ახალი იდეების სიმდიდრით.

ამ სტატიაში საშუალება არ გვაქვს ყოველმხრივ და დაწვრილებით განვიხილოთ ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია. შევეცდებით წერეთლის თვალსაზრისის მთავარი მომენტების მიმოვიხილავს.

ს. წერეთელმა დიალექტიკური ლოგიკის მეცნიერების ხასიათი და საგანი გამოკვეთა ფორმალურ ლოგიკასთან დაპირისპირებაში. ფორმალური ლოგიკა სწავლობს აზრის ფორმებს, კანონებსა და წესებს. დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ლოგიკა არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა მეცნიერება აზროვნების ფორმების, კანონებისა და წესების შესახებ, ამიტომ ორივე მეცნიერებას ერთი საგანი აქვს. მაგრამ, წერეთლის აზრით, ორი ლოგიკის აღიარება შეცდომაა, რადგან მათ გამაერთიანებლად დასჭირდება მესამე და ა. შ. გამოსავალს წერეთელი ხედავს იმ აზრში, რომ ორივე ლოგიკა უნდა მიიჩნეოდეს ერთი და იმავე ლოგიკის განვითარების სხვადასხვა საფეხურად. ფორმალური ლოგიკა არის ლოგიკის განვითარების დაბალი საფეხური, დიალექტიკური ლოგიკა კი უმაღლესი საფეხური, — ეს არ უარყოფს ფორმალური ლოგიკის შინაგან განვითარებას. წერეთლის ღრმა რწმენით, ფორმალური ლოგიკის განვითარება თუ სწორად წარიმართა, აუცილებლობით მიდის დიალექტიკურ ლოგიკამდე².

მაგრამ რატომ უნდა იყოს დიალექტიკური ლოგიკა ფორმალურ ლოგიკაზე უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი? — ამის მიზეზს წერეთელი ხედავს დიალექტიკური ლოგიკის მეტოდოლოგიურ უპირატესობაში, კვლევის დიალექტიკური მეთოდისადმი უპირატესობის მიცემაში, აზროვნების დიალექტიკური ფორმების ძიებაში. ამის შედეგია, წერეთლის აზრით, დიალექტიკურ ლოგიკაში აზროვნების ფორმებისა და კანონების უფრო ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა. მაგალითად: ფორმალური ლოგიკა წინააღმდეგობას უარყოფს, რადგან წინააღმდეგობა შეცდომად მიაჩნია; ხოლო დიალექტიკური ლოგიკა არ კმაყოფილდება შიშველი წინააღმდეგობის როგორც შეცდომის უარყოფით, არამედ აღიარებს, რომ წინააღმდეგობის უარყოფის დროს წინააღმდეგობა როგორც კატეგორია მოიხმარება. დიალექტიკა წინააღმდეგობას კი არ აუქმებს, არამედ ამართლებს იმით, რომ აღმოაჩენს წინააღმდეგობის საფუძველს — ერთიანობას (როცა ასეთი საფუძველი არსებობს), ე. ი. აღიარებს წინააღმდეგობის ერთიანობას³;

ფორმალური ლოგიკა აღიარებს ლოგიკურ მეთოდებს — ინდუქციას, დედუქციას და სხვ. დიალექტიკური ლოგიკისათვის კი ესენი კერძო მეთოდებია, ხოლო უნივერსალურია დიალექტიკური მეთოდი.

² სავე წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965, გვ. 30.

³ იქვე, გვ. 31.

ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, დასკვნა არის აზრთა ანალიზური გამომდინარეობა, დიალექტიკურ-ლოგიკურად კი დასკვნა აზრთა სინთეზური აუცილებელი შუალობითი კავშირია.

მაგრამ დიალექტიკური ლოგიკისა და ფორმალური ლოგიკის დაპირისპირებაში მთავარი განსხვავება ის არის, რომ დიალექტიკური ლოგიკა კატეგორიების ლოგიკაა, ხოლო ფორმალური ლოგიკა კი არა⁴.

ს. წერეთელი დიალექტიკურ ლოგიკას მიჯნავს, აგრეთვე, მათემატიკური ლოგიკისაგან, რომელიც მას მიაჩნია სპეციალურ, არაფილოსოფიურ მეცნიერებად, სახელდობრ, ლოგიკის გამოყენებად ერთ კონკრეტულ სფეროში — მათემატიკის სფეროში, სადაც ლოგიკის ძირითადი ცნებები (ცნება, მსჯელობა, დასკვნა და სხვ.) სრულიად თავისებურ ხასიათს იძენენ⁵.

წერეთელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ დიალექტიკური ლოგიკა როგორც ფილოსოფიური ლოგიკა სწავლობს უზოგადეს ფილოსოფიურ ცნებებს — კატეგორიებს, მათს დიალექტიკურ კავშირებსა და ვადასვლებს. დიალექტიკურმა ლოგიკამ თავისთავში შემოიტანა ის, რაც ფორმალურ ლოგიკას თავის ფარგლებს გარეთ რჩებოდა, რაც მისთვის შემოქმედველი იყო, თუმცა კი ფორმალური ლოგიკის ლოგიკურ წინამძღვარს შეადგენდა — თვით აზრის ფორმათა ლოგიკური კავშირი — ლოგიკური კატეგორიათა კავშირი. დიალექტიკური ლოგიკის საგანია თავისებურად გაგებული პირველი ფილოსოფიის საგანი, ცნებებში გადატანილი⁶.

ერთ-ერთი მთავარი იდეა, რომელიც წერეთელმა დაუდო ქვეყნთხედად თავის კონცეფციას, არის განსხვავება ლოგიკური კატეგორიისა და ლოგიკურის კატეგორიისა. წერეთელი ამტკიცებს, რომ ლოგიკურია კატეგორია, რომლის უარყოფა არის სხვა კატეგორია; მაგალითად, შემთხვევითობის უარყოფა აღარაა შემთხვევითობა, რაოდენობის უარყოფა აღარაა რაოდენობა და სხვ. ხოლო ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია იმ აზრით, რომ მისი უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილებლობით. ასევე, იგივეობის კატეგორია არის ლოგიკურის კატეგორია, — იგივეობის უარყოფა იგივეობრივია. ლოგიკურის კატეგორიებია აგრეთვე მსჯელობის, უარყოფის, ზოგადის, დასაბუთებისა და სხვა კატეგორიები⁷. ლოგიკური კატეგორიის სფერო მოცულობით უფრო ფართოა ლოგიკურის კატეგორიების სფეროზე, მაგრამ ლოგიკის სფეროში ლოგიკურის კატეგორიების მოქმედებას ექვემდებარება ყველაფერი, მათ შორის — ლოგიკური კატეგორიებიც. ლოგიკურის კატეგორიის იდეა წერეთელმა გამოიყენა უსასრულო დასკვნის თეორიის დაფუძნებაში.

მეორე იდეა, რომელიც წერეთელმა გამოიყენა ლოგიკური ფორმების დიალექტიკურობის გამოსავლენად, არის ლოგიკურის რეფლექსურობა. ლოგიკური ფორმები როგორც ობიექტური საშუალებები გამოიყენებიან საკუთარი თავის მიმართაც: იხ. ცნების ცნება, მსჯელობა მსჯელობაზე და სხვ. ლოგიკურის რეფლექსურობა გამოიხატავს მეტალოგიკურის საჭიროებას, რადგან რეფლექსურობა გარკვეულ თვითდაფუძნებაში მდგომარეობს, აგრეთვე, თა-

4 იქვე, გვ. 32.

5 იქვე, გვ. 35-37.

6 იქვე, გვ. 46-47.

7 იქვე, გვ. 53.

ვიდან გვაცილებს პარადოქსებსა და ტიპთა თეორიის საჭიროებას. რეფლექსურობის იდეაც ერთ-ერთი მთავარი ღერძი გახდა უსასრულო დასკვნის თეორიისა.

რეფლექსიის იდეას წერეთელი მრავალ ასპექტში განიხილავს. პირველ ყოვლისა, უნდა მივუთითოთ ლოგიკურის კატეგორიებზე, რომელთა ბუნება მათს რეფლექსურობაში მელაგნდება. იგივეობა როგორც ლოგიკურის კატეგორია რეფლექსურია, რადგან იგივეობის უარყოფა ისევე იგივეობას მოიხმარს და ადგენს, ასევე უარყოფის უარყოფა არის სწორედ უარყოფა, აზრის უარყოფა (ლოგიკური უარყოფა) თვითონ არის აზრი, კერძოს უარყოფა ისევე კერძოს გვაძლევს, სრული ლოგიკური რეფლექსია ხორციელდება სრულ ლოგიკურ კავშირში ანუ უსასრულო დასკვნაში. ლოგიკურის კატეგორიების ლოგიკურ რეფლექსურობას ლოგიკურში თავისებური ფორმით შემოჰყავს რეალური, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურის ობიექტურობას. ამ კატეგორიათა რეფლექსურობაში ხორციელდება სრული ლოგიკური აუცილებლობა, თავის თავის უარყოფით — თვითდაფუძნების აუცილებლობა. ს. წერეთელს ეს მიაჩნია, ლოგიკური თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერ ობიექტურობად⁸.

შემეცნებაშიაც რეფლექსურობა მოქმედებს, რამდენადაც აქ დაისმის საკითხი შემეცნების შემეცნებაზე, ცოდნის ცოდნაზე. წერეთელი მიუთითებს, რომ ეს საკითხი პირველად სოკრატემ დასვა, ხოლო პლატონის „თეეტეტი“ და სხვა დიალოგები ამ პრობლემას იკვლევენ. რა არის ცოდნა? — ეს კითხვა რეფლექსურობას შეიცავს. მას მისდევს კითხვები: რა ფორმები აქვს ცოდნას? რა ფორმებში ჩამოყალიბდება საბოლოოდ ცოდნა? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მიგვიყვანს ლოგიკისა და გნოსეოლოგიის გაიგივებამდე. შემეცნების თეორიასა და ლოგიკაში არსებითად ერთი და იგივე რეფლექსურობა მოქმედებს. ამ სფეროში წერეთელი შორს გამიზნულ დასკვნებს აკეთებს. მისი აზრით, თვითონ ლოგიკა როგორც დიალექტიკური ლოგიკა თავისი ბუნებით რეფლექსური მეცნიერებაა, რადგან მის საგანს შეადგენს აზრის ფორმებში განხორციელებული დიალექტიკური მეთოდი როგორც დასაბუთების მეთოდი. დიალექტიკური მეთოდის განხილვა თვითონ არის და უნდა იყოს დიალექტიკური ბუნებისა. ამ მეთოდის შემეცნებაც დიალექტიკურია. დიალექტიკური ლოგიკისათვის ლოგიკური მეთოდი როგორც საშუალება არის ამავე დროს საგანიც. შემეცნების დიალექტიკური მეთოდი და ლოგიკის დიალექტიკური მეთოდი ერთსა და იმავე მეთოდს წარმოადგენენ, ერთსა და იმავე კანონს და ფორმებს მოიცავენ. კატეგორიები როგორც ობიექტური საშუალებანი გამოიყენებიან თვითონ მათ მიმართაც. დიალექტიკური დასკვნებისა და მსჯელობების გამოყენება ერთსა და იმავე დროს არის ლოგიკური რეფლექსიაც და შემეცნებითი რეფლექსიაც. ამიტომ ლოგიკური რეფლექსიის ასპექტში ლოგიკა, შემეცნების თეორია და დიალექტიკა ერთი და იგივეა⁹.

წერეთელი ამტკიცებს, რომ, თუმცა ლოგიკა ყოველთვის იყო რეფლექსური ზემო-აღნიშნული გაგებით, მაგრამ რეფლექსურობაზე მოძღვრება პირველად ჰეგელმა მოგვცა მის ლოგიკაში, სახელდობრ, არსების კატეგორიების მოძღვრებაში. აქ რეფლექსურობა ნიშნავს თავისებურ რელატურობას: ერთი

⁸ იქვე, გვ. 335—336, 538.

⁹ იქვე. გვ. 529, 531-532, 534 და სხვ.

კატეგორია მეორეში „მოჩანს“ და პირიქით. მაგრამ წერეთლის მიერ მოწოდებული ლოგიკური რეფლექსურობა განსხვავდება ჰეგელისებურად გაგებული რეფლექსურობისაგან. წერეთელი ამბობს, რომ მისი გაგება რეფლექსურობისა უფრო ჰგავს ჰეგლის მიერ წამოყენებულ ცნების სუბიექტურობას, რომელიც ცნების თვითდაფუძნებაში მდგომარეობს. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა, რასაც წერეთელი ოთხ მუხლად აყალიბებს. ამ განსხვავების ძირი ის არის, რომ ჰეგელისათვის ცნების სახით წარმოდგენილი ლოგიკური როგორც ზოგადობა არის აბსოლუტის მისტიკური ძალა თავის თავში მიბრუნებისა, მაშინ როცა წერეთელთან ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობა, განხორციელებული უსასრულო დასკვნაში, რაიმე ალოგიკურს არ შეიცავს. აქ რეფლექსურობა ლოგიკურის შინაგანი თვითდადგენაა და არა აბსოლუტის თვითშემეცნების მისტიკური უნარის მოქმედება¹⁰.

ცალკე უნდა შეეჩერდეთ ზოგადის კატეგორიის შესახებ წერეთლის მიერ გამოთქმულ ორიგინალურ აზრებზე. მან ლოგიკური ზოგადის კატეგორია მრავალმხრივ განიხილა, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შეხედულება მოცულობითი ზოგადისა და შინაარსეული ზოგადის განსხვავების შესახებ.

მოცულობითი ზოგადი არის ფორმალურ-ლოგიკური ზოგადის ცნებაა, იგი აღინიშნება სიტყვით — „ყველა“. მოცულობითი ზოგადია ყველა ერთეული, რომელსაც ცნება გულისხმობს, — ის კლასია; მასთან კავშირშია მოცულობითი კერძო, რომელიც აღინიშნება სიტყვით — „ზოგიერთი“. ამ ორი ცნების დამოკიდებულებას გამოხატავს გვარისა და სახის ცნებების ტრადიციულ ლოგიკაში აღწერილი ურთიერთობა, სილოგიზმის ტრადიციულ ლოგიკური თეორიის წესები. მოცულობითი ზოგადი მიუთითებს სიმრავლის საერთო ნიშანს, რომელიც მოიცავს ყველას და საერთო ნიშანია ყველასი. მაგრამ აქ არის გაურკვეველობა: ზოგადია ეს ნიშანი ან საგანთა სიმრავლე, რომელსაც იგი მიეწერება, თუ ორივე ერთად? — ამას ემატება არისტოტელეს მიერ მითითებული გაურკვეველობა: „ყველა ადამიანი“ გარკვეულია, მაგრამ გაურკვეველია „ადამიანი“, თუმცა უკანასკნელი უნდა იყოს ზოგადი¹¹.

დიალექტიკურ ლოგიკაში არსებითია არა მოცულობითი ზოგადი, არამედ — შინაარსეული ზოგადი, რომელიც საკუთარი ელემენტების, მომენტების თუ მხარეების აუცილებელი ერთიანობაა. განსხვავება შინაარსეულ ზოგადსა და მოცულობითს ზოგადს შორის, სულ მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს: მოცულობითი ზოგადის განსახიერებაა, როგორც ვთქვით, გვარისა და სახის დამოკიდებულება მაშინ, როცა შინაარსეული ზოგადისათვის, კერძოდ, წარმოებისათვის როგორც ერთიანობისათვის, აუცილებელია მისი მომენტები — საკუთრივ წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება. გვარისათვის, როგორც მოცულობითი ზოგადისათვის, არაა აუცილებელი ყველა ერთეული. გვარისათვის საცხებით ზედმეტია სახის სპეციფიკური ნიშანი. ზოლო შინაარსეული ზოგადობა გასაერთიანებელი მომენტების როგორობას წარმოადგენს. დიალექტიკურ ლოგიკას აინტერესებს მასში განხორციელებული ლო-

¹⁰ იქვე, გვ. 531.

¹¹ იქვე, გვ. 96-97.

გიკური აუცილებლობა. შინაარსეული ზოგადი ფორმალური ლოგიკისათვის ერთეულს წარმოადგენს¹².

შინაარსეული ზოგადი უშუალოდ, პირდაპირ წარმოდგენილია კატეგორიებში. კატეგორია არის აუცილებელი ერთიანობა თავისი მომენტებისა. შინაარსეულ ზოგადს გამოხატავს, აგრეთვე, კატეგორიების გადასვლები, ურთიერთრეფლექსია, ერთი კატეგორიიდან მეორის განვითარება და ა. შ.

შინაარსეულ ზოგადს შეესაბამება შინაარსეული კერძო, რომელიც არის მისი ელემენტი ანუ მომენტი, ერთმხრიობა. შინაარსეული კერძო აუცილებელ ელემენტია შინაარსეული ზოგადისა, ამ მხრივ, იგი განსხვავდება მოცულობითი კერძოსაგან. ცხოველის გვარისათვის არ არის აუცილებელი ადამიანის სახე და ცხოველის არც ერთი სახის სპეციფიკური ნიშანი, წარმოებისათვის როგორც ერთიანობისათვის კი აუცილებელია მისი მომენტები — ყველა მომენტი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ წერეთლის აზრით, არ არსებობს ორი ზოგადი როგორც დამოუკიდებელი სახეები. ასეთი რამის დაშვება გამოიწვევდა ცნობილ ლოგიკურ შეცდომას: საჭირო გახდებოდა მათთვის მესამე ზოგადის დაშვება, შედეგ მეთხესი და ა. შ. მოკლედ, მივიღებდით ანტიკური ეპოქიდან ცნობილ „მესამე ადამიანის“ შეცდომის ვარიანტს. ეს სიძნელე წერეთელმა აიცილა იმით, რომ მოცულობითი ზოგადი მიიჩნია შინაარსეული ზოგადის თავისებურ მოვლენად, რადგან ერთეულში არსებული შინაარსეული ზოგადი სიმრავლეში მეორდება, სადაც ყველა ერთეული ერთნაირია, სადაც სიმრავლეს ერთი საერთო ნიშანი აქვს¹³.

ზემოთქმულის შესაბამისად განსხვავდებიან მოცულობითი განზოგადება და შინაარსეული განზოგადება. მოცულობითი ზოგადი კერძოსაგან ნიშნების გამოკლებით მიიღება, რომელსაც აბსოლუტური უარყოფით მიღებული აბსტრაქციის ხასიათი აქვს, ე. ი. უარყოფილისაგან სრულიად არაფერი რჩება. მაგალითად, ქართველის ცნების განზოგადება ხდება ქართველის ნიშნის გამოკლებით, რაც გვაძლევს ადამიანის ცნებას, რომელშიაც ზედმეტია ქართველის ნიშანი. შინაარსეული განზოგადება კი სრულდება ნიშნის (განსაზღვრულობის) მიმატებით, რომელშიც მოქმედებს უარყოფა, მაგრამ არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული უარყოფა, რომლითაც ხდება ახლის როგორც უფრო რთულის მიღება, მარტივიდან რთულის განვითარება. ამის მაგალითია მარქსის „კაპიტალში“ საქონლის ცნებიდან ფულის ცნების მიღება, ხოლო ამ უკანასკნელიდან კაპიტალის ცნების მიღება. აქ განზოგადების თითოეული შემდგომი საფეხური შინაარსეულად უფრო მდიდარია, ხდება შინაარსეულად უფრო მდიდარ ზოგადზე გადასვლა.

წერეთელი ფიქრობდა, რომ ზოგადის კატეგორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ყველა მეცნიერებისათვის, პირველ რიგში კი ლოგიკისათვის. წერეთელი უარყოფს ნომინალიზმის საფუძველზე ლოგიკის აგების შესაძლებლობას. ზოგადის უარყოფის დროს მოიხმარება თვით ეს კატეგორია, ამიტომ მისმა უარყოფელმა არ იცის, თუ რას აკეთებს და რას ამბობს. თვით ერთეულების განხილვა შეუძლებელია ზოგა-

¹² იქვე, გვ. 103-104, 105.

¹³ იქვე, გვ. 108.

დის გარეშე. მხოლოდ ერთეულების დაშვება, ამ ერთეულებს ზოგად მნიშვნელობას აძლევს¹⁴.

ზოგადის სფეროში ს. წერეთელმა კიდევ მრავალი საინტერესო საკითხი აღძრა, მაგრამ მათ ჩვენ არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ წერეთელი შინაარსეული ზოგადის იდეას არაერთგზის იყენებს ლოგიკის სხვა საკითხების გადაწყვეტისას.

წერეთელმა დიდი ადგილი დაუთმო დიალექტიკური ლოგიკის კანონების კვლევას. ამ კანონების შესწავლისას იგი გამოდის ლოგიკის საგნის მისეული დასახიათებიდან. წერეთლის თანახმად, დიალექტიკური ლოგიკა აზრის ფორმებში განხორციელებული დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკაა. აქედან გამომდინარე, „თუ ფორმალური ლოგიკის ძირითადი კანონი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონია, დიალექტიკური ლოგიკის ძირითად კანონს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი წარმოადგენს“¹⁵. ორივე კანონი ერთმანეთს აბსოლუტურად არ გამოირიცხავს¹⁶. მაგრამ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში ონტოლოგიის ძირითად კანონად ითვლება. წერეთელი ფიქრობს, რომ საერთოდ ონტოლოგიური კანონები საგნობრიობის მხრივ აფუძნებენ ლოგიკურ კავშირებს. ამიტომ ლოგიკა უნდა იყოს და არის კიდევ ონტოლოგიური ლოგიკა, რაც აქარწყლებს იმის ცდას, რომ ლოგიკის კანონებს მისცენ კონვენციონალისტური ინტერპრეტაცია¹⁷.

წერეთელი ლოგიკაში წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის სხვანაირ ფორმულირებასაც გვთავაზობს: ლოგიკურში წინააღმდეგობის ერთიანობა არის რეფლექსურობის ბუნების მქონე, შინაგანი უარყოფის საშუალებით შესრულებული თვითდადგენა, ამიტომ ამ კანონს შეიძლება ეწოდოს თვითდადგენის კანონი.

წერეთლის აზრით, საერთოდ, როგორცაა მეცნიერების კანონი ისეთი უნდა იყოს ლოგიკის კანონიც, მაგრამ სინამდვილის თითოეული სფეროს თავისებურებათა გამო მათი კანონებიც თავისებურია. ლოგიკური კანონები როგორც აზრის კანონები სინამდვილის სპეციფიკური ასახვის კანონებია და მათში თავისებურად გამოვლინდება საერთოდ კანონისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ობიექტურობა, აუცილებლობა, შინაარსეული ზოგადის ფორმად ყოფნა, კანონებში არსებითი კავშირისა და კატეგორიების კავშირის განხორციელება, იგივეობის გამოხატვა.

დიალექტიკურ ლოგიკაში კანონთა რიცხვი მტკიცედ დადგენილი არ არის. ზოგიერთი ლოგიკოსი, დიალექტიკის ცნობილ კანონთა დამატებით, ახალ კანონებს მიუთითებს. წერეთელმა წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის გვერდით დაადგინა, და დაწვრილებით გააჩნია, აგრეთვე, დიალექტიკური ლოგიკის კიდევ ოცი კანონი: იგივეობის კანონი, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, გამორიცხული მესამის კანონი, საფუძვლის კანონი (ლიბნიცის კანონი), უარყოფის უარყოფის კანონი, დადგენის კანონი, უარყოფის კანონი, განსხვავების კანონი (ლიბნიცის ინდივიდუალის პრინციპი),

14 იქვე, გვ. 111-112, 90.

15 იქვე, გვ. 48.

16 საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, № 2, 1961, გვ. 128.

17 დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 220.

იგივეობისა და სხვაობის აუცილებლობის კანონი, აუცილებელი მეორის კანონი, დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონი, წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი, აუცილებელი მესამის კანონი, აუცილებელი პირველის კანონი, ურთიერთუარყოფის კანონი, დადგენით უარყოფის კანონი, უარყოფით დადგენის კანონი, ურთიერთდადგენის კანონი, ერთიანობის კანონი, წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ თვითდადგენის კანონი.

როგორც ვხედავთ, ამ კანონებში შეყვანილია ტრადიციული ლოგიკის ოთხი ძირითადი კანონი, აგრეთვე უარყოფის უარყოფის დიალექტიკური კანონი. ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს დაქვემდებარებული ადგილი უჭირავთ: ისინი აჩვენებენ, თუ როგორი არ შეიძლება იყოს ლოგიკური კავშირი, როდის არის იგი უშუალოდებული; მაგრამ არ უჩვენებენ თუ როგორი უნდა იყოს და როდის არის ის დადებითად შესაძლებელი თუ განხორციელებადი. მაგრამ აზროვნების ძირითადი კანონი — წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი — არის აბსოლუტური, ლოგიკური უსასრულობის ხასიათისა. ეს კანონი სხვა ლოგიკურ კანონებს იქვემდებარებს წინაარსეულად და ფორმის მხრივ.

ლოგიკის კანონებს შორის არსებული დაქვემდებარების, სუბორდინაციის საფუძველი არსების სიღრმის სხვადასხვაობაა. ყოველი კანონის ზოგადობა შესაბამისი საგნის, ამ შემთხვევაში, ლოგიკურის ბუნების ზოგადობაა. წერეთელმა ეს საკითხი ახსნა საგნის არსების საფეხურებრივი შემეცნების ლენინური თეორიის საფუძველზე. კანონი არის არსების კატეგორია. არსება სხვადასხვა სიღრმისაა. არსებობს პირველი რიგის, მეორე რიგის და ა. შ. არსებანი, რასაც სხვადასხვა ზოგადობა შეესატყვისება და მათ შორის ადგილი აქვს დაქვემდებარება-სუბორდინაციის მიმართებებს და ეს განსაზღვრავს მრავალი კანონის შესაძლებლობას¹⁸. როგორც ვთქვით, წერეთელი ადგენს დიალექტიკური ლოგიკის ოცამდე კანონს, მაგრამ მათ რიცხვს ამით არ ფარგლავს. მას შესაძლებლად მიაჩნია ამ რიცხვის გაზრდა.

წერეთელი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლოგიკის კანონთა სინთეზურ-აუცილებელ ხასიათს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეს კანონები გულისხმობენ თავისში განსხვავებულ მომენტთა აუცილებელ კავშირებს, განსხვავებულთა ერთიანობას. აქ შესაძლებლობა არა გვაქვს უფრო დაწვრილებით განვიხილოთ წერეთლის თვალსაზრისი ლოგიკური კანონების შესახებ, განსაკუთრებით, მისი მოსაზრება ცალკეული ლოგიკური კანონების შესახებ, მაგრამ განხილულიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს თვალსაზრისი აღსაყვამი ორიგინალური, საინტერესო იდეებით.

წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკურ კონცეფციაში ცენტრალური ადგილი უჭირავს უსასრულო დასკვნის თეორიას. იმის ნათლად წარმოსადგენად, თუ როდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წერეთელი ამ დასკვნას, მოვიყვანოთ მისივე სიტყვები: „...დიდი ხანია ვამტკიცებთ იმას, რომ დიალექტიკური ლოგიკა, როგორც აზრის ფორმებში განხორციელებული დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკა, არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა. მაგრამ უსასრულო დასკვნის დებულება, ვფიქრობთ საბოლოოდ გავამართლეთ იმით, რომ შეეძლებოდა მასზე დაყრდნობით აგება მთელი ლოგიკისა, რაც წინამდებარე ნაშრომის სახით არის წარმოდგენილი (იგულისხმება წერეთლის უკანასკნელი

წიგნი — „დიალექტიკური ლოგიკა“, 1965 წ. — კ. ს.). მთელი დიალექტიკური ლოგიკა არის გაშლილი უსასრულო დასკვნა, და, პირიქით, უსასრულო დასკვნა არის შეკუმშული — ერთი ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგენილი მთელი ლოგიკა¹⁹.

წერეთლის აზრით, ძველი არადიალექტიკური ლოგიკის ტიპურ დასკვნებს მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებთ. დედუქტიურ დასკვნებში, კერძოდ, სილოგიზმში ვერ განხორციელდა სინთეზურ-აუცილებელი კავშირი წანამძღვრება და დანასკვს შორის, აქ დასკვნა გაგებულია როგორც ანალიზური გამომდინარეობა. მეორე დიდი ნაკლი ამ დასკვნებისა ის არის, რომ აქ არ არის თვითდაფუძნება. წანამძღვართა საფუძველი დასკვნის გარეთაა, რაც დასკვნა-დანაბუთებაში უსასრულო რეგრესის საფრთხეს ქმნის. გარდა ამისა, ამ დასკვნებში დანასკვი უფრო ღარიბია, ნაკლებ ძლიერია წანამძღვრებთან შედარებით, ამიტომ იქ ახალის მიღება ფაქტობრივად არ ხდება. გადაუწყვეტელია არასილოგისტური დასკვნების ბუნებაც. ხოლო ინდუქციური დასკვნები ვერ იძლევიან უნაკლო ლოგიკურ აუცილებლობას, რადგან ასეთი დასკვნები ალბათურნი არიან. დასკვნაში გამომდინარეობა უნდა იყოს სინთეზური. მოცემული აზრიდან განსხვავებულის გამოყვანა აუცილებელ ხასიათს უნდა ატარებდეს. დასკვნის ის სახეობა, რომელიც დიალექტიკური ლოგიკის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს, წერეთლის თანახმად, არის უსასრულო დასკვნა, რომელსაც იგი ადრინდელ შრომებში დაუბოლოებელ დასკვნას უწოდებდა.

რას წარმოადგენს უსასრულო დასკვნა? — იგი არის შინაარსეული ზოგადისა და შინაარსეული კერძოს ერთიანობა, გამოხატულია ლოგიკურ დაპირისპირებულთა ერთიანობისა. უსასრულო დასკვნა სრული რეფლექსურობაა, რადგან არის თვითდადგენა, თვითსაფუძველი და თვითშედგევი. დასკვნის ეს ფორმა თავისში სრულად გამოხატავს ყველა იმ ძირითად დიალექტიკურ-ლოგიკურ იდეას, რაც ზემოთ მივუთითეთ. ამ დასკვნაში დაპირისპირებულთა ერთიანობა არის დადებითი ერთიანობა, რომელშიც ურთიერთუარყოფა მოქმედებს როგორც ურთიერთგანსაზღვრით დადებითის დამდგენი. სხვა სიტყვებით, უსასრულო დასკვნა არის რაიმე დადგენა მასში არსებული შინაგანი უარყოფით²⁰. მისი სახელწოდებაც სწორედ ამის მაჩვენებელია: უსასრულო დასკვნა იმიტომ, რომ ის არის შინაგანის უარყოფით თვითდადგენა, რაც ლოგიკურ უსასრულობას ნიშნავს. უსასრულო დასკვნაში იგულისხმება: 1) რაიმე, რომელიც უარყოფა, — ეს არის უშუალო; 2) ამ რაიმეს უარყოფა; 3) ამ უარყოფის უარყოფა, ე. ი. უარყოფით დადგენა იმისა, რაც პირველად უარყოფილ იქნა ან 4) დადგენა როგორც უარყოფის უარყოფა; მაშასადამე აქ ორი უარყოფაა, რომელთა ერთიანობა როგორც წინააღმდეგობათა ერთიანობა გვაძლევს რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენას ანუ უსასრულო დასკვნას²¹. უსასრულო დასკვნის შინაარსია მისი ელემენტების — დადგენისა და უარყოფის — ერთიანობა, ხოლო მისი ფორმაა ამ ერთიანობის გარკვეულობა, მისი წესი. ამ დასკვნის ელემენტები, დადგენა და უარყოფა მსჯელობებით არის გამოსახული. ეს მსჯელობები არიან

¹⁹ იქვე, გვ. 7.

²⁰ მოამბე..., გვ. 139.

²¹ დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 505.

სასარული ბუნებისა, ცალმხრიობები, მაგრამ მათი ერთიანობა დასკვნის უსასარულობას ქმნის.

უსასარულო დასკვნაში ერთ დაპირისპირებულთა ერთიანობას განასახიერებს რვა ცალმხრიობა პირობითი მსჯელობების კავშირის სახით. აქ რვა პირობითი მსჯელობის კავშირით გამოხატულია კერძოსა და ზოგადის, სასარულისა და უსასარულოს კავშირი. წერეთელი ამ რვა მსჯელობით გამოსახულ კავშირს განმარტავს როგორც რვა წესს. ეს წესებია: ა) თუ არის A, მაშინ არის B; ბ) თუ არის B, მაშინ არის A; გ) თუ არ არის A, მაშინ არ არის B; დ) თუ არ არის B, მაშინ არ არის A; ე) თუ არის A, მაშინ არ არის B; ვ) თუ არის B, მაშინ არ არის A; ზ) თუ არ არის A, მაშინ არის B; თ) თუ არ არის B, მაშინ არის A²².

უსასარულო დასკვნა არის ერთცნებიანი დასკვნა. აქ სრულად, გაშლილად არის წარმოდგენილი ერთი ცნება, რომელიც არის არა ჩვეულებრივი ცნება, არამედ — განსაკუთრებული ცნება, ლოგიკურის კატეგორია, მისი ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია. ლოგიკურის ლოგიკური უარყოფა ისევ ლოგიკურს ადგენს. სიტყვა „ლოგიკურის“ ნაცვლად შეგვეძლო მოგვეზმარა სიტყვა „აზრი“, რადგან აზრის უარყოფა ისევ აზრს მოიხმარს საფუძვლად და საშუალებად; ამიტომაც ამ უარყოფისას თვითონ უარსაყოფი, ე. ი. აზრი დგინდება. ლოგიკურის უარყოფით ისევ ლოგიკურის დადგენა შეადგენს ერთ ცნებას, აზრის (ლოგიკურის) ცნებას²³.

წერეთელმა ლოგიკური გამომდინარეობის შესახებ საკუთარი თვალსაზრისი შეიმუშავა. მან გააკრიტიკა ტრადიციულ და ახალ ფორმალურ ლოგიკაში გავრცელებული აზრი ლოგიკური გამომდინარეობის ანალიზურობის შესახებ. წერეთელმა გამომდინარეობის ბუნების ახსნა დაუკავშირა დაპირისპირებულთა დიალექტიკურ ერთიანობას. თუ დაპირისპირებული აზრები ერთიმეორეს მოითხოვენ, მაშინ ისინი ერთიმეორიდან არაანალიზურად გამომდინარეობენ; ერთის დადგენით მეორე მიიღება და პირიქით, თუმცა საპირისპირონიც არიან. ასე გაგებული გამომდინარეობა, წერეთლის აზრით, დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტია. დაპირისპირებულთა ერთიანობა წერეთელს მიაჩნია გამომდინარეობის ამხსნელად და არა უარყოფელად²⁴.

წერეთლის თანახმად, დასკვნა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დასკვნა როგორც გამომდინარეობა ძველი გაგებით. გამომდინარეობა როგორც საფუძველ-შედგენი ცალკე აღებულ წანამძღვართა და დანასკვნა სახით ყველა დასკვნაში არ გვხვდება, კერძოდ, არ გვხვდება უსასარულო დასკვნაში. ლოგიკურ გამომდინარეობას, თუ ის ნამდვილ ლოგიკურ აუცილებლობას განასახიერებს, საჭიროა ჰქონდეს სინთეზური ხასიათი. იგი უნდა წარმოადგენდეს ერთდროულად ახლის მიღებას და განსხვავებულთა კავშირს. ასე გაგებული გამომდინარეობა დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტია და აზრთა განვითარებას განასახიერებს. ასეთი გამომდინარეობა გვაქვს უსასარულო დასკვნაში, რომლის შემადგენელი რვა დებულება ერთმანეთს მოითხოვს; ამასთან, ერთად და არა ცალ-ცალკე შეადგენს ჰემარტიკებას.

22 იქვე, გვ. 289.

23 იქვე, გვ. 508-509.

24 „მომბე“..., გვ. 299.

უსასრულო დასკვნის საშუალებით ხორციელდება დიალექტიკური დასაბუთება. ჩვეულებრივად, დასკვნა რომ დასაბუთება ვახდეს, მის წინამძღვარებს სჭირდება გამართლება, ეს ქმნის დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის საშიშროებას, რადგან წინამძღვრები უნდა დასაბუთდეს სხვა წინამძღვრებით და არ ჩანს ის, რაც ამ პროცესს შეაჩერებს და დასაბუთებას თავისებურად გაამართლებს. უსასრულო რეგრესი თავისთავად ვერ შეჩერდება, მისი მხოლოდ ხელოვნური შეჩერება შეიძლება. მოკლედ რომ ვთქვათ, დასაბუთების ძველი გაგების ნაკლოვანება განსაზღვრულია დასკვნის ტრადიციული ფორმების ნაკლოვანებებით. უსასრულო დასკვნას ეს სიძნელებები არ გააჩნია, რადგან მას არა აქვს და არცა სჭირდება გარეგანი წინამძღვრები, რომლებიც უსასრულო რეგრესის მიზეზია. წერეთელი ამტკიცებს, რომ „უსასრულო დასკვნის საფუძველი თვითონ ამ დასკვნაშია და არა მის გარეთ. მასში მოქმედებს შინაგანი საფუძველი, თვითსაფუძველი“²⁵. ამის გამო უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების არსი, მისი საწყისი.

უსასრულო დასკვნის საფუძველზე წერეთელმა ააგო დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის კონცეფცია, რომელიც ჩვენ განვიხილეთ სხვა სტატიაში. ამიტომ მასზე აქ არ შევჩერდებით.

უსასრულო დასკვნა წერეთელს მოაზრებული აქვს როგორც დასკვნის განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც დასკვნის „ტრადიციული“ ტიპებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ატრიბუტი არ გააჩნია. ამიტომ არ უნდა იყვნენ მართალნი წერეთლის კონცეფციის ის კრიტიკოსები, რომლებიც უსასრულო დასკვნას იწუნებენ იმის გამო, რომ უკვე ნაცნობი ტიპის დასკვნების მსგავსი არაა. ამ შემთხვევაში კრიტიკა მარტივი დადგენაა იმისა, რაც ამ დასკვნას არ გააჩნია და რისი პრეტენზიაც მას არა აქვს. ხოლო საჭირო კი არის იმის გარჩევა, თუ რა თავისებურება გააჩნია უსასრულო დასკვნას და როგორ ასრულებს იგი თავის დანიშნულებას.

უსასრულო დასკვნის თეორიამ ლოგიკის სპეციალისტების დიდი ყურადღება მიიპყრო. წერეთლის კონცეფციის გავლენით, პროფ. ლ. გოკიელმა შეიმუშავა ძირეული დასკვნის თეორია, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს წერეთლის მიერ წამოყენებული დასკვნის დიალექტიკური ფორმის ზოგადი იდეის ერთ-ერთ რეალიზაციას²⁶. სახელდობრ, თუ უსასრულო დასკვნაში უარყოფითი მომენტი გამოდის შინაგანი წინააღმდეგობის როლში, ძირეულ დასკვნაში კი უარყოფითი მომენტი ვლინდება როგორც უსასრულო რეგრესიით წარმოდგენილი შეუძლებლობა²⁷. უსასრულო დასკვნის თეორია მომავალშიც იქნება დიალექტიკური ლოგიკის განხილვის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი.

წერეთელმა დაწვრილებით გამოიკვლია აგრეთვე დიალექტიკური ლოგიკის სხვა სფეროები: დასაბუთება, მსჯელობა, ცნება, განსაზღვრების ოპერაცია და სხვ. ყველა ამ კატეგორიის დამუშავებისას წერეთელი ცდილობდა გამოეგონა მათი შინაგანი დიალექტიკური კანონზომიერება, შეესწავლა ის მხარეები, რომლებიც მანამდე ჩრდილში იყო და მკვლევართა ყურადღების გარეშე რჩებოდა. ამ საქმეში წერეთლის დამსახურება თვალსაჩინოა.

²⁵ დიალექტიკური ლოგია, გვ. 509.

²⁶ „მომბე“, 1961, გვ. 259.

²⁷ Л. П. Гокиели. Логика, II, Тб., 1967, стр. 194.



ახლა არა გვაქვს შესაძლებლობა უფრო ვრცლად განვიხილოთ ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთქმული საკმაო საფუძველს იძლევა დაეასკვნათ, რომ ეს კონცეფცია მნიშვნელოვანი წვლილია დიალექტიკური ლოგიკის თეორიის დამუშავების საქმეში. იგი შეიცავს მრავალ ორიგინალურ და საინტერესო იდეას, რომელთაც მომავალში გვერდს ვერ აუვლიან დიალექტიკური ლოგიკის მკვლევარები.



წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



გურამ თევზაძე

საველე წერეთელი და ფილოსოფიის ისტორიის დაფუძნების პრობლემები

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის საველე ბენედიქტეს ძე წერეთლის (1907—1965 წწ.) შემკვიდრება მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი მოიცავს საფუძვლიან გამოკვლევებს დიალექტიკური მატერიალიზმის კანონებსა და კატეგორიების, ისტორიული მატერიალიზმის ფუნდამენტალური ცნებების, საერთოდ, ლოგიკისა და, განსაკუთრებით, დიალექტიკური ლოგიკის არსებითი პრობლემების, ფილოსოფიის ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის, რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის შესახებ. ყველა მის ნაშრომს საფუძვლად უდევს დიალექტიკის მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია. ს. წერეთლის ნარკვევები გვიჩვენებენ, რომ არსებულის ყოველი ხფეროს მეცნიერული გააზრებისას აუცილებელია დაშვებული იქნეს დიალექტკა როგორც არსებობის, არსებულის მოძრაობის და ამ მოძრაობის საფუძვლზე ახლის წარმოშობის კანონზომიერება.

იშვიათად თუ ვნახავთ მოაზროვნეს, რომელიც 30 წლის მანძილზე ასე ერთგული დარჩენილიყოს საკვლევად არჩეული ძირითადი იდეისა, როგორც ს. წერეთელი; იმდენი გაეკეთებინოს მისი განხორციელებისათვის, რამდენიც ს. წერეთელმა გააკეთა და მასავით თანმიმდევრულად გაეტარებინოს იგი. 1936 წ. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომში — „რედუქციული დასკვნა-დასაბუთების მეთოდები“—ს. წერეთელი მარქსამდელი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითად ნაკლად იმას თვლიდა, რომ „ვერ გადაწყდა დაბოლოებულისა და დაუბოლოებულის ერთიანობა დიალექტიკურად... ვერ მოგვარდა დასკვნისა და დასაბუთების ერთიანობა“ (საკ. დისერტ. გვ. 176). დასკვნა-დასაბუთების ახალი თეორია, როგორც ცნობიერებისა და მეცნიერების დიალექტიკური ბუნების გამომხატველი, მისი აზრით, აუცილებელი იყო ობიექტური რეალობის (ბუნებისა და საზოგადოების), მისი ისტორიული განვითარების ასახსნელად. არადიალექტიკური ბუნების მქონე შემეცნება არ გამოდგება დიალექტიკური სინამდვილის ამსახველად, მისი კანონზომიერების ამოსაცნობად, მასზე გარდამქმნელი ზემოქმედების მოსახდენად; მეტიც ითქმის, ამგვარ შემეცნებას არავითარი საფუძველი არ ექნება მისგან დამოუკიდებელ ობიექტურ რეალობაში დიალექტიკის დასაშვებად. „ეს პრობლემები, — წერდა ს. წერეთელი, — იმ სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებენ, რომლისათვისაც მზადების ერთი მომენტი წინამდებარე შრომითაა წარმოდგენილი“ (იქვე. გვ. 179). ამ დიდი სამუშაოს დასრულების პირველი ეტაპის შედეგები ს. წერეთელმა საზოგადოებას წარუდგინა 29 წლის შემდეგ, გრანდიოზული გამოკვლევის სახით, — ესაა „დიალექტიკური ლოგიკა“ (თბილისი, 1965 წ.). ნაშრომი წარმოადგენს დიალექტიკური ლოგიკის როგორც ჩვენი აზროვნების ლოგიკური ფორმების სისტემის აგების ერთ-ერთ ყველაზე საფუძვლიან და წარმატებითს ცდას მარქსისტულ ლიტერატურაში. ეს იყო კვლევის პირველი ეტაპის შედეგები, რადგან დიდი შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე

მდგარი 59 წლის ფილოსოფოსი მოპოებულის საფუძველზე ახალ, უფრო ფართო და ღრმა კვლევა-ძიების გაშლას აპირებდა. საუბედუროდ, ერთი წლის შემდეგ იგი ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა.

დიალექტიკური ლოგიკის დარგში ს. წერეთლის კვლევა-ძიების შედეგები ცნობილია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ისინი უკვე ჰპოვებენ აღიარებას და, ჩვენი ღრმა რწმენით, მეტ აღიარებას მოიპოვებენ¹. წინამდებარე წერილის მიზანია ს. წერეთლის მიერ ფილოსოფიის ისტორიის როგორც მეცნიერების დასაფუძნებლად წამოყენებულ დებულებათა ანალიზი და, ამ დებულებების საფუძველზე, ფილოსოფიის ისტორიის როგორც მეცნიერების ზოგი აქტუალური პრობლემის გადაჭრის ცდა. მხედველობაში გვაქვს მითოლოგიისა და ფილოსოფიის მიმართების პრობლემა და პრობლემა მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიის შესაძლებლობისა.

ფილოსოფიის ისტორიის დაფუძნებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა ს. წერეთელმა შესავლის სახით წარუძღვარა თავის შესანიშნავ ნაშრომს — „ანტიკური ფილოსოფია“ (თბილისი, 1968 წ.) ფილოსოფიის ისტორიის როგორც მეცნიერების დაფუძნების საკითხი ს. წერეთლისათვის მარქსისტული ფილოსოფიის დაფუძნების ძირითადი საკითხის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილია. ფილოსოფიის ისტორიამ უნდა გვიჩვენოს მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობისათვის აუცილებელი თეორიული წინამძღვრების ჩასახვისა და განვითარების პროცესის კანონზომიერება. შეიძლება მკვლევარმა ფილოსოფია მეცნიერებად არ ჩათვალოს, მაგრამ შეეცადოს ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების შესაძლებლობის და ნამდვილობის დასაბუთებას. მაგ., მითოლოგია და რელიგია არაა მეცნიერება, მაგრამ მითოლოგიისა და რელიგიის ისტორია მეცნიერება უნდა იყოს. ს. წერეთლისათვის ფილოსოფიის ისტორიის როგორც მეცნიერების სპეციფიკა მარქსისტული ფილოსოფიის, როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობის ბუნების გაგებიდანაა გაპირობებული. იგი აქ ხედავდა პროცესისა და შედეგის დიალექტიკის ცნობიერების სფეროში გამოვლენის ერთ-ერთ ასპექტს: პროცესი შედეგში ნახულობს თავისი არსების სრულ გამოვლენას და თავისი არსებობის გამართლებას; შედეგმა პროცესში უნდა დაინახოს თავისი საფუძველი. წინამდებარე შემთხვევაში შედეგი შემთხვევითი აღმოჩნდება მოცემული პროცესისათვის, ხოლო პროცესი — არსებითად უშედეგო და კანონზომიერებას მოკლებული.

ცნობილია, რომ ყოველი ფილოსოფიური მიმართულება ფილოსოფიას აგებს და აგებს როგორც საკუთარი პოზიციის გამართლებას, როგორც საკუთარი მიმართულების თუ სკოლის ისტორიას. მაგ., ჰეგელმა ფილოსოფიის ისტორია წარმოადგინა როგორც საკუთარი აბსოლუტური იდეალიზმის ისტორია, ნეოკანტიანელმა ვინდელბანდმა — როგორც კანტიანური თვალსაზრისის გამართლების ისტორია და სხვ. მცდარობის წყარო აქ აშკარაა, მაგრამ ს. წერეთლისათვის ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფიის

¹ Huber Ed. Um eire „Dia'lektische Logik“. München, 1966, S. 131.

Бачулашвили Г. Оригинальная концепция материалистической диалектической логики, («Мацне», сер. фил., псих., № 4, 1971).

Оруджев З. Проблема доказательства в диалектической логике («Философские науки», № 3, 1976, стр. 49).

ისტორია უთვალსაზრისოდ უნდა იქნეს დაწერილი. ეს შეუძლებელი რამაა და, როცა ამგვარ პოზიციაზე აცხადებენ პრეტენზიას, სინამდვილეში შეფარულად ახორციელებენ იმას, რასაც სიტყვიერად უარყოფენ. ამ სიძნელიდან გამოსავალი, ს. წერეთლის აზრით, არის მხოლოდ და მხოლოდ იმ ფილოსოფიური თვალსაზრისის მეცნიერულობა, რომელსაც ადგას ფილოსოფიის ისტორიკოსი: „უთვალსაზრისოდ არ შეიძლება ფილოსოფიის ისტორიის შინაარსის გაგება, — ეს ნიშნავს არა სუბიექტივიზმს, არამედ უთვალსაზრისობის უარყოფას, წმინდა ობიექტივიზმის უარყოფას. თუ ჩვენ ნამდვილი გაგება გვაქვს მეცნიერული ფილოსოფიისა, ე. ი. თუ ნამდვილი ჰეგელიანური ფილოსოფიის ნიადაგზე ვდგევართ, მაშინ ჩვენი ფილოსოფიური თვალსაზრისით ფილოსოფიის ისტორიის საკითხების განხილვა მისი ნამდვილი ობიექტური გაგება იქნება“ (ს. წერეთელი. ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1968, გვ. 17).

წინააღმდეგ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში გავრცელებული თეორიებისა — ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის არამეცნიერულობის შესახებ, რომელსაც იცავდნენ ჰუსერლი (ასხვავებდა რა ფილოსოფიას როგორც მკაცრ მეცნიერებას და ფილოსოფიას როგორც მსოფლმხედველობას), ჰაიდეგერი (რომლის აზრითაც, ფილოსოფია საერთოდ არაა მეცნიერება, არამედ რაღაც უფრო ღრმა), რასელი (რომლისთვისაც ფილოსოფია რაღაც საშუალო რელიგიასა და მეცნიერებას შორის), ჰაბერმასი (რომელიც ამტკიცებს, რომ მითისა და რელიგიისაგან განთავისუფლებით ფილოსოფიამ დაკარგა მსოფლმხედველობად ყოფნის უნარი); ს. წერეთლის აზრით, თანამედროვე ეპოქაში ფილოსოფიის პროგრესული როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ როგორც მეცნიერულ მსოფლმხედველობას.

ცნობილია, რომ მითი და რელიგია თავის სამფლობელოს ყოველთვის იქ გადაიტანს ხოლმე სადაც ჯერ კიდევ ვერ აღწევს მეცნიერება. მეცნიერების სფეროში რელიგია ჩაერევა ხოლმე ყოველთვის იმ სფეროს წარმომადგენელის სახელით, რომელიც ჯერჯერობით მიუწევდომელია მეცნიერებისათვის. თუ დავუშვებთ, რომ მეცნიერებამ ამოსწურა სინამდვილე, სხვადასხვა მეცნიერებამ თავისი საგნის სრულ შემეცნებას მიიღწია, ნათელია, რომ რელიგიისათვის ადგილი აღარ დარჩება, მაგრამ მსოფლმხედველობა ადამიანისათვის, როგორც მთელი სამყაროს (საკუთარი თავის ჩათვლით) რაობისა და განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ მეცნიერება, როგორც მეცნიერება ადამიანის ცხოვრების საზრისისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ისევე აუცილებელი იქნება როგორც დღეს არის, რადგან მსოფლმხედველობის ფუნქციას ვერცერთი მეცნიერება ვერ შეასრულებს, ფილოსოფიის გარდა.

დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციიდან ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერულობის დაფუძნება ს. წერეთელთან ცარიელ ფრაზად როდი რჩება. ცნობილია, რომ, როცა ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერულობის უარყოფა სურთ, მიუთითებენ შემდეგ გარემოებებს: სხვადასხვა დროს ფილოსოფიის სხვადასხვაგვარი გაგება არსებობდა და ამდენად იკარგება ის ერთი, რომლის ისტორიაზეც შეიძლება იყოს ლაპარაკი (იქვე. გვ. 7—8); ფილოსოფიური სისტემების ჰეგელიანობის შემოწმება შეუძლებელია, მათი მცდარობისა კი — შესაძლებელი; ამდენად, ფილოსოფიური სისტემები სუბიექტურ

შეხედულებებს წარმოგვიდგენენ და არა ობიექტურ ცოდნას. ფილოსოფიური სისტემები ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთის ქეშმარიტება სხვათა მცდარობას ნიშნავს, რაც გამორიცხავს ისტორიის შესაძლებლობას (იქვე, გვ. 10); რამდენადაც ფილოსოფიას მარადიულ ქეშმარიტებაზე აქვს პრეტენზია, ფილოსოფია და ისტორია გამორიცხავენ ერთმანეთს (იქვე, გვ. 10);

დაპირისპირება რეალურია, თუ იდეალური ყოველთვის გარკვეულ საერთო გულისხმობს, ამტკიცებს ს. წერეთელი. საერთო დაპირისპირებულთა შორის არის ის, რის თაობაზეც ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს. პრობლემატია მანც აერთიანებთ მათ. სწორედ ეს აერთიანებს შეუთავსებელ მიმართულებებს ფილოსოფიის ისტორიაში: იდეალიზმს და მატერიალიზმს, დიალექტიკას და მეტაფიზიკას. მიმართულებათა და სისტემათა შორის წინააღმდეგობა არა მარტო არ გამორიცხავს ერთიანობას, არამედ — არც იმის შესაძლებლობას, რომ ურთიერთგამომრიცხველი სისტემები ობიექტურ ქეშმარიტებას შეიცავდნენ. „თუ ფილოსოფიური მოძღვრება ობიექტურ ქეშმარიტებას არ შეიცავს, მაშინ ის არ არის ფილოსოფიური მოძღვრება“ (იქვე, გვ. 9). ეს ეხება სკეპტიკოსებსაც, აგნოსტიკოსებსაც, მეტაფიზიკოსებსაც და სხვ., რომელთა წინააღმდეგ ს. წერეთელს არაერთი საფუძვლიანი არგუმენტი წამოუყენებია. ხომ არა გვაქვს საქმე ყოველი ფილოსოფიური სისტემის ღირებულების გათანაბრებასთან, ყოველი ფილოსოფიური აზრის გამართლებასთან? — ს. წერეთელი ასაბუთებს, რომ ეს ასე არაა. თუ ფილოსოფიის ისტორიის მიუღდგებით შეფარდებითი და აბსოლუტური ქეშმარიტებათა მიმართების შესახებ მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, შესაძლებელი გახდება ყველა ფილოსოფიურ სისტემაში დაეშუვათ ქეშმარიტების „რალაე მარცვალი“ (იქვე, გვ. 15). ყოველ ფილოსოფიურ სისტემაში, რომელიც აუცილებელ საფეხურს ქმნის ფილოსოფიური აზროვნების განვითარების გზაზე, არის ქეშმარიტების მარცვალი, როგორც ამ აუცილებლობის გამოხატველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ფილოსოფიური სისტემა არ უნდა შევიდეს ფილოსოფიის ისტორიაში, რაგინდ დიდი გავლენა და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მას ისტორიულად.

ამგვარი ფილოსოფიის ისტორია, რასაკვირველია, ჯერ არ დაწერილა, თუმცა იგი იდეალია და მის განხორციელებას ყველა ცდილობს. ამ იდეალის განხორციელების ცდის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში არის ს. წერეთელის ანტიკური ფილოსოფიის ისტორია. ამ ნაშრომში განხილული ფილოსოფოსები შერჩეულია იმის მიხედვით, წარმოადგენენ თუ არა ისინი დამოუკიდებელ ღირებულებებს ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პროცესში. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება დიდ სიძნელეებს წააწყდება ფილოსოფიის დაღმავლობის და დაცემის, პერიოდების, (არისტოტელეს მომდევნო ანტიკური ფილოსოფია, მთელი შუასაუკუნეები), ასევე აღორძინების ეპოქის გადმოცემისას. სიძნელეები გამოწვეულია არა მარტო იმ გარემოებით, რომ მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი დაკარგულია, არამედ იმიტაც, რომ მთელი დიდი ისტორიული პერიოდები, როგორც არაორიგინალური ფილოსოფიური მოძღვრებების ეპოქები, ამოღებული იქნება ფილოსოფიის ისტორიიდან. ლოგიკურად ეს სწორი იქნება, მაგრამ ფსიქიკურად ამის შეგუება ჯერჯერობით ძნელია. დღევანდელი ფილოსოფიის ისტორი-

ები ფილოსოფიური იდეების გავრცელება-გავლენის გეოგრაფიისა და სა-
 კუთრივ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიის თავისებურ შე-
 ხამებას წარმოადგენენ: ეს აუცილებელია ფილოსოფიის ფაქტიური ისტო-
 რიის შესასწავლად, მაგრამ მის გვერდით თავისი დამოუკიდებელი ღირებუ-
 ლება რჩება ფილოსოფიის ისტორიის ზემოაღნიშნული გაგებით, რომლის
 შექმნა მომავლის საქმეა და რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიის ფაქტიური
 განვითარების როგორც ისტორიული პროცესის ლოგიკურ ძარღვს.

როცა ფილოსოფიური სისტემების შინაარსში აღიარებულია ჭეშმარიტე-
 ბის მარცვლები, რაგინდ კარგად იყოს მოგვარებული საპირისპირო სისტემე-
 ბის ერთიანობის საკითხი, მინც გასარკვევი რჩება ე. წ. ვერტიკალური ერ-
 თიანობის პოზღემა ფილოსოფიის ისტორიაში. ეს საკითხი, ს. წერეთლის
 აზრით, გადაიჭრება „მოხსნა-შენახვის“ დიალექტიკური პრინციპის გამოყუ-
 ნებით: მომდევნო სისტემის მიერ წინამორბედი სისტემის ან სისტემების
 უარყოფა ზღემა მათი „რაციონალური მარცვლის“ შემონახვით და თავისებუ-
 რი განვითარებით (იქვე. გვ. 13).

ფილოსოფიის ისტორია, როგორც ფილოსოფიის ისტორიის საგანი ფაქტი-
 ურად მიმდინარე პროცესია და, როგორც ასეთი, ს. წერეთლის აზრით, თავისებურად
 მაგრამ უდავოდ ემორჩილება დიალექტიკის უზოგადეს კანონებს. ფილოსოფიის
 ისტორიამ როგორც მეცნიერებამ არა მარტო აზროვნების გან-
 სხვაებულ და თუნდაც დაპირისპირებულ სისტემათა ურთიერთკავშირი უნ-
 და აჩვენოს, არა მარტო ფილოსოფიური აზროვნების ზეადმავალი მოძრაობა-
 დასაბუთოს, არამედ ამ მოძრაობაში თვისებრივად ახლის წარმოშობაც უჩ-
 ვენოს. „ფილოსოფიის ისტორია, როგორც მარტივიდან რთულზე ასვლა,
 როგორც განვითარება, არაა მხოლოდ ევოლუციური ხასიათისა; ეს განვი-
 თარება ნახტომებსაც შეიცავს, ევოლუცია აქაც რევოლუციას ამზადებს“
 (იქვე. გვ. 13).

1. **ფილოსოფია და მითოლოგია.** XX ს. ქართულ ფილოსოფიაში ანტიკუ-
 რი ფილოსოფიის კვლევის საქმე მყარ ნიადაგზე დააყენა პროფ. ს. დანელიამ.
 სწორი მიმართულება მისცა მან, აგრეთვე, ანტიკური და საერთოდ ფილოსო-
 ფიის ისტორიის ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას — მითოლოგიისა და ფი-
 ლოსოფიის მიმართების პრობლემას. ს. წერეთელი აქ მის უშუალო მემკვიდ-
 რედ გვევლინება. მისი აზრით, ფილოსოფიის ისტორიის სწორი გაგებისა-
 თვის აუცილებელია ფილოსოფიური ცოდნის მეცნიერული ბუნების და მი-
 თოლოგიასთან მისი დაპირისპირების გათვალისწინება. გულისხმობდა რა
 იონური ფილოსოფიის მატერიალისტურ ხასიათს, იგი წერდა: „მეცნიერება-
 და ფილოსოფია ერთ დღეს დაიბადა და განვითარების ერთი გზა ქონდა“. ფი-
 ლოსოფიის წარმოშობა მითოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის და მისგან განთა-
 ვისუფლების პროცესია. თუმცა შემდეგაც, მარქსიზმის წარმოშობამდე,
 მეცნიერულობის შესანარჩუნებლად ფილოსოფიას მუდამ უხდებოდა ბრძოლა
 „მითოლოგიის, რელიგიისა და იდეალიზმის წინააღმდეგ“ (იქვე. გვ. 24—25).

როცა ფილოსოფიის და მითოლოგიის განსხვავებაზე ვლაპარაკობთ აუცი-
 ლებელია ზაზი გაეცვას იმ გარემოებას, რომ როგორც ფილოსოფია, ისე მი-
 თოლოგია და რელიგია ცდილობენ პასუხი გასცენ მსოფლმხედველობის
 კითხვებს: რას წარმოადგენს სამყარო? ადგილი აქვს
 მასში ადამიანს? რა არის ადამიანის ცხოვრების საზ-

რისი და რა შეუძლია მას გააკეთოს მის გასახორციელებლად? ფილოსოფია წარმოადგენს მეცნიერული, დასაბუთებული მსოფლმხედველობის მოცემის ცდას. წარმოშობის დღიდანვე ფილოსოფიას დასაბუთებული მსოფლმხედველობის მოცემა ჰქონდა მიზნად, თუმცა მას მხოლოდ 25 საუკუნის შემდეგ მიაღწია. დასაბუთების ცდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშუაა ფილოსოფიასა და ფილოსოფიის ისტორიაში. ის ფილოსოფოსებიც კი, რომლებიც უარყოფენ ფილოსოფიის მეცნიერულობას, ან მეცნიერებაზე მალა მდგომად თვლიან მას, ან — მეცნიერების მსახურად ანდა „ცნებათა პოეზიად“, — მაინც ცდილობენ მეცნიერულად დასაბუთონ თავიანთი პოზიცია. ამავ ნიშნით ითვლებიან ფილოსოფოსებად მისტიკოსები, სკეპტიკოსები და აგნოსტიკოსები.

რამდენადაც ფილოსოფოსები ცდილობენ მეცნიერული პასუხი გასცენ მსოფლმხედველობრივ საკითხებს, რომლებიც უმადლესი და უმნიშვნელოვანესი საკითხებია ადამიანისათვის, — ეს მუდამ იყო ფილოსოფიის მიმართ გარკვეული უნდობლობის საბაბი. ამგვარ საკითხებზე მეცნიერული პასუხის შეუძლებლობის საბუთად კვლავ და კვლავ ხდება მითითება ფილოსოფიურ მოძღვრებათა ურთიერთდაპირისპირებაზე და ცვალებადობაზე.

ფილოსოფიის ამოცანა, ცხადია, უადრესად რთულია მაგრამ, ასევე ცხადია, რომ მისი გადაჭრის ცდა აუცილებელია. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ადამიანი, რამდენადაც იგი ადამიანია, ყოველთვის პასუხობს ამ კითხვებს. ამრიგად, საკითხი შეიძლება მხოლოდ იმას შეეხოს: აუცილებელია თუ არა მსოფლმხედველობრივ კითხვებზე მეცნიერული პასუხის ძიება? მეცნიერებას კი მხოლოდ მაშინ შეუძლია უარი ითქვას რაიმე აუცილებელი ამოცანის გადაჭრაზე, როცა დასაბუთებული იქნება მისი გადაჭრის შეუძლებლობა; მაგრამ ეს უკვე ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხია აღნიშნულ კითხვებზე, — უარყოფითი პასუხიც პასუხია და, ცხადია, ისიც დასაბუთებას ემყარება (სხვა საქმეა — დამარწმუნებელს თუ არა, პროფესიულს თუ დილეტანტურს). საყურადღებოა, რომ ფილოსოფიის როგორც მეცნიერული მსოფლმხედველობის უარყოფელი გაცილებით უფრო პრეტენზიული ფილოსოფოსია, ვიდრე — ის მოაზროვნე, რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანი ფილოსოფიური კვლევა-ძიების პროცესში თანდათან უახლოვდება მიზანს.

თუ ყველა ადამიანი მუდამ რაღაცნაირად პასუხობს მსოფლმხედველობითს კითხვებს, მაშინ შეიძლება იკითხონ: რაღა საჭიროა სპეციალური მეცნიერება ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად? რა საჭიროა ფილოსოფია როგორც განსაკუთრებული მეცნიერება, თუ ამ კითხვებს პასუხობს მითოლოგია და რელიგია? — ეს საჭიროა იმდენად, რამდენადაც, საერთოდ, სხვა მეცნიერებანია საჭირო. დიდად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ უსწავლელი მშენებელი, მოანგარიშე და სხვ. უფროა დამორებული თანამედროვე საინჟინრო ხელოვნებას და მათემატიკას, ვიდრე ადამიანის გულუბრყვილო მსოფლმხედველობა მეცნიერულ ფილოსოფიას. ყოველი ადამიანი თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მოქმედებაში, რაღაცა ზომით, არა მარტო „ფილოსოფია“, არამედ — „ფიზიკოსი“, „ინჟინერი“, „მათემატიკოსი“ და სხვ.

მეცნიერული ფილოსოფიის უარყოფა ყოველთვის ძვირად უჯდებოდათ ხოლმე მის უარყოფელებს და ეს არა მარტო სპეციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს, რომლებიც ფ. ენგელსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ფილოსოფიის სიტყვიერი უარყოფისას სინამდვილეში „სწორედ ყველაზე ცუდი ფილოსოფიური მოძღვრებების ყველაზე ცუდი ვულგარიზებული ნაჩენების მონებს წარმოადგენენ“ (იქვე, გვ. 35), არამედ ყოველ ადამიანს და მთელს საზოგადოებასაც, რადგან ადამიანის მოქმედებისა და მისი მორალური სახის საბოლოო განმსაზღვრელი არის ის, თუ როგორ ვასცა მან პასუხი მსოფლმხედველობის საკითხებს.

ცნობილია, რომ ტერმინი „ფილოსოფია“ (სიბრძნის სიყვარული) უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე — იმ საკითხთა მეცნიერული კვლევა, რომლებიც დღეს ფილოსოფიურ საკითხებადაა ცნობილი. სოკრატესთან და პლატონთან ტერმინი „ფილოსოფია“ იქცა გარკვეულ ცნებად, რომლის შინაარსი წარმოადგენდა პასუხს კითხვაზე: შეუძლია თუ არა ადამიანს ჭეშმარიტ ცოდნას ფლობდეს არსებობისა და არსებულის უმაღლესი და საბოლოო საფუძველების შესახებ? — სოკრატესა და პლატონის აზრით, ადამიანს შეუძლია მხოლოდ მიისწრაფოდეს ამგვარი ცოდნისაკენ, ეს შეადგენს მისი ცხოვრების საზრისს. ადამიანი ბრძენი კი არ შეიძლება იყოს, როგორც ეს სოკრატემდელ მოაზროვნეებს ეგონათ, არამედ მხოლოდ სიბრძნის მოყვარული.

ფილოსოფიის ისტორიას ზოგი მკვლევარი იწყებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსით — თალესით; ისინი უარყოფენ აღმოსავლური მსოფლმხედველობითი აზროვნების ფილოსოფიურ ხასიათსა და ღირებულებას. ეს აზრი ისე იყო გავრცელებული, რომ ისეთი წინდახედული მოაზროვნე, როგორიც იყო ი. კანტი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აცხადებდა: „ყველა ხალხთა შორის ბერძნები პირველი შეუდგნენ ფილოსოფოსობას... ზოროასტრას ზენდავესტრასში ფილოსოფიის კვალსაც ვერ ნახავთ. იგივე ითქმის ნაქებ ეგვიპტურ სიბრძნეზე, რომელიც ბერძნულ ფილოსოფიასთან შედარებით უბრალო ბავშვური თამაში იყო“ (Kants Werke, Akademie Textaug. IX, S. 27). დღეს ასეთი შეხედულება, როგორც ჩვენში, ისე დასავლეთში უარყოფილია. როგორც წესი, ბერძნული ფილოსოფიის ისტორიას წარუშმდვარებენ ხოლმე აღმოსავლეთის ფილოსოფიურ ნააზრევს (ძირითადად, ინდურს და ჩინურს), მაგრამ ამგვარი მიდგომის წინაშე წამოჭრილ სიძნელებებს ყურადღება არ ექცევა.

იყვნენ და ახლაც არიან მკვლევარები, რომელთაც ფილოსოფიის ისტორიაში შემოაქვთ საერთოდ მსოფლმხედველობრივი მოსაზრებანი, პასუხები უმაღლეს და საბოლოო საკითხებზე, — ეს კი, როგორც აღინიშნა, ადამიანს ყოველთვის ახასიათებს. ამ პოზიციიდანაა დაწერილი ისეთი ნაშრომები, როგორცაა 1744 წ. დასრულებული ი. ბრუკერის ხუთტომეული — „ფილოსოფიის კრიტიკული ისტორია სამყაროს შექმნიდან ჩვენს დრომდე“ ანდა 1927 წ. გამოქვეყნებული პ. რადინის ნაშრომი — „პირველყოფილი ადამიანი როგორც ფილოსოფოსი“ და სხვ. ამ აზრით გადმოსცემენ დღეს ფილოსოფიის ისტორიებში ინდურ, ეგვიპტურ, ბერძნულ, და სხვა მითოლოგიაში ასახულ მსოფლმხედველობებს. კაცობრიობის კულტურის განვითარების თვალსაზრისით, უდავოა მათ, დიდი და არსებითი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ სა-

კითხისადმი ამგვარი მიდგომის დროს იკარგება ის სპეციფიკა, ის არსებითი განსხვავება, რაც ფილოსოფიას ახასიათებს მსოფლმხედველობითი საკითხების გადაჭრისას. ამით ფილოსოფიური კვლევა პირდაპირ უიგივედება მსოფლმხედველობრივ აზროვნებას, რაც სწორი არ არის.

ს. წერეთელი თავის „ანტიკურ ფილოსოფიაში“ თალესს თელის არა საერთოდ ფილოსოფიის, არამედ ბერძნული ფილოსოფიის დამწყებად: „თალესის ფილოსოფიის სახით ფილოსოფია და ფიზიკა ერთად დაიბადა ძველ საბერძნეთში“ (იქვე, გვ. 42—43). იგი ზაზგასმით აღნიშნავდა, რომ თალესმა აღმოსავლური მეცნიერების დიდი გავლენა განიცადა. ს. წერეთელი ლაპარაკობს აღმოსავლური მეცნიერული ცოდნისა და არა ფილოსოფიის ან მსოფლმხედველობრივი შეხედულებების გავლენაზე: მითითებულია ქალდეელების ასტროლოგია და ეგვიპტეში შექმნილი გეომეტრიული ცოდნა. როგორც ჩანს, დებულება ფილოსოფიის და მეცნიერების ერთად წარმოშობის შესახებ, დებულება გარკვეულ საფეხურამდე ფილოსოფიისა და მეცნიერების იგივეობის შესახებ, ქართველი ფილოსოფოსის აზრით, ბერძნული კულტურის განვითარების სპეციფიკა იყო. ამ დებულების გავრცელება საერთოდ ყველა კულტურაზე, წინასწარი კონკრეტული კვლევის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა. ამგვარი მიდგომა ბერძნული ფილოსოფიის ისტორიისადმი შესაძლებლობას იძლევა, ბერძნული ფილოსოფიის წარმოშობის პროცესში, — აღმოსავლური მეცნიერების გავლენის დაშვებასთან ერთად, — გამოკვეთილი იქნეს ბერძნული ფილოსოფიის წარმოშობის მშობლიური ნიადაგი — VI ს. ბერძნული სამყაროს სოციალური გარემო და ბერძნული მითოლოგია. ფილოსოფიის მსოფლიო ისტორიის კონცეფციის შემუშავებისას, ისევე, როგორც მისი რეალიზაციის ცდის დროს აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს.

ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკის გასათვალისწინებლად აუცილებელია მითოლოგიასთან კავშირში და განსხვავებაში მისი განხილვა. ბერძნულ მითოლოგიისა და ფილოსოფიის შედარება ამ თვალსაზრისით შეიძლება გეზის მომცემი იქნეს საერთოდ ფილოსოფიისა და მითოლოგიის მიმართების დასადგენად. მათ შორის მემკვიდრეობითი კავშირი ნათელია. პირველ ბერძენ ფილოსოფოსებთან ძნელია მოინახოს რომელიმე ფილოსოფიური დებულება, რომელიც რაიმე ფორმით მითოლოგიაში ან მითოლოგ პოეტებთან (ჰომეროსი, ჰესიოდე) მანამდე არ ყოფილიყოს გამოთქმული. მიუხედავად ამისა, ძველი ბერძნები, როგორც წესი, ფილოსოფიის მამამთავრად თალესს ასახელებენ. ეს იმიტომ კი არა, ხდება, რომ თალესმა ყოველივეს საწყისად წყლის დასახელებით გაუგონარი რამ თქვა, არამედ, — როგორც ჩანს, — იმის გამო, თუ როგორ თქვა მან ეს. ეს იყო პირველსაწყისის წამოყენება ჯანსაღი ადამიანური გონებისათვის საყოველთაო და აუცილებელი დასაბუთების საფუძველზე. ეს იყო პირველსაწყისის (ἀρχή) დასაბუთების მოთხოვნა და მისი განხორციელების ცდა.

დასაბუთების გამოყენებას და მიზეზობრივი კავშირის კვლევას ადამიანი, ამა თუ იმ სახით ყოველთვის ეწევა არა მარტო მეცნიერებაში, არამედ მითებსა და რელიგიაშიც. ფილოსოფიისათვის სპეციფიკურია დასაბუთების საკითხის, მიზეზის ძიების საკითხის ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რატომ“-ის საკითხის რადიკალიზირება, მისი ბოლომდე მიყვანა.

მითოლოგია და რელიგია, რაკინდ უხვად იყენებდნენ ისინი დასაბუთებას, პირველსაწყისის მაინც დაუსაბუთებლად იღებენ. პირველსაწყისი მათთვის არის ფაქტი, რომელსაც არ მიეყენება „რატომ“ და მასში ეჭვის შეტანა მიუღებლად ითვლება; მიუღებელია ან იმიტომ, რომ ტრადიციითაა ნაკურთხი, ან იმიტომ, რომ ადამიანური გონებისათვის მიუწვდომლად ცხადდება. ფილოსოფია კი ამგვარ ვითარებას ვერ შეურიგდება, თუმცა ფილოსოფოსმა შეიძლება მიუთითოს რაიმე ფაქტიურზე როგორც ყველაფრის საწყისზე და საფუძველზე (მაგ., წყალი, ჰაერი და სხვ.), მაგრამ ეს დასაბუთებული უნდა იქნეს. ფილოსოფოსი ყოველთვის ცდილობს დაასაბუთოს, რომ სხვაგვარი პირველსაწყისის მიღება უაზრობამდე მიგვიყვანს. თვით ის ფილოსოფოსებიც კი, რომლებიც ემპირიული ფაქტებით შემოფარგვლას მოითხოვენ, ან გამოსავლად მხოლოდ პოსტულატებს მიიჩნევენ, ცდილობენ დაასაბუთონ, რომ სხვაგვარი კვლევა ადამიანის გონებას არ შეუძლია. ამრიგად მითოლოგია და რელიგია ემყარებიან „ფაქტს“, კრიტიკისა და დასაბუთების გარეშე მიღებულს. ფილოსოფია რასაც პირველსაწყისად აღიარებს, უნდა დასაბუთდეს ასეთად, — იგი თავისი თავის ამხსნელიც უნდა იყოს და ყოველივე დანარჩენისაც.

დასაბუთება, როგორც ლ. ფოიერბახი ამბობდა, არის „საშუალება, რომლითაც მე ჩემს აზრებს ვაცილებ ინდივიდუალურ ფორმას, რათა სხვასაც შეეძლოს უყუროს მათ, როგორც საკუთარ აზრებს“ (Фейербах Л., Избранные философские произведения, т. I, Москва, 1955, стр. 67). დასაბუთება აზროვნების როგორც ყოფიერების ასახვის შინაგან აუცილებლობას გამოხატავს. ეს აუცილებლობა არის მაიძულებელი და საყოველთაო დასაბუთებაში. ამდენად, ფილოსოფია თავისი არსებით ანტიავტორიტეტული მეცნიერებაა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ფილოსოფიური კვლევა ხშირად ემორჩილებოდა ავტორიტეტს.

ფილოსოფიისა და მითოლოგიის შორის აღნიშნული განსხვავება ჰქონდა, ალბათ, მხედველობაში არისტოტელეს, როცა თაღესით იწყებდა ფილოსოფოსთა რიგს (არისტოტელე, 983). იგი თავადაც ხომ უეჭველ საწყისს ეძებდა! (იქვე, 1005 b 13). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იონელთა მოწაფე დიოგენე აპოლონიელი (V ს. ჩვ. წ-მდე) მოითხოვდა პირველსაწყისი ყოფილიყო უდავო ანუ ისეთი, რომლის უარყოფა არ შეიძლება. ეს, ალბათ, ფილოსოფიის სპეციფიკის პირველი თემატური გაცნობიერებაა. დიოგენეს „უდავო“ (ἀναμειψήτως) ისაა, რაც უეჭველი რჩება კამათის შედეგად. ასეთი საწყისი შეუძლებელია მითოლოგიისა და რელიგიისათვის. სანტერესოა პროკლეს გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ რადიკალურად ატარებდა ფილოსოფია ყველაფრის დასაბუთების მოთხოვნას: თაღესს იმ დებულებათა დასაბუთებაც სურდა, რაც შემდეგ ეკკლიდემ ცხადად მიიჩნიაო. პროკლე თვითონ ცდილობდა ამის გაკეთებას. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი ლაიბნიცი იწონებდა პროკლეს ამ აზრს და ფილოსოფოსისათვის სწორედ ამგვარ კვლევას მიიჩნევდა საჭიროდ (Лейбниц Г. В., Новые огыты о человеческом разуме, М.-Л., 1936 г., стр. 358).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნული ფილოსოფიის ცნობილი ისტორიკოსი ვ. კრანცი, — რომლის სამართლიანი მტკიცებით, „მითოსის პერიოდი წინ უსწრებდა და მამა იყო ფილოსოფიის ეპოქის“, — დაუსაბუთებელ აზრს



გამოთქვამს იმის თაობაზე, თითქოს „პირველი ფილოსოფოსი არისტოტელისათვის არის ჰომეროსი“. ამის ამოკითხვა არისტოტელესთან არ შეიძლება, არც კრანცის მიერ მითითებული ადგილიდან და არც სადმე სხვაგან. შეცდომის მიზეზი ისაა, რომ კრანცი მკვეთრად არ ასხვავებს მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიის, საერთოდ, მოაზროვნის და ფილოსოფოსის ცნებებს (Kranz W., Die griechische Philosophie, München, 1971, S. 14—15.).

ჩვენ მიერ აღნიშნული განსხვავება ფილოსოფიასა და მითოლოგიას შორის და გადასვლა მითოლოგიური მსოფლმხედველობიდან ფილოსოფიურზე, როგორც ჩანს, ყოველი დიდი კულტურის განვითარებაში ხდება, რასაკვირველია, სათანადო თავისებურებებით. დღეს უკვე მიღებულად ითვლება, რომ საბერძნეთში ეს გადასვლა მოხდა სხვა დიდ კულტურებში ანალოგიური ცვლილებების თანადროულად. ერთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ: საბერძნეთში — თალესი (625—547), ჩინეთში — ლაო-ძი (დაახლ. 609—517), ინდოეთში — ჯაინიზმის ფილოსოფიის ფუძემდებელი მაჰავირა (დაახლ. 599—527). ამ ეპოქას სამართლიანად უწოდებენ მობრუნების პუნქტს მსოფლიო ისტორიაში. თუ გავიხსენებთ, რომ ამავე ეპოქას ეკუთვნიან რელიგიური რეფორმატორებიც — ბუდა, იეზეკიელი და ზარატუსტრა — გასაგები გახდება ის დიდი ინტერესი, რომელსაც ეს ეპოქა იწვევს (Störig H. J., Kleine Weltgeschichte der Philosophie, Kohlhammer, 1970, S. 79.).

როგორც ვხედავთ, დროში ბერძნულ ფილოსოფიას ვერ უსწრებენ სხვა დიდ კულტურათა ფილოსოფიები. ძნელი დასაშვებია, რომ ეს გადასვლები სხვადასხვა კულტურაში ურთიერთზეგავლენის შედეგად მოხდა. თითოეული კულტურა აქამდე საკუთარი, შინაგანი მამოძრავებელი ძალებით მივიდა. გარედან ზეგავლენაც მოცემული კულტურის შინაგანი ბუნებით უნდა აიხსნას. აქედან უნდა გავიგოთ, თუ რატომ იმოქმედა უცხო კულტურის ამ და არა სხვა ელემენტმა, სწორედ ამ და არა სხვა პერიოდში. რაიმე კულტურული მოვლენა უპირველეს ყოვლისა, ამავე კულტურის საფუძველზე უნდა აიხსნას. ამ აზრით წერდა მარქსი, რომ „ეგვიპტური მითოლოგია ვერასდროს ვერ იქნებოდა ბერძნული ხელოვნების ნიადაგი და მშობლიური წიაღი“ (ე. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953. გვ. 35). თუმცა ეგვიპტური ხელოვნების გავლენა ბერძნულზე ექვს არ იწვევს. საერთოდ შეიძლება ითქვას: როცა ერთი კულტურა მეორისაგან რაიმეს სესხულობს და ნასესხები მისთვის შინაგანი გახდება — ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს თუ არა ხვალ იგი თავად შექმნიდა იმას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სხვისგან ისესხა. ეს საკითხი პარალელურ კულტურათა და, შესაბამისად, ფილოსოფიათა ვაზრების საკითხია.

2. ფილოსოფიის ისტორია და ფილოსოფიის ისტორიები. ს. წერეთელი

როგორც დიალექტიკოსი ყოველი მოვლენის განვითარების ძირითად მამოძრავებელ წყაროს თვით ამ მოვლენაში ეძებდა. ბერძნულ ფილოსოფიას იგი განიხილავდა როგორც საკუთარი შინაგანი კანონზომიერების მქონეს, მიუხედავად სხვა კულტურათა ზეგავლენისა მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში. ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორია, — სადაც ინდურ ფილოსოფიურ აზროვნებას მოსდევს ჩინური, ჩინურს კი — ბერძნული, — მას არ მიაჩნდა საძიებელი პროცესის არც ისტორიული და არც ლოგიკური განვითარების გამომხატველად.

კულტურის ისტორიკოსისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ სხვადასხვა და, ზოგჯერ, პარალელურ კულტურებში მსგავსი ვითარებანი ყოველთვის ურთიერთზეგავლენის შედეგი არ არიან. მსგავსების ფაქტიდან ნაჩქარევად არ უნდა დაეასკენათ კულტურათა კავშირზე, რაც შეიძლება ისტორიულად არც არსებობდა. მაგ., ცნობილია, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის ხელოვნებათა ისტორიის შედარება საგულისხმო პარალელებს გვაძლევს, მაგრამ ისანი ხშირად მსგავსი სოციალურ-ეკონომიური, ტექნიკური თუ მხატვრული დონის შედეგია და არა ურთიერთზეგავლენისა (Роуленდ Б., Искусство Запада и Востока, Москва, 1958 г. стр. 5).

აშკარა და თვალშისაცემი მსგავსების ფაქტები ხშირად საერთოდ ადამიანური კულტურის შინაგან სტრუქტურულ ერთიანობაზე მიუთითებდნენ და წარსულში უხვად კვებავდნენ ეგზეგეტიკურ ლიტერატურას. ყოველი კულტურის მიერ შექმნილ არითმეტიკაში, რომ $2+2=4$, ცხადია ურთიერთზეგავლენით არ უნდა აიხსნას. ნათქვამი ეხება კულტურის სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ და არა იმით რომლებიც ერთ დიდ კულტურულ გარემოში იყვნენ მოქცეული, მაგ., ბერძნული, რომაული, იტალიური, ესპანური, გერმანული, ქართული, სომხური და სხვ. ცხადია, რომ წინასწარ, სპეციალურ კვლევამდე, არც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულ კულტურათა ურთიერთზეგავლენა უნდა გამოირიცხოს, მაგ., იუდაური კულტურის ზეგავლენა ბერძნულზე და პირიქით, ფაქტია. ამგვარი ურთიერთზეგავლენა კვლავ კულტურათა შინაგანი, არსებითი ტენდენციებიდან უნდა აიხსნას. ცნობილია, რომ ქრისტიანობა ბერძნულ-რომაულმა კულტურამ მიიღო მამინ, როცა დასაღუბად გაწვირული მონათმფლობელური კლასის ფილოსოფიამ დაკარგა გონებისადმი რწმენა და ხსნას სხვადასხვა სახის მისტიკაში ეძებდა. ცნობილია, აგრეთვე, რომ იუდაური თეოლოგია ბერძნული ფილოსოფიის გავლენით განვითარდა, მაგრამ შემდეგ, ს. მაიმონის ფილოსოფიამ უკუზეგავლენა მოახდინა ქრისტიანულ თეოლოგიაზე და, საერთოდ, ევროპულ აზროვნებაზე. იგივე ითქმის ევროპულ და არაბულ ფილოსოფიათა და საერთოდ კულტურათა მიმართებამზე.

ყოველივე ეს განსხვავებულ კულტურათა და მათი ფილოსოფიის შეერთების შესაძლებლობაზე მიუთითებს; ამ საფუძველზე შეიძლება შეიქმნეს მსოფლიო ფილოსოფიის ისტორია როგორც რეალური ვითარება და მსოფლიო ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება მისი განვითარების კანონზომიერების შესახებ. მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სინამდვილეს. მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიის შესაძლებლობის სინამდვილედ გადასაქცევად საჭიროა გარკვეული ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პირობები, რომლებიც ახლა იქმნებიან, მაგრამ ჯერჯერობით ყოველსმომცველ ძალად არ ქცეულან.

დღეს არ არსებობს და არც არასდროს არსებობდა მსოფლიო ფილოსოფიის ისტორია, პირდაპირი აზრით, ე. ი. კაცობრიობის ფილოსოფიური აზროვნების ერთიანი პროცესის გაგებით, სადაც ერთი პერიოდი განპირობებულია წინამავალი, მის განვითარებას, მის თავისებურ „მოხსნა-შენახვას“ წარმოადგენს და ასეთსავე მიმართებაშია მომდევნო პერიოდთან. ასეთი მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი ნაშრომი მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში დღეს არ არსებობს, რადგან არ არსებობს მისი საგანი როგორც ერთიანი, შინაგან-



ნი კანონზომიერებით მოქმედი. დღეს არსებობენ ფილოსოფიის მეცნიერული ისტორიები, ასევე მსოფლმხედველობათა განვითარების ისტორიები, რომლებიც შესაბამისი ასპექტით წარმოგვიდგენენ განვითარებას თვისებრივად განსხვავებულ კულტურებში. ამ კულტურათა განვითარების გზები წარსულში ზოგჯერ კვეთავდნენ ხოლმე ერთმანეთს, რასაც ურთიერთზეგავლენაც მოყვებოდა შედეგად, მაგრამ ამგვარი შეხვედრები განვითარების ერთიანი პროცესის შესაქმნელად არა კმარა.

ს. რადჰანკრიშნანი, ორტომიანი „ინდური ფილოსოფიის“ ავტორი, სამართლიანად აფრთხილებს მკვლევარებს ევროპულ ფილოსოფიასთან თუნდაც აშკარა ანალოგიებით გატაცებისაგან. მისი აზრით, დამთხვევებიც კი „მხოლოდ ისტორიული განვითარების პარალელიზმის მოწმობაა“ რადჰანკრიშნანი ინდურ ფილოსოფიას წარმოგვიდგემს, როგორც დასავლეთის აზროვნებისაგან დამოუკიდებელ პროცესს, რომელიც შინაგან ერთიანობას ფლობს და მუდმივ განვითარებაში იმყოფება (Радхакришнан С., Индийская философия, т. I. Москва, 1956 г. стр. 14).

მსოფლიო ფილოსოფიის ისტორია როგორც ერთიანი მსოფლიო კულტურის გარკვეული ასპექტი, რეალურად შესაძლებელი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა ერთიანი მსოფლიო ისტორია, რაც როგორც ცნობილია ყოველთვის არ არსებობდა, იგი კაპიტალიზმის დროს გახდა შესაძლებელი. ამ დროს მთელი მსოფლიო იქნა ჩართული კაპიტალისტური წარმოების სისტემაში. რაც სათანადო გავლენას ახდენდა მსოფლიო კულტურაზე. მაგრამ კულტურა და ფილოსოფია მექანიკურად არ ექვემდებარებიან წარმოების პროცესს, ე. ი. მსოფლიო ისტორია მექანიკურად არ მოიყოლებს მსოფლიო ერთიან კულტურას და ფილოსოფიას. ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია დიდი ხანია ჩართული არიან მსოფლიო ეკონომიურ სისტემაში, მაგრამ მათი კულტურა და მსოფლმხედვა მკვეთრ თავისებურებას ინარჩუნებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ზეგავლენა ევროპულ კულტურაზე და პირიქით დღეს აშკარაა. ამიტომ, რომ ახალი ფილოსოფიაში დიდი ხანია დგას აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურათა შეხვედრისა და გაერთიანების საკითხი, რაც, ცხადია, თითოეულის სპეციფიკურობის შენარჩუნებით უნდა მოხდეს.

დღეს ერთადერთი ფილოსოფია მარქსიზმია, რომელსაც შეუძლია კულტურათა ამგვარი გაერთიანება განახორციელოს. მართალია, იგი ევროპული კულტურის განვითარების პროდუქტია, მაგრამ საერთოდ ადამიანური საზოგადოების შინაგანი, აუცილებელი კანონზომიერების შედეგია. ამიტომ სხვადასხვა კულტურა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით მიდის მასთან.

ჯერჯერობით, მსოფლიო ფილოსოფიის ისტორია შეიძლება იყოს ფილოსოფიის შედარებითი ისტორია. მას შეუძლია სხვადასხვა კულტურის ფილოსოფიის განვითარების შედარება და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების კანონზომიერების ზოგადი პროცესის დადგენა. ეს დიდი მნიშვნელობის საქმე იქნება, რომელიც მომავალ მეცნიერებას მსოფლიო ფილოსოფიის განვითარების შესახებ შესავლად გამოადგება.

ფილოსოფიის ისტორია არის გამოჩენილ მოაზროვნეთა მიერ სამყაროს რაობის, მასში ადამიანის ადგილის, ადამიანის სიცოცხლის საზრისის პრობლემათა მეცნიერული გადაჭრის ცდის ისტორია. იგი არ უნდა იყოს მხოლოდ სპეციალობით ფილოსოფოსთა ინტერესის საგანი. ყოველი ადამიანის შეგნე-

ბული ცხოვრება აღნიშნულ საკითხებზე პასუხის ძიებისა და ცხოვრების საზრისის განხორციელებისათვის ბრძოლაა. ფილოსოფიის ისტორია ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს ფილოსოფიური აზროვნების მიერ 2500 წლის მანძილზე გავლილი გზის არსებით მონაბოვარს, შეითვისოს იგი და საკუთარი შემოქმედებითი ძალები ახალი ღირებულებათა ძიებასა და მათს განხორციელებას მოახმაროს.

ბ 32/69

ფასი 1 შან.

Индекс 76 196

